119
951/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

9

სექტემბერი

1951

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

4955

წელიწადი ოცდამერვე

9

Тбилисский Филиал
Библиотека
имэл при ЦК ВКП (б)

სექტემბერი

19 სახელგამი
თბილისი

51
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ორაგველიძე
სოციალისტური შრომის გმირი

მეგობრობა

*

— ხედავ, არჩილ, სანამდე აიწია მზემ და დღესაც ოცი კაცი გამოვიდა. ნენა, ვერ ხედავს ეს ხალხი, რომ ტყემ წაიღო პლანტაცია? ახლა დიდი და პატარა დღე და ღამეს უნდა ვასწორებდეთ და...

— ვისაც საქმეზე გული შესტკივა, კი ასწორებს დღეს და ღამეს, ბიძია კირილე, — შეაწყვეტინა არჩილ სირაძემ, ბრგე, შავგვრემანმა ყმაწვილმა. — მაგრამ ჩვენი მუშაობა წვეთია ზღვაში. საქმეს მაშინ ეშველება, ჩვენსავით რომ ჩამოეკიდოს ყველა თოხზე, თორემ, თუ ნახევარი ბრიგადა განზე ივლის, ჩვენ რას გავაწყობთ.

— მერე, სანამდე ვიყოთ გაჩუმებული, ნენა? ჭირივით შემიძულა ბრიგადირმა. თავმჯდომარე ამ ხნის კაცს, ინტრიგანს მეძახის. თუ კოლმეურნეობის გარეთ არ გავიტანეთ ეს ამბავი, აქ ვერაფერს გავაწყობთ. ნამეტანი არეულია ჩვენი საქმე. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ჩვენი ბრიგადის ამბავი ეყოფა კაცს საარაკოდ. რასა ჰგავს ჩვენი საქმე? ოცდაშვიდი კაცი ერთ კვალში ვმუშაობთ. ვმუშაობთ-მეთქი, სიტყვაზე ვთქვი, თორემ მუშაობა ჰქვია ჩვენს მუშაობას? ზოგი გათენებამდე მოდის პლანტაციაში, ზოგი შუადღეზე. ზოგი სულ არ მოდის. ნამუშევარი კი საღამოს ყველას თანაბრად გვეწერება. ვინ დაუდებს ასეთ საქმეს, ნენა, გულს?

— გუშინ არ იყო, რა დღე დაგვაყარა, აქვსენტიმ? — ჩაერია ლაპარაკში ნაყვავილარი, შუახნის გლეხი ევტიხი ნაცვალაძე. მას ყურს აკლდა, ყოველი სიტყვის შემდეგ ხელს ყურზე მოიფარებდა და თითქოს თავისი ნათქვამი ვერ გაიგოვო, ხმამაღლა იკითხავდა: — ჰა? — არა, რა ვთქვი მე ისეთი, კირილე, რომ კინალამ სული ამომხადა იმ შეჩვენებულმა, ჰა? ჩვენ ერთი ქცევა უკვე გათოხნილი გვქონდა, ის რომ მობრძანდა, და არ უნდა მეთქვა ამ შეღამებულზე — რაღას მოდიოდი-მეთქი, ჰა?

— უნდა გეთქვა, ნენა, — ჩამოართვა ევტიხის სიტყვა კირილემ. — ბრმა არა ვარ, რომ ვერ დავინახო, და თვალები ვერ დავიბრმავე. გათენებამდე დათვივით ღრიალებს თავის კარმიდამოში, შუადღემდე ურტყამს თოხს მიწას, შუადღეზე კი დაღლილ-დაქანცული ბრიგადაში მოდის და აქ ისვენებს.

— ნამდვილად დასასვენებლად მოდის, ჰა?

— ჩვენი ბრიგადირი საღამოს მე და იმას ერთნაირად გვიწერს ნამუშევარს. არა, ნენა, თუ ამას რაიმე არ ეშველა, ჩვენი საქმე წინ ვერ წავა.

ასე საუბრობდნენ ჩაის პლანტაციის ნაპირზე ჩამომჯდარი კოლმეურნეები. ისინი გათენებამდე მოსულიყვნენ პლანტაციაში. სამიათას მეტრამდე გაეთოხნათ და ახლა თუთუნის მოსაწევად დამსხდარიყვნენ.

კირილე ავჟანდაძე, მაღალი, ოდნავ წელში მოხრილი, სანდომიანი სახის კოლმეურნე იყო. მას სამოცდახუთი წელიწადი შესრულებოდა და მისი გამოცდილი, მადლიანი მარჯვენა მაინც ორ კაცზე მეტს აკეთებდა. მაგრამ მის ალალმართალ მუშაობას დაფასება არ ჰქონდა. კირილესავით შრომისმოყვარე კოლმეურნე არა ერთი და ორი იყო კოლმეურნეობაში, მაგრამ თავმჯდომარე მათ უქნარა კოლმეურნეების გვერდით აყენებდა. ყველას ამაგს ერთნაირად ზომავდა და აფასებდა.

კირილე ვერაფრით ვერ შერიგებოდა ამ ამბავს. სადაც საჭირო იყო, არც თავმჯდომარეს და არც ბრიგადირის გაჭირდვას ერიდებოდა. პირში კი იმაზე მეტს ეტყოდა მათ, რასაც სხვებთან ამბობდა. ამიტომ თავმჯდომარეს და ბრიგადირს კირილე ავჟანდაძის დიდი რიდი და შიში ჰქონდათ.

კირილეს ერთადერთი ქალიშვილი ელენე თოთხმეტი წლისა იყო, ჩაის ფოთლის კრეფაში რომ მთელს კოლმეურნეობაში გაითქვა სახელი. ელენე სკოლაშიაც წარჩინებულ მოწაფედ ითვლებოდა. სახლში ხომ ერთი წუთით გაჩერებულს ვერ ნახავდით. დედა სამი წლის წინათ გარდაეცვალა და მთელი ოჯახი მკვირცხლ და შრომისმოყვარე გოგოს აწვა კისერზე. ელენე შრომაგარჯაში მამას ჰგავდა.

კირილე ბავშვობიდან შეეჩვია მუყაით და ალალ შრომას. სოფელში ახლაც ამბობდნენ: „თუ თავადი ნაკაშიძე სხვა გლეხს ორ შაურს მისცემდა დღიურს, მაშინ კირილე აბაზი ღირდაო“. კოლმეურნეობაში იგი პირველი შევიდა. შეიყვანა ერთი უღელი ხარი, საკოლმეურნეო ფართობს მიაზომა ორი ქცევა საყანე მიწა. არც ურემი დაიტოვა სახლში და არც გუთანი. არც ერთ დღეს არ გააცდენდა კოლმეურნეობაში. მის გაკეთებულ საქმეს სხვა შნო და **ლაზათი ჰქონდა.** მის დაბარულ და გათოხნილ კვალს ასი კაცის ნამუშევარში გამოარჩევდი.

როგორც სხვებს, ისე კირილე ავჟანდაძესაც ჰქონდა თავისი საკარმიდამო ფართობი: 300 ძირი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი ედგა ეზოში. მათი მოვლა-პატრონობით ერთი წუთით არ მომცდარა კოლმეურნეობის საქმეს.

კირილეს და არჩილს უკვე მეორე კვალი გაჰქონდათ, როცა ბრიგადის სხვა წევრებმა თითო-ოროლად იწყეს მოსვლა. ბრიგადირი ილიკო ზედობანიძე კი სულ ბოლოს მოვიდა, გვერდში ამოუდგა კირილეს და ომახიანად შესძახა:

— აბა, მეგობრებო, დავცხოთ ჩვენებურად, დღეს ეს ფართობი გამოვთოხნოთ და მერე მე ვიცი თქვენი პატივისცემა.

— უიმე, ნენა, — გაეცინა კირილეს, — შენებურად თუ დავცხეთ, კარგად არ წავა ჩვენი საქმე! რანაირად იქნევ მაგ თოხს, ნუ დაუქექ ჩაის ფოთოლი. თუ საქმეზე გული შეგტკივა, ბრიგადირო, აქამდე სად იყავი? შეხედე მზეს, ამ დროს მუშა კაცი სამუშაოდან უკან ბრუნდება.

ბრიგადირი შეხტა და შეტრიალდა. თოხის ტარს დაეყრდნო, კირილეს გაბოროტებით შეხედა და სულშეგუბებით შესძახა:

— კირილე, ან შენ უნდა იყო ამ ბრიგადაში, ან მე...

— ჰო, ნენა, — შეაწყვეტია კირილემ ბრიგადირს, — მგელი და ცხვარი ერთად არ დადიან, მაგრამ შენ რა გჭირს ისეთი, რომ ბრიგადიდან გაიქცე. დღეში ორ საათს არ მუშაობ ჩვენთან. მე ვიკითხო, მე მაქვს გასაქცევად საქმე შენს შემყურეს. დილიდან საღამომდე თოხს ვურტყამ, ვმუშაობ, შენ და შენისთანები კი, როცა მოგესურვებათ, მაშინ ჩამოხვალთ და საღამოს, ვინც იმუშავა და ვინც არ იმუშავა, ყველას თანაბრად უყოფთ ნაჯაფარს.

— ამხანაგო ბრიგადირო. — შეწყვიტა თოხნა შუახნის გლეხმა აქვსენტი მაძღარაძემ და ბრიგადირს მოუბრუნდა: — ჩვენი მუშაობა არჩილთან და კირილესთან დღითიდღე აუტანელი ხდება. კარგად თქვი შენ, ან ჩვენ და ან ისინი. — შეხედა რისხვით სავსე თვალებით. — როგორ სთქვა წელან, ნენა? — როცა აქვსენტი კირილეს ეჩხუბებოდა, მის გასაბრაზებლად კირილესავით ყოველ წინადადებაში „ნენას“ იმეორებდა, — მგელი და ცხვარი ერთად არ დადიან? მალე გამოვარკვევთ, რომელია ჩვენში მგელი და რომელია ცხვარი. გამგეობაში დაგიყენებთ საკითხს. — კვლავ ბრიგადირს მიუბრუნდა. — მე ხვალიდან აქ მომსვლელი არა ვარ, ამხანაგო ბრიგადირო. გუშინ რაღაც ერთი საათი დამიგვიანდა, საკარმიდამო ფართობი ბარდ-ეკალს ჰქონდა წაღებული, გული დაეწვებოდა მის შემყურეს. ავდექი და გამოვთოხნე. იცით, რა დღე დამაყენეს ამისათვის ამ ვაჟბატონებმა? — გაიშვირა ხელი კირილესა და არჩილისაკენ. — შენი საკარმიდამო უფრო გიყვარს კოლექტივის საქმეზეო, როგორც მას არა აქვს არაფერი თავის ეზოში, ისე სურს იყოს ყველა კოლმეურნე. მე, ჩემო ძმაო,

ბალი მაქვს, ვენახი მაქვს. მე თუ არ ვიმუშავე ჩემს ოჯახში, ვინ გააკეთებს ჩემს საქმეს? ვინ იმუშავებს ჩემს მაგივრად, კირილე და არჩილი? არა, მე ასე მუშაობა არ შემიძლია, გიცხადებ, ბრიგადირო, ამ კაცებმა არ დამაყენეს კოლექტივში და მეც თავს ვანებებ მუშაობას.

არჩილს გაეცინა.

— აქვსენტი, ნუ გვაშინებ იმით რომ შენ ხვალ არ მოხვალ კოლექტივში, ნეტავი დღესაც არ მოსულიყავი. გარდა იმისა, რომ მოგვაცდინე, აბა რა გააკეთე. შენ ყოველთვის ეძებ მიზეზს, რომ სამუშაოდ არ გამოხვიდე. რაც შეეხება საკარმიდამოს, ეზოც გვაქვს ყველას, ვენახიც, ციტრუსიც, მაგრამ შენსავით არავინ აკლავს თავს საკარმიდამო ფართობს. შენ აქ მუშაობა სასხვათაშორისო საქმედ მიგაჩნია. მოვალეობას იხდი მხოლოდ კოლმეურნეობის წინაშე. რახან წევრი ვარ, ხალხის დასანახად რაღაც ხომ უნდა გავაკეთო. არ გვინდა ჩვენ ასეთი წევრი. თუ არ მოხვალ, წინ წყალი, უკან მეწყერი...

— ამას დამიხედეთ ერთი, შეცხადებულივით შეჰყვირა აქვსენტი მაძღარაძემ, — გაგდებასაც მიპირებ, ბიძია? ვინ გკითხავს შენ ჩემ საქმეს? აქაოდა, ნასწავლი კაცი ვარ... ნასწავლი შენთვისა ხარ, შენს თავს მოუარე. ნასწავლი ბევრია მოცვნარში, მაგრამ შენსავით კირილე ავჟანდაძის ჭკუაზე არ დადის. კირილეს, რომ კითხო, ნენა, არც მე ვარ გასაჩერებელი კოლმეურნეობაში, არც ჩვენი ბრიგადირი და. არც ჩვენი თავმჯდომარე. მაგრამ ვერ მიართვეს, ნენა, კირილე ავჟანდაძეს, მის ჭკუაზე კი არ ტრიალებს კოლმეურნეობა.

კირილე თავაუღებლად თოხნიდა. ერთი შეხედვით კაცს ეგონებოდა, აქვსენტის ლაპარაკს ყურს არ უგდებსო, მაგრამ უცებ შეჩერდა.

— ჩვენ ჭკუაზე რომ არ ტრიალებს კოლმეურნეობა და შენისთანები განაგებენ მის ბედ-იღბალს, იმიტომ მიდის ჩვენი საქმე კარგად. ბევრი გითმინეთ, ნენა, და აი, სანამდე მივიდა კოლმეურნეობის საქმე. ამას არც ჩვენ გვაპატიებენ, მაგრამ ახლა თოკით ვერ დამაბამთ. ხომ გაიგეთ, ახალი მდივანი აურჩევიათ. ერთ კვირას დავიცდი, თუ ჩვენი კოლმეურნეობის საქმე წალმა არ შეტრიალდა, დავკრავ ფეხს და ვეახლები რაიკომის მდივანს. მე შენ გითხრა და სიტყვის თქმა გამიჭირდება...

— კი ვიცი, რომ სიტყვის მიტანა არ გაგიჭირდება, — შეაწყვეტია დაცინვით აქვსენტიმ, — კაცი თუ მაგას იკადრებს, სიტყვის მიტანა არაა ძნელი საქმე.

— რაიო, ნენა, იკადრებსო? რა არის ამაში საძრახისი? მე ის მაწუხებს, რომ აქამდე არ მივაწვდინე სიტყვა თქვენისთანა ყალთაბანდებზე, თორემ თქვენი მხილება საძრახისი კი არა, პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა.

— რა ვქნათ, კირილე, შენსავით რომ ვერ ვმუშაობთ, იმიტომ გვიპირებ კოლმეურნეობიდან გაგდებას? შენისთანა მუშაკაცი ერთია მთელ კოლმეურნეობაში და მაშ სხვებმა ყველამ უნდა ავიკრათ გუდანაბადი? — გამოექომაგა აქვსენტის ბრიგადირი.

— თქვენს საკარმიდამოში ხომ არ ჩამოუვარდებით, ნენა, კირილეს მუშაობაში. კოლმეურნეობაში რად გწყდებათ წელი? აქვსენტი გათენებამდე რომ ჩავარდება თავის პლანტაციაში და ვენახში, შუადღემდე თავს არ ასწევს, ნამუადღევს მკვდარი, დაღლილი მობრძანდება კოლმეურნეობაში. გათავებულ კაცს სად შეუძლია, ნენა, კირილე ავჟანდაძესავით იმუშაოს? აქ იმიტომ მოდის, რომ დაისვენოს და მერე ჩემი ნამუშევარი წამართვას. მაგრამ ვერ მივართვი, აქვსენტი მაძღარაძეს: ხვალიდან ჩემს კვალზე არ დაგინახო, ცალკე აიზომე ნაკვეთი და იქ გამოჩნდება, რისი გამკეთებელი ბრძანდები. არჩილს რომ უთხარი, რა ნება გაქვს საკარმიდამოში მუშაობა დაგვიშალოო, არჩილს ეგ არ უთქვამს შენთვის, ჩვენ ყველას გვაქვს საკარმიდამო, მაგრამ, იმდენი, რამდენიც წესდებამ მოგვცა და ისე უვლით ჩვენ ეზო-კარს, რომ ამით კოლმეურნეობის საქმეს იოტის ოდენა ზიანს არ ვაყენებთ. შენ კი საკარმიდამო გააფართოვე, მიჯნის პალოები, მოთხარე და გადაყარე, ძმაბიჭებს გადააკვრევინე და საიდუმლოს გინახავს. ამით ეზო გაადიდე და ვეღარ აუდიხარ ამოდენა ფართობს ერთი კაცი. ვერა, ნენა, მეტს ჩვენ ვერ ავიტანთ. — თქვა კირილემ და კვლავ თოხნა განაგრძო.

ილიკო ზედობანიძემ და აქვსენტიმ კიდევ ბევრი იქაქანეს, ხან ტკბილი

ენით სცადეს კირილეს და არჩილის გულის მოგება, ხან ეშმაკობით. დაემუქრნენ კიდეც, მაგრამ კირილე მაინც თავისაზე იდგა. „ხვალ ჩემს კვალზე არავის დავაყენებ, ყველამ თავისთვის მიიზომოს ნაკვეთი“. ამ ამბით შეშინებულმა ბრიგადირმა და აქვსენტიმ თოხი მხარზე გაიდეს და კანტორისაკენ გაემართნენ. ამალამვე გამგეობაში დავაყენებთ შენ საკითხსო.

კირილემ აინუნშიაც არ ჩააგდო ილიკოს მუქარა და ასეთი სიტყვებით გაისტუმრა:

— წადი, ნენა, ხახვი არ დამაჭრა ყურებზე. სულ რომ ბრაზით მოკვდე, ჩემს ნამუშევარს მაინც არ გაგიყოფ. დააყენე საკითხი, ვნახოთ, ვინ არღვევს წესდებას მე თუ შენ.

...აქვსენტი მაძღარაძე ყველაზე შეძლებული გლეხი იყო სოფელ მოცვნარში. მამამისი, მევარკაცა, ნაკაშიძეს ჰყავდა მოურავად სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. იგი მეტად მოხერხებული გლეხი იყო. ბატონსაც ატყუებდა და გლეხობას ხომ სულს ხდიდა. სოფელში ამბობდნენ „ეს ოჯახდასაქცევი ყველასთან კავშირს აბამს: მთავრობასთან, ბატონთან და ფირალებთანო“.

ფირალმა მოქიამ ნაკაშიძეს წერილი ჩამოუგდო ეზოში. „მახსოულის ტყეში, სამღვთო მუხის ძირში, ასი თუმანი ქვის ქვეშ ამოდებული დამახვედრე. თუ ეს არ შეგისრულებია, ორშაბათ საღამოს გესტუმრები და ყელს გამოგჭრიო“. თანაც აფრთხილებდა თავზეხელაღებული ყაჩაღი: „ჩემი წერილი საიდუმლოდ შეინახე, არავინ გაიგოს, თორემ შავ დღეს დაგაყენებო“. თავზარდაცემულმა თავადმა რჩევა მევარკაცას ჰკითხა; მან პასუხი არ დაუგვიანა: — თავადო, მოქიას გადაკიდებას ყველაფერი ჯობია; მას გინდა კაცი მოუკლავს და გინდა ღორი დაუკლავსო. თავზეხელაღებულია, ხვალვე გავუგზავნოთ ფული და ფათერაკი ავიცილოთო.

მეორე დღეს, საღამოს, ასი თუმანი მახასოულის ტყეში მევარკაცამ წაიღო. ქვის ძებნა არ დაუწყია, იქვე ჩასაფრებულ მოქიას სამჯერ ნელა დაუსტვინა, ასი თუმანიდან 50 თუმანი ჩააბარა და დაემშვიდობა. თავადს გადარჩენა მიუღია, მთელი საათი თავის გმირობაზე ეტრაბახა, თუ როგორ გაბედა და უკუნეთ ღამეში მახასოულის ულრან ტყეში მონახა სამღვთო მუხა და ასი თუმანი ქვის ქვეშ ამოდო.

მოურავის გმირობით აღფრთოვანებული ნაკაშიძე ზედიზედ სცლიდა ღვინით სავსე ჭიქას და ალავერდს „ერთგულ“ მოურავთან გადადიოდა.

მოცვნარის უმიწაწყლო, ღატაკი გლეხობა ფაცხებში ცხოვრობდა. მომრიგედ და „მოამაგედ“ მოურავი მევარკაცა ჰყავდა. მევარკაცას კოხტად შემოღობილ ეზოში, ასწლოვანი ცაცხვის ძირში, დილდილობით ხშირად ნახავდით ძღვენით მოსულ გლეხებს. ისინი მევარკაცას გაღვიძებას უცდიდნენ. ზოგს მიწის ნაკვეთის შეცვლა უნდოდა, ზოგიც დამატებით, სანადელო მიწას თხოულობდა. ეს კი ყველაფერი მევარკაცას მარჯვე ხელიდან გამოდიოდა. მოურავი ყველას დახმარებას ჰპირდებოდა, მაგრამ მხოლოდ მას დაეხმარებოდა, ვისი ქრთამიც თვალში მოუვიდოდა, ზოგს ატყუებდა, ასჯერ მოიყვანდა და ასჯერვე ტკბილი სიტყვით გაისტუმრებდა, სანამ პერანგს არ გახდიდა, საქმეს არ გაუკეთებდა.

მევარკაცას აკაციის მესერითა და შქერის წკნელით შემოღობილი სამი ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა. ექვსი თვალი წაბლის სახლი აიშენა, დურგლები ლეჩხუმიდან ჩამოიყვანა. ხშირად უთქვამს მისთვის ნაკაშიძეს:

— ვეჟო, შენ ისე მარჯვედ იქცევი, რომ მალე ჩემზე მეტი გექნება და ჩემზე უკეთ იცხოვრებო.

მევარკაცა თავს ჩაღუნავდა და ღრეჯით ეტყოდა:

— თავადო, ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს და ლუკმა პურს რა გამომილევსო.

აქვსენტი მევარკაცას ერთადერთი ვაჟიშვილი იყო. იგი ნაკაშიძის კარზე იზრდებოდა ფუფუნებასა და განცხრომაში.

— ყველა თვალებში შემომცქერის, ყველა ჩემგან ელის დახმარებას დარჩევას, მხოლოდ ეს გლახის შვილი, კირილე ვერ დავიმორჩილე, — ამბობდა მევარკაცა და მზად იყო რაიმე ხიფათი აეტეხა მისთვის.

კირილეს მამა ადრე გარდაეცვალა და ავადმყოფ დედას თითონ პატრონობდა.

დღედაღამ შრომობდა და ოჯახს ინახავდა. 20 წლის კირილე მშვენიერი შესახედაობის, მხარბეჭიანი, ახოვანი ახალგაზრდა იყო. მთელ მოცვნარში გამოირჩეოდა გულადობით და შრომისმოყვარეობით. ხშირად ეხმარებოდა მეზობელ ქვრივ-ობლებს საზრდოს მოწევაში.

კირილე ნაკაშიძის მიწას ამუშავებდა და თუ მიწის გადაცვლა დასჭირდებოდა, პირდაპირ თავადთან მიდიოდა. ეს კი მეტისმეტ თავგასულობად მიაჩნდა მოურავს.

კირილე მწირ ნიადაგზე ესახლა. გადაწყვიტა — სახლი დაერღვია და სხვაგან გადასახლებულიყო. ერთ მშვენიერ ღღეს კოხტად გამოეწყო, წვერი მოიპარსა და ნაკაშიძეს ეახლა. როცა სასახლის ეზოში შევიდა, დაინახა, გაცეცხლებული ნაკაშიძე უყვიროდა და ლანძღავდა ყველაზე საწყალ, წვრილი ცოლ-შვილის პატრონ გლეხს ნანე ჯაბუას. იქვე მდგომი მოურავი, კმაყოფილებით იგრეხდა ულვაშებს და იღიმებოდა. ის იყო ნაკაშიძეს ჯაბუასათვის უნდა შემოეკრა, რომ კირილე წინ გადაუდგა თავადს და ნენეს აეფარა.

— რას სჩადიხართ, თავადო, მოხუცზე როგორ იღებ ხელს? — შესძახა ნაკაშიძეს გაფითრებულმა.

ნაკაშიძემ კირილეს გამგმირავ მზერას ვერ გაუძლო და უკმაყოფილოდ უკან დაიწია. იცოდა, ნანე კირილეს ბიძა იყო და კირილე ბიძის აბუჩად აგდებას არავის შეარჩენდა.

— თავადო, — განაგრძო კირილემ, — რას ერჩით ნანეს, ის მოხუცია, წვრილი ცოლშვილი ჰყავს. წლის ნახევარ დროს უჭმელ-უსმელი აღამებს. მაგას თავისი გაჭირვება ეყოფა. გაჭირვებულს რაღა ფეხის დადგმა უნდა.

— ბიჭოს, — შესძახა მევარკაცამ, — კირილე ავჟანდაძე, შენ ვინ დაგაყენა მოსამართლედ?

კირილე მძიმედ მობრუნდა მოურავისაკენ. რისხვით სავსე თვალები შეანათა.

— მევარკაცა, შენ ჩამომეხსენი, თუ არ გინდა, ღორივით დაგკლა. შენ ღმერთს, მთავრობას, თავადს და გლეხკაცსაც — ყველას ატყუილებ. თუ ნანემ რაიმე დაგიშავათ, მე დამსაჯეთ, თავადო.

— ვეჟო, მეტს რას დამიშავებდა, საბადელო სიმინდი არ გადამიხადა ამ ქვეყნის გლახამ.

— რა ვქნა, თავადო, შენი მუხლების ჭირიმე, წლევანდელი ამინდი იცი, ჭყიჟორი იყო, ყანა სეფის პირზე მქონდა და წყალმა წალეკა, სულ ორი გოდორი სიმინდი ავიღე. მოურავი ექვს გოდორს მთხოვს, საიდან ვიშოვო, რა წყალში ჩავვარდე? — შესჩივლა მოხუცმა თავადს.

— თავადო ნუ დაუჯერებთ გაიძვერა მევარკაცას, ეს თქვენც და ჩვენც ერთნაირად გვატყუებს და გვძარცვავს. იწამე ღმერთი, შეიბრალე მოხუცი. მართალია ნანე ჯაბუა არ მიგაჩნია კაცად, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ისეთი დროც დადგება, ჯაბუა სამართალს გაგირჩევს, მოსამართლედ დაგიჯდება.

ურჩსა და თავზედხელაღებულ კირილეს სისხლის ფასად მიჰყიდა ნაკაშიძემ მიწა.

მეორე ღღეს კირილემ სოფლის ტყეში ნაკაშიძისაგან შეძენილ საეზოვე ნაკვეთს მოწმენდა დაუწყო. გაკვირვებული მეზობლები ეკითხებოდნენ, — კირილე სოფლის ბოლოს რატომ სახლდები, ისიც ტყეშიო. კირილე იღიმებოდა: მალე ისეთი დრო მოვა და ისე გაღონიერდება გლეხობა, რომ კირილე ავჟანდაძის სახლი სოფლის შუაგულში აღმოჩნდებაო...

... ამ ამბავმა ახლა ელვის სისწრაფით გაუელვა კირილეს თვალწინ. დაღლილმა ოფლი მოიწმინდა, თოხის ტარს იღლიით დაეყრდნო, თუთუნის გახვევას შეუდგა და კოლმეურნეებს უთხრა:

— კვიცი გვარზე ხტის, ჯილაგის დაკარგვა ძნელია, რაც მევარკაცა იყო აქვსენტიც ის არის. ღობე-ყორეს აწყდება. ეს ზარმაცი ილიკოც აიყოლია და, ალბათ, მანამ არ მოეშვება, სანამ არ შეიწირავს.

— ჰმ, — გაიცინა ჯმუხმა, მხარბეჭიანმა კომკავშირელმა ისილო კვაჭაძემ. — ილიკოს კი არა, თუ აქვსენტის დროზე არ ამოვდეთ ლაგამი, ჩვენც შეგვიწირავს. არა, ბიძია კირილე, თქვენ როგორც გენებოთ ისე მოიქეცით და მე ხვალვე მივდივარ რაიკომში.

— ნუ ჩქარობ, ნენა, — კმაყოფილებით გაეღიმა კირილეს, მოეწონა ყმაწვილის სიფიცხე, — შენი წასვლა არ

არის საჭირო. რაიკომის მდივანს ჩვენი კოლმეურნეობის მეტი სხვა საქმე არა აქვს რაიონში თუ? მოიწვით ახლო, მეზობლებო, — მიუბრუნდა კირილე სხვა კოლმეურნეებს, — გუშინ ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანი იყო რაიონში, მდივანი უნდა ენახა. მაგრამ ქედის კოლმეურნეობაში ყოფილა წასული. ის ოჯახაშენებული მუშაობის დაწყების მეორე დღიდან კოლმეურნეობებში დადის თურმე. ალბათ, ჩვენც გვესტუმრება, სადაც ამდენი ვითმინეთ, ბარემ ორი-სამი დღეც მოვითმინოთ. ჩვენი ამბავი კარგად ცოდნია და დიდხანს არ გვალოდინებს.

— მართლა ცოდნია ვითომ?

— თუ ღმერთი გწამს, ეს რა კარგი ამბავი თქვი, კირილე.

— თუ ეს იცოდი აქამდე რას დაიგუბე პირში წყალი? — შესძახეს კოლმეურნეებმა.

— გუშინ საღამოს კატისციხის კოლმეურნეობაში ვიყავი, — დაიწყო არჩილმა, — ორშაბათს გათენებამდე ჩასულა კოლმეურნეობაში.

— ვინ, კაცო?

— ვინ ჩასულა?

— ვინ და ახალი მდივანი. აბა, რას იზამდა. ძველი მდივანი ავადმყოფი კაცი იყო, ჯანმრთელობა უშლიდა ხელს, თორემ სულითა და გულით კი იყო მოწადინებული ის ოჯახაშენებული.

— მერე, მერე? — მოუთმენლად შეაწყვეტინა ისილო კვაჭაძემ, — შენ კატისციხის კოლმეურნეობის ამბავი გვითხარი, არჩილ.

— რაიმიწგანი ხლებია. ჯერ მეოთხე ბრიგადაში მისულა. იქ ბიძაჩემი, ქუტიძეა ბრიგადირად. ყველა იცნობთ მას. მარჯვე კაცია. ის მელაპარაკა.

— რაიო, თუ ძმა ხარ, რა გითხრა? — ჰკითხა ევტიხიმ და ყურზე ხელი მოიფარა: — ჰა?

— რაო და ძალიან მოსწონებია მეოთხე ბრიგადის ნამუშევარი. აი ბრიგადა ამას ჰქვია, ასე უნდა უვლიდეთ პლანტაციასო.

— ყოჩაღ ქუტიძე.

— ქუტიძის ბრიგადა რომ მოსწონებოდა, რა გასაკვირველია. — თქვა ისილომ.

— თითით საჩვენებელი ბრიგადაა რაიონში, — დაუმოწმა ევტიხიმ. — ჰა?

— მთელი დღე დარჩენილა კოლმეურნეობის ავი და კარგი ისე გადაუშლია კრებისათვის, თითქოს მთელი წელიწადი გაეტარებიოს იქ.

— რა ღონისძიებები დაუსახავთ, თუ ძმა ხარ? — შეაწყვეტინა ისილომ.

— რომელი ერთი ჩამოგითვალოთ: კოლმეურნეები ამბობენ, ახლა კი მართლა დავდგებით ფეხზეო, რაიონში კი არა, რაიონის გარეთაც ვეღარავინ შეედრება ჩვენს კოლმეურნეობას, როცა ამ ღონისძიებებს გავატარებთო. ერთი ორად გაიზრდებაო ჩვენი მოსავალი.

— ბიჭოს, იქნებ ჩვენც გვეშველოს, — კისერწაგრძელებით წამოიძახა ევტიხიმ. — ჰა?

— შე კაცო, რატომ არ გვეშველება, მიწა არ გვივარგა, მუშაობა არ ვიცით, თავის მტრები ვართ, თუ როგორ ფიქრობთ? ხელმძღვანელი რომ მოგვცა თავიანი, რით ჩამოუვარდებით კატისციხელებს.

— ჩამოუვარდებით კი არა, კაცი არ ვიყო და ქუდი არ მეხუროს, თუ არ გავუსწარით, — თქვა ცალთვალა ნესტორ კერესელიძემ, რომელიც საუბარში იშვიათად ჩაერეოდა ხოლმე, და მაშინაც ერთ-ორ სიტყვას თუ იტყოდა.

მთელი ამ ლაპარაკის განმავლობაში მუშაობა არავის შეუწყვეტია. ახალი ამბით წახალისებულნი ისე გავიდნენ სვრელის თავში, რომ არც გაუგიათ. ის იყო ახალი სვრელის გათოხნას უნდა შედგომოდნენ, რომ ოფლში გაღვრილი ილიკო ზედობანიძე გულამომჯდარი მოიჭრა.

— არიქათ, ძმებო, დავიღუპეთ, — შესძახა ბრიგადის წევრებს შეშინებულმა, — რაიკომის მდივანი მოდის, ახალი მდივანი.

— რა თქვი, ნენა? — შეჩერდა კირილე და თავი ასწია, რატომ დავიღუპეთ? ჩვენ მისი მოსვლით აშენებას ვაპირებთ და შენ გვღუპავ?

— სად არის მდივანი? — შესძახა მოუთმენლად ისილომ.

— სად არის და გათენებიდან აქაა თურმე. მეექვსე ბრიგადაში მისულა, მაგრამ შეჩვენებულ ივანეს გამგეობისათვის არ უცნობებია.

— რად უნდა ეცნობებია? შენი თავმჯდომარე წუხელ იაგორასთან დამთვრალა და კანტორაში სძინავსო, — უთხრა არჩილმა ბრიგადირს.

— ახლა სადაა, ნენა, მდივანი?

— არავინ იცის სადაა. პლანტაციაში იქნება. ვინ იცის რომელ ბრიგადას წაადგება თავზე. ჩვენთანაც მოვა, ალბათ.

— მერე რას ნახავს კარგს და გასახარელს, ნენა?

— კირილე, ჩემი სიგლახე შენი სიგლახეც არის ახლა, ჩემი გაფუჭება მთელი ბრიგადის გაფუჭებაა. არიქათ, იქნებ მოვასწროთ ამ ნაპირის გათოხნა. მდივანი შეიძლება გალმა ფერდობზე არ გადავიდეს.

— სცდები, ჩემო ილიკო, — გაიცინა არჩილმა, — ახალ მდივანს ფერდობზე გადასვლა არ გაუჭირდება. სხვებივით გზიდან გადახვევა არ უჭირს. ნაპირიდან არ ათვალიერებს პლანტაციას.

— ყელგამოჭრილი ვარ, აბა?

— შეუშვი მაგ დასაფსებ ყურში, ნენა, სხვა კაცია ახალი მდივანი. პლანტაციაში კი არა, შეიძლება შენ ფაცხაშიაც გესტუმროს. შენი გაპარტახებული ეზოც ნახოს, საქონლის საძოვრად რომ გაქვს მიგდებული. — კირილემ უცებ თვალი მოიჩრდილა: — ნენა, ესენი ვინ არიან, გალმა ფერდობიდან რომ მოდიან?

— რაო, ფერდობიდან მოდიანო?! — შეჰყვირა თავზარდაცემულმა ილიკომ, — მოგჭამათ ჭირი, ილიკო ზედობანიძემ? — ჩაიქნია ხელი და წელმოწყვეტილივით ჩაჯდა ბუჩქებში, მაგრამ უმალვე წამოდგა და ფერდობისაკენ გაიხედა.

პლანტაციის ალმოსავლეთ ფერდობიდან სამი კაცი მოდიოდა. ერთი აგრონომი სანდრო მეგრელიძე იყო, მეორე პარტორგანიზაციის მდივანი შალვა ჩაჩავა, მესამე ყველამ რაიკომის მდივნად ჩასთვალა. არ შემცდარან კოლმეურნეები. რაიკომის მდივანმა სწორედ გალმა ფერდობიდან დაიწყო მათი ბრიგადის პლანტაციის შემოვლა და ახლა ბრიგადასთან მოდიოდა.

ისინი ჯერ შორს იყვნენ, როცა ილიკო კოლმეურნეებს მიუბრუნდა და ხვეწნა-მუდარით მიმართა:

— თქვენ იცით და თქვენმა სინდისმა, თუ არ გამაშავებთ. ბევრი შეცდომა მიმიძღვის თქვენს წინაშე, მაგრამ ოღონდ ახლა გადამარჩინეთ მეოცხვენას და მერე ძე ვიცი, ერთის მაგივრად — ორ-სამ მროძადღეს დაგიწერთ. ისეთ სამუშაოზე დაგაყენებთ, რომ თავი არ შეიწუხოთ, ახლა ჩემი აქ დარჩენა არ ვარგა. აქედან, ალბათ, კოლმეურნეობის კანტორაში წამოვლენ. გავიქცევი, თავმჯდომარეს გავაღვიძებ, თორეძ დაძინებულს რომ წაადგეს თავზე, საქვეყნოდ მოგვეჭრება თავი.

ილიკო სწრაფად შეტრიალდა, ფერდობზე დაეშვა და ბუჩქებს ძიეფარა.

რაიკომის მდივანს ბილიკზე მიეგებნენ კირილე, არჩილი და ისილო.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიესალმა მათ რაიკომის მდივანი.

მდივანს მაღალყელიანი ჩექმები წითელი მიწით ჰქონდა შესვრილი, ტანისამოსი ბარდ-ეკლებს დაეხაზა. სამივენი დაღლილები იყვნენ, ეტყობოდათ ბევრი ევლოთ პლანტაციებში.

— როგორაა საქმე, ამხანაგებო? — ჰკითხა მდივანმა კოლმეურნეებს და პლანტაციას გადახედა.

ხმა არავის ამოუღია. კოლმეურნეები ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— თქვენს საქმეს თქვენი პლანტაცია ამჟღავნებს, არა? — გაეცინა მდივანს, მაგრამ მაშინვე შეიკრა შუბლი. ბუჩქებს დააკვირდა. ახლო მივიდა ერთ ბუჩქთან, გადაშალა. ბუჩქის ღეროები გათეთრებული იყო, ფოთლები კი წვრილი ლაქებით გაშავებული. — ავადმყოფს მტერსაც მიხედავენ, ამხანაგებო, — მიუბრუნდა რაიკომის მდივანი მისირგვლივ შეგროვილ გლეხებს, — თქვენ კი, თქვენს მარჩენალ დედას ასე გულცივად შეჰყურებთ. ფარიანებითაა დაავადებული ბუჩქი, დაღუპვა მოელის. არ გაწუხებთ ეს ამბავი?

— ისე შეწუხდა თქვენი მტერი, ნენა, რავარც ჩვენ მაგისაგან შეწუხებულები ვართ, მაგრამ მარტო წუხილი რომ შველოდეს ავადმყოფს, მაშინ ექიმს არ მოუყვანდნენ, წამლებს არ მისცემდნენ.

— ვინ გითხრათ ექიმსა და წამლებზე უარი?

— გვითხრეს, ნენა, უარი. უარის თქმა არ არის, აბა რაა, როცა ყურად-

ღებას არ მოგაქცევენ? სამჯერ იყვნენ ჩვენი აგრონომი და შალვა ჩაჩავა რაიკომში, ალმასკომში. ალმასკომის თავმჯდომარე რამდენჯერმე ჩამობრძანდა ჩვენთან და თავის თვალით ნახა ჩვენი პლანტაციის გაშირვება, მაგრამ წამალი დღესაც არ ჩანს.

რაიკომის მდივანმა ღიმილით შეხედა კირილეს.

— თქვენი გვარი?

— კირილე ავჟანდაძე მქვია.

— ვის სდებთ ბრალს, ამხანაგო კირილე, რომ წამალი დღესაც არა ჩანს?

კირილემ დაფიქრებით შეხედა მდივანს. მზისაგან გაშავებული სახე შეეფაკლა.

— ჩვენ თავს. მიწიდან უნდა ამოგვეღო და გვეშოვა წამალი.

— ბუჩქები რომ ტყეს წაუღია, ამის წამალიც ვერ იშოვეთ, ამხანაგო კირილე? ამის წამალი ხომ თქვენ ხელთ არის, ეს ვისი ბრალია?

— ესეც ჩვენი ბრალია, ჩვენ თავმჯდომარეს არც ცისა ეკითხება და არც მიწისა. ჩვენი ბრალია, ასეთი თავმჯდომარე რომ გვყავს ხელმძღვანელად. ჩვენ ვერ ვივარგეთ, ჩვენ სიგლახეს სხვას ვერ დავაბრალებთ. ხომ ასეა ნენა? — ჰკითხა კირილემ შალვა ჩაჩავას. ლაპარაკის დროს თვალს არ აშორებდა რაიკომის მდივანს.

რაიკომის მდივანი საშუალოზე მაღალი, ტანადი, მხრებში გაშლილი ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო. მსხვილი, შავი თვალები ყოველთვის ოდნავ მოჭუტული ჰქონდა, თითქოს დაჟინებით აკვირდებაო ადამიანს.

— კარგია, რომ თქვენ თვითონვე აღიარებთ თქვენი მუშაობის ნაკლს. ამაზე ჩვენ საღამოს კრებაზე გვექნება უფრო ვრცელი ლაპარაკი. მაგრამ თქვენთან მარტო ამისათვის კი არ მოვედი, ამხანაგებო, რომ გამოვარკვიოთ თქვენი სუსტი მუშაობის მიზეზები. მე თქვენთან დიდი საქმე მაქვს. — რაიკომის მდივნის კილოში იგრძნობოდა, რომ იგი მოითხოვდა, რადაც არ უნდა დაჯდეს, ეს საქმე უნდა გაკეთდესო. — ჩვენი რაიონი ყველაზე ბოლოს დგას ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში. სამარცხვინო ადგილი გვიჭირავს ჩაის მოწინავე რაიონთა შორის. ვერ დავრჩებით, ამხანაგებო, ამ ადგილზე. როგორ შევხედოთ თვალებში პარტიას, მთავრობას, ხალხს...

— საკუთარ თავს ნენა? მე თავად ნაკაშიძის დროს არ წამიყვანია ჩემი საქმე სამარცხვინოდ და ახლა, როცა ჩემს მიწაზე ვმუშაობ, ჩემთვის ვმუშაობ, ჩემი ძმის, ჩემი დის, ჩემი მთავრობისა და პარტიისათვის ვმუშაობ, მაშინ წავხდი, მაშინ შემეკრა ხელები?

— მოვილაპარაკოთ ამ საღამოს, ამხანაგებო. ახლა კი ნუ გაცდებით. — უთხრა რაიკომის მდივანმა კოლმეურნეებს.

2.

ილიკო ზედობანიძეს ექვსი შვილი ჰყავდა. მის ოჯახს წინათ არც ერთი ისეთი წელიწადი არ დასდგომია, რომ საყოფი მჭადი, მოეწიოს. კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე შიმშილით სული ძვრებოდა. მაგრამ არც კოლმეურნეობაში გამოულია ხელი. მას სოფელში „ილიკო ორატორს" ეძახდნენ დაცინვით. მთელი საათი შეეძლო ელაპარაკნა ამ ენაპრტყელ კაცს, მაგრამ მისი ნათქვამიდან აზრს ვერ გამოიტანდით, სიტყვას ვერც თავს მოაბამდა, ვერც ბოლოს. კოლმეურნეობას ქება-დიდებას ასხამდა, თავის ოჯახად თვლიდა. კაცად კოლმეურნეობამ გამხადაო, ქუდი დამხურაო, ამბობდა ყველგან და ამით თავსაც და სხვებსაც ატყუებდა, — საქმე როგორც სახლში, ისე კოლმეურნეობაშიც ეზარებოდა.

რამდენიმე წლის წინათ, ერთ საღამოს, გამგეობის კრებაზე უნდა წასულიყო. არავის დაუბარებია, არავის მიუწვევია, მაგრამ ჩვეულებად ჰქონდა, სადაც კი დაისწრებდნენ, უსათუოდ მისულიყო. ესაქმებოდა რაიმე იქ, თუ არა მაინც გაერეოდა, რაიმეს ყურს მოვკრავ, რაიმეს ვიტყვი, ხალხში გამოვჩნდებიო.

კრებაზე მიმავალ ილიკოს მშიერი ბავშვები ახალოხის კალთას აგლეჯდნენ:

— მამა გვშია!

— მჭადი მოგვიტანე, მამა!

ილიკო შეჩვეული იყო ამგვარ სურათს. ერთხელ ილიკომ ცივად მოიშორა ბავშვები და კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაემართა. ის რომ ოთახში

შევიდა, კრება დაწყებული იყო. ქუდი მოიხადა, ყველას სათითაოდ მიესალმა და გამოსაჩენ ადგილზე დარბაისლურად ჩამოჯდა.

— ამხანაგებო, ჩვენ აქამდე მარტო სიმინდი მოგვყავდა ჩვენს მიწაზე, — ამბობდა თავმჯდომარე, — დღეს ჩვენ პარტიისა და მთავრობის დახმარებით საშუალება გვეძლევა ხელი მოვკიდოთ ტექნიკური კულტურის გაშენებას. ჭაობით და ეკალ-ბარდებით დაფარული მიწები მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ხეებით და ჩაის პლანტაციებით დაიფინება. ტექნიკური კულტურა ერთიანად გაზრდის ჩვენს შემოსავალს.

ილიკომ გამგეობის წევრებს არ აცალა სიტყვის თქმა. წამოდგა და მოყვა თავისებურად. ბოლოს საზეიმო რიხით განაცხადა: სიმინდი ეს სამარცხვინო კულტურაა. ზურგი უნდა შევაქციოთ დღეიდან ამ კულტურას, ტექნიკურ კულტურას გაუმარჯოსო.

კუთხეში მჯდომმა კირილე ავჟანდაძემ ჩაიცინა:

— ნენა, ერთი შენს ბავშვებს ჰკითხე, მჭადი თუ სამარცხვინო კულტურაა?

ატყდა სიცილი. ილიკო უხერხულად დაეშვა სკამზე. მას აუხსნეს, რომ სიმინდი სამარცხვინო კულტურა არ ყოფილა და არც იქნება, რომ მას ისეთივე საპატიო ადგილი ექნება სოფლის მეურნეობაში, როგორც აქამდე ჰქონდა, რომ ჩაი და ციტრუსი სიმინდის ფართობებზე კი არ გაშენდება, მათთვის ათვისებული იქნება ახალი მიწები. ილიკომ თავი იმართლა, მეც ამის თქმა მინდოდა, მაგრამ არ მაცალეთო.

ილიკო სიჭაბუკეში ხელმრუდი იყო. თავს იმით იმართლებდა ღატაკი ოჯახის შვილი ვარ, ჩემი მუშაობით მოხუც დედას და და-ძმებს ვერ ვარჩენო. წვრილ ქურდობას ეწეოდა. ბოსტნის მტერი იყო. ახლომახლო მეზობლების ბოსტნებში გადაძვრებოდა ღამღამობით და თავის სახლისაკენ საზამთროს, კიტრებს და მწიფე პომიდორს ეზიდებოდა. ბოსტნეულსა და ხილზე ჭკუას ჰკარგავდა.

ერთხელ მეზობლის ბეღელშიაც შეიპარა. იქ კვახები და ყურძნის აკიდოები ეგულებოდა. ფხიზელმა მეზობელმა დროზე გაუგო და კარი მიუხურა: ახლა სად მიხვალ, ილიკო, ხომ მოგკალიო, დაუძახა ქურდს.

ილიკო უკანა კედლისაკენ გაექანა და უპასუხა: სად მივალ და საიდანაც შემოვედი, იქედან მივდივარო. მეზობელმა იფიქრა, ალბათ ამ ოხერს უკანა კედელი გამოურღვევიაო და იქით გაიქცა.

ილიკოსაც ეს უნდოდა, სანამ მეზობელი უკანა კედელს შემოუვლიდა, ის წინა კარიდან გამოვარდა და გაიქცა.

გამწარებულმა და შეურაცხყოფილმა მეზობელმა მთელი სოფელი შეყარა. ილიკო დაიჭირეს, მაგრამ მანამ არ გატყდა, სანამ ფეხებით არ დაჰკიდეს და ნელი კვამლიანი ცეცხლი არ შეუნთეს.. ის დღე იყო და შემდეგ ქურდობა არ ჩაუდენია, მხოლოდ ქურდის სახელი კი მაინც ჰქონდა მოცვნარის საზოგადოებაში.

ერთ დღეს კანცელარიის წინ მოცვნარის სოფლის საზოგადოებას თავი მოეყარა. ჯირკზე შემდგარი მამასახლისი — ამბაკო ჯაყელი ხმამაღლა გაიძახოდა:

— ხალხო, შემჩნეული ქურდები დავაპატიმროთ, საქმე მხოლოდ იმათთან გვაქვს, დღევანდელი ქურდიც იმათში არის.

ილიკო შიშმა აიტანა. მას ქურდობაზე დიდი ხანია ჰქონდა აღებული ხელი და ახლა სრულიად უდანაშაულოდ შეეძლოთ გაებაწრათ. იცოდა, ვინ იყო ქურდი, მაგრამ იმ კაცს ყველა პატიოსან ადამიანად სთვლიდა სოფელში. იმაზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა. ხოლო მის მაგივრად თვითონ ილიკოს მოთხოვდნენ პასუხს. არა, სიმართლის დაფარვა არ შეეძლო, სხვის მაგივრად თავის წაგება უჭკუობად ეჩვენა და სიტყვა მოითხოვა.

— ხალხო, თქვენ ცდებით, მამასახლისიც ცდება. პატიოსნები იპარავენ, და ჩვენ, საწყალი ქურდები, უდანაშაულოდ ვილანძღებით.

ილიკოს სიტყვამ ხალხში დიდი სიცილი და ხმაური გამოიწვია; დღესაც ახსოვთ მოცვნარში ეს სიტყვები.

3.

სალამო იყო. ნელი ზღვაური ჰქროდა. ამ ქარს მოცვნარში ფოთის ქარს ეძახიან. სოფლის გულს იგი განსაკუთრებით მაშინ ახარებს, როცა ქალი და კაცი

ყანებსა და პლანტაციებშია გამოფენილი.

პარტორგანიზაციის მდივნის მოწოდებებს ბრიგადიდან ბრიგადაში დაარბენინებდნენ დამტარებლები. ყველას კრებაზე იწვევდნენ. ისეთებს, ვისაც საიდუმლოს ძენახვა შეეძლოთ, ყურში ჩუმად უჩურჩულებდნენ: რაიკომის მდივანია ჩამოსული, მგონი, თავმჯდომარეს გადარჩევას უპირებენო.

ცა მოწმენდილი იყო. მზე ნელ-ნელა ეშვებოდა ზღვაში. საძოვრებიდან მობრუნებული საქონელი სახლებისაკენ მიეშურებოდა. ისმოდა ძაღლების ყეფა, ხბოების ბღავილი და ხმამაღალი ლაპარაკი.

კოლმეურნეობის კანტორის წინ მსუბუქი ავტომანქანა იდგა. მან დილით რაიკომის მდივანი ჩამოიყვანა და ახლა მის წასაყვანად მოსულიყო.

— კიდევ არ მოსულა, კირილე ბიძია, მდივანი? — ჰკითხა მემანქანემ კირილე ავჟანდაძეს.

კირილე სამუშაოდან სახლში წასულიყო. საგარეო ტანსაცმელი ჩაეცვა, წვერი გაეპარსა, კოხტად გამოწყობილი აივნის წინ შეყრილ კოლმეურნეებში იჯდა და ყალიონს ეწეოდა.

— არ მოსულა, ნენა. ჩვენგან კანტორაში წამოვიდოდა გვეგონა, მაგრამ აქ არ მოსულა თურმე. ყველა ბრიგადამ დაამთავრა მუშაობა და სად იქნება ახლა ნეტავი? კიდევ კარგი, რომ დაიგვიანა. ჩვენი თავმჯდომარე მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა და თავქუდმოგლეჯილი დაეძებს პლანტაციებში.

ბრიგადიდან გამოქცეულმა ილიკომ კანტორაში ამოირბინა. ეცა თავმჯდომარეს, ანჯღრია, აქაჩავა, ხან უღიტინა, უყვირა, ერთ ორჯერ სილაც შემოჰკრა ყბაში, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოაღვიძა. რომ ვერაფერს გახდა, კანტორის დარაჯი მოიშველია, სეფის წყალში ჩაიყვანა თავმჯდომარე. ცივმა წყალმა უცებ გამოაფხიზლა.

— არიქა, მიშველეთ, — შესძახა თავზარდაცემულმა, — აქვსენტის უთხარით, სახლში გაიქცეს, ხალათი და ქუდი ღელესთან დამახვედროს, ილიკო, კანტორა მიალაგ-მოალაგეთ. დავიღუპე კაცი. ბუღალტერს დაუძახეთ. გამგეობის წევრებს შეატყობიეთ. წავედი. პლანტაციაში მივდივარ. გამისკდა მიწა და ეგაა! — პლანტაციისაკენ დაეშვა ძუნძულით.

მთელი სოფელი გამგეობის კანტორის წინ შეიკრიბა. მოვიდნენ მოხუცები რომლებიც დიდი ხანია ეზოს არ გასცილებოდნენ. მოვიდნენ ბავშვები. ვისაც სიარული შეეძლო, ყველა მოვიდაო, ამბობდნენ ხალხში. კრება სკოლის შენობაში უნდა შემდგარიყო. კანტორა ამდენ ხალხს ვერ დაიტევდა.

ყველამ იცოდა ახალი მდივნის ჩამოსვლის ამბავი. იცოდნენ, რომ მან მთელი პლანტაციები შემოიარა დღეს. ისიც გაეგოთ, რომ კოლმეურნეობის მუშაობის შესახებ ჯერ კიდევ აქ ჩამოსვლამდე შეეტყო ბევრი რამ, შეესწავლა მისი ავი და კარგი. იცოდნენ, დიდი ამბავი მოხდებოდა ამაღამ.

ზოგი ამბობდა, რომ თავმჯდომარეს გადაირჩევდნენ, ზოგი მთელი გამგეობის შეცვლასაც კი ფიქრობდა.

კრება გვიან დაიწყო. ამდენი ხალხი არასოდეს არ დასწრებია კრებას. სამმა სასკოლო ოთახმა ვერ დაიტია კაცი და ქალი. სავსე იყო აივანიც. იდგნენ კიბეებზე, მოაჯირებზე. ყველა ფანჯარა ბავშვებით იყო შეხუნზლული.

მაგიდას უსხდნენ პარტორგანიზაციის მდივანი შალვა ჩაჩავა, კოლმეურნეობის აგრონომი სანდრო მეგრელიძე, საბჭოს თავმჯდომარე ექვთიმე გოგოლაძე კრების თავმჯდომარედ აირჩიეს.

ექვთიმემ გრაფინის ყელზე ფანქრით დააკაკუნა.

— სიწყნარე, ამხანაგებო. სიტყვას ვაძლევ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ამხანაგ ეგნატე ვაშაყმაძეს, — წარმოსთქვა მან.

ეგნატე ვაშაყმაძე მიკიბულ-მოკიბულ სიტყვაში ყოველნაირად ცდილობდა გვერდი აევლო კოლმეურნეობის საერთო მდგომარეობისათვის და მხოლოდ ივლისში ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების შეუსრულებლობაზე ლაპარაკობდა. ამის მიზეზად გვალვას ასახელებდა. ლაპარაკის დროს სახეში შეჰყურებდა რაიკომის მდივანს და თან კოლმეურნეებს აცქერდებოდა. ელოდა, აი ახლა გამომიხტება ვინმეო. ღელავდა.

კოლმეურნეთა უმრავლესობა დაცინვით და მწყრალად შეჰყურებდა.

— მაგალითისათვის, ავიღოთ მეშვიდე ბრიგადა. ამ ბრიგადაში ისეთი მო-

წინავე კოლმეურნეები მუშაობენ, როგორიც არიან, კირილე ავჟანდაძე, არჩილ სირაძე, ისილო კვაშაძე, ელენე ავჟანდაძე, ნესტორ კერესელიძე და ბრიგადირი, ილიკო ზედობანიძე. მაგრამ რა ქნას ბრიგადამ, როცა ბუნება არ წყალობს. თვენახევარია წვეთი წვიმა არ დაცემია ჩაის ბუჩქს და რა მისცემს ფოთოლს? ამავე დროს ისეთი გადიდებული გეგმები მოგვცეს წელს, რომ მისი განხორციელება გვალვის დროს კი არა, ხელსაყრელ ამინდში გაგვიჭირდებოდა. აი, მაგალითად, კატისციხის კოლმეურნეობას ჩვენზე მეტი პლანტაცია აქვს, ჩვენზე უკეთესი მიწები აქვს, გეგმა კი ნაკლები. რაშია საქმე, ამხანაგებო? სადაურ კანონში სწერია ეს? — მართალი კაცივით აუწია ხმას ეგნატემ და ხალხს გადახედა, ხმა ამოიღეთ, გამომექომაგეთო, ეუბნებოდა მისი თვალები კოლმეურნეებს.

— მართალია, მართალი!

— აქ ალბათ, სხვანაირადაა ჩაკეთებული საქმე.

გაისმა ოთახის ერთი კუთხიდან შეძახილები.

რაიკომის მდივანი დაკვირვებით დააცქერდა კოლმეურნეთა იმ ჯგუფს, რომელთა შორის პირველ რიგში ილიკო ზედობანიძე იჯდა. ის ხელებით, მხრებით, მთელი ტანით ანიშნებდა თავის ჯგუფს: ხმა ამოიღეთ, ამყევითო.

რაიკომის მდივანს მკაცრად შეეკრა სახე და უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა. ეს მოძრაობა ვაშაყმაძეს არ გამოპარვია. მთლად დაიბნა. გადაწყვიტა დაემთავრებია სიტყვა, რადგან გრძნობდა, თავისი სიტყვით უფრო იფუჭებდა ისედაც წამხდარ საქმეს.

— ამხანაგებო, მართალია ივლისში ჩამოვრჩით, მაგრამ თქვენი სახელით პირობას ვაძლევ ჩვენი რაიონის ახალ ხელმძღვანელს, რომ აგვისტოს გეგმას გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შევასრულებთ.

— ვაი, თუ თვეები არ გეყოს, ნენა. — გაისმა ხალხში, სულ უკან, კედელთან მჯდარი კირილე ავჟანდაძის ხმა. — აგვისტოში იტყვის სექტემბერშიო. რას მოკრეფ, ნენა, პლანტაცია ბარდნარს აქვს წაღებული!

ეგნატეს ტყვიასავით მოხვდა კირილეს სიტყვა.

ამოძრავდა დარბაზი, ატყდა სიცილი. გაეღიმა რაიკომის მდივანს.

— ხელს ნუ გვიშლი, ამხანაგო, კირილე. პლანტაციაში არა ხარ. აქ კრებაა და ხელმძღვანელი ამხანაგი, სტუმრები გვესწრება, — შეუტია ეგნატემ კირილეს და რაიკომის მდივანს მიუბრუნდა: — მე მთავარი მოვახსენე კრებას, — თქვა და დაჯდა. ოფლიან შუბლზე ცხვირსახოცი მოისვა. გაფითრებული იყო.

— ვინ არიან სტუმრები, ნენა? შენ იმიტომ მოგერიდა და დამალე ჩვენი სიგლახე, რომ სტუმრად მიგაჩნია ჩვენი რაიკომის მდივანი? არა, შეცდი შენ, მაგრამ ჩვენ გამოვასწორებთ შენ შეცდომას. ჩვენთვის არ არის იგი სტუმარი. ჩვენ არ შეგვრცხვება ჩვენი გაჭირვების თქმის. შენ ბრძანე-მთავარი მოვახსენეო კრებას. არა, არ გითქვამს მთავარი. მომეცით სიტყვა! — მიმართა კირილემ ექვთიმეს და მის დასტურს არ დაუცადა. წინ წამოვიდა. მოდიოდა სკამებს შუა და თან ლაპარაკობდა: — ჩვენმა თავმჯდომარემ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზად გვალვა დაასახელა. მართალია, თვალს დამაკლდა, მაგრამ ჩვენს „ლენინის დროშას“ სათვალეებით მაინც ვკითხულობ. ჩვენთან თუ გვალვაა, აგერ კატისციხის კოლმეურნეობაში ყოველდღე წვიმს თუ? რატომ არ დაგვალა პლანტაცია, რატომ ასრულებენ იქ გეგმას? ჩვენთვის გვალვაა და იმათთვის არაა გვალვა? არა ნენა, გვალვა აქ არაფერ შუაშია. — წვერზე ხელი ჩამოისვა, თავმჯდომარეს პირდაპირ შეხედა და განაგრძო: — ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი ჩვენს უხეირო მუშაობაშია. რატომ ვერ ვკრეფთ საკმაო ფოთოლს: ჩემი გოგო, ელენე, შარშან ორმოც კილოგრამს კრეფდა. წელს ოცსაც ვერ კრეფს. რა მოკრიფოს, ნენა? ჯერ ერთი ურემი სასუქი არ შეგვიტანია ნაკვეთში, არც დროზე ვთოხნით და ვბარავთ და რა მოგვცეს ბუჩქმა? სამი დღეა ლოგინადაა ჩავარდნილი ჩემი, ელენე. ღმერთმა უშველოს, მარო ჩხაიძემ გადამირჩინა თორემ ახლა იმის სული ამ ქვეყნად არ იქნებოდა. — წამით გაჩუმდა. შვილის გახსენებამ შეაწუხა. შუბლზე ხელი მო-

ისვა და სიმწრის ოფლი მოიწმინდა. — უსახელმ უკბინა. აბა, რა მოუვათ ჩვენს პლანტაციაში მომუშავე ქალებს. ეკალმა და ბარდმა წაიღო ყველაფერი.

ხალხი დიდის გულისყურით უსმენდა კირილეს. იგი უყვარდათ, პატივს სცემდნენ. მისი სიტყვის სჯეროდათ. იშვიათად გამოდიოდა კრებაზე, მაგრამ, როცა სიტყვას აიღებდა, ყოველთვის საქმიანი იყო მისი გამოსვლა. ხალხი ერთხმად იღებდა მის რჩევას და წინადადებას.

— გამოგვჭრა ყელი, თავმჯდომარესაც გაათავისუფლებენ ახლა და ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ, — წაუჩურჩულა ილიკომ აქვსენტის.

— ვიცოდი, არ დაგვინდობდა! — ამოიკვნესა აქვსენტიმ.

კირილე განაგრძობდა:

— თავმჯდომარემ ბრძანა, რა ქნას ბრიგადამ თუ ბუნება არ უწყობს ხელსო. ვინ თქვა, ნენა, რომ ბრიგადის წარმატება ბუნების წყალობაზეა დამოკიდებული. ჩვენი სიკეთე ჩვენ ხელთ არის, ჩვენ მუშაობაზეა დამოკიდებული. მართლაც, რა ქნას, ნენა, ბრიგადამ, რომელსაც ბრიგადირი არ ჰყავს. ჩვენ ბრიგადირს პლანტაციაში სანთლით ვერ იპოვის კაცი.. სამი თვეა საღრიცხვო წიგნაკები გვაჩვენეო, ვეხვეწებით. გვინდა გავიგოთ, რა გვაქვს გაკეთებული. დღეს ხვალ, დღეს ხვალო, იძახის. თურმე სადღაც გალეშილა და მთელი ბრიგადის წიგნაკები დაუკარგავს. ან რა უნდა ჩაეწერა იმ წიგნაკებში? დაგვაყენებს ბრიგადას ერთ ჯგუფად. ვინ ადრე მოვა, ვინ გვიან, ამის გარჩევა არა აქვს. საღამოს ნამუშევარს ყველას თანაბრად გვიწერს. გული გაგვიტეხა, ამხანაგო მდივანო, ასეთმა მუშაობამ. ამიტომ ვერ ვასრულებთ გეგმას. ასეთი მუშაობით ფონს ვერ გავალთ, ნენა. — ილიკოს შეხედა, — შავხელებიანი გვყავს ბრიგადაშო, ამბობს ჩვენი ბრიგადირი. მართალია, ნენა, გადმოაბრუნე ხელი ამ ხალხის წინაშე და დაგხედოთ, ვის აქვს ჩვენში შავი ხელი. ხოლო, ვისაც შავი ხელი აქვს, იმას გულიც შავი აქვს. შავი გულით კი საქვეყნო საქმე არ გაკეთდება.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. ილიკო ზედობანიძე გახევებული იჯდა.

კირილე განაგრძობდა:

— მარტო ილიკოს რიდი აქვს შავი გული, ნენა. — ასწია თავი კირილემ და პირდაპირ შეხედა თავმჯდომარეს. — ჩვენს თავმჯდომარეს, რომ ადამიანის გული ჰქონდეს, აქამდე მიიყვანდა კოლმეურნეობის საქმეს? ჩვენ არაფერს გვეკითხება, სამაგიეროდ, აქვსენტი მაძღარაძის ოჯახში ყოველდღე მრავალჟამიერს აგუგუნებს. ქეიფი-ქეიფზე აქვთ გადაბმული. თავმჯდომარე იქ სწყვეტს კოლმეურნეობის საკითხებს, სუფრასთან ჭამა-სმის დროს. იქ აქვს გამგეობა შედგენილი და მისი წევრებია: ცრუ ილიკო, გაღლეტილი აქვსენტიე და მისი ცოლი ნინუცი. არ გვინდა ჩვენ ასეთი თავმჯდომარე, რომელიც ჩვენი დიდი ოჯახის საქმეს ჩვენ არ გვეკითხება. ბევრის თქმა შეიძლება კიდევ, მაგრამ დანარჩენს სხვები იტყვიან. ჩემი წინადადება ასეთია, ამხანაგებო: უნდა გადავაყენოთ თავმჯდომარე.

კირილე უკან წავიდა და თავის ადგილზე დაჯდა.

ეგნატეს თავი არ აუწევია, მაგრამ გრძნობდა, რომ ყველა მას შეჰყურებდა.

— ვის სურს სიტყვა? — იკითხა ექვთიმემ.

— მე მინდა. — წამოდგა არჩილი.

— მხოლოდ მოკლედ, — ასწია თავი ეგნატემ და მკაცრად შესძახა არჩილს.

— რატომ მოკლედ, ან თქვენ რატომ ერევით კრების თავმჯდომარის საქმეში? — შენიშნა მდივანმა, — ჩვენ არ გვეჩქარება. ხელს ნუ გვიშლით. — შემდეგ არჩილს მიუბრუნდა. — ილაპარაკეთ ყველაფერი, რაც საქმეს შეეხება. თქვენ კი, ამხანაგო ეგნატე, კარგად დაუგდეთ ყური.

— რაც ჩვენი ბრიგადირია, ის ჩვენი თავმჯდომარეა.. კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები არაერთხელ განიხილა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ. რაიკომის ბიუროზედაც იდგა ეგ საკითხი. თავმჯდომარეს უკანასკნელი გაფრთხილება ჰქონდა მიცემული, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა ჩვენს მუშაობაში.

— არც შეიცვლება, თუ თავმჯდომარეს არ შევცვლით, — წამოიძახა ისილო კვაჭაძემ.

— ვინ იყო? — წამოიჭრა ილიკო და თვალი მოავლო ხალხს.

— მე ვიყავი, ისილო კვაჭაძე. — უპასუხა მტკიცე ხმით ისილომ და დაუმატა. — მეტსაც ვიტყვი: თავმჯდომარეს, ილიკო ზედობანიძეც უნდა მიყვეს!...

ილიკოს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ საჭირო სიტყვა ვერ იპოვა და მოწყვეტით დაჯდა.

— კირილემ წეღან თქვა და მეც ამის შესახებ მინდა მოგახსენოთ — განაგრძო არჩილმა, — ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ბრიგადებში ნადური მუშაობაა შემოღებული. ილიკო ამბობს: კოლექტივი იმიტომ დავაარსეთ, რომ ყველამ ერთად ვიმუშაოთო. აბა, ცალ-ცალკე უწინაც კი ვმუშაობდით საწყლად. ახლა ერთად მუშაობით გულს კი არ ვუკლავთ მტერს, გულს ვუხარებთ. ჩვენ მოვითხოვთ, ყველა რგოლში და ბრიგადაში სანარდო მუშაობა იქნეს შემოღებული.

— მაშინ გამოჩნდება, ვინ რის გამკეთებელია, ჰა? — წამოიძახა ევტიხიმ და ჩვეულებისამებრ ყურზე ხელი მოიფარა.

— აბა, მაშინ ნახეთ ჩვენი საქმე, — გაისმა ნესტორ კერესელიძის ბოხი ხმა და ცეცხლივით გაიელვა მისმა მუჭის სისხო ცალმა თვალმა.

— არ გვინდა ნადური მუშაობა.

— აი, მაშინ კი ჩაგვიდგება გულში ნათელი.

— მაშინ გვნახეთ მუშაობაში.

ისმოდა შეძახილები.

არჩილი ერთხანს გაჩუმებული იდგა. მერე რაიკომის მდივანს შეხედა.

— როგორც ხედავთ, ამხანაგო დავით, მე მთელი ხალხის სურვილი გამოვთქვი.

იგრიალა ტაშმა.

უცებ ხალხიდან ევტიხი წამოდგა. როგორღაც უფრო მაღალი და გამართული ჩანდა. ნაყვავილარი სახე უბრწყინავდა. იდგა და უცდიდა ხალხის დაწყნარებას. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, წინ გადაიხარა, ისედაც გრძელი კისერი კიდევ უფრო წაიგრძელა.

— გესმის, ეგნატე? — დაუძახა თავმჯდომარეს და ყურზე ხელი მოიფარა: — ჰა?

კვლავ იგრიალა ტაშმა.

— დიდი ხანი ესმოდა ეს ეგნატეს, მაგრამ ყურში არ უშვებდა.

— ახლა გინდა გაიგოს, გინდ არა, გაისმა აქეთ-იქიდან წამოძახილები.

ევტიხმა გამარჯვებულივით მიმოიხედა და დაჯდა. ილიკომ რაღაც გადაუჩურჩულა აქვსენტის, მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ორივე ალელვებული და გაფითრებული იყო. მიხვდნენ, რომ ეგნატეს საქმე გათავებული იყო.

— მე მინდა სიტყვა, ამხანაგო ექვთიმე! — დაიძახა ილიკომ და წამოდგა. ჩაახველა. სკამის ზურგს ჩაეჭიდა ორივე ხელით. — ამხანაგებო, ბედნიერება და კეთილდღეობა საკოლმეურნეო წყობილებამ მოგვიტანა, — დაიწყო ისე, თითქოს გაზეპირებული სიტყვას იმეორებსო, — ღარიბი წელში გამართა, ქვეყანა გააძლიერა...

— თქვენ, ამხანაგო ზედობანიძე, თქვენი ბრიგადის ჩამორჩენის მიზეზებზე ილაპარაკეთ, — უთხრა რაიკომის მდივანმა ილიკოს.

მაგრამ მას, თითქოს არ გაუგონიაო, თავისი განაგრძო, უფრო მეტის რიხით:

— რა ვიყავით უწინ ჩვენ? ყმები, მონები. სხვისთვის ვმუშაობდით, სხვისთვის ვიკლავდით თავს. ჩემი ოფლი თავად ნაკაშიძის მამულში იღვრებოდა.

— არა, ნენა, შენი ოფლი არც მაშინ უნახავს კაცს და არც ახლა. აკი გითხრეს, შენს ბრიგადაზე ილაპარაკეო.

ილიკომ არც კირილეს მიაქცია ყურადღება.

— აქ ამხანაგებმა, — გადახედა არჩილს და კირილეს, — მკაცრად გააკრიტიკეს, როგორც თავმჯდომარის, ისე ჩემი მუშაობა. მე, ამხანაგებო, ბოლშევიკურად ვღებულობ კრიტიკას. იმან იკითხოს, ვისაც კრიტიკის ატანა არ შეუძლია, თორემ მე რა. რაც ჩემს სიცოცხლეში კრიტიკა და ლანძღვა ამიტანია, თქვენს მტერს. რა ვქნა, ამხანაგებო, მონდომებული და საქმისათვის თავგადადებული რომ ვარ, ამას ყველა პატიოსანი ადამიანი ხედავს. ექვსი შვილის პატრონი კაცი ჭვარტლიან ქოხში ვცხოვრობ. ვერ მომიცლია, ერთი ოთხთვალიან წაბლის ოდა რომ წამოვჭიმო და მტერს თვალი დავუფსო.

— ოთხი თვალი ოდის აშენებას თუ მარტო მოცლა უნდა, შე მართლა

თვალდასაფსებო, — დაიძახა ვილაცამ ხალხიდან, — შენ ახლა სასახლე უნდა გედგას. შენზე მოცლილი მეორე არ დადის ქვეყანაზე.

— გავუშვათ, ილიკო, გავათავისუფლოთ, ოთხი თვალი ოდა უნდა ააშენოს კაცმა და თურმე ჩვენ ვუშლით ხელს, ჰა? — წაიგრძელა კისერი ევტიხიმ.

ატყდა სიცილი. ამოძრავდა ხალხი.

დაიბნა ილიკო. თავი მოისაწყლა.

— რა მოხდა, მეზობლებო, შვავი ხომ არ ამომსვლია პირიდან? ამხანაგო თავმჯდომარე, მომეცი სიტყვის თქმის საშუალება. მე მგონია, ჩვენ აქ ფრიად საჭირბოროტო საქმისათვის შევიკრიბეთ და არა სახუმაროდ. მე ისევ ჩემს თავზე მოგახსენებთ: რა ვქნა, თუ ყველაფერი ისე ვერ გავაკეთე, როგორც საჭიროა. ამაში მარტო მე არ მიმიძღვის ბრალი. მე იმას ვაკეთებდი, რასაც გამგეობა და მისი თავმჯდომარე მავალებდა. თუ თავმჯდომარემ ბრიგადირს ოპერატიულად არ უხელმძღვანელა, ისე ბრიგადის მუშაობა დაბნეულია, ჩემი ბრიგადის წევრების მეხუთედს თავმჯდომარის მაგიდის უჯრაში აქვს ჩაწყობილი იაგორა ფერშლის მიერ გაცემული ავადმყოფობის მოწმობები. ამან ამოაგდო ჩემი ბრიგადა.

ეგნატე გაშტერებული შეჰყურებდა ილიკოს და თავის ყურს არ უჯერებდა, რომ ამას მისი უერთგულესი ადამიანი ლაპარაკობდა. ყველაფერს იფიქრებდა თავმჯდომარე, მაგრამ ილიკო თუ მიაჭერდა ყელზე დანას, ეს არ ეგონა.

— პირობას გაძლევთ, მეზობლებო, და უპირველესად თქვენ, ამხანაგო პატივცემულო მდივანო, რომ მე ხვალიდან გვერდში ამოვუდგები კირილეს და ღდეს და ღამეს გავასწორებ. რაც შეეხება თავმჯდომარეს, მე ვეთანხმები კირილეს, მე ადრევე ვამბობდი, ასეთი თავმჯდომარის ხელში წინ ვერ წავიდოდა ჩვენი საქმე.

ილიკოს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ აქვსენტი წამოიჭრა.

— მეზობლებო, მეც მაგ აზრისა ვარ. მართალია, მე კირილემ აქ სრულიად უსამართლოდ დამდო ბრალი, მაგრამ შეუნდოს უფალმა. ეს იმიტომ ჩაიდინა მან, რომ ეკლად ვესობი თვალში. როდის იყო ჩემს სახლში კოლექტივის საკითხები რომ წყდებოდა? როდის იყო მე თავმჯდომარეს განსაკუთრებული პატივისცემით რომ ვექცეოდი? — იმან ამოაგდო ჩემი ოჯახი. ჩემს სახლში თუ მრავალქამიერი ისმის ხშირად, რა არის ამაში ცუდი? ტირილი ხომ არ ისმის, ხალხო, ვმღერივართ. ტირილ-კივილი ძველ დროში ისმოდა ჩემს სახლში და ახლა რატომ უკვირს კირილეს, რომ კოლმეურნის ოჯახში მრავალქამიერს აგუგუნებდნენ. საამური ცხოვრება გვიახლოვდება, ამხანაგებო, და სიმღერით ვხვდებით. მე კირილე სხვა რამეშიაც მდებს ბრალს: აქვსენტიმ პალოები მოთხარა და საკარმიდამო ნაკვეთი გაიფართოვაო. პალოები განზრახ არ მომითხრია, ამხანაგებო, ძირი მოულპათ და თავისით წაიქცნენ... ჰო და ველარ გავარკვიე, სად იყო საზღვარი და ორი მტკაველით თუ გადაუცდი იქით, რა დიდი ცოდვაა ამაში? ჩემი ნაყიდი არაა ეგ მიწა? ოქროები მაქვს ცხონებულ ჯაყელისათვის მიცემული მაგ მიწაში. მაინც არ უნდა გადავმცდარიყავი ჩემს ნაკვეთს. რატომ დროზე არ გამაფრთხილა თავმჯდომარემ, რომ საქვეყნოდ სალაპარაკოდ შეიქმნა ახლა ჩემი ორი მტკაველი მიწა?

— ისევ ჩემიო, — დაიძახა ხალხიდან ისილომ, — გაიგე, რომ შენი არ არის.

— ცდები, ამხანაგო ისილო, რაც კოლექტივისაა—ის ჩემია. ვიწროდ გესმის შენ ჩემი სიტყვა, — დაცინვით მიუგო აქვსენტიმ და რაიკომის მდივნისაკენ მობრუნდა: — რაც შეეხება თავმჯდომარეს, ვერ გამოვიჩინეთ სიფხიზლე, აქამდე უნდა გაგვეთავისუფლებია, ეგნატე. ვაშა ეგნატეს განთავისუფლებას, ამხანაგებო!—შემოკრა უცებ ტაში, მაგრამ არავინ აყვა. მიმოიხედა შიშით და მოწყვეტით დაჯდა.

ატყდა სიცილი და ხმაური.

— სიწყნარე, ამხანაგებო.—წამოდგა ექვთიმე.

— მომეცით სიტყვა — მიმართა რაიკომის მდივანმა ექვთიმეს.

ჯერ ბევრს არ ჰყავდა ნახული რაიკომის ახალი მდივანი. ყველა ინტერესით და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა მას.

— რა ახალგაზრდა კაცია.

— თურმე დიდი განათლება აქვსო მიღებული.

— უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდაო.

— აბა, ჩვენს რაიონში ურიგო კაცს არ გამოგზავნიდნენ! — ისმოდა ხალხში ჩურჩული.

— ამხანაგებო, — დაიწყო რაიკომის მდივანმა, — ის, რაც თქვენს კოლმეურნეობაში ხდებოდა, სხვას რომ უამბოს კაცმა, არ დაიჯერებს. დიახ, არ დაიჯერებს, თუ თავისი თვალით არ ნახა, იმდენად შეუფერებელია იგი დღევანდელი ჩვენი საკოლმეურნეო წყობილებისათვის. ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ თქვენი კოლმეურნეობის მუშაობა. თევზი თავიდან აყროლდება. თქვენ მოითხოვთ თავმჯდომარის გადაყენებას. ეს ადრე უნდა მომხდარიყო. პარტიის რაიონული კომიტეტი მხარს უჭერს თქვენს ერთსულოვან მოთხოვნას თავმჯდომარის გათავისუფლების შესახებ. მის მაგივრად თქვენ უნდა აირჩიოთ საქმის მცოდნე, ერთგული და თავდადებული ადამიანი, რომელიც ღირსეულად გაუძღვება თქვენს დიდ მეურნეობას. ასეთი ამხანაგები თქვენთან არიან, ამხანაგებო.

— არიან!

— კირილე ავქანდაძეს ვასახელებ! — წამოდგა ისილო კვაჭაძე.

— მე არჩილ სირაძეს! — გაისმა იმ მხრიდან, სადაც ფანჯარასთან ქალიშვილების ჯგუფი იჯდა.

— მე სანდრო მეგრელიძეს ვასახელებ, ნენა, — დაიძახა კირილემ. — აგრონომია, უმაღლესი განათლება აქვს.

— სანდრო მეგრელიძეს? კარგია, ჰა? — კვერი დაუკრა კირილეს ევტიხი ვაშაყმაძემ და მერე აქვსენტისა და ილიკოსაკენ მობრუნდა: — მოგჭამათ ჭირი, ეგნატემ. წახდა თქვენი საქმე. ჰა?

— კი არ წახდა, გაკეთდა. — ერთდროულად წამოდგნენ აქვსენტი და ილიკო. — ავშენდით, ყველა ერთმანეთზე უკეთესია სანდრო, კირილე, არჩილი.

— სანდროს ვუყაროთ კენჭი, ამხანაგებო, უკეთეს კაცს მეორეს ვერ ვნახავთ.

ხალხი არ ცხრებოდა. ილიკო და აქვსენტი ყველაზე წინ წამომდგარიყვნენ, რომ კარგად დაენახა ხალხსა და სანდროს. ყველაზე ხმამაღლა ასახელებდნენ სანდროს კანდიდატურას.

— დაჯექით, თქვენ არავინ გეკითხებათ. — შესძახა მათ ისილომ.

— როგორ თუ არ მეკითხებიან? — ახტა-დახტა ილიკო. — მე არ მეკითხება? ვინ ვარ მე? ვარ თუ არა კოლმეურნეობის წევრი. ვარ თუ არა ბრიგადირი? კოლმეურნეობა მე ჩამოვაყალიბე მოცვნარში. პირველი მე გავერთიანდი შიგ. შენ სად იყავი მაშინ, ცხვირმოუხოცავი ბაღანა დარბოდი. ახლა არ მეკითხება მე კოლმეურნეობის საქმე? ისე წავხდი? გთხოვთ, ამხანაგო რაიკომის პირველო მდივანო, წესიერებისაკენ მოუწოდოთ ზოგიერთ ამხანაგებს.

— დაბრძანდით, ამხანაგებო, სიწყნარე, — ასწია ზარი ექვთიმემ. — სათითაოდ ვუყაროთ ყველას კენჭი.

— არა, არა, ნენა. — მე არ მიყაროთ კენჭი. — წამოიძახა კირილემ. — რა დროს ჩემი თავმჯდომარეობაა კაცს ცალი ფეხი სამარეში მიდგას. სანდრო მეგრელიძე ავირჩიოთ.

— მეც უარს ვამბობ ჩემს კანდიდატურაზე. — წამოდგა არჩილი. — ხალხო, თქვენ ყველამ იცით, რომ მე ვსწავლობ და კიდევ ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. სანდროზე უკეთესს სხვას ვერ იშოვით, სანდროს ვუყაროთ კენჭი.

ექვთიმე მდივნისაკენ გადაიხარა. რაღაც ჰკითხა. დავითმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ნელა ჩამოვარდა სიწყნარე და როცა ექვთიმე ხალხისაკენ მობრუნდა, ხმაური სრულიად მიწყდა.

— მაშ ასე, ამხანაგებო, — თქვა ხმამაღლა, და ხალხს თვალი მოავლო. — კენჭს ვუყრი აგრონომ, სანდრო მეგრელიძეს. ვინ არის მომხრე?

ეგნატე გაშტერებული მისჩერებოდა ხალხს, ხედავდა კაცისა და ქალის სიხარულით ანთებულ სახეს, ხედავდა, რა კმაყოფილნი იყვნენ მისი გადაყენებით და არ უკვირდა ეს. მაგრამ მას სხვა აოცებდა. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, თუ აქვსენტის და ილიკოს ასე გააბარებდათ მისი გაფუჭება.

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს სანდრო მეგრელიძე. აირჩიეს გამგეობის [illegible] [illegible] [illegible]

ონში გაემგზავრა და სანდრო მეგრელიძე თან წაიყვანა. წავიდ-წამოვიდნენ. სოფლის შუკებში. კარგახანს ისმოდა კოლმეურნეთა ლაპარაკი, ჭიშკრების ჭრიალი და ძაღლების კანტი-კუნტი ყეფა.

მარტო ეგნატე არ წასულა შინ. ის სკოლის კიბეზე იჯდა. ესმოდა კოლმეურნეთა მხიარული ხმები და დანასავით ხვდებოდა გულზე მათი ყოველი სიტყვა.

მთვარიანი ღამე იყო. ზღვიდან გრილი ნიავი ჰქროდა. ოდნავ ირხეოდნენ მაგნოლიისა და პალმების ტოტები. ეგნატე ყველას მიერ მიტოვებულივით გრძნობდა თავს. გული უკვხესოდა. ამ რამდენიმე საათის წინ იგი მთელ სოფელში პირველი კაცი იყო, ახლა არავისთვის არ არის საჭირო. არავის არ აინტერესებს მისი ბედი. გულს ყველაზე მეტად ის უსიებდა, რომ აქვსენტი და ილიკო ასე მოულოდნელად გაუდგნენ გახზე. „რად მიქნეს ეს, რად? მაგათზე ვიყავი გადაყოლილი და ასე გადამიხადეს ამაგი“.

ამ ფიქრებში იყო ეგნატე, რომ ხეების ჩრდილიდან ლანდებივით გამოვიდნენ აქვსენტი და ილიკო. ერთი მიიხედმოიხედეს ეზოში და, რა დარწმუნდნენ, რომ ყველანი წასულები იყვნენ, კიბის წინ აიტუზნენ.

— ეგნატე!

თავი ასწია ეგნატემ. ერთხანს გაშტერებული მისჩერებოდა ილიკოს და აქვსენტის.

— გვაპატიე ეგნატე, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა. საქმისათვის ასე სჯობდა.

უთხრა ერთდროულად ორივემ და აქეთ-იქით მიუჯდნენ ეგნატეს.

— ეჰ, საქმისათვის ის სჯობდა, რომ თქვენ ჭკუას არ ავყოლოდი, მაგრამ მოვტყუვდი კაცი, — ამოიკვნესა ეგნატემ. — კი ველოდი ამ დღეს, მაგრამ ასე უცებ თუ დამატყდებოდა თავზე, არ მეგონა. არ მეგონა, ასე ხელაღებით თუ გამწირავდა ხალხი.

— ხალხმა კი არ გაგწირა, ეგნატე, კირილე ავეანდაძემ და არჩილ სირაძემ გაგაფუჭეს. იმათ აიყოლიეს დიდი და პატარა, — ჩუმი, გაუბედავი ხმით უთხრა ილიკომ.

— ჰმ, — მწარედ გაეცინა ეგნატეს, — თქვენ რომ კირილესა და არჩილის იქით ვერაფერს ხედავთ, იმიტომ ამიბით მეც თვალი. კირილემ და არჩილმა უჩვენეს პლანტაციები რაიკომის მდივანს? ცუდად გიცვნიათ ის კაცი. იქნებ გგონიათ, ლიტონ სიტყვებს აყოლია და სხვის ჭკუაზე დადის. რაც თავის თვალით ნახა, ისიც კმარა. ახლა კომისიას გამოგზავნის, ალბათ, მიწგანის გამგე გამოყვება. ვაი, რა კბილებდალესილია ის აგრონომი ჩემზე. სულყველა კუნჭულს ნახავენ. თქვე ოჯახდასაქცევებო, მარტო ის კმაროდა ჩემს წასახდენად, რომ თქვენი პლანტაცია ნახეს. ახლა პლანტაციის ნახვით არ დაჯერდება კომისია. უფრო დიდ უბედურებას გამოქექავენ.

— კარგი, ჩემო ეგნატე, მთლად ნუ გაიტეხე გული. ისეთი რა გვაქვს ჩადენილი, რა უნდა გამოქექოს კომისიამ. არაფერი გაგიფლანგავს, სხვისი არაფერი შეგიჭამია. გაგათავისუფლეს თავმჯდომარეობიდან და ეს არის. მეტი რა უნდა გიქნან? — სცადა ეგნატეს დამშვიდება ილიკომ.

— ამაზე მეტი რა უნდა მიქნან, შე ღვთის გლახავ?

— მეც ეგ დღე მომელის ხვალ, თუ ზეგ, მაგრამ მეშვიდე ბრიგადაში ვინც არ უნდა დასვან ბრიგადირად, თუ გინდ რკინისმტვრეველი იყოს, არ გავახარებ. კარგი, თუ ჩემი ძმა ხარ, ეგნატე ნუ იდარდებ. ახლა წავიდეთ აქვსენტისას, ცოტა ყელი დავისველოთ და გულზე გადაგვეყრება. ხომ უხადი გაქვს ის ჭური, აქვსენტი? — ჰკითხა ილიკომ აქვსენტის, თუმცა იცოდა, რომ ჭური უხადი იყო.

— თუ ასეთი შავი დღისათვის ვინახავდი მაგ ჭურს, არ მეგონა, თორემ ჩემი ხელით დავამტვრევდი, — თქვა ნაღვლიანად აქვსენტიმ.

— წამოდით, მაგრამ ნინუცისთან ნუ იტყვით ამაღამ ჩვენი წახდენის ამბავს. გულზე შემოეყრება იმ უბედურს.

ნინუცის ხსენებაზე თავმჯდომარეს თვალი გაუბრწყინდა. იგი პირველი წამოდგა.

— წავიდეთ, თუ მართლა ცოტა არ დავლიე, ისე ვერ გავათენებ ამ ღამეს, — თქვა ეგნატემ და თვითონ გაუძღვა აქვსენტი მაძღარაძეს მისი სახლისაკენ.

4.

აქვსენტის მეუღლე ნინუცი, ჭიშკარში ძეეგება სტუმრებს.

— უი, თქვენ კი გენაცვალოთ ჩემი თავი. სადა ხართ, კაცებო, აქამდე, რავა ჩამომადნეთ ლოდინით. რა არ გაიფიქრა ჩემმა დასამიწებელმა გულმა. კრება რა ხანია დამთავრდა. ხალხი რაცხა ძალიან გახარებული ბრუნდებოდა. ცუდი ხომ არაფერი მოხდა, ეგნატე ბატონო? რაიკომის მდივანი რომ იყო ჩამოსული, ვიცოდი. ხომ იცი, უმტერო კაცი ქვეყანაზე არ არის.

— მართალია, ჩემო ნინუცი, მაგრამ ძტრის გასახარელად არ წასულა ჯერ საქმე და არც აწი გავახარებთ, — გასცა ეგნატეს მაგივრად ილიკომ პასუხი. — აბა, დატრიალდი შენებურად, ისე ვართ მოშივებული, ლამის მუცლიდან კუჭი ამოგვივარდეს.

— ახლავე, ახლავე თქვენი ჭირიმე. ყველაფერი მზად მაქვს, — დაიძახა ნინუცომ და ეგნატეს შეანათა თვალი, — რა მოუთმენლად გელოდით...

ნინუცომ სტუმრები წინა ოთახში შეიყვანა და მაშინვე სუფრის გაშლას შეუდგა. თვრამეტი წლის ქალიშვილივით იყო ატაცებული. ეგნატე მალულად ადევნებდა თვალს და ულვაშებზე ისვამდა ხელს.

ნინუცის შეძლებული ოჯახი ჰქონდა. მისი დიასახლისობის ამბავი მთელს რაიონში იყო ცნობილი. რას არ გააკეთებდა მისი ხელი. სტუმარს ერთს ათად მოაჩვენებდა. ისე მოუალერსებდა, ისე შეეპატიჟებოდა, რომ მაძღარს მოაშივებდა.

ნინუცი მღვდლის ონისიმე სეფისკვერაძის უფროსი ქალიშვილი იყო. მას თავის დღეში ერთი გაჭირვებული დღე არ უნახავს. სავსე ოჯახი ჰქონდა მშობლების ხელში, გათხოვდა და აქაც სავსე ოჯახში შემოვიდა. არ აკლდა შნო და ლაზათი. თავი არ ატკივებია არასოდეს, მაგრამ თუ კოლმეურნეობაში სამუშაოდ დაუძახებდნენ, უმალვე ავად შეიქნებოდა, შუბლი მუდამ ფხალის ფოთლით ჰქონდა შეკრული და ცალი ხელი წელზე შემოდებული.

ერთხელ ჩაის მწვანე ფოთლის გახურებულ კრეფისას ელენემ ჩამოუარა.

— დეიდა, ნინუცი, ჩაის ფოთოლი მოგვერია. იქნებ ხელი წამოგვიკრა და მოგვეხმარო.

— უიმე, შვილო, — შეიცხადა ნინუცომ. — მოგიკვდათ თქვენი ნინუცის თავი. განა მე არ მწვავს სირცხვილი, რომ ვერ გეხმარებით, მხარში არ გიდგევართ. მართალია გეგმიანი მუშახელი არ მქვია, ასე მითხრა ჩვენმა ეგნატემ, მაგრამ ხომ იცი იშიაზი მჭირს, შვილო, იშიაზი. არც მომკლა და არც დამარჩინა. შენს თავს ვფიცავარ, ელენე, გაუჭირალი ფიცია იცოდე. ორი დღეა არ ავმდგარვარ. ვიწექი, ნახევარი კედარო გაკავებული მქონდა. საწყალი აქვსენტი ერთი წუთითაც არ მომშორებია ლოგინიდან. ცხელი უთო ეჭირა ხელში და მაუთოვებდა და მაუთოვებდა. ცხელი უთო თუ არ ვისვი ყოველ წამს თეძოზე, სული ამომხდება. თუ არ დაიჯერებ, ჩვენს ეგნატეს ჰკითხე, შვილო, ჩვენს თავმჯდომარეს. იმის ოჯახს ყოველივე კარგი და სიკეთე. იმ დღეს ჩვენსას იყო. დაიწვა კაცი ცოდვით. დაილოცა მისი გამჩენი. გამოართვა უთო აქვსენტის, დეიმკლავა მისებურად და ახლა იმან მაუთოვა. შეეცოდა, შვილო, ჩემი კაცი და შეენაცვლა. აბა, ასე რომ არ ვიყო, და მოურჩენელი რომ არ მჭირდეს, შინ რა გამაჩერებდა, როცა მთელი სოფელი პლანტაციაშია გათეენილი. ვის არ უნდა შემოსავლის შემოტანა ოჯახში, ბევრი შრომადღის გაკეთება.

მთელი ამ ლაპარაკის დროს ნინუცი თვალს არ აშორებდა ელენეს სახეს, ხედავდა, რომ ქალიშვილს მისი ნათქვამის ერთი სიტყვაც არ სჯეროდა და მაინც უტიფრად განაგრძობდა თავისას:

— დღეს რაღა, ჩემო ელენე, ჩემო კალმით დახატულო გოგუცუნა, და ხვალიდან ჩემს ნაბარებ ბავშვს მოგახმარ ხანდახან. არ მინდა, სულ გამოვწყდე მეზობლებში. მაღალი ღმერთი მოწამეა, სულითა და გულით რომ თქვენთან ვარ, მაგრამ ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს მე უბედურს. მამაშენს გაფიცებ, ელენე, ის ჩემი გოგო შენს გვერდით იყოლიე, ობოლია, მეცოდება ხომ იცი, სხვის შვილს მეტი ლოლიაობა უნდა.

— კარგი, — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა ბრაზისაგან ლოყებალანძულმა ელენემ, მზად იყო სახეში მიე-

ფურთხებია ამ ფარისეველი დედაკაცისათვის. შეეშინდა, მართლა არ ჩაედინა ეს თავისი კალათი ზურგზე მოიგდო და სირბილით დაეშვა პლანტაციისაკენ.

ნინუცის ერთი ძოჯამაგირე მუდამ ჰყავდა. მეზობლებს კი ასე ეუბნებოდა:

— რა ვქნა უძეოდ ვბერდები. ღმერთმა ჩემი არ მომცა და სხვისი ვიშვილე. თუ ადამიანი დადგა, მას დავუმტკიცებ მთელ ჩემს ოჯახს. თუ არა და, როგორც მოვიყვანე ისე გავისტუმრებ უკან. გლახა სხვისი კი არა, შენი დაგიფაროს ღმერთმა.

აიყვანდა ხოლმე ვინმეს, უდედო, ან უმამო ბავშვს. ამუშავებდა წელიწადს, ორ წელიწადს, კოლმეურნეობაშიაც აგზავნიდა. შრომადღეებს კი თვითონ იწერდა. შემდეგ ქურდობას, ან სხვა რაიმეს უზნეობას დასწამებდა და ისე გააგდებდა სახლიდან, რომ კაპეიკს, არ გაატანდა.

ასე აგროვებდა შრომადღეებს ნინუცი. მერე უტიფრად იკვეხნიდა:

— ვკვდები ადამიანი, ჩემს ადგილას სხვა ფიჩხსაც არ გატეხდა, მაგრამ მე ისე მიყვარს კოლმეურნეობა, რომ არავიზე ნაკლები შრომადღეები არა მაქვს გამომუშავებული.

ქმარსაც იმას ურჩევდა, რასაც თვითონ აკეთებდა:

— კაცო, ნუ შეაკალი თავი კოლმეურნეობას. დაიქირავე ვინმე, ის ამუშავე შენს მაგივრად. შენ კი ოჯახს მიხედე. უთხარი ილიკოს, ყოველდღე ჩვენსას რომ სკდება, ამ საქმეს მაინც არ გაგიკეთებს? იმას რა ენაღვლება, შენ იმუშავებ, თუ სხვას ამუშავებ. შენ ხუთ მანეთად იქირავებ კაცს. კოლექტივში კი შრომადღეზე შვიდი მანეთი და ორი კილო სიმინდია. იქაც მოგებული დარჩები, და სახლში რომ იმუშავებ, ეს ხომ სხვაა.

აქვსენტი ცოლის მონა-მორჩილი ქმარი იყო. თვალებში შეჰყურებდა ქალს, მის დაუკითხავად ნაბიჯს არ გადადგამდა. მისი რჩევა, მისი დარიგება კანონი იყო მისთვის.

ნინუცი ბავშვს საგზალს არასოდეს არ გაატანდა ყანაში. დილით აჭმევდა და ასე ეტყოდა: — ზაფხულია, დილას რომ ჭამ, საღამომდე რა მოგაშიებს ამ სიცხეში. საღამოს ვახშამს დაგახვედრებ გრილოზე. მუშაობით თავს ნუ მოიკლავ. შენ არც გეგმიანი მუშახელი ხარ და არც დამხმარე. წევრ-ცოტა იმუშავე და შუადღეზე ქეც წაიძინე, მხოლოდ ფრთხილად იყავი, გველი არ ჩაგიძვრეს პირში.

ამ დარიგებით თითქოს მზრუნველობას იჩენდა ბავშვისადმი.

ამასთან ნინუცი ხარბი და შურიანი ქალიც იყო. მეზობლების ბედნიერებას ვერ ურიგდებოდა. სხვისი კარგი თვალს უვსებდა, ავი ახარებდა.

მეზობელ ქვრივს მარინე ჩხაიძეს, რომელიც თავისი შვილების გარდა ძმისშვილებსაც ზრდიდა, ჯიშიანი დედაღორი ჰყავდა. ერთ მშვენიერ დღეს ამ ღორმა თორმეტი გოჭი მოიგო. ოც დღეში გოჭები ისე დაიზარდნენ, გასუქდნენ და გაზულუქდნენ, რომ ავ თვალს არ შეეხედებოდა. სწორედ ამ დროს ნახა ნინუციმ ისინი და გული გაუსივდა. იმავე საღამოს ესტუმრა მარინეს.

— მარინე ჩემო, რამდენი გოჭები მოუგია შენს ღორს, ერთ მხრივ კარგია, მაგრამ ცოდვაა ღორი, დააგლახებენ ამდენი გოჭები, ნამდვილად დააგლახებენ, — ისე უთხრა მარინეს, თითქოს ღორზე შესტკიოდა გული.

— რა ვქნა, ნინუცი, ხომ ვერ გადავყრი არშინის სიგრძე გოჭებს და მუშტრები ჯერჯერობით ვერ ვიშოვე..

— მოდი, ასე მოვიქცეთ, მეზობელო. მომეცი მე ერთი ნეზვი და ერთი ტახი. წავიყვან, ვამრავლებ და ნახევარი შენ და ნახევარი მე.

ასეთ კარგ წინადადებაზე უარს როგორ იტყოდა მარინე. მოსწყვიტა დედის ძუძუდან ორი ჭრელი, დინგმოკლე გოჭი, მისცა ხელში თავის ძმისშვილს და იმას მიაყვანინა ნინუცის სახლში.

ასე დაიწყო ნინუცის და მარინეს მოზიარობა. ამ დღიდან ორი კვირის შემდეგ ნინუცის ფოთში გათხოვილი და ესტუმრა ეტლით. დას პატივსაცემი სტუმრები ახლდნენ. უცხო და ისიც ქალაქელ სტუმრებთან სხვანაირი დახვედრა იცოდა ნინუციმ. დატრიალდა მისებურად და ისეთი სუფრა გაშალა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი.

სუფრას ყველაზე მეტად მარინეს გოჭი ამშვენებდა. ისე იყო შებრაწული, რომ მის კანს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. რძით ნასუქი გოჭით ნასიამოვნები სტუმრები მეორე დღეს გაემგზავრნენ.

ცალად დარჩენილი გოჭი ნინუცამ გოგოს ხელით უკან გაუგზავნა მარინეს.

— ჩემო მარინე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მოულოდნელად დიდად პატივსაცემი სტუმრები მეწვივნენ ქალაქიდან. უცებ გოჭი ვერსად ვიშოვე საყიდლად და ჩვენი საზიარო გოჭებიდან ჩემი კუთვნილი დავუკალი. შენსას უკანვე გიგზავნი, — შეუთვალა ქვრივს.

ცეცხლი მოეკიდა გულზე საწყალ მარინეს. მთელი მეზობლები შეჰყარა. გოჭის დაკარგვა ისე არ სწყინდა, როგორც თავის გაბრიყვება. როგორ დავუჯერე ნინუცის, როგორ გავასულელებიე თავიო, გაიძახოდა გამწარებული.

— რა ვქენი ისეთი? — თავს იმართლებდა ნინუცი, — ჩემი გოჭი, ჩემი ნაწილი დავკალი და თავისი ნაწილი პატრონს დავუბრუნე.

ცოფი მოერია მარინეს ნინუცის საოცარი უტიფრობისა და თავხედობისაგან.

— როგორ მოიცალა, ხალხო ჩემზე მამამაც და შვილმაც. დამეხმარეთ რამე, თორემ გადავწვავ მაგ ეშმაკის სახლკარს, — გაჰკიოდა მარინე. — რავა ამიგდო მასხარად. რომ დამცინის კიდევაც.

მარინეს გაახსენდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ნინუცის მამა, მღვდელი ონისიმე. მისგან ბევრი სიმწარე ახსოვდა ქვრივს.

— ონისიმე, შენი ჭირიმე, მიწირე საწყალი ჩემი ძმის სულის მოსახსენებლად. ხვალ სადილად გელოდები, ჩემო მამაო. არ დამაღალატიანო და ყელი არ გამომჭრა, — შეევედრა ერთხელ, ძმის გარდაცვალების წლისთავზე, მარინე ონისიმეს.

— გიწირავ, მარინე. უსათუოდ მოვალ ხვალ და სუფრას გიკურთხებ. შენი ძმის სულის ცხონება მე მომანდევი, მხოლოდ დღეს ურემს გამოგიგზავნი და იმ ცხონებულ სილოვანს რკინის საწოლი რომ დარჩა, გამომიგზავნე, სულერთია თქვენ მაინც არ იხმართ იმას.

ძლიერ უმძიმდა მარინეს ძმის ერთადერთი ნივთის სხვისათვის მიცემა. მუდამ სუფთად გაწყობილი საწოლი ოთახში ედგა და ზედ ძმის ნიშანი ეწყო, მაგრამ რა ექნა, მღვდლის თხოვნა რომ არ შეესრულებია, არ უწირავდა ის წყეული.

იმ საღამოსვე გაუგზავნა მღვდელს საწოლი. მეზობლები გაოცებულები იყვნენ, — ამას რას ჩადიხარ სუფრის კურთხევისათვის ამოდენა ქონებას როგორ აძლევო, ეუბნებოდა ქალი და კაცი. მართლაც იმ დროის სოფლისათვის დიდი ნივთი იყო რკინის საწოლი. რა ვქნა აბა, მეზობლებო, სილოვანისაა და მისი სულის საცხონებლად რაფერ დავიშურებო, ეუბნებოდა ხალხს თვალცრემლიანი მარინე.

თითქმის ყველა მეზობელი ეხმარებოდა მარინეს სადილის მომზადებაში. რა არ დაკლეს, რა არ მოამზადეს. ჩიტის რჩე არ აკლდა სუფრას. სოფელში ყველამ იცოდა მარინეს უხვი გულის ამბავი. იცოდნენ, რომ იგი არაფერს დაიშურებდა ერთადერთი ძმის წლისთავის ღირსეულად გადახდისათვის, მაგრამ ასეთ სუფრას არ ელოდნენ.

სტუმრები შეგროვდნენ. მხოლოდ ონისიმე იგვიანებდა.

— ნეტავ რა მოუვიდა დალოცვილს? — სწუხდა მარინე, — წირვა კარგა ხანია გამოვიდა, რატომ არ მოდის, ონისიმე? არ დამღუპოს და დაუკურთხებელი არ დამიტოვოს სუფრა.

საღამო მოახლოვდა. მღვდელი არ სჩანდა. შეწუხდნენ სტუმრები. მკვდრისფერი ედო მარინეს.

— დაჯექით, თქვენი ჭირიმეთ. არ მოვა აწი ის ჩემი ცოდვით სავსე. თქვენ მაინც თქვით საწყალი, სილოვანის სულის მოსახსენებელი, — ეუბნებოდა მარინე მეზობლებს.

არავის არ უნდოდა ჭამა. ყველას წაუხდა გუნება. გულს უკლავდათ მარინეს საცოდაობა. მაგრამ, კიდევ უფრო რომ არ შეწუხებულიყო მასპინძელი, მაინც მიუჯდნენ სუფრას.

— რა ქნა იმ შეჩვენებულმა მღვდელმა, საწყალი მარინე ამ უბედურებას ვერ გადაიტანს.

— რა სუფრა გაუფუჭდა იმ უბედურს, რა ცოდვითა და ტანჯვით ნაშოვნი ხორაგი ჩაუცვივდა წყალში.

ამბობდნენ შინ მიმავალი მეზობლები.

მართლაც იმ ღამესვე ჩავარდა ლოგინად მარინე. მეორე დღეს ისე ცუდად შეიქნა, არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. ხუცესი მომიყვანეთ, უზიარებელს ნუ მომკლავთო, ითხოვა შეშინებულმა,

მოიყვანეს ონისიმე. იგი სიცილ-ხარ-ხარით შემოვიდა სახლში.

— მარინე, რატომ ხარ ასეთი სულელი? მე შენ, როგორ გიღალატებდი, შე ქალო. მაპატიე რომ ვერ მოვედი, მაგრამ რა მექნა. ნაკაშიძემ წამიყვანა, ქეიფი ჰქონდა, უარს ხომ ვერ შევკადრებდი. პრისტავი, ურიადნიკი, ექიმი, პროვიზორი, ყველა იქ იყო. ხო, ხო, ხო, რა ქეიფი იყო, რომ იცოდე, მაგრამ ერთი კი უქენი ჩვენს თავადს: სუფრა ვაკურთხე და მის სუფრაზე შენი ძმის სული მოვიხსენიე. ჩემს გულში მისი ცხონება ქე ვთხოვე ღმერთს. მეტი რა გინდა. ნაკაშიძის პურმარილით შენი ძმის სული ვაცხონე.

იმედი მოეცა მარინეს, მოიხედა. მადლობა უთხრა მღვდელს.

— იმ წუთში კი დავუჯერე იმ შეჩვენებულს,—იტყოდა შემდეგ მარინე,— მაგრამ, მერე რომ დავუფიქრდი, მივხვდი, რა მწარედ მომატყუა. ჭირივით შემძაგდა არა მარტო დანახვა, მისი სახელის გაგონებაც კი მზარავდა.

აი რატომ გაჰკიოდა ასე მწარედ ნინუცის მიერ მოტყუებული მარინე. რატომ არ ვიცოდი, რომ რაც მამა იყო, ის შვილიაო.

5.

ნინუციმ იცოდა, რომ კრების შემდეგ აქვსენტი უსათუოდ მოიყვანდა ეგნატეს და ვახშამი გამზადებული ჰქონდა. სწრაფად გამოალაგა წითელი ხის განჯინიდან შემწვარი დედალი, ქინძმარში ჩალაგებული თევზი, ჭყინტი ყველი, მწვანილი, ხაჭაპური. გოგო ღვინისთვის გაგზავნა მარანში. თვითონ კი ეგნატეს მიუჯდა გვერდით და ეშხით დაუნაბა თვალები. თავმჯდომარეს ცეცხლივით შემოენთო ტანზე. სახე მოარიდა, შეეშინდა, აქვსენტიმ არ შეგვნიშნოსო.

ნინუცი ლამაზი ქალი იყო. ტანადი, მკვრივი, ორმოცი წელი შეუსრულდა, მაგრამ ოცდაათზე მეტს არ მისცემდით. ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა სოფელში. იგი ერთნაირად ხიბლავდა ახალგაზრდასა და ხანდაზმულს. მაგრამ ყველასთან როდი იყო გულგაშლილი. ანგარიშის ქალი იყო. ისეთს დაიახლოვებდა, ვისაც შეძლება, სახელი ან თანამდებობა ჰქონდა.

სტუმრებსაც და მასპინძლებსაც მალე მოეკიდათ ღვინო. აქვსენტი თამადობდა. ნინუცი აჩქარებდა: „ეგნატეს, შე კაცო, სტუმრებს ღვინო!“ უცდოდა ჩქარა მოტეხოდა ქმარს კისერი. ერთი სული ჰქონდა, როდის გაიყვანდა უკანა ოთახში და დააძინებდა.

ეგნატე ერთხანს მოწყენილი იჯდა. მაგრამ ნინუცის თვალებმა, მისმა სითბომ და ღიმილმა მალე გადაუყარა გულიდან დარდი და როცა ნინუცის მუხლი მის მუხლს შეეხო, მთლად გამოცოცხლდა. უფრო ახლო მიიწია ქალისაკენ. ქალმა ხელზე ხელი მოუჭირა და ქმარს გადახედა.

აქვსენტის სხვასთან მწოლიარე რომ ენახა ნინუცი, მაინც არ დაიჯერებდა ოჯახის მოყვარული, ჭკვიანი ცოლის ღალატს.

აქვსენტი ჩვეულებრივად ეგნატესა და ილიკოზე ადრე თვრებოდა, მაგრამ ახლა, თითქოს განგებ არ ეკიდებოდა ღვინო. ეგნატემ ყანწი მოითხოვა. იცოდა აქვსენტის სისუსტე; საკმარისი იყო ყანწისათვის შეეხედნა მხოლოდ, უმალ წახდებოდა.

ნინუციმ ქმარს პირამდე გაუვსო ყანწი. აქვსენტი წამოდგა და ცოლი ადღეგრძელა. შეუქო ოჯახის სიყვარული, სიმარჯვე, პურმარილი, ხელგაშლილობა. მართალია შვილი ვერ მაჩუქე, მაგრამ შენ ამაში ბრალი არ მიგიძღვისო. ალბათ, მე არ ვარგივარ, თორემ შენისთანა ჯანლონით სავსე ქალს ტყუპები უნდა უჩნდებოდესო.

ნინუცი თვალებს ნაბავდა. ეგნატეს ვნებით შესცქეროდა და ქმარს გულში დასცინოდა. რა იცოდა აქვსენტიმ, რომ როგორც ჯორს არ ეყოლებოდა შვილი, ისე ნინუცი ამისათვის არ ვარგოდა. ბევრჯერ სცადა მან აქვსენტის გაბედნიერება, იქნებ სხვისაგან ჰყოლოდა შვილი, მაგრამ მისმა ცდამ შედეგი არ გამოიღო. რა ვქნა, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ქმარს ნატვრა შეეუსრულოო, ამართლებდა თავის მოქმედებას და თავს ქმრის დიდად ერთგულ მეუღლედ სთვლიდა. მეზობელ ქალებს კოლექტივის ქალებს ეძახდა. პატიოსანი ოჯახის ქალისათვის სირცხვილია კოლექტივის ქალებში ყოფნა და სამუშაოზე ყანახებთან ერთად წასვლაო, იტყოდა ხოლმე გულში.

აქვსენტიმ დაამთავრა სიტყვა. ყანწი ტუჩზე მიიდო და მოსვა თუ არა ღვინო, ყველაფერი დატრიალდა მის თვალში, სუფრა, კედლები, იატაკი. შებარბაცდა, ყანწი მარდად ჩამოართვა ნინუციმ, მხარში ამოდო ხელი და სკამზე დასვა, თავი მაგიდაზე ჩამოადებინა. ყანწი კი ილიკოს გადასცა.

ილიკო მიხვდა რომ ის ზედმეტი იყო ახლა აქ. ყანწი უსიტყვოდ დასცალა. აჩქარდა. რა დრო გასულა, ბავშვები მარტონი დავტოვეო, მოიმიზეზა, დაცინვით გადაავლო თვალი მაგიდაზე ჩამოძინებულ მეგობარს და სუფრა დატოვა.

ნინუციმ კარები ჩაკეტა. ეგნატე მოიშველია, და აქვსენტი უკანა ოთახში გაიყვანეს. გაუხდელად მიაწვინეს ტახტზე, თავზე საბანი წააფარეს და საწოლ ოთახში გავიდნენ.

— რაღაც მოწყენილი სჩანხარ, ხომ არაფერი შეგემთხვა? — ჰკითხა ნინუციმ ეგნატეს და საბანი გადაკეცა, ბალიში გააბუა, გაასწორა.

ეგნატე შუა ოთახში იდგა, მას თითქოს არც გაუგონიაო ნინუცის ხმა, თითქოს არც ხედავდა მას.

— რა დაგემართა, გული ნუ გადამიბრუნე, შე კაცო.—მივიდა ახლოს ეგნატესთან, ხელი მოხვია კისერზე. — ეგნატე, ჭირიმე, ვერა გცნობ, რა უბედურებაა ჩემს თავს?

— გადააყენეს შენი ეგნატე, ჩემო ნინუცი, — წაილუღლუღა ეგნატემ.—მომხსნეს.

— რა თქვი? — ხელი მოაშორა ნინუციმ ეგნატეს და უკან დაიწია. წელმოწყვეტილივით დაეშვა საწოლზე: — მოგხსნეს? — მკაცრად გაისმა ახლა მისი ხმა და საბანი უკან გადმოკეცა. — წადი, თვალით არ დამენახო.

— ნინუცი! — ამოიკვნესა ეგნატემ.

ნინუციმ ზურგი შეაქცია.

— ნინუცის მოუკვდი შენ!

— ნინუცი...

— გამშორდი.

ისეთი ხმით უთხრა ნინუციმ, რომ ეგნატე უსიტყვოდ შეტრიალდა და გავიდა.

6.

ეგნატეს მამა ბაგრატი მთელ სოფელში განთქმული მონადირე იყო. ზოგიერთები ამბობდნენ, ტყუილით და ტრაბახით გაითქვა კარგი მონადირის სახელიო.

მისთვის რომ გეკითხათ, ცოლმეურნეს გაიწყვეტდა ფიცით—ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ ჩემი გასროლილი ტყვია ნადირს არ აცდენიაო.

სანამ მის უფროს შვილს ეგნატეს თავმჯდომარედ აირჩევდნენ, ბაგრატი კოლმეურნეობაში ხანდახან მაინც მუშაობდა, მაგრამ ეგნატეს თავმჯდომარედ დადგომის დღიდან თოხისათვის ხელი არ უხლია. ვინ რას მეტყვის, შვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მყავსო.

გამოვიდოდა ხოლმე ბაგრატი კოლმეურნეობის კანტორის წინ, დაიჭერდა ვინმე გამვლელგამოვლელს და დაიწყებდა ტრაბახს, მთელი დღე ისე ილაპარაკებდა, რომ ერთ მართალს არ გამოუტანდა.

ერთ კვირა საღამოს კლუბში კინოფილმს უჩვენებდნენ. სურათის დემონსტრაციის დაწყების მოლოდინში ბაგრატი ხალხში ჩამჯდარიყო და თავისებურად ბაქიობდა:

— პაპუნას რომ მოსილულში, ზედ კარვის კართან დაუმარცხეს მგლებმა ხარი, ეს თქვენ ყველამ კარგად იცით. ხარი უთხარი შენ, რატომ კამეჩს არ სჯობნიდა. ისე დამწვა უბედური ჩემი ძმის ცოდვამ, მე შევეჭამე მერჩივნა იმ მგლებს.

— მგელი მგლის ხორცს როგორ შეჭამს, ბიძია ბაგრატ? — სიცილით უთხრა ბაგრატს იქვე მჯდარმა სახეჭორფლიანმა ჭაბუკმა.

— მაგი კია, შვილო, მართალი, მგლებმა მე კი არა, ჩემი ძმის ხარი რომ შეჭამეს ის მიკვირს. არ იცოდნენ, ალბათ, პაპუნას ხარი თუ იყო, თორემ არ გაბედავდნენ ჩემი შიშით. რა გაცინებს, ბიძია?—შეუტია ჭორფლიან ყმაწვილს ბაგრატმა,—თქვენ არა გაქვთ ჩემი რიდი და პატივისცემა, თორემ მოსილულის მკვიდრი მგლები ჩემს ხატს ფიცულობენ.

— არა, არა, არ ჰქონიათ შენი პატივისცემა, ბიძია ბაგრატ, თორემ შენი ძმის ხარს არ დაგლეჯდნენ, — დაიძახა ხალხიდან ვიღაცამ.

— იქონიეთ მოთმინება და გაიგებთ, რატომ მოხდა ეგ მარცხი. — ასწია თავი ბაგრატმა და ხალხს გადახედა. —

ვერ გაუძელი პაპუნას საცოდაობას. ისე დაბღაოდა ამხელა კაცი ხარს, გეგონებოდა შუაზე გაჭრილი შვილი ესვენაო წინ. ავიღე ჩემი მაჭახელა და გავსწიე შურის საძიებლად. შევედი შუაგულ ტყეში და როცა შუაღამემ მოაწია, გავაბი მგლური ყმუილი.

— მაგ კი მოგიხდებოდა, ჩემო ბაგრატ, — გაეცინა მის გვერდით მჯდარ შუახნის კოლმეურნეს.

— კაცს ყველაფერი უნდა უხდებოდეს, ტერენტი ბატონო, — მოუჭრა ბაგრატმა და ისე განაგრძო, თითქოს დიდად მოსწრებული პასუხი ეთქვას.— ყველაზე ავი და საშიში ერთი ძუ მგელი იყო მოსილულის ტყეში. იგი მე კარგად მიცნობდა და მეც სწორედ იმას ვეძახდი — მოდი, მოდი-მეთქი. არ გასულა ხუთი წუთი, ჩემო ბიძიებო, რომ გამოჩნდა ის ძუ მგელი და შეშინებული ხმით დამიძახა: ჩემო, ბაგრატ, მოსვლით ვერ მოვალ, ვიცი არ გადაგირჩები, მომკლავ და ტყუილად ჩავარდები ჩემს ცოდვაში. მერწმუნე, შენი ძმის ხარი არც მე შემიჭამია და არც მოსილულის მგლებს. ხომ იცი, რა ხათრი და შიში გვაქვს შენი და პაპუნას საქონელს კბილს როგორ დავადგამდით, როგორ გაგვიწყრებოდა ასე ღმერთი, რა დაგვაბრმავებდაო. რას იჭყანები ბიჭო? — ახლა უკვე გაგულისებით შეუტია ბაგრატმა ჭორფლიან ყმაწვილს, რომელსაც ხელი აეფარებია პირზე და მაინც ძლივს იკავებდა სიცილს.

— აქამდე არ ვიცოდი, თუ მგლებმა ლაპარაკი იცოდნენ, — შესძახა ყმაწვილმა.

— რას ჰქვია არ იცის? მგელს თავისი ენა და სიტყვა-პასუხი აქვს...

— და შენ გესმის მისი ენა?

— მგლის ენა როგორ არ ეცოდინება, ბაგრატს.

— მგელმა მგლის ენა კი იცის, კი.

გაისმა შეძახილები, მაგრამ ბაგრატმა ყურადღება არ მიაქცია.

— რა გიკვირთ, რომ მგლის სიტყვა მესმის? თბილისის ცირკში თურმე, ბიძიებო, ერთი ქალი ლომებს და ვეფხვებს პირში მუშტს უყოფს. მისი თითის დაქნევაზე შიშით კანკალებენ ნადირთა ეს მეფე-დედოფალი და მოსილულის მგლებს რომ ჩემი ეშინოდეთ, რა არის ამაში გასაკვირველი? ჰო და იმას ვამბობდი, მე გულზე ვიყავი გახეთქილი და შევუტიე — ამ ძუ მგელს: მე უხამუსო, აბა, ჩქარა მითხარი, ვინ დამიღუპა ძმა-მეთქი. რომ გენახათ, იმხელა მგელი, როგორ მოიკუნტა ლეკვივით. პაპუნას ხარი ფიჩორიდან მოსულმა მგლებმა დაგლიჯესო, მითხრა ტირილით. თუ ჩემი არ გჯერა, ჩემო ბაგრატო, ამელამ დაუდარაჯე, ისინი ისეთი წუწკები არიან, რომ ხარს ისევ მოაკითხავენ. თუ ჩემი სიტყვა არ გამართლდა, მაშინ მომკალი, ხოლო ახლა გაშიშვი, ნუ მომკლავ, ნუ ჩავარდები ჩემი შვილების ცოდვაშიო.

— ძალიან პატიოსანი მგელი არ ყოფილა! — თქვა ერთმა.

— შიში ზოგს გააპატიოსნებს, ზოგს გაათახსირებს, — ჩამოართვა სიტყვა სხვამ.

— ისე შემებრალა ის საწყალი მგელი, — განაგრძობდა ბაგრატი, — რომ მეც ავტირდი. დავჯექით ერთად და ვიტირეთ და ვიტირეთ. შემდეგ მადლობა ვუთხარი ერთგულებისათვის და გავთავისუფლე. მე კარავთან მივედი. გვერდზე ამოვუწექი საწყალ პაპუნას ნახევრად შეჭმულ ხარს და დავიწყე ყმუილი. ხორცია, მოდით, სადა ხართ ფიჩორის მგლებო-მეთქი. ჩემი აყმუვლება და ორი მოზვერის ოდენა მგლის მოძუნძულება ერთი იყო. შორიახლო შედგნენ. მართლაც უცხო მგლები იყვნენ. მოდით, რას უდგეხართ. მოვიპატიჟე გულთბილად. მინდოდა სათოფეზე მომეტყუებინა. დასწყევლა ღმერთმა, თურმე ჩემი სახელი ამ მგლებსაც სცოდნიათ. ნუ მიხვალ, ბაგრატი არ იყოსო. უჩურჩულა ერთმა მეორეს. არა, ძმებო, ბაგრატი კი არა, მოცვნარელი მგელი ვარ მეთქი.

— ეგ კი მართალი გითქვამს, — წასკდა სიცილი ჭორფლიან ყმაწვილს და წამოვარდა. იცოდა რომ ბაგრატი ჯოხს წამოავლებდა ხელს და შემოკრავდა.

ატყდა სიცილ-ხარხარი.

ბაგრატი არ დაიბნა.

— მგელთან მგელი ვარ, ლომთან ლომი, აბა რავა გგონიათ, — დაიწყო დიდის რიხით.

— კაცთან, ბიძია, ბაგრატ, კაცთან? — დაუძახა შორიდან ჭორფლიანმა.

— შენისთანა გლახისჭირთან, ჩემო ბიძია, მეფე ვარ, ხელმწიფე, ყარამან ყათირი, — შესძახა მეტის რიხით საერთო სიცილში ბაგრატმა ყმაწვილს. — ჰოდა მოსტყუვდნენ მგლები. გამოიქცნენ ხარისაკენ, დაიგრიალა ჩემმა მაჭახელამ და ორი პირშავი გვერდზე ამოუწვა ჩემი პაპუნას ხარს.

ასე დაამთავრა ბაგრატმა მგლებზე ნადირობის ამბავი. ატყდა ყივილ-ხივილი. განსაკუთრებით ახალგაზრდები ვერ ფარავდნენ ბაგრატის ამ უტიფარ ტყუილით გამოწვეულ სიცილს. მაგრამ ბაგრატს არ ესმოდა მათი დაცინვა. მას ერთი კარგი თვისება ჰქონდა: რაც არ მოსწონდა, რაც არ ესიამოვნებოდა, შეეძლო არ გაეგონა. ყურშიც რომ ჩაგეძახათ, არ გაიგონებდა. ახლაც ისე ეჭირა თავი, თითქოს სხვას დასცინოდნენ.

ეგნატე ბავშვობიდანვე ბიძასთან იზრდებოდა უნაგერაში. უნაგერა, რომელსაც ახლა სუფსა ჰქვია, ერთი პატარა სოფელი იყო, მაგრამ, რადგან მოცვნარის მცხოვრებნი ბაზრობაზე აქ დადიოდნენ, ყიდდნენ სურსათს და ყიდულობდნენ მათთვის საჭირო საქონელს, მას ქალაქს ეძახდნენ.

ეგნატეს ბიძა ხარაზი იყო. მას კარგი შემოსავალი ჰქონდა და ჩინებულად ცხოვრობდა: ეგნატე ბიძის ხელობას სწავლობდა და სკოლაშიაც დადიოდა. შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ ფოთის ნავსადგურში სამსახური იშოვნა. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა იქ. არაპატიოსანი მუშაობისათვის მალე გაათავისუფლეს იქიდან.

ეგნატე მოსწრებული სიტყვა-პასუხის კაცი იყო. კოხტად და მდიდრულად იცვამდა. თავი დიდად განათლებულ კაცად მოქონდა. ზოგს ეგონებოდა — შვიდი კლასი კი არა, უნივერსიტეტი აქვს დამთავრებულიო. ხშირად ტყუვდებოდნენ მის ცოდნაში და პატიოსნებაში, ამიტომ იგი ყოველთვის კარგ ადგილზე ეწყობოდა, მაგრამ მალე გაუგებდნენ, რა ცოდნა და რა შეძლება ჰქონდა და ერთ ადგილზე დიდხანს ვერ იკიდებდა ფეხს.

მოცვნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევამდე სადაზღვევო დაწესებულებაში მუშაობდა. მას სოფლის მეურნეობის საქმეზე წარმოდგენა არა ჰქონდა, მაგრამ ამაზე იგი არც კი დაფიქრებულა.

ყველაზე ადრე ეგნატეს აქვსენტი და მისი ძეუღლე დაუახლოვდა. მისი თავმჯდომაროდ არჩევის მეორე დღეს ისეთი სუფრა გაუმართეს, რომ შემდეგ ეგნატე ხშირად იტყოდა ხოლმე: უკეთეს ქეიფს ნაკაშიძეც ვერ გადაიხდიდაო ძველ დროში.

ილიკო ზედობანიძე ხომ სულ თვალებში შესცქეროდა ეგნატეს. ყველაფერს ისე აკეთებდა, როგორც მას ესიამოვნებოდა. კრებებზე გრძელი სიტყვებით გამოდიოდა და თავმჯდომარის ძუშაობას ქება-დიდებას ასხამდა. ეგნატემ სათანადოდ დაუფასა ილიკოს ერთგულება. კოლმეურნეობის ყველაზე დიდ ბრიგადირად წამოაყენა და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის კოლმეურნეთა უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა, მაინც აარჩევინა ხალხს ბრიგადირად.

აქვსენტიმ ნინუცის რჩევით, საკარმიდამო სამიჯნე პალოები მოთხარა და ეზო გააფართოვა. მთელი ნახევარი ჰექტარი სათესი ნაკვეთი შემოიმატა.

— ღვთისნიერი კაცია ჩვენი, ეგნატე. ხომ გეუბნებოდი, ერთ მტკაველ მიწაზე არ გვეტყვის უარს-თქვა, — გაახსენებდა ხოლმე ნინუცი თავის მეუღლეს.

საკოლმეურნეო წესდების ამ უხეშ დარღვევას ეგნატე მოხერხებულად აფარებდა ხელს. ამით სხვებმაც ისარგებლეს, არც კი შეკითხებიან თავმჯდომარეს, ისე შემოიმატეს კოლმეურნეობის მიწები. ეგნატემ ეს იცოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ეშინოდა, ერთს რომ უარი ვუთხრა, მაშინ მიწა აქვსენტისაც უნდა ჩამოვუჭრაო.

7.

მოცვნარს ექიმი არ ჰყავდა, მაგრამ ოც წელზე მეტი იყო, რაც აქ ძველი, ვაძოცდილი ფერშალი მუშაობდა. ხალხი მას იაგორა ფერშალს ეძახდა. არც იაგორას იტყოდნენ ცალკე და არც ფერშალს. ყველა, დიდი და პატარა ასე წარმოსთქვამდა: „იაგორა ფერშალი“.

იაგორა ფერშალი სამოცდაათი წლისა იყო. ვერასოდეს ვერ ნახავდით ფხიზელს. ეს მუშაობაში ხელს არ უშლიდა. ზოგიერთები იმასაც კი ამბობდნენ, რომ იაგორა ფერშალი, როცა ნასვამია, მაშინ უკეთ ხვდება, თუ რა სჭირს ავადმყოფსო.

კაცს სიმართლე არ უნდა დაუკარგო, იაგორა ფერშალი კარგი მკურნალი იყო და იგი ზოგიერთ გამოცდილ ექიმსაც კი არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ თავის სახელს და ამ მდგომარეობას ხშირად არაკეთილსინდისიერად იყენებდა. იგი ზოგ ავადმყოფს ისეთ წამალს გამოუწერდა ხოლმე, რომელიც მაინცდამაინც ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ეს წამალი აფთიაქში არ იყო. ის იაგორა ფერშალს ყოველთვის ჰქონდა. იგი ფულზე არ ჰყიდდა წამალს, სასმელ-საჭმელზე ცვლიდა მას.

იაგორას ყველაზე მეტად პატივსაცემ ადამიანად კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიაჩნდა. იგი მას სცემდა ბევრ სოფელში პირველ კაცად. მასთან ახლო მეგობრობა ჰქონდა. ეს ყველამ იცოდა და სოფელში არც ერთი ლხინი და ქორწილი ისე არ გაიმართებოდა, რომ ეგნატე და იაგორა ფერშალი არ დაპატიჟებიათ. თავმჯდომარე ხშირად უმასპინძლია სურსათ-სანოვაგით ხელოვან ფერშალს. არც იაგორა რჩებოდა ეგნატესთან ვალში.

როცა იაგორა ფერშალს ზომაზე მეტი ჰქონდა დალეული, მაშინ იგი განსაკუთრებულ გულისტკივილს იჩენდა ქალებთან. მებრალებით, ქალებო, რათ გინდათ წამალი და ექიმი, თუ თავს შეაკლავთ პლანტაციას. მკურნალობის დროს თუ არ დაისვენეთ, ისე არ გასჭრის წამალი. მე მივწერ თავმჯდომარეს, შვებულება მოგცეთ, ის შეგნებული კაცია, უარს არ გეტყვით, ესეც რომ არ იყოს, ჩემს დაწერილს სად გაექცევაო.

იაგორას მიერ დაწერილ ცნობით ვინც მოვიდოდა, თავმჯდომარე ყველას ანთავისუფლებდა. ზოგს ორი კვირით, ზოგს ორი თვით. იაგორა ფერშალის პაციენტები ის კოლმეურნეები იყვნენ, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მოეშალათ ბაზარ-ბაზარ სიარული და ისინიც, ვინც თავის საკარმიდამო ფართობზე მუშაობას ანდომებდნენ მთელ თავის ძალღონეს. მართალია, ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ მათ, გაკიცხვის მაგიერად, ხელს უწყობდა იაგორა ფერშალი.

როცა ბრიგადირები ამის შესახებ ეგნატეს შესჩივლებდნენ, იგი იაგორა ფერშალის ცნობას უჩვენებდა მათ და ასე ეტყოდა:

— რა ნება მაქვს, ან რა გვჭირს ისეთი, რომ ავადმყოფი ქალი ვამუშაოთო.

ეს „ავადმყოფი" ქალი კი ამ დროს ან ბაზარში იყო სავაჭროდ წასული, ან თავის ბაღში მუშაობდა.

8.

პლანტაციიდან დაბრუნებულ ელენეს საქონელი ჭიშკართან დაუხვდა. შებღავლა ძროხამ, თავი დაუქნია.

— რაო, დავიგვიანე, თეთრავ? — უთხრა სიყვარულით ელენემ, — ახლავე, ახლავე ჩემო კარგო, აი ხელს დავიბან და მოგწველი.

ტალახში ამოგანგლული ღორები ფეხებში გაებლანდნენ, მწკრივში ჩამდგარი თხები თავის ქიცინით შესცქეროდნენ. ყელმოღერებულმა ბატებმა ფრთა-ფრთას შემოჰკრეს და შეჰყიყინეს. ძაღლი ყეფით გადმოიჭრა ალაგეზე. გარშემო შემოურბინა ელენეს, მერე შეწკმუტუნა და კუდის ქნევით ფეხებში გაუწვა.

— დამაცადეთ, დამაცადეთ, ყველას მოგხედავთ, — ელენემ ზურგიდან კალათები მოიხსნა, ეზოში დააგდო.

ქალტიდან ხბოს ბღავილი ისმოდა. ელენემ ღიმილით გაიხედა იქით. აჩქარდა, სამზადიდან ძროხას წინასწარმომზადებული საჭმელი გამოუტანა კარდალით, ქალტაში შეიტანა და ძროხას ჭიშკარი გაუღო. ხბო დაფეთებულივით ეძგერა დედის ჯიქანს, ძროხამ უკანა ფეხები ფართოდ გადგა, რამდენჯერმე მოუსვა ენა შვილს, რძე უხვად დაუშვა და მერე საჭმელს დაეწაფა.

ამასობაში ელენემ ხელი დაიბანა, ნიგა აიღო და წველას შეუდგა. მისი ხელების სწრაფ მოძრაობას თვალს ვერ შეასწრებდი. რძეს ჩხრიალ-ჩხრიალი გაჰქონდა ნიგაში, თითქოს დუღდა, ქაფს იყენებდა. ელენემ მხოლოდ ორი ძუძუ ჩამოწველა, ორს ხბოს უტოვებდა. სავსე ნიგა ეზოში გადმოდგა, ახლა ღორები შემოუშვა ქალტაში. ბატებს ახოს კარი გაუღო, თხებს ღამე გარეთ ტოვებდა.

კირილეს მოსვლამდე მჭადი დააცხო, ლობიოს სუნელი დააჭრა, ნიგვზის ძაღლიც მიურთო, მერე ბოსტანში გადავიდა, წიწმატი და ოხრახუში მოკრიფა, გაასუფთავა, გარეცხა, დერგიდან ჭყინტი ყველი ამოიღო, დოქში ადესის ღვინო

ჩამოასხა და მამის მოლოდინში ცეცხლის პირად დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

ელენე კირილეს ერთადერთი შვილი იყო. მზე და მთვარე მასზე ამოდიოდა მოხუცს. ყველაფერს მისთვის აკეთებდა, ყველაფერი მისთვის უნდოდა. ელენე ხედავდა ამას, გრძნობდა, რა ძლიერ უყვარდა მამას და თვითონაც თავზე ევლებოდა, თვალებში შეჰყურებდა.

— ნენა, იმით მაინც ვარ ბედნიერი, რომ ელენეს ცხონებული დედამისის ჭკუა-გონება და სიმარჯვე გამოყვა. ისე უვლის ოჯახს, გეგონება, დიდი გამოცდილი დიასახლისის ხელი ტრიალებსო ჩემს სახლკარში, — იტყოდა ხოლმე კირილე.

ელენემ საშუალო სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, მამამ და მასწავლებლებმა ბევრი ურჩიეს უმაღლესში შესულიყო, მაგრამ ვერ დაითანხმეს. როგორ მივატოვო მამა, ვინ მოუვლის მოხუცს, ვინ უპატრონებსო.

შეღამებული იყო, კირილე პლანტაციიდან რომ დაბრუნდა. თოხი ლაფარეში მიაყუდა, წყლის დასალევი ჭურჭელი „მწარეხაპა“ იქვე ლურსმანზე ჩამოკიდა. ელენემ ხელპირი დააბანინა და მერმე სუფრა შუაცეცხლის პირას გაუშალა.

— რად დაიგვიანე, მამა? — ჰკითხა ელენემ, როცა სუფრას შემოუსხდნენ.

— გამგეობის კრება გვქონდა. ილიკო გავათავისუფლეთ ბრიგადირობიდან.

— მერე, ვინ აირჩიეთ?

— არჩილი ავირჩიეთ ერთხმად.

— არჩილი? — სიხარულით შესძახა ელენემ და გაწითლდა. თავი ოდნავ მიაბრუნა და ჩუმი ხმით თქვა: — ახლა კი ეშველება ჩვენს ბრიგადას.

შეხედა კირილემ შვილის გახარებულ სახეს, გაბრწყინვებულ თვალებს და თვითონაც ღიმილი მოერია. გრძნობდა, როგორ უცემდა გული ახლა ელენეს და თვითონაც უხაროდა ეს.

— მართალია, შვილო, არჩილი ფეხზე დააყენებს ბრიგადას. მაგისთანა მონდომებული და მცოდნე ყმაწვილი მეორე არა გვყავს კოლმეურნეობაში. უმამოდ გაიზარდა საწყალი ბიჭი და ვინ იფიქრებდა, ასეთი ჭკვიანი თუ დადგებოდა.

კირილე პირველად ლაპარაკობდა არჩილის შესახებ ასე ელენესთან. ამიტომ ელენეს შიშით უცემდა გული. მან მხოლოდ ახლა დაინახა, რომ მამას სცოდნია, ვის ეკუთვნოდა შვილის გული. არ იცოდა, რა ექნა, სად დაემალა სახე, როგორ აერიდებია მამის თვალებისათვის თვალი.

— დედა რომ არ გახდომოდა ავად, ახლა უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული ექნებოდა. დაიტანჯა საწყალი ბიჭი. ოჯახში კაცისა და ქალის საქმეს ის აკეთებს, — განაგრძობდა კირილე.

ელენე თავჩაღუნული იჯდა. ფეხებთან გართხმულ კატას თავზე ხელს უსვამდა და ფიქრებში წასული ცეცხლს ჩასცქეროდა. სიხარულით უვსებდა გულს მამის სიტყვები. გრძნობდა, რომ შვილივით უყვარდა მას არჩილი.

მართლაც ყველასათვის საყვარელი ყმაწვილი იყო იგი. მთელი სოფლის ახალგაზრდობაში გამოირჩეოდა არჩილი თავისი ბეჯითი შრომით, უნარიანობით, ზრდილობითა და პატიოსნებით, სილამაზით და ვაჟკაცობით ხომ ბადალი არ ჰყავდა.

„ოჯახში ქალისა და კაცის საქმეს ის აკეთებს“, კვლავ ჩაესმა ელენეს მამის სიტყვები. გული ეტკინა. წარმოუდგა სამუშაოდან დაბრუნებული, დაღლილ-დაქანცული არჩილი. სნეული დედა ლოგინში წევს. სახლი დაულაგებელია, საქონელი მოუვლელი. აი, არჩილმა დედას წამალი დაალევინა, ცეცხლზე კეცი შედგა, ძროხას წველის, პირუტყვს აბინავებს, მერმე მშიერი და დაქანცული ვახშმის მომზადებას იწყებს.

ცრემლი მოადგა ელენეს თვალებზე. ახლა კი უსათუოდ შენიშნავდა მამა გულისაჩვილებას, დაინახავდა ცრემლს და მიხვდებოდა ყველაფერს. წამოდგა ლოგინის გაშლას შეუდგა.

კირილეს არაფერი გამოპარვია. მან იცოდა, რომ ელენეს და არჩილს დიდი ხანია ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ მათ ამის შესახებ ჯერ ერთმანეთისათვის არაფერი უთქვამთ. ისინი ჯერ მარტონიც არ დარჩენილან. ერთხელ არ მიუცილებია არჩილს სახლში, თითქოს უფრთხოდნენ ერთმანეთს. კირილეს მათი სიყვარული თავის სიყვარულს ახსენებდა.

მას გარიგებით არ შეურთავს ქალი. თვრამეტი წლის იყო მეზობლის გოგო, რომ შეუყვარდა. სამი წელიწადი ინა-

ხავდა გულში სიყვარულს, ვერც გოგოს უმხელდა, ვერც აშხანაგებს. მამა მიუხვდა მხოლოდ, და იმას რომ არ გაემხილა ქალის მშობლებისათვის, ასე ეგონა ვერასოდეს ვერ გაუმჟღავნებდა ქალს თავის სიყვარულს.

ასეა, ალბათ ელენეს და არჩილის ამბავიცო, ფიქრობდა კირილე. მწუხარების და ტკივილის გრძნობა იპყრობდა მის გულს. ვერ წარმოედგინა მოხუცს ელენეს გარეშე თავისი ცხოვრება. „არა, არა, ვერ გავატან ჩემს შვილს. მე ისეთი სიძე მინდა, რომ სახლში მოვიყვანო. ოჯახი ჩავაბარო. აბა, რისთვის ვშრომობ, ვისთვის ვუვლი ამ სავსე სახლკარს? მაგრამ სნეულ დედას რა უყოს, არჩილმა, ვის დაუტოვოს? რად გაევსო ელენეს თვალები ცრემლით, რად მიატოვა ვახშამი? რა აწუხებს ნეტავ, რა ნაღველი აწევს გულზე? იქნებ გრძნობს ჩემს გულისტკივილს. არა, შვილო, შენ იყავი ბედნიერი და კმაყოფილი ცხოვრებაში და ჯანდაბას ჩემი თავი. თქვენ მოაწყვეთ კარგი ცხოვრება. სადაც გინდოდეთ, გინდ თბილისში, გინდ აქ, — თითქოს ორივე ელენე და არჩილი წინ უდგასო, თავი ასწია, კირილემ — დამილოცნიხართ, შვილებო, ბედნიერად შეაბერდით ერთმანეთს, — წარმოსთქვა ხმამაღლა და გამოერკვა.

გაფითრებული ელენე მის წინ იდგა.

— მამა! — შესძახა მან.

— მაპატიე, შვილო, — უთხრა კირილემ.

— მამა, ჩემო ძვირფასო მამა, — მკლავებში ჩაუვარდა ელენე მამას. კოცნიდა. ეხვეოდა, ტიროდა. ეს იყო ბედნიერებისა და სიხარულის ტირილი და კირილესაც გადმოვარდა ორი ცრემლი და თეთრ წვერზე დაეცა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ნადირაძე

კარგია!

★

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ,
და სულში ლექსი რუსთველის მღერის.
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

კარგია დილით მტკვრის სანაპიროს,
ვერხვები, სივრცე ფირუზის ფერის.
მტკვარი ჩრდილებით გადაფენილი.
ჩუმად გაჰყურებ ზეცის საფირონს,
და გრძნობ, რომ გულში შემოფრენილი
თითქოს ათასი ბულბული მღერის...

კარგია ჩვენი დედაქალაქის
გამოღვიძებაც ზაფხულის დილით.
ფოთლებზე გარბის ნიავი ფრთხილი.,
ვით ჯადოსნური ჩურჩული მისნის...
ვიღაც უჩინო საყელოს გიხსნის
და ყელს ეხვევა ჰაერი გრილი.

კარგია, როცა დახვალ და გხვდება
ქუჩაში ხალხი ნაამაგარი,
დიდების, ჰიმნის საგანი ხდება
მისი გარჯა და მკლავი მაგარი.

სოფლის გოგონა მოდის წარმტაცი
შრომის გმირობის ვარსკვლავით გულზე,
ომგადახდილი გხვდება ვაჟკაცი
ჭრილობის დაღით დაღარულ შუბლზე.

კარგია, რადგან საბჭოთა მხარეს
ამტკიცებს, ამკობს შრომა გმირული.
მტრისთვის შეუვალ მამულის კარებს
უდგას ეს ხალხი თავგანწირული,
უდგას ეს ხალხი მშვიდობისმცველი
და მოდარაჯე თავისუფლების,
ამშენებელი საკუთარ ხელით
საკაცობრიო ბედნიერების.

კარგია ჩვენი მშობელი მიწის,
დიად საბჭოთა მიწის სიუხვე.
მკაცრი ბუნების ძლევისთვის იბრძვის
შთაგონებული მშრომელი უკვე,
იბრძვის და თანაც უტყუვრად იცის,
რომ დიდ ბრძოლაში იქნება მასთან
ის, ვინაც დასდო უკვდავი ფიცი,
ვინც დგას ჩაგრულთან, როგორც ძმა-
ძმასთან.

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ,
და სულში ლექსი რუსთველის
მღერის...
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

კარგია, როცა გახედავ სივრცეს,
ჩვენს ტურფა ქალაქს მიაპყრობ
თვალებს,
იტყვი: „თბილისო, შენც გული გიცემს,
მე ვენაცვალე შენს მთებს და ჭალებს!

მე ვენაცვალე შენს გმირულ აწმყოს,
შრომას და ბრძოლას — მას, რასაც
ვხედავ,
რა მხნედ დღეს აგურს აგურზე აწყობ,
როგორი რწმენით მომავალს სჭედავ!

კარგია! მებრძოლთ მშვიდობისათვის
ჩვენ ერთიათად გვჭირდება ახლა
ბრძოლა პურისთვის, ფოლადისათვის,
შრომის უნარის აწევა მაღლა!

და როცა პირველ გვერდზე გაზეთი
ბელადისადმი პატაკს გვახარებს, —
კარგია! მოგვწონს გარჯა ასეთი:
იგი გმირობის სახეს ატარებს.

მე მიმაჩნია ძმად და მეგობრად,
ვინც კი ბელადის ჯილდოს ღებულობს,
მე მიმაჩნია ნამდვილ მეომრად
ისიც, ვინც ჩუმი შრომით ერთგულობს.

კარგია!! კაციც უბრალო, სადმე,
როგორც ხრახნილი რთულ ერთეულში,
ასრულებს დიდს და საჭირო საქმეს,
ისიც ძალას ჰქმნის ცოცხალ სხეულში.

აი, ამიტომ გული მიხარის,
რომ მეც მომავლის ნათელ დღეს ველი,
რომ ვარ გუშაგი მშობელი მხარის—
ეაცი უბრალო, კარგის მთესველი...

კარგია, რადგან სიცოცხლე მთელი
არ ღირს არაფრად, თუ არ გრძნობს
გული,
რომ ამ დიდ ბაღში მზრუნველი ხელით
თუნდაც ერთი ხე შენც გაქვს
დარგული.

კარგია, ჩვენი შთამომავალი
რადგან მის ჩრდილში ჰპოებს სიამეს
და ფოთოლთ შორის სიო მავალი
ამ ჩვენს ბრძოლებზე უამბობს რამეს.

უამბოს, რადგან მანაც იცოდეს,
თუ როგორ უნდა ზრუნვა ხალხისთვის,
დაე, ჩვენსავით იგიც იწოდეს,
მანაც იბრძოლოს მომავლისათვის!..

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის,
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

პირისპირ

რომანი *

ნაწილი მეოთხე

★

მეტეხში

1

„ჭირსა შიგან გამაგრება
ასე უნდა, ვით ქვითკირსა“.

რუსთაველი.

როდესაც პირველი მაისის დემონსტრაციაზე დაპატიმრებულნი, მათ შორის მიტო და კორნელიც მეტეხის ციხის ეზოში საბარგო მანქანებით შეიყვანეს, კოჭლმა, კუზიანმა და მახინჯმა დარაჯმა რკინის ჭიშკარი მიჰხურა, ზედ ვეება ჯაჭვით ბოქლომი ჩამოჰკიდა, დაჰკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. — კორნელის ისე მოეჩვენა, თითქოს მთელ ქვეყანას მოსწყვიტეს და მისკენ გასასვლელი კარები სამუდამოდ დაუხშესო.

ეზო საბარგო მანქანებით და უამრავი პატიმრებით იყო სავსე. კორნელიმ და მიტომ ბევრი ნაცნობი მუშა დაინახეს: ხარატი სტეფანე დანგაძე, ზეინკალი დიმიტრი ჩაპლიგინი, სტამბის მუშა შაქრო ხახუტაშვილი. მათ შორის მიტოს მამა — ზეინკალი ელიზბარ ჩიკვაიძე არა სჩანდა. მიტოს გაეხარდა, მოხუცი მამამისი დაპატიმრებას რომ გადარჩენოდა. უცებ გიგა ხუციშვილს მოჰკრა თვალი კორნელიმ. გიგას სახე სისხლივით გასწითლებოდა და თვალები რისხვით ანთებოდნენ, იგი აგზნებით ელაპარაკებოდა პატიმრებს და როცა საბარგო მანქანაზე მდგარი კორნელი და მიტო დაინახა, უმალვე მათკენ გაიჭრა, მაგრამ გვარდიელმა გზა თოფით გადაუღობა. „კორნელი, მიტო“, — დაუძახა გიგამ ამხანაგებს და ელდა ეცა, რადგან ცემისაგან სახეზე მათ მუქლურჯი დაღი დაუნახა. კორნელი კოჭლობდა და მანქანიდან ამხანაგების დახმარებით ჩამოვიდა. ახლა მარცხენა ფეხს მიწაზე სრულიად ვეღარ აკარებდა.

მეტეხის ძველი ტაძარი, ციხე და მეფის რუსეთის დროს პატიმართათვის გაშენებული ყაზარმისმაგვარი ნაგებობანი მტკვრის მაღალ ნაპირზე, ცარიელა კლდის ტაფობზე დგანან. მეტეხის ეზოს კუთხეში ვეება კლდის ლოდები მიწიდან აქა-იქ ტაბლასავით ამოზიდულიყვნენ. კორნელი მარჯვენა ფეხზე ხტომა-ხტომით წავიდა და გაგლინულ ლოდზე ჩამოჯდა. გვარდიელმა გადიხარხარა და რკინის ჭიშკართან მდგარ ჯუჯა, კოჭლსა და კუზიან კაცს გასძახა:

— მეტოქე გამოგიჩნდა, კალია.

კუზიანმა „კალიამ“ ყველის ვაჭარივით გაიცინა და გაპარსული, უშნო და ლაშებ-დაღრენილი ვეება სახე დაეღრიჯა. მას მიხაკისფერი ხალათი, შარვალი-გალიფე ეცვა, თავზე ასეთივე რუსული ქუდი ეხურა და ტყავის ფართო ქამარზე ბუდეში ჩაგებული ნაგანი

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.

ეკიდა. გამხდარ და მეტად წვრილ წვივებზე ჰამაში ჰქონდა დახვეული და ფეხზე ჯარისკაცის მოკლეყელიანი ვეება ფეხსაცმელი ეცვა. მარჯვენასთან შედარებით ძლიერ მოკლე მარცხენა ფეხის ტერფი შებრუნებული ჰქონდა, ძიწას თითებით აბჯენდა და ცხენის უზარმაზარ ფლოქვივით ეკიდა. მიუხედავად ამისა, ხტომა-ხტომით გაქცეულ ამ მახინჯ და კოჭლ გვარდიელს, რომელსაც „კალიას“ ეძახდნენ, კარგი მარბენალიც ვერ დაეწეოდა.

გვარდიელის ხარხარზე და რკინის ჭიშკართან მდგარ მახინჯ დარაჯის ღრეჯაზე კორნელის ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა.

ჩხუბისა და რბენის გამო ტერფში დაჭრილი ფეხი კორნელის საშინლად სტკიოდა და ფეხსაცმელი უჭერდა. ზონარები გაიხსნა და ფეხსაცმელი გაიძრო. ფეხის კიდური-ტერფი და სახსარი გასივებოდა. გვერდით მიტო მიუჯდა. მას ლოყაში ჰქონდა დარტყმული კონდახი და ყვრიმალის ძვალი სტკიოდა და ეწოდა. დიდხანს არ დასცალდათ მეგობრებს ჯდომა და საუბარი. კორნელის მიერ განიარაღებული და ყბაშელეწილი კლემენტი ჩხიკვაძე და მისი ამქრები ეზოში შემოვიდნენ და პატიმრების დათვალიერება დაიწყეს. უცებ, ლოდზე მჯდარი პატიმრები იცნეს და თავზე დაადგნენ. ჩხიკვაძემ კორნელის და მიტოს უყვირა:

— ხომ ჩაგვივარდით ხელში, ძალლის შვილებო! აეთრიეთ. მე თქვენ გიჩვენებთ, მუშტი-კრივი როგორი უნდა. — მერმე კორნელის მიუბრუნდა და მეგობრების წინაშე შერცხვენილმა თავის მართლება დაიწყო: — მოულოდნელად, მოპარვით და ქურდულად შემომკრა თითებზე ჩამოსაცობი რკინის რგოლები ამ ვაჟბატონმა, თორემ ისე რას დამაკლებდა. ოთხში ამოვიღებ... ახლა გამოვიდეს, თუ ბიჭია...

— ახლა ეს კაცი პატიმარია... შენს მიერ დაჭრილი ფეხი გაუმიზეზდა. ხომ ხედავ, როგორ გაუსივდა, — შენიშნა გიგამ.

— მერე რა, პატიმარი რომ არის!? ახლავე გამოვიდეს, — გაიწია კორნელისაკენ ჩხიკვაძე.

— უიარაღოს და წაქცეულს რომ სცემო, რა ბიჭობაა, — ისევ უთხრა გიგამ ჩხიკვაძეს და მასა და კორნელის შორის ჩადგა. კორნელი სდუმდა და არ იძროდა. ბრაზისაგან ხელფეხი გაუცივდა, გაფითრდა და ცახცახი დაიწყებინა.

— მაგასთან იარაღი რად მინდა, — იკვეხნიდა ჩხიკვაძე, — ცოცხლად გადავყლაპავ მაგ ხრიკიტარას.

— კეთილი, — მიუგო კორნელიმ და წამოდგა, — გადაეცი იარაღი შენს ამხანაგს. ძე ცალ ფეხზე მდგარი, ცალი ხელით გამოვალ.

— ხედავთ, რას მიბედავს! გამოდი, მე შენი... — შეაგინა ჩხიკვაძემ და კორნელისაკენ გაიწია, მაგრამ მისმა მეგობრებმა დაიჭირეს.

— გაგიუდი? აქ ვაჟკაცობა და რაინდობა არ გაგივა, — დატუქსეს მიტომ და გიგამ კორნელი.

სად იყო და სად არა, ერთი ლამაზი, სახიერი და გააფთრებული მოხუცი ქალი ჩხიკვაძეს მივარდა და შესძახა:

— არ გაბედო. ვის უბედავ ცემას? ეს მწერალია და არა შენსავით ქუჩის მაწანწალა... გასწი აქედან, თორემ თვალებს ამოგკუჭავ, შე საძაგელო.

— ვიცი, რა მწერალიც ბრძანდება, — მიუგო ჩხიკვაძემ ქალს და უხეშად ჰკრა ხელი. ის ქალი ემიგრაციაში ნამყოფი, ბოლშევიკი, ნიკო გოცირიძის დედა იყო.

ამ დროს ციხის უფროსი გამოვიდა და ბრძანება გასცა, პატიმრები დააყენეთო.

„დადექით“, — დაიძახა სადარაჯო რაზმის მეთაურმა გვარდიელმა.

კორნელიმ ფეხსაცმელი აიღო, ხტომით მივიდა და პატიმართა მწკრივში ჩადგა.

— დაიცა, იმ მეორე ფეხსაც. მიგამტვრევ და მაშინ იხტუნე ჩვენ „კალიასავით“, — მიაძახა ჩხიკვაძემ.

იმ გვარდიელმა, რომელმაც რკინის ჭიშკართან მდგარ ჯუჯას მიჰმართა: მეტოქე გამოგიჩნდა, კალიაო, ისევ გადიხარხარა.

2.

მიტო იმავე ღამეს გამოიძახა დაკითხვაზე საპატიმროს გამომძიებელმა. ოთახში ექვსი კაცი იყო. მათ შორის კლემენტი ჩხიკვაძეც. ეს გარემოება ცუდად ენიშნა მიტოს. საწერ მაგიდას-

თან, თავდიდა და გომბეშოსავით ვეებ-ბა-თვალებიანი გამომძიებელი ძუკუ რურუა იჯდა. მიტო მის წინაშე დააყენეს. გამომძიებელმა გააფრთხილა, სწორი პასუხი გაეცა შეკითხვებზე და არაფერი არ დაემალნა.

— სად იმალებიან ამჟამად ქავჟარაძე, ვანო მახათაძე და ნიკო გოცირიძე? — ჰკითხა რურუამ.

— არ ვიცი, — მიუგო მიტომ. რურუამ ზღარბივით აბუძგული წარბები ბრაზით შეათამაშა.

— არც ის იცი, სად იმალებოდნენ მანამდე?

— არ ვიცი.

გამომძიებელმა მაგიდაზე ფანქარი დააკაკუნა, თვალები გადმოკარკლა და მიტოს უთხრა:

— მე თქვენ გაფრთხილებთ. თუ არ გინდათ გცემოთ, გაწამოთ და ისე გათქმევინოთ ყველაფერი, სწორად მიპასუხეთ და ნურაფერს დაფარავთ... გაიგეთ?

— გავიგე, — მიუგო მიტომ.

— სად იმყოფება თქვენი არალეგალური სტამბა?

— წარმოდგენა არა მაქვს.

გამომძიებელი გულზე გასივდა, ვეებ-ბა თავი ჩაჰყო ვიწრო მხრებში, ნიკაპი და საოცრად მსუქანი ყბები მის მკერდს დაებჯინენ, გაუგანიერდნენ, თითქო წყალში მცურავ უცნაურ ქმნილებას ლაყუჩები გაებერნენო.

— ასე გამოდის, რომ შენ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი ხარ და ამა ქვეყნის არა იცი რა. ისევ გაფრთხილებ, ჯიუტობას თავი გაანებო. შენ ვერც კი წარმოიდგენ, თუ რა წამება გელის, — უყვირა გამომძიებელმა მიტოს. რურუამ ბაგეები გახსნა და მგელსავით გრძელი კბილები გამოუჩნდა, თითქოს სისხლისმსმელი ნადირი იღრინებაო.

— აკი მოგახსენეთ, ამხანაგო გამომძიებელო, რომ ეს ვაუბატონი და მისი მეგობარი კორნელი მხეიძე დასახვრეტი არიან-მეთქი, — შენიშნა რურუას იქვე მდგარმა კლემენტი ჩხიკვაძემ, ძუკუ რურუამ ხელით ანიშნა, გაჩუმდიო. თუმცა ჩხიკვაძის შენიშვნამ მასალა მისცა და მან ისევ მიტოს დაკითხვა განაგრძო:

— რა კავშირი აქვს კორნელი მხეიძეს შენთან? თქვენი პარტიის წევრია იგი?

— არ ვიცი...

და ასე ბოლომდე უარს ამბობდა რურუას შეკითხვაზე მიტო, სანამ ჩხიკვაძემ და სხვებმა ხელ-ფეხი არ გაუთოკეს, იატაკზე არ დასცეს, მაუზერის კონდახით თავპირი არ დაუმტვრიეს და ნეკნები არ შეულეწეს, ამის შემდეგაც ვერაფერი ვერ ათქმევინა გამომძიებელმა პატიმარს.

მიტო საკაცით შეიტანეს საკანში. ქალა და ყბის ძვალი გატეხილი ჰქონდა და ორი ნეკნი ჩამტვრეული. თავზე და სახეზე ნახვევი გაეკეთებინათ და მხოლოდ სისხლჩაქცეული მარჯვენა თვალი უჩანდა.

კორნელი მის გვერდით იწვა. ის, საღარაძე, ალავიძე, გურგენიძე და სხვა პატიმრები მიტოს თავს დასტრიალებდნენ, გამომძიებლის, საპატიმროს ჯალათთა და ჩხიკვაძის საქციელით აღშფოთებულნი იყვნენ, გული ეწოდათ და შურისძიების წყურვილით ივსებოდნენ.

ორ მაისს კორნელიც დაკითხვაზე გაიყვანეს და მასაც სცემეს და აწამეს. ასე იძიეს შური პირველ მაისს გამართულ მუშტი-კრივში დამარცხებულმა ჩხიკვაძემ, მერკვილაძემ და მათმა მეგობრებმა მიტო ჩიკვაიძეზე, კორნელიზე და სხვებზე.

ტერფში დაჭრილი ფეხი კორნელის კიდევ უფრო გაუსივდა, გაულურჯდა. პირველ მაისს ჩხუბში მარჯვენა მუშტის ძლიერი დარტყმისათვის მთელი ტანის სიმძიმის მარცხენა ფეხზე ხშირმა გადატანამ და დაჭრილ ტერფზე ბჯენამ, ჭრილობა და მოტეხილი ძვალი გაუმიზეზა, ტერფს მანამდეც კარგად ვერ ჰხრიდა და ამოძრავებდა კორნელი, ახლა ოდნავი შერხევაც კი საშინელ ტკივილსა ჰგვრიდა. თანაც მაგრა ნაცემი იყო. ყურის ძირში კონდახით გახეთქილ კანზე სისხლი მიხმობოდა. თავის გატეხილ ქალას, ყბის ძვალს და შელეწილ ნეკნებს იმრიგად აო დარდობდა ახლა მიტო, როგორც კორნელის რუმბივით გასივებულ და საეჭვოდ გალურჯებულ ფეხს. ეშინოდა, განგრენა არ დაწყებოდა მეგობარს.

კორნელი საშინელ შეურაცხყოფას გრძნობდა, მისი თავმოყვარეობა და კაცობა სისხლისმსმელმა რურუამ, საპა-

ტიმროს ჯალათებმა და სალახანა ჩხიკვაძემ გასთელეს. იგი გაოგნებული მიშტერებოდა ჭერს და ერთსადაიმავეს შეშლილივით იმეორებდა:

— ოღონდაც გადავრჩე და ცოცხალი გავიდე აქედან და ძაშინ მე ვიცი, როგორ გადაგიხდით ჩემსა და ჩემს მეგობრეთის წაძებას... ოღონდაც გავიდე აქედან...

— დაძშვიდდი, — ეუბნებოდა მიტო კორნელის, — ივენ ცოცხალი დავრჩებით, გავალთ აქედან და სულ ყველაფერს ვაზღვევიხებთ ძეხძევიკებს, დარდი ნუ გაქვს. დამშვიდდი, ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა და ჭიდილი გველის ძათთან.

ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა და ჭიდილი გველისო თქვა მიტომ და, კორნელი მაშინვე მიხვდა, რომ „ჩვენ" მარტო მას და მიტოს კი არ შეეხებოდა, არამედ ყველა იმათ, ვინც არსებული წყობილებით უკმაყოფილონი იყვნენ და მის დასამხობად იბრძოდნენ — ათასობით მუშებსა და გლეხებს, მშრომელ ხალხს... კორნელი გრძნობდა, იგი თავის პირადი ინტერესებისათვის რომ არ იბრძოდა და ეწამებოდა ახლა, არამედ უამრავ სხვა ადამიანებისათვისაც. იგი, ისე როგორც პირველ მაისის დემონსტრაციაზე, ისევ დიდი და უძლეველი კოლექტივის წევრად გრძნობდა თავს და ეს გრძნობა ძალას, გამბედაობას და ბრძოლის გაგრძელების სურვილს ჰმატებდა. კორნელი სიყვარულით შესცქეროდა ახლა მიტოს, საკანში მასთან ერთად მჯდარ ყველა პატიმარს. მას ამ საპატიმროში დაწყვდეული, ნაწამები და საპატიმროს გარეშე დარჩენილი ამხანაგების ნამდვილ თანამებრძოლად მიაჩნდა ახლა თავისი თავი.

მეორე დღეს, სამ მაისს, როცა შუალამემ მოატანა, პატიმრებს ქალაქიდან კანტიკუნტად თოფის სროლა შემოესმათ. მერმე კი მთელ ქალაქში ატყდა უწესრიგო სროლა. სალარიძე, დალაქიშვილი, ალავიძე, გურგენიძე და სხვანი ფანჯარასთან მივიდნენ, ისინი ვერის ხიდისაკენ იცქირებოდნენ და ქალაქში ატეხილ სროლას გაფაციცებით ყურს უგდებდნენ. მათ კარგად იცოდნენ, იმ ღამით შეიარაღებული აჯანყება რომ იყო დანიშნული. სროლა ძლიერდებოდა. კორნელი წამოდგა, კედელს გაჰყვა და ისიც ფანჯარასთან მივიდა.

— მოშორდით ფანჯარას. ხედავთ, რა ახლოს გაიზუზუნა ტყვიამ! — უთხრა ამხანაგებს ტახტზე მწოლიარე მიტომ.

„შურს, ისიც ჩვენთან, ფანჯარასთან რომ არ დგას", გაიფიქრა კორნელიმ და წელმოწყვეტილი ძოშორდა ფანჯარას, ძლივს მიაღწია საწოლს და მიტოს გვერდით ტახტზე დაწვა.

— ჩემი ბრაუნინგი ვასო მარუაშვილმა წაიღო, ნეტავ კედიას აგენტი, ან გვარდიელი მაინც მოჰკლას ამაღამ, — უთხრა მან მიტოს.

— ამაღამ ჩვენები ყველანი ფეხზე დგანან, — გულდაწყვეტით მიუგო მიტომ, ეტყობოდა სწუხდა, ისიც რომ მათთან არ იყო. სროლა ისევ ძლიერდებოდა, მიტომ ყრუდ ჩაახველა. ნახველს სისხლი ამოჰყვა, ხველება არაადამიანურ ტკივილს ჰგვრიდა ნეკნებგატეხილ ვაჟკაცს. იგი მაინც გმირულად იტანდა ტკივილს.

— ნეტავ რა ამბავია ქალაქში? დააპატიმრეს თუ არა ჩვენებმა სახალხო სახლში შეკრებილი ჟორდანია და მისი მთავრობა — დაიძახა გურგენიძემ. ამასვე ფიქრობდნენ საპატიმროში გამომწყვდეული სხვა ბოლშევიკები და აჯანყების შედეგის გაგების მოლოდინში დილამდე თრთოდნენ და კანკალებდნენ, მაგრამ დილით ცუდი ამბავი გაიგეს მათ.

— . —

ნაცადი ხრიკი

„მენშევიკები იყვნენ მხეცური ნაციონალ-შოვინიზმისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა წაქეზების პოლიტიკის ორგანიზატორები".

ლ. ბერია.

სამხედრო სკოლაზე თავდასხმის ამბავი დილიდანვე ელვის სისწრაფით

მოედო ქალაქს. 4 მაისს დღის 12 საათზე სამხედრო სასწავლებელში ჟორდა-

ნია, რამიშვილი, გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი გიორგაძე მივიდნენ. მათ ქართული ჯარების სარდალი გენერალი კვინიტაძე, გენერალი ოდიშელიძე და სამხედრო სასწავლებლის უფროსი, პოლკოვნიკი ჩხეიძე მიეგებნენ.

მთავრობის წევრებმა სასწავლებლის ეზო, მახლობელი ქუჩები და მტკვრის ნაპირი დაათვალიერეს. მერმე მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილი და სამხედრო სასწავლებლის ქსენონში დადმოსვენებული იუნკრის-ზურაბ მაჩაბლის სანახავად გაეშურნენ.

საყინულე ვეება ყუთში ახოვანი, შავგვრემანი და ლამაზი ჭაბუკის გვამი იდო. ჭაბუკს ტანზე ყინულის ნამსხვრევები ეყარა. ჟორდანია და მისი მინისტრები საყინულეს ირგვლივ დადგნენ. მიცვალებულს მარცხენა ძუძუს ქვეშ ტყვიის მოლურჯო ნაჭდობი აჩნდა. გაკრეჭილ, პატარა, შავულვაშების ქვეშ ბაგეებზე ტანჯვის ღიმილი შერჩენოდა. ოთახში დიდი სიჩუმე და იდუმალება სუფევდა.

ჟორდანია მგლოვიარე სახით დაშტერებოდა ჭაბუკს, მხოლოდ ხანდახან გადაჭქონდა ფეხიდან ფეხზე ტანის სიმძიმე და მალმალე ამოძრავებდა მაღლა აჩეჩილ გამხდარ მხარს. პრეზიდენტი მეტად აღელვებული იყო და ფიქრობდა: „ბოლშევიკები აღარ გვეშვებიან. აჯანყებას გვიწყობენ, თავს გვესხმიან და ტყვიით გვიმასპინძლდებიან. ეს უკვე მეტისმეტია. დღეიდან ჩვენ აღარ დავინდობთ მათ. საკვირველია, მაშ რისთვის დაგვეთანხმა საბჭოთა რუსეთი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე? ნუთუ ქართველმა ბოლშევიკებმა არ იციან ეს? ნუთუ ისინი საბჭოთა რუსეთის დამოუკიდებლად მოქმედებენ? არაფერი არ მესმის“.

ჟორდანიამ გვიან შენიშნა ქსენონის ფანჯრებზე მოჯარული იუნკრები, ისინი ხან თავის მეგობრის ზურაბ მაჩაბლის გვამს უცქეროდნენ და ხან კიდევ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს. იუნკრები აღელვებული და უაღრესად აგზნებული იყვნენ. ერთადერთი მათი სურვილი იყო, თავდამსხმელთათვის და მეგობრის მკვლელისათვის როგორმე მიეკვლიათ, საკუთარი ხელით რომ გაეთავებინათ ისინი. ჟორდანიამ იუნკრების გაშტერებულ, აგზნებულ და მრისხანე სახეებს შეხედა და ზედ მათი ის სურვილი ამოიკითხა და მაშინვე მიხვდა, მისი ხელისუფლების ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენ ძალას ისინი რომ წარმოადგენდნენ. იგი ნაწყენი და სასოწარკვეთილი იყო იმ გარემოებით, რომ გვარდიამ არ გაამართლა მისი იმედები. მუშებიც უკვე აღარ იცდიდნენ გვარდიაში და იქ ბოლშევიკური გავლენა დღითიდღე უფრო იკიდებდა ფეხს, რეგულარული ჯარი, რომელიც უმთავრესად გლეხებისაგან შესდგებოდა, სრულიად არა საიმედო ყოფილა. სწორედ რეგულარული ჯარის ორმა ასეულმა 3 მაისს ღამით ჟორდანია და მისი მინისტრები სახალხო სახლში კინაღამ არ დააპატიმრა. იუნკრები ყველაზე ერთგული აღმოჩნდნენ. ჟორდანიას ახარებდა ეს გარემოება და იუნკრებისადმი მადლობის გრძნობა ებადებოდა. მოხუცი ერთბაშად შებრუნდა და გენერლებს — კვინიტაძეს, ოდიშელიძეს და პოლკოვნიკ ჩხეიძეს არყის ხის ქერისფერი, განცვიფრებული და უცნაური თვალები შეანათა და აღელვებულის ხმით უთხრა:

— შეჰკრიბეთ მოედანზე იუნკრები. ისინი რესპუბლიკის ერთგული და ყოჩაღი ჭაბუკები არიან. მე მინდა მადლობა გამოუცხადო მათ და ვესაუბრო.

გენერლებმა და პოლკოვნიკმა თვალზე ცრემლი შენიშნეს ჭაღარა პრეზიდენტს და ტანში გააჟრჟოლათ. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ჟორდანიას შენიშნა:

— იუნკრები უაღრესად აღშფოთებულნი არიან ბოლშევიკების თავდასხმისა და მათ მიერ მეგობრის მოკვლის გამო. მტკვრის ნაპირებამდე, დიდუბემდე მისდიეს ყაჩაღებს. კინაღამ თვითგასამართლება არ მოუწყვეს ქალაქში საეჭვო პირებს. ძლივს შემოვრეკეთ სასწავლებელში...

იუნკრები და უნტერ-ოფიცერთა ათასეულის ჯარისკაცები პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ეზოში ოთხკუთხედათ დააყენა. მთავრობის წევრები, სარდალი და გენერალი ოდიშელიძე იმ ოთხკუთხედის შუა ალაგას გაჩერდნენ. პოლკოვნიკი ჩხეიძე კი იუნკრების მწყობრის მარჯვენა ფრთის თავში.

— ოუნკრებო და უნტერ-ოფიცრებო, — დაიწყო ჟორდანიამ. იგი აღელვებული იყო და ყოველ სიტყვაზე ენა ებმებოდა: — მადლობას ვუცხადებ გმირსა და მამაც ოფიცერს, თქვენ უფროსს, პოლკოვნიკ ჩხეიძეს, რომელიც ბოლშევიკ ყა.. ყა.. ყაჩაღთა თავდასხმის დროს არ დაიბნა და მარტო შეებრძოლა მომხდურთ და ერთი მათგანი მო... მო... მოჰკლა და ერთიც დაჭრა, მადლობას გიცხადებთ თქვენ, შვილებო, ვინც უიარაღოდ შეებრძოლეთ ყა... კა... ყაჩაღებს, გააქციეთ ისინი საძინებელ ოთახებიდან და მერე იარაღით ხელში მისდიეთ მათ. სირცხვილი მეხდალებს, მო... მო... მორიგე ოფიცერს, გუშაგთა გამრინებელს, დარაჯებს, რომლებმაც თავდასხმის დროს იარაღი ჩააბარეს და თავი არ შეაკლეს ყა... ყა... ყაჩაღებს. ყველა ისინი დაპატიმრებული და პასუხისგებაში არიან მიცემულნი. მადლობას გიცხადებთ თქვენ, შვილებო, სამშობლოს ერთგულებისათვის. ჩვენ ფიცსა ვდებთ ბოლშევიკ ყა... ყა... ყაჩაღებთან ბრძოლაში დაღუპულ მამაც ვაუკაცის ცხედრის წინაშე, რომ ამიერიდან არ დავინდობთ და ჩვენს მიწა-წყალზე არ გავაჭაჭანებთ საქართველოს რესპუბლიკის მტრებს.

კიდევ დიდხანს ილაპარაკა ჟორდანიამ და რაც მას ბოლშევიკების მისამართით ცილისწამება, ლანძღვა-გინება, წყევლა და კრულვა უთქმელი დარჩა, — შინაგან საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა შეავსო.

მაღალმა, გამხდარმა, ფერმკრთალმა და იეზუიტის მსგავსმა შავწვერა კაცმა თხელი, უსისხლო, დამცინავი და გესლით სავსე ბაგე გახსნა და დემაგოგიითა და ეროვნული შუღლით სავსე სიტყვები ამოანთხია.

მიუხედავად იმისა რომ სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმა ყოფილმა ქართველმა მხედრებმა, ქართველმა მუშებმა მოაწყვეს, რამიშვილმა ისინი სომხებად, ოსებად და ებრაელებად გამოაცხადა. ქილარჯიშვილი ქილარჯიანცად მონათლა, ბეგიშვილი ბეგიევად და ასე შემდეგ.

5 მაისს, მენშევიკების გაზეთში „ერთობაში“ სამხედრო სასწავლებელზე თავდამსხმელთა, ვინმე ერგმიანცის მუშეგიანცის და ბრძიანცის მიმართ სამხედრო სასამართლოს განაჩენი—სიკვდილით დასჯა და მისი სისრულეში მოყვანა გამოქვეყნდა. ნამდვილად არავითარი ერგმიანცი, მუშეგიანცი და ბრიანცი სამხედრო სასამართლოს, რომლის თავმჯდომარე ესტატე მაყაშვილი იყო, არ გაუსამართლებია. ისინი სინამდვილეში არ არსებობდნენ, მენშევიკებს ეს ხრიკი და პროვოკაცია იმისათვის დასჭირდათ, რომ ფართო საზოგადოებისათვის ეცნობებინათ, თითქოს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ წინააღმდეგ არა ქართველი მუშები და გლეხები იბრძვიან, აჯანყებას არა ქართველი ბოლშევიკები ასულდგმულებენ და ცხოვრებაში ატარებენ, არამედ გარედან მოსული უცხო პირები და ძალებიო. ერგემლიძე ბათუმიდან გამოწვეულ სიღნაღის მცხოვრებ ერგემიანცად იქცა, შამუგია — ყარსიდან ჩამოსულ მუშეგიანცად და ეძიაშვილი კი ალექსანდროპოლიდან ჩამოსულ ბრძიანცად. ესა და სხვა ამგვარი ხრიკები, პროვოკაცია, დემაგოგია, საზიზღარი ცილისწამება და ყალბი დოკუმენტების ფაბრიკაცია შინაგან საქმეთა მინისტრის რამიშვილის და მისი საგანგებო რაზმის უფროსის კედიას დეპარტამენტებში მზადდებოდა, ითხზებოდა და ითითხნებოდა. მენშევიკები ამ გზით ცდილობდნენ ამიერკავკასიაში მობინადრე ერების მუშათა ინტერნაციონალური კავშირის გაწყვეტას და ქართველ მუშების შეგნებაში ნაციონალიზმის შხამის დანერგვას. მენშევიკებს ამ საქმეში არ ჩამორჩებოდნენ სომეხი დაშნაკები და აზერბაიჯანელი მუსავატელები.

3 მაისს აჯანყების ჩავარდნის გამო სამხარეო კომიტეტი მენშევიკების პროვოკაციის წინააღმდეგ ახალთადარიგს და ახალ აჯანყებისათვის საეზადისს შეუდგა მაგრამ თბილისში ხმა გავრცელდა, მენშევიკურმა საქართველომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დასდო. ეს ხმა მართალი აღმოჩნდა.

—.—

ბედოვლათი ელჩი

„საქართველოს მთავრობა ისევ განაგრძობს მეფეობას და ვერ გადაუწყვეტია, საითკენ გადაიხაროს — ჩვენკენ თუ ანტანტისაკენ".

ს. კირო ვ.

1

სამოქალაქო ომში წითელი არმიის გამარჯვებამ მენშევიკებს თავგზა დაუბნია. ისინი უდიდეს ძიშს გახიცდიდნენ, როდესაც ხედავდნენ, თუ რა ენთუზიაზმით ეგებებოდნენ საქართველოს მშრომელი მასები რუსეთის კონტრრევოლუციის დარბევას და წითელი არმიის საქართველოს საზღვრებთან მოახლოვებას. ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მენშევიკურმა მთავრობამ აშკარად იგრძნო თავისი აღსასრულის მოახლოვება. მას ეშინოდა საქართველოში ბოლშევიკური აჯანყებისა, რომ ამით საბაბი არ მისცემოდა წითელ ჯარს აჯანყებულთა დასახმარებლად. ამიტომ მენშევიკურმა მთავრობამ თვითონ გადასწყვიტა საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების დაწყება. ამ მიზნით, აპრილის შუა რიცხვებში მან ფარულად გააგზავნა მოსკოვში დელეგაცია დამფუძნებული კრების წევრის, გრიგოლ ურატაძის მეთაურობით.

შავგვრემანი და გამხდარი კაცი — გრიშა ურატაძე წინათ მუდმივი სტუდენტი იყო. იგი ნოქარსა ჰგავდა. გახუნებული პალტო, უვარგისი კოსტიუმი ეცვა და. ხელში ძველი, თხელი პორტფელი და პატარა ჩემოდანი ეჭირა. ასე ჩავიდა იგი მოსკოვში კურსკის სადგურზე და სასტუმრო „ევროპაში" დაბინავდა. მას მასავით უცოდინარი და ბედოვლათი ორი მრჩეველი ახლდა. ასეთი იყო მენშევიკური საქართველოს მიერ საბჭოთა რუსეთში წარგზავნილი დელეგაცია, რამაც საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი და მისი მოადგილე შეტად გააოცა.

წვერულვაშიანი, გამხდარი საგარეო საქმეთა კომისარი ბრწყინვალე დიპლომატი, მუსიკოსი და დიდათ განათლებული კაცი რევოლუციამდე ემიგრაციაში ცხოვრობდა. იგი სოც. დემოკრატიულ მუშაობისათვის გერმანიიდან გაძევებულ იქნა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ინგლისის მუშათა კლასის მოძრაობაში. საგარეო საქმეთა კომისარი, ისე როგორც მისი მოადგილე კარგად იცნობდნენ ქართველი მენშევიკების გამცემლობას, ორპირობას, სულმდაბლობას და მათ ფლიდურ და მუხანათურ პოლიტიკას. ამიტომ მენშევიკური საქართველოს დიპლომატია ძათთვის დიდი ხნის წინათ გაშიფრული ძველი და უკვე წაკითხული წიგნი იყო.

მენშევიკურ საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით ძლიერ დაინტერესდნენ თვითონ ლენინი და სტალინი. საქართველოს ელჩთან მოლაპარაკების დაწყებამდე ლენინმა საგარეო საქმეთა კომისარს და მის მოადგილეს უთხრა:

— სანამ საბჭოთა რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე სუსტ ძალას წარმოადგენდა, ქართველი მენშევიკები ანტანტას ეკედლებოდნენ, ინგლისსა და დენიკინს ემხრობოდნენ და ბოლშევიკებს ებრძოდნენ. როდესაც საბჭოთა რუსეთმა მოლონიერება იწყო, ისინი ხალხს ატყუებდნენ: რუსეთის სამოქალაქო ომში ჩვენ „ნეიტრალიტეტს" ვიცავთო. ხოლო ახლა, როდესაც რუსეთის ბოლშევიკებმა მტრები მოვიგერიეთ, სამხრეთ რუსეთში, ჩრდილო კავკასიაში და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და წითელი არმია საქართველოს საზღვრებთან დადგა, შეშინებული მენშევიკები მოსკოვში თავის რწმუნებულს გვიგზავნიან და მისი პირით გვარწმუნებენ: ჩვენ ვცნობთ თქვენ ძალას, ვცნობთ საბჭოთა რუსეთს, საბჭოთა რუსეთთან საქართველოს მეგობრობა და სამშვიდობო ხელშეკრულების დადება სურსო.

საგარეო საქმეთა კომისარი ურატაძეს უმტკიცებდა, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის არა ანტანტასთან, არამედ საბჭოთა რუსეთთან კავშირის

მომხრეა და ეს კავშირი საქართველოსათვის ბედნიერების მომტანიაო.

ურატაძემ რსდმპ-ის ტრადიციებზე ალზრდილ, რუსეთზე ორიენტაციის მომხრე კაცად მოაჩვენა თავი კომისარს. ამის შემდეგ შედგენილ იქნა საზავო პირობების გამომუშავებელი კომისია. მუშაობის პროცესში, კომისარი, რომელიც მსოფლიო ჟურნალისტიკის, გაიძვერა, ჭკვიანი და ეშმაკი ინგლისელის ჩერჩილის დიპლომატიურ ხერხს ხსნიდა და ჰკვეთდა, მალე დარწმუნდა მენშევიკური საქართველოს დიპლომატის უმეცრებაში. ქართველ დიპლომატიურ მისიასთან მუშაობა შემდეგში კომისარმა თავის მოადგილეს მიანდო და საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებასაც კომისრის მოადგილემ მოაწერა ხელი.

—.—

ახალი მდგმურები

„არ გათეთრდები, ყორანო,
რაც უნდა გხეხონ ქვიშითა".

ანდაზა.

1

საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება 7 მაისს დაიდო. ამ ხელშეკრულების ძალით მენშევიკები ვალდებული იყვნენ კომუნისტური პარტიის ლეგალიზება მოეხდინათ, საპატიმროებიდან ყველა ბოლშევიკები გაენთავისუფლებიათ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მეომარ თეთრ არმიისათვის არავითარი დახმარება არ გაეწიათ.

მიუხედავათ ამისა, გამოძიებისა და გასამართლების გარეშე საპატიმროებში ათასობით ბოლშევიკები იტანჯებოდნენ.

კორნელი მხეიძე და მიტო ჩიკვაიძე საპატიმროს საავადმყოფოში გადაეყვანათ. ეს კორნელის ძმის პროფესორი ევგენი მხეიძის ასისტენტს სიკო მოსეშვილს მოეხერხებინა.

დეიდა ელენეს, დათას, მაროს, კუკური ზარანდიას და თვით გაქექილი ქალის — მარგარიტა ლეტიცის ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა და კორნელი და მიტო მხოლოდ 1 ივნისს გაათავისუფლეს.

საპატიმროს საავადმყოფოდან გამოსულ, ფერმკრთალ, გამხდარ და გალახულ კორნელის შინ ახალი მდგმურები დაუხვდა: ზორბა, მაღალი და ღიპიანი აზერბაიჯანელი მრეწველი და გამხდარი და ბაიასავით გაყვითლებული რუსი ოფიცერი.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბათუმში გაქცეულ ბოგოლიუბოვის და მისი ცოლის ოთახში დეიდა ელენეს ის გამხდარი და გაყვითლებული რუსი ოფიცერი ჩაესახლებინა, ხოლო აზერბაიჯანელი მრეწველისათვის კი სასტუმრო დაეთმო.

1916 წლიდან 1918 წლის იანვრამდე დათა მიქელაძე ბაქოს გიმნაზიის ინსპექტორად მსახურობდა. ის და მისი მეუღლე ელენე ბაქოში, როგორც რუს, აგრეთვე აზერბაიჯანულ მდიდარ და წარჩინებულ ოჯახების სასურველი სტუმრები იყვნენ. ეშხიანმა, ხორცსავსე, კარგი პატივით ჩასუქებულმა და „კულტურულ ხალხში" ტრიალისა და აშიკობის მოყვარულმა ელენემ მაშინვე მიიპყრო ნავთის მრეწველთა ნაგიევის და ვიზიროვის ყურადღება. ელენე ეშმაკურად მილულავდა და მერმე ერთბაშად მიანათებდა მოცისფრო, შუქიან თვალებს ზორბა და ღიპიან ნაგიევსა და ვიზიროვს და ამათაც, ისედაც ღაჟღაჟა ლოყებზე ალმური ედებოდათ. დაშაქრულ თვალებს ნაბავდნენ, მოოქრულ კბილების რკალს აჩენდნენ და მსუქან და მსუნაგ ბაგეებს ილოკავდნენ, თითქოს ხვადი კატა მსუყე ძეხვის ჭვრეტით ღიზიანდებაო. ანსაკუთრებით გულიმ რიზა ხან ნაგიევი იხიბლებოდა ელენეს ეშხით. კეკლუცობითა და ლაზათით და მას და მის მეუღლეს დათას თეატრში, კონცერტებზე, რესტორანში და შინ ჰპატიჟებდა. მდიდ-

რულად უმასპინძლდებოდა და ელენეს „იაბი ხანუმს“ (ცარგ ქალს) ეძახდა. ელენე ნაგიევის ცოლს, უხეშ და მოღალატე ქმრის ხელში გალეულ ერთ გამხდარ ქალს — ზაირას დაუმეგობრდა. ელენეს მეტად შურდა ნაგიევის, ვიზიროვის და სხვა მრეწველთა მდიდრული, ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება, მაგრამ იმ მდიდარ მრეწველთა ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ნაგიევი, ვიზიროვი და სხვა მრეწველნი თავზარდამცემი ამბების მოწმენი შეიქმნენ. მუსავატელების წინააღმდეგ აჯანყებულ ბაქოელ მუშების დასახმარებლად აზერბაიჯანის დედაქალაქში 1920 წლის 28 აპრილს, ღამით წითელი ჯავშნიანი მატარებელი შევიდა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

კიროვის მეთაურობით, აზერბაიჯანელი კომუნისტები მაშინვე შეუდგნენ მშრომელ გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემას, რაც ბეგებისა და ხანებისათვის ლახვრის ჩაცემას მოასწავებდა. მეორე ლახვარი თავს დაატყდათ მსხვილ კაპიტალისტებს. ბაქოს ნავთი, რომელიც ესოდენ იზიდავდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ხალხის საკუთრებად იქნა გამოცხადებული. კიროვის მიერ დასახული ეს ღონისძიებანი ჩქარის ტემპით და ღირსეულად გაატარეს ცხოვრებაში აზერბაიჯანელმა კომუნისტებმა. ბაქოს მრეწველნი ირანში, საქართველოში, თურქეთში და ევროპაში გაიქცნენ, ხოლო ბაქოს, გროზნის და გურევის ნავთმა კი საბჭოთა რუსეთისაკენ იწყო დენა და ხელი შეუწყო საბჭოთა ქვეყნის დაკნინებულ და დაცემულ მრეწველობის გამოცოცხლებას და აღორძინებას.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნაგიევი და ვიზიროვი განჯაში ჩავიდნენ, მაგრამ მალე განჯაშიაც დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და მათ ახლა თბილისს მიაშურეს და თავისი ქართველი მეგობრები — ბაქოს გიმნაზიის ყოფილი ინსპექტორი დათა მიქელაძე და მისი ცოლი ელენე მოსძებნეს. რადგან ბაქოში ყოფნის დროს დათა და ელენე ნაგიევისაგან და ვიზიროვისაგან მეტად პატივნაცემი იყვნენ, ამიტომ ქართველ სტუმარ-მასპინძლობას არ გადააბიჯეს და ბაქოელ ლტოლვილთ თავისი სასტუმრო ოთახი შესთავაზეს. ბაქოელ მრეწველები ცოლ-შვილით ჩამოსულიყვნენ. ნაგიევი თავისი ცოლით ზაირათი და პატარა ქალ-ვაჟით დათა მიქელაძესთან დაბინავდა, ხოლო ვიზიროვი ნაგიევმა თბილისში მცხოვრებ ერთ თავის მეგობარ, ირანელ ვაჭრის ბინაზე მოაწყო.

ვიზიროვი ნაგიევზე უფრო უხერხო და უფხო იყო. იგი ხშირად დაიარებოდა ნაგიევთან რჩევა-დარიგებისათვის. ვიზიროვი მარტო როდი მოდიოდა ნაგიევთან. მას თბილისში მცხოვრები მუსულმანი მეგობრები, ნაცნობები მოჰყავდა და დათა მიქელაძის სასტუმროში ისეთი უცხო, ხმამაღალი ლაპარაკი და ყაყანი ისმოდა, გეგონებოდათ შეითანბაზარი და მისი ყაფანი იქ გადმოუტანიათო. ელენეს მზარეულ ქალს კატიას დილიდან საღამომდე მზად ჰქონდა მათთვის ადუღებული წყალი, ჩაი და თურქული ყავა. როდესაც სუსტი და დალეული ქალი — ზაირა თავისი ბავშვებით ქალაქში, ხოლო ჭიგოსავით დალეული და ხრიკიტარა დათა მიქელაძე საუზმის შემდეგ გიმნაზიაში წავიდოდნენ, მაღალი, ზორბა და ღიპიანი ნაგიევი დროს იხელთებდა და მოულოდნელად მოვიდოდა შინ. კორსეტში ართახებით გაკრულ, მკერდაფუებულ და კოხტაობის მოყვარულ ელენეს საჩუქრებს მიუტანდა და ოთახიდან ოთახში, დერეფანში და სამზადშიაც კი აჩრდილივით უკან დასდევდა, როგორც იალაღიდან ჩამოსულ და უხეირო ჩობნის ფარიდან მოწყვეტილ, გასუქებულ ცხვარს მელის ქურქში გახვეული მგელი, მგელი, რომელიც იმედოვნებს, იქნებ მელის ქლესაობით, თილისმით, ხერხითა და ეშმაკობით მგელს ცხვრისგან მგლის არჩივი მერგოსო, მაგრამ უხეირო ჩობნის ცხვრის შესაჭმელად მგელს მელის ქურქი და ეშმაკობა სულაც არ ეჭირვება.

2.

ერთხელ დედის საძინებელ ოთახიდან კორნელის ხმაურობა და სკამის დაცემის ხმა შემოესმა. იგი ჩქარი ნაბიჯით გაიჭრა დერეფანში, საბაზანო გაიარა, მოულოდნელად შეაღო საძინებელი ოთახის კარები და თავზარი დაეცა. მუხლებზე დავარდნილი, ზორბა და ღი-

პიანი ნაგიევი ელენეს' ფეხებზე მოჰხვეოდა.

— რასა შვრებით? ადექით. ახლავე წადით აქედან, — უყვირა ნაგიევს გაბრაზებულმა ელენემ. დარაიას კოსტიუმში გამოწყობილი, ლაიკისტუფლებიანი მრეწველი წამოიჭრა. იგი გაფითრებული იყო, ძლივს სუნთქავდა, ჩიჩვიანი ცხენსავით დაჰკიდებოდა, მსუქან სახეზე ოფლი ცვარცვარად ჩამოსდიოდა. შავი, ფართო, ხშირი და შეერთებული წარბები ვიწრო შუბლზე აძგიბა, ძუშტისოდენა შეშინებული თვალებით კორნელის მიაშტერდა და მერმე ოთახიდან გაიქცა. კორნელი ისევ თავზარდაცემული იდგა კარებში.

— გაგიჟდა ის ოხერი. სულელი, სულელი, — იძახდა დაბნეულად საქციელწამხდარი ელენე და კაბას და თმას ისწორებდა.

— რად არ გააწან სილა? — ჰკითხა გაფითრებულმა დისწულმა.

— რა ვუყო? ჭკუა დაკარგა. დაიცა, მე მას წავუკითხავ საიმისო ნოტაციებს.. სულელი, სულელი,—ისევ დაბნეულად იძახდა ელენე.

— მგლის თავზე სახარებას ამაოდ წაიკითხავ, — შენიშნა კორნელიმ.

— მაშ რა ვუყო?

— თუ შენ უძლური ხარ, შეურაცხყოფისათვის პასუხი აგებინო ღიპიან ყასაბს, მაშინ მე მომეცი უფლება...

— რა მოგვიდა, კორნელი? დამშვიდდი... სკანდალი რა საკადრისია, გინდა თავი მომჭრა! კაცი ჭკუაზე გადაცდა და სისულელე ჩაიდინა. რა მოხდა მერმე?

— როგორ თუ რა მოხდა, დეიდა? — გაშტერდა კორნელი, — დღესვე გადავიდეს აქედან ის არამზადა, თორემ ღორსავით ყელს გამოვჭრი, შაშხანით ჩავაძაღლებ.

ელენეს გულისცემა აუვარდა და ელდა ეცა. „გამოუცდელი, შეურყვნელი, ამპარტავანი და ჩხუბისა და ყაილის მოყვარული ეს ჩემი დისწული ნამდვილად დამღუპავს," — გაიფიქრა ელენემ და კორნელის უყვირა:

— როგორ თუ ჩააძაღლებ! რას ამბობ, შეიშალე? მიუხედავად იმისა, რომ შენ მწერალი და ნაკითხი კაცი ხარ, მაინც ველური კაცივით მსჯელობ და ირჯები. შენ კულტურულ და ინტელიგენტურ საზოგადოებაში, გეტყობა, არ გიცხოვრია. იქ შენსავით, რადი იქცევიან. მუდამ ვამბობდი, და ახლაც ვიმეორებ: კულტურულ, ინტელიგენტ და არისტოკრატ კაცთან შიმშილი გერჩიოს უკულტურო და პროვინციელთან ცხოვრებას და ოქროში ჯდომას. რა ჭირად მინდა ვიღაც უკულტურო ბაქოელი მრეწველი!!

ელენე მუდამ კულტურული, არისტოკრატული და ინტელიგენტი ადამიანებით და მათ წრეში ტრიალით იკვეხნიდა, თვითონ კი კულტუროსნობისა და არისტკორატობის ნიშანწყალიც არ ეცხო. კორნელიმ ტუალეტზე, სახურავახდილ დიდ კოლოფში ჩადებული ოქროს სამაჯური დაინახა და დეიდას გესლიანად ჰკითხა:

— კულტურულ საზოგადოებაში, ქმრის ზურგს უკან, ქალები მამაკაცებისაგან საჩუქარს იღებენ და მერე იმ საჩუქრის საფასურში თავის ბილწ სიყვარულს სთავაზობენ?

— კმარა, — შესძახა ელენემ და სახეზე ცეცხლი წაეკიდა. — რა ჩემი ბრალია, კაცს თუ მოვეწონე და საჩუქარი მომიტანა? რა ვუყო?

— რა უყო? — ჰკითხა მოთმინებიდან გამოსულმა დისწულმა. — აიღე ეს სამაჯური, დინგში მიახეთქე იმ ღორს, საზიზღარ ცხოველს და ბინიდან გააგდე.

— მე არ შეძიძლია ეს გავაკეთო. გიმეორებ: კულტურულ ხალხში ასეთი რამ მიუღებელია.

დეიდას პირში „ინტელიგენტი", „არისტოკრატი", „კულტურული" დაცინვად ისმოდა. კორნელის იმ სიტყვების მოსმენა უკვე აღარ შეეძლო. იგი აენთო:

— მაშ მიიღე ეს საჩუქარი და უფლება მიეცი იმ ცხოველს ფეხებზე მოგეხვიოს...

— გაჩუმდი, — ისევ შესძახა დეიდამ კორნელის და ისევ ალი წაეკიდა სახეზე. — არაფერიც არ ყოფილა... ფლირტი კულტურულ საზოგადოებაში მიღებულია.

— არა, არ გავჩუმდები, — ურჩობდა დისწული, — არა გრცხვენია, დეიდა? რომელ კულტურულ საზოგადოებაზე ლაპარაკობ! რა დროს შენი ფლირტი, აშიკობა და კოხტაობაა? ორმოცდაათ წელს მიღწეული ქალი ხარ.

ელენეს საშინლად ეწყინა დისწულის სიტყვები. მწუხარებისაგან სახე ერთთავად დაეღრიჯა. უკვე ჭკნობაშეპარული ღაბები მეტად ჩამოეკიდა. იგი როგორღაც მოეძვა, თითქოს უეცრად დაბერდა, მკერდში სატევარი ჩასცეს და წვერით მის გულს შეეხენო. წელმოწყვეტილი და განადგურებული ქალი ნელა დაეშვა სკამზე სარკის წინ. შიგ ჩაიხედა და მერმე კორნელის ცრემლმორეული ხმით მიუგო:

— ჯერ ერთი, მუსულმანი, ჩამორჩენილი და სოფლელი ქალი ხომ არა ვარ, მამაკაცის დანახვაზე სახეზე ჩადრი რომ ავიფარო, ოთახში გავიქცე და იქ ჩავიკეტო... მეორეც, შენ ძალიან ცდები. მე ჯერ ორმოცდახუთი წლისაც არა ვარ და ჩემში ქალური ვნებები ჯერ სრულიადაც არ ჩამქრალა.

ელენემ ამყად ასწია ახლა თავი. თმები შეისწორა, წელში გაიმართა, მკერდი ამოზიდა და მისი ასაკისათვის შეუფერებელი გამომეტყველებით შეხედა დისწულს.

კორნელის შერცხვა, თვალი ვერ გაუსწორა, თავი ჩაჰკიდა და სასოწარკვეთილის ხმით შენიშნა:

— შენ ისე იქცევი და ლაპარაკობ, დეიდაჩემო, რომ ლამის ქალთა მთელი მოდგმა შევიძულო. გრცხვენოდეს, გრცხვენოდეს, დეიდა.

როგორც დედა, აგრეთვე დეიდაც ზნეობის, სიწმინდის და სათნოების განსახიერებად მიაჩნდა კორნელის და ახლა ის რწმენა უცრეცდებოდა. იგი შებრუნდა, სწრაფად წავიდა და სასტუმრო ოთახის კარებზე დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა. მაშინ მან კარები შეაღო და სასტუმროში შევიდა.

ზვინისოდენა კაცი მოშვებულ ტომარივით ეგდო სავარძელში და ლოყებგაბუშტულ და გატრუსულ ვეება სახეს ბალდადით იწმენდდა. ფეხები, რომლებზედაც ბალღის კუბოსოდენა ლაიკის ტუფლები ეცვა, წინ გაეშვირა და ღიპი, მძიმე, სუნთქვის გამო, საპალნისოდენა ტიკივით ერხეოდა.

ნაგიევი წამოდგა, დარაიის პოჯაკი გაისწორა. ნახშირივით შავი, ხშირი და ვეზად გაწოლილი, შეერთებული წარბები ვიწრო შუბლზე ისევ აძგიბა და შავი, უზარმაზარი, შეშინებული თვალებით შეხედა კორნელის, ძალისძალად გაუღიმა და სავარძელში დაჯდომა შესთავაზა. კორნელიმ შუბლი შეიჭმუხნა და მკაცრად ჰკითხა:

— მოქალაქე ნაგიევო, სად გგონიათ თქვენი თავი: წესიერ სახლში თუ ჰარამხანაში?

— აჯან, — ჰკითხა აზერბაიჯანელმა მრეწველმა, თითქოს კორნელის სიტყვები ვერ გაიგოო. თავი შეაბრუნა და ბანჯგვლიანი, ვეება ყური კორნელის მიუშვირა.

— აჯან, ქაჯან მე არ ვიცი, — მიუგო კორნელიმ და თავის შეკითხვა ისევ გაუმეორა.

ნაგიევი შეშინდა, გაფითრდა და თავი ჩაჰკიდა, კორნელი ზიზღით უცქეროდა სხვათა შრომით ოფლით გაძღიდრებულ, კარგი პატივით გასუქებულ და ქონით გაფუებულ მრეწველს, რომელიც ფულით აპირებდა ადამიანის ღირსების, ნამუსისა და სიყვარულის ყიდვას.

— ახლავე მოიხადეთ ბოდიში დეიდის და ჩემს წინაშეც, თორემ ბაქოდან თბილისში უვნებლად ჩამოტანილ ვირის თავს გაგაგდებინებ. — თვალები დაუბრიალა კორნელიმ, ხელი კისერზე გაისვა, თავს გაგაგდებინებო ანიშნა და აზერბაიჯანულად უთხრა: — სანინ ბაშ მაჰ ოლურ (შენი თავი დაიღუპებაო). აზერბაიჯანული რამდენიმე სიტყვა, უფრო კი გინება კორნელის, გიმნაზიაში კლასის ამხანაგებმა მამედოვმა და ალიევმა ასწავლეს.

ნაგიევს კანკალი დააწყებინა. კორნელიმ სასადილო ოთახში შეახვედრა ნაგიევი დეიდას, ზეზეულად გათავებულმა მრეწველმა ბოდიში მოიხადა. ამის შემდეგ კორნელი დამშვიდდა, თითქოს ნაგიევის ბოდიში უშველიდა დეიდის შერცხვენას და წამხდარ რეპუტაციას.

ნაგიევი დათა მიქელაძის ბინიდან იმ დღესვე გადავიდა, რაც სრულიადაც არ შედიოდა ელენეს გეგმაში, ფლირტისა, კოხტაობის და აშიკობის საშუალებით ელენე მრეწველის ხელში ჩაგდებას და მისგან რაც შეიძლება მეტ სარგებლის და საჩუქრის მიღებას აპირებდა. ეს გეგმა „გულუბრყვილო" კორნელიმ ჩაუფუშა დეიდას და სასურველი და საწველი მდგმური გაუქცია.

კორნელიმ დეიდას მეორე მდგმური, ყოფილი თეთგვარდიელი ოფიცერი, ალექსანდრე ივანეს ძე ლობაჩევსკიც დაუფრთხო და გაუქცია.

3.

ალექსანდრე დონის-როსტოვის მდიდარი მრეწველის ივანე ლობაჩევსკის შვილი იყო. ივანეს ცნობილ წისქვილებში და წარმოებებში პირველი ხარისხის ხორბალს ფქვავდნენ და თეთრ ფქვილს აშზადებდნენ, რომელიც მერმე მთელ რუსეთში და ევროპაში იგზავნებოდა. ივანე ლობაჩევსკის წარმოების ნიშანი— ხუთი ნული და პირველი ხარისხის ფქვილით სავსე პატარა ერთფუთიანი ტომარი განთქმული იყო მთელ მსოფლიოში. ივანემ თავის შვილს ალექსანდრეს ბელგიაში დაამთავრებინა ინსტიტუტი. ალექსანდრე ქიმიკოსი იყო. იგი მამის წარმოებაში მუშაობდა. 1915 წელს ჯარში გაიწვიეს. ალექსანდრემ სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და პორუჩიკის წოდებას მიაღწია. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი დენიკინის მოხალისეთა არმიაში შევიდა. წითელ არმიის მიერ დონის-როსტოვის აღებისა და მოხალისეთა ლაშქრის დარბევის შემდეგ ალექსანდრე თეთრი არმიის ნაწილებთან ერთად სამხრეთ რუსეთისაკენ იხევდა. გზაზე პარტახტიანი ტიფი შეეყარა. ახლად მორჩენილი ოფიცერი თეთგვარდიელ სამხედრო პირთა იმ დიდ ჯგუფში შედიოდა, რომელიც ნოვოროსიისკიდან ფოთში გემებით ჩამოვიდა, ეს ჯგუფი 8 ათას კაცისაგან შესდგებოდა.

ალექსანდრე ლობაჩევსკი გამხდარი, ტანადი და მეტად შავგვრემანი კაცი იყო. მას გიშერივით შავი თმა, თვალები, ძლივს შესამჩნევი, ბოლოებში უფრო მოზრდილი და დაშვებული, პატარა ულვაშები, ამოზიდული ყვრიმალის ძვალი და სახეზე მიჭყლეტილი, გაბუშტული ცხვირი ჰქონდა. იგი მონგოლსა ჰგავდა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძალზე გამხდარიყო, ნაღველი ჩაქცეოდა, სიყვითლე მთელ ტანზე მოსდებოდა და სახე და თვალის გუგებიც ბაიასავით გაჰყვითლებოდა. ალექსანდრე ოცდახუთმეტი წლის კაცი იქნებოდა, გამხდარ და ტანკენარ ოფიცერს თმა გადაეპარსნა. კარგი ტანისამოსი, შავი კოსტიუმი, ლაიკის ტუფლები ეცვა და რუსული შავივე ქუდი ეხურა. გარეგნულად მაინც ვაჭრის შვილსა ჰგავდა. კომერსანტი — უფრო გეგონებოდათ, ვიდრე ინჟინერი. იგი თბილისში ღვიძლსა და ნაღველს აქიმობდა და ვინ იცის კიდევ რას აკეთებდა!

ალექსანდრე ლობაჩევსკი პირველად ყველას უფრთხოდა, ეჭვის თვალით უცქეროდა და საუბარს ერიდებოდა... იგი, რატომღაც მხოლოდ კორნელის უღიმოდა, თავაზიანად ეპყრობოდა და ესაუბრებოდა. ერთხელ ოთახშიც ესტუმრა, მაგიდასთან დაჯდა, შაშხანა, ხმალი და ყუმბარის ცარიელი ვაზნა შეათვალიერა. მან იცოდა, კორნელი რომ ყოფილი ჯარისკაცი და ამჟამად სტუდენტი იყო.

— ბედნიერი კაცი ხართ თქვენ, — უეცრად მიჰმართა ლობაჩევსკიმ კორნელის.

— რათა? — გაოცებით ჰკითხა კორნელიმ.

— დღედაღამ მეცადინეობთ. დრო ბევრი გაქვთ. თქვენ ქვეყანაში სიმშვიდეა.

— ვითომ სიმშვიდეა?

— მაშ რა? საქართველოში ხომ სამოქალაქო ომი არ სწარმოებს?

— ვინ გითხრათ არ სწარმოებსო?

— აქაც იბრძვიან ბოლშევიკები?

— დიახ.

— ღმერთმა დაგიფაროთ, მათ რომ თქვენ ქვეყანაშიც გაიმარჯვონ, — ლობაჩევსკიმ ენა მოიკვნეტა. უნდობლად შეხედა და შეათვალიერა კორნელი.

— რათა? — ჰკითხა კორნელიმ ნაღველის ჩაქცევისაგან ბაიასავით გაყვითლებულ თეთრგვარდიელ ოფიცერს. ლობაჩევსკი სდუმდა. მერმე კორნელის თვალი გაუსწორა და შორიდან დაიწყო:

— დეიდათქვენმა, ქალბატონმა ელენემ მიამბო, რომ თქვენ მწერალი ყოფილხართ, განთქმული სპორტსმენი. არტისტების კლუბში, ქალის გამო, ერთ ვიღაც არამზადას მაუზერით დაუჭრიხართ.

— დეიდას მთელი ჩემი ბიოგრაფია უამბნია თქვენთვის. სხვა კიდევ რა გითხრათ? — ჰკითხა ღიმილით კორნელიმ. თავის წილ ლობაჩევსკიმაც გაუღიმა და მიუგო:

— სხვა კიდევ ისა, რომ თქვენ ჩინებული ადამიანების, აზნაურების შვი-

ლი ბრძანდებით. თქვენი ძმა, პროფესორი პარიზში მეცხიერულ მივლინებაში ყოფილა. და, აი ეს ჩინებული თქვენი ოჯახი, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, დაინგრევა, გაპარტახდება და დაიღუპება.

კორნელი სდუმდა და ფიქრობდა: ახლავე დავუწყო კამათი, თუ რაც ამოსანთხევი აქვს, ამოანთხიოსო. ლობაჩევსკიმ ჰკითხა:

— როდის მოელით პარიზიდან თქვენ ძმას?

— იგი აქამდეც უნდა ჩამოსულიყო.

— მე ძალიან მომეწონა საქართველო, მისი ბუნება. ქართველებიც კარგები ხართ, ჩინებულნი, მამაცნი, სწავლა-განათლების მოყვარულნი... მაგრამ, — მოულოდნელად დასძინა ლობაჩევსკიმ, — ქართველები ყველა ნაციონალისტები ყოფილხართ. თუ არ გაბრაზდებით, ერთ რამეს გეტყვით.

— ბრძანეთ.

— თქვენ ქართველებს რუსები გეჯავრებათ.

— ყველა ქართველს?

— უკლებლივ.

— რომელმა პროვოკატორმა ჩაგჩურჩულათ ეგ ზღაპარი, ასე დარწმუნებით რომ ლაპარაკობთ ყველა ქართველზე? თქვენ ხომ ქართველ მუშებთან, გლეხებთან, ქართველ ხალხთან არ გიცხოვრნიათ?! არც ერთი ერის ხალხს მეორე ერის ხალხი არ ეჯავრება. ხალხს ის ეჯავრება, ვინც მას უსამართლოდ ეპყრობა, ჩაგრავს, სტანჯავს და აწამებს, სულერთია, ვინც არ უნდა იყვნენ მისი მჩაგვრელები, მტანჯველები და ჯალათები — მშობლიური თუ უცხოური ადამიანები.

ლობაჩევსკიმ ეშმაკურად გაიღიმა და კორნელის ჰკითხა:

— თქვენ კომუნისტი ხომ არ ბრძანდებით?

— არა. ეგ რა შუაში არის!

— ისე. მინდოდა გამეგო, შეიძლება თუ არა თქვენთან გულახდილი საუბარი.

— მე ვფიქრობ.

— მაშ პირდაპირ გეტყვით: რუსები ამჟამად საქართველოში დევნას განიცდიან. ყველა ამას ამბობს.

— არ ვიცი, ვინ რას ამბობს, მაგრამ მეც პირდაპირ უნდა გითხრათ: თუ ამჟამად რუსები საქართველოში რაიმე დევნას განიცდიან, ამაში არა ქართველი ხალხი, არამედ მმართველი წრეები აგებენ პასუხს. ამავე დროს, რუსების დევნის შესახებ ჭორები მე ვიცი საიდანაც მომდინარეობენ, — შენიშნა კორნელიმ.

— საიდან? — ჰკითხა ლობაჩევსკიმ.

— საქმე ის არის — დაიწყო კორნელიმ, — რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მონარქისტ და ხულიგან რუს ოფიცერთა ერთი ნაწილი ძლიერ განაწყენებული დარჩა და ცდილობდა რაიმე ზიანი მიეყენებინა საქართველოსათვის. ბევრი იმ ოფიცერთაგანი ბოროტმოქმედებაში შეისწრეს, დააპატიმრეს და ზოგიც კიდევ გადაასახლეს. ამ პირთა სულიერი განწყობილება გასაგებია. გარდა ამისა, თბილისში წინათ უამრავი მოხელეები მსახურობდნენ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მრავალი დაწესებულების შემცირებისა და ლიკვიდაციის შემდეგ უადგილოდ დარჩნენ. მათ სალიკვიდაციო ფული მიეცათ, მაგრამ სიძვირის გამო, ის ფული მათ დიდხანს არ ეყოფოდა. ამ ჯგუფის უკმაყოფილება და სულიერი განწყობილებაც გასაგებია... აი, ზემოთაღნიშნულმა ოფიცრებმა და ამ ჯგუფმა გაავრცელეს ჭორი, თითქო ქართველები ყველანი ნაციონალისტები არიან და რუსებს დევნიანო. მიკვირს, თქვენც იმ ჭორს რომ იმეორებთ. ამჟამად რუსი ოფიცრები და განსაკუთრებით კი დენიკინის მოხალისეთა ლაშქრის ოფიცრები მენშევიკურ საქართველოში, ისე როგორც თქვენ, თავს კარგად გრძნობენ.

— ეს შესაძლებელია ასეც იყოს, — მიუგო დათმობაზე წასულმა ლობაჩევსკიმ კორნელის, — რუსეთში წინათ ჩვენს პოლკებში ბევრი ქართველი ოფიცრები მსახურობდნენ. მე ვიცნობდი ბევრ მათგანს. მათ შორის კარგი მეგობრებიც მყვანდნენ და უნდა მოგახსენოთ, ნაციონალისტობა მათში არ შემიმჩნევია. თუმცა, — ისევ მოულოდნელად დასძინა ლობაჩევსკიმ, — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ბევრი მათგანი ერთბაშად შეიცვალა. რუსეთის სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული და რუსეთის ჯარში ნამსახური ქართველი გენერლები და ოფიცრები ახლა თქვენი რესპუბლიკის იმპერიალისტურ ზრახვებს ერთგულად ემსახურებიან, ქარ-

თულ ჯარს წინ მიუძღვიან და ამჟამად უპატრონოდ მიტოვებულ, ოდითგანვე რუსეთის ნამდვილ მიწა-წყალს, მის ქალაქებს და სოფლებს იკავებენ.

— მაგალითად? — ჰკითხა კორნელიმ.

— სოჭს, ადლერს, ტუაფსეს, — მიუგო ლობაჩევსკიმ, — ერთხელ არმავირშიც კი გამოჩნდა თქვენი ჯარი, თქვენ სარგებლობთ იმით, რომ ამჟამად ჩვენ მარცხი განვიცადეთ, მაგრამ ეს ხომ ასე არ დარჩება! ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ და მაშინ საქართველოსათვისაც მოვიცლით. — ეს უკვე ნამდვილი მუქარა იყო, მაგრამ თეთრგვარდიელი ოფიცერი როლში შევიდა და ბოლომდე თქვა ის, რასაც ფიქრობდა. კორნელი ხელს არ უშლიდა: — სოჭსა და ტუაფსეს კი არა, გაგრას და სოხუმსაც ჩვენ რუსეთის ქალაქებად ვთვლით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმ ქალაქებში და მთელ კავკასიაშიც რუსი თავადების, გენერლების და რუსი ხალხის მილიონებია ჩაყრილი...

ლობაჩევსკიმ რაც ამოსანთხევი იყო, ამოანთხია და მერმე ჩამქრალ ვულკანივით დარჩა. კორნელი შეედავა:

— თქვენ რომ კაცმა ყური გიგდოთ, არამთც თუ გაგრა და სოხუმი, ფოთი და ბათუმი, არამედ თბილისი, ქუთაისიც თქვენია და ჩვენ ქართველები ალბათ სვანეთის მთებში უნდა გავიხიზნოთ... რაც შეეხება თქვეს მიერ საქართველოში და კავკასიაში ჩაყრილ მილიონებს, იგი მეფის რუსეთმა ასწილ უფრო მეტად დაიბრუნა.

— რატომ ამბობთ მაგას, იწყინა — ლობაჩევსკიმ, — მე სოჭსა და გაგრაზე მოგახსენებდით. ბოლოს და ბოლოს, გაგრის რაიონსა და საქართველოს შორის მთელი მხარე—აფხაზეთი ძევს, რომელსაც რუსეთის ფარგლებში სურს ყოფნა.

— საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობის საკითხი, — შენიშნა კორნელიმ, — ეს ჩვენი შინაური საქმეა. მას შემდეგში რუსი, ქართველი და თვით აფხაზი თავისუფალი მშრომელი ხალხი მოუვლის და, მოაგვარებს და არა ახლანდელი რუსი მონარქისტები და თეთგვარდიელები, ან ქართველი და აფხაზი ნაციონალისტები, თავადები და ოფიცრები.—კორნელი გაბრაზებას იწყებდა და ძალა აღარ ჰყოფნიდა, თეთრგვარდიელ ოფიცერთან დამშვიდებულ საუბრისათვის.

— მე ვერ გავიგე რას გულისხმობთ თქვენ სიტყვა „შემდეგში". თქვენი ქვეყანა ხომ თავისუფალი, დემოკრატიული რესპუბლიკა არის? — ჰკითხა ლობაჩევსკიმ.

— საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა არის, ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მესვეურთა — მეხშევიკების სიტყვით, საქმით კი — ბურჟუაზიული, იმპერიალისტური ინგლისის უღლის ქვეშ მყოფი ქვეყანა, — მიუგო კორნელიმ.

— პროლეტარული ხომ არ გნებავთ? — დაცინვით ჰკითხა ლობაჩევსკიმ.

— იქნების მნებავს, — მოუჭრა კორნელიმ და მრისხანედ შეხედა. ლობაჩევსკის გუგაგაყვითლებულმა თვალებმაც რაღაც ბოროტად გაიელვეს. მერმე ლობაჩევსკიმ თავი დაიჭირა და კორნელის ღიმილით უთხრა:

— თქვენ ალბათ მცდით... ილოცეთ, ჩემო კარგო იმისათვის, რომ საქართველოშიც ხელთ არ იგდონ ძალაუფლება ბოლშევიკებმა და კომუნისტებმა. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რანი არიან კომუნისტები. ისინი კულტურისა და ცივილიზაციის მტრები არიან. წარჩინებული, განათლებული, გმირი და იშვიათი ადამიანები, რომლებიც შავ მასაზე ერთი თავით მაღლა დგანან, ბოლშევიკებს არა სწამთ, ეზიზღებათ და ისინი მათ ხვრეტენ და ახრჩობენ, რათა ყველა იშვიათი ადამიანი, ამ გზით, ხალხის ერთ გარკვეულ დონემდე დაიყვანონ. კომუნიზმი ეს არის ყველასი და ყველაფრის ნიველირება.

— როგორი ზიზღით ლაპარაკობთ ბოლშევიკების, კომუნისტების შესახებ! ჩანს, რაღაც დიდი ჭრილობა და ზიანი უნდა მოეყენებინათ მათ თქვენთვის! — შენიშნა კორნელიმ.

ლობაჩევსკის საბჭოთა რუსეთი მოაგონდა, დონის-როსტოვში დაკარგული წარმოებები. თვალუწვდენი მამულები, სასახლე, მერე — წითელ არმიასთან ბრძოლა, დენიკინის ლაშქრის დარბევა, უკან დახევა, პარტახტიანი ტიფი, წამება... იგი ბრაზისაგან გაიგუდა და გაფითრდა. მის სახეს და თვალებს მეტი

სიყვითლე დაეტყო. ლობაჩევსკიმ კბილების ღრჭიალით მიუგო კორნელის:

— ზიანი და ჭრილობა თუ მოგაყენეს ბოლშევიკებმაო, მეკითხებით? ოხ, ბოლშევიკები, ისე როგორც ებრაელები, ჩვენ რუსებს ჯიგარში წურბლებივით შეგვიძვრნენ. გულ-ღვიძლს გვწოვენ... მოდი და, ამის შემდეგ, ნაღველი ნუ ჩაგექცევა!

„აი, პირწავარდნილი თეთრგვარდიელი ოფიცერი, ჭეშმარიტი თავისი სახით“, — გაიფიქრა კორნელიმ და ლობაჩევსკის უთხრა:

— დამშვიდდით, ალექსანდრე ივანეს ძევ. ასეთი აღელვება გავნებთ. ბოლშევიკების სიძულვილში ნერვები სულმთლად მოგშლიათ. — მერმე ჰკითხა: — რა დღეშია თქვენი ღვიძლის მკურნალობის საქმე? —

— მე თქვენი, ერთი ქართველი პროფესორი მკურნალობს, უკეთესობას ჯერ ვერ ვატყობ, — მიუგო ლობაჩევსკიმ და სახე ტკივილისაგან დაეღრიჯა. კორნელიმ უთხრა:

— თქვენ ისეთი გაუთავებელი ბრაზი და ნაღველი გახრჩობთ, რომ ნაღველის ჩაქცევა გასაკვირი არ არის. თქვენ ამ ბოლო დროს უფრო გახდით და სიყვითლეც უფრო მოგემატათ, ფრთხილად: ბოლშევიკებისადმი ზიზღი თქვენ საფლავში ჩაგიყვანთ.

კორნელიმ და ლობაჩევსკიმ თვალი გაუსწორეს ერთმანეთს და ორთავემ შიგ ერთმანეთისადმი ზიზღი ამოიკითხეს. ახლა ლობაჩევსკიმაც სცადა დაეგესლა კორნელი:

— არც თქვენ ჰგევხართ, მეგობარო, აგარაკიდან ჩამოსულს. ჭლექი არ შეგეყაროთ.

— მე ეს-ეს არის საპატიმროდან გამოვედი და გასაგებია, — შენიშნა კორნელიმ გესლნარევ ღიმილით.

— საპატიმროში რა გინდოდათ? რისთვის დაგაპატიმრეს? — ჰკითხა ლობაჩევსკიმ.

— ბოლშევიკურ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის, — მიუგო კორნელიმ.

— თქვენ ბოლშევიკი ხართ? — გაოცებით ჰკითხა ლობაჩევსკიმ. — თქვენ და ბოლშევიკი?

— სხვა გზა არ არსებობს მშრომელი ხალხის და პატარა ერების მჩაგვრელი და მოძულე, კაციჭამია თეთგვარდიელების, კაპიტალისტების და მემამულეების მოსასპობად, — მიუგო ბრაზით კორნელიმ. ლობაჩევსკიმ გაიფიქრა: „შეხედე, როგორ მღერის, სატანა“, — წაძოდგა და ბოდიში მოიხადა.

— ლაპარაკის და კამათის თავი აღარა მაქვს. საშინლად ამტკივდა ღვიძლი. წავალ ჩემს ოთახში და საწოლზე მივეგდები. ღვიძლზე ცხელი წყლით სავსე რეზინის ბუშტს დავიდებ. იქნებ ტკივილი დამიამდეს.

— თქვენ რეზინის ბუშტი-სათბური ვერ გიშველით. თქვენ ღვიძლში ადუღებული ტყვია უნდა ჩაგასხას კაცმა, — უყვირა კორნელიმ და ზიზღით შეხედა.

— რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ... — შეშინდა და აბუზღუნდა შავი, გამხდარი და ერთთავად გაყვითლებული კაცი. იგი გველივით დაიკლაკნა, ღვიძლზე წაივლო ხელი და ოთახიდან გავარდა. ოთახში რომ შევიდა, საწოლზე ნაცემ ძაღლივით მიეგდო. ჭერს შეშლილივით მიაშტერდა და გაიფიქრა: „მალე უნდა მოუსვა აქედან, თორემ ის კაცი ხიფათს შემყრის, სატანა! არა, მე ბოლშევიკთან ერთ ჭერქვეშ ვერ ვიცხოვრებ.“

ლობაჩევსკიც დეიდა ელენეს ბინიდან სულ მალე გადავიდა.

— მე იმ მახინჯ და ნაღველის ჩაქცევის გამო გაყვითლებულ თეთრგვარდიელ ოფიცრის გაჭყლეტილ და მოკლე ცხვირის გამოღადრულ ნესტოებში რომ კარგად ჩამეხედა, უთუოდ მის დამპალ ტვინს დავინახავდი, — უთხრა კორნელიმ დეიდას.

— რა უცნაური კაცი ხარ და რა უცნაური ლაპარაკი იცი, — მიუგო ელენემ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზიმ ჰიქმეთი

ლექსები ციკლიდან: „ზღვის სიმღერები"

★

სევდა

ზღვასთან მინდა დაბრუნება,
ზღვასთან მისვლა მინდა...
ლურჯი ტალღა და ბუნება
სარკესავით წმინდა.

მე მზე მინდა, მინდა გაზრდა,
რომ სულ ვჩანდე დიდად...
დაბრუნება მინდა ზღვასთან,
ზღვასთან მისვლა მინდა!

შორს ნავების და გემების
თეთრ იალქნებს ვხედავ,
მათ არა აქვთ ნაგემები
ასე შავი სევდა.

იქ მსურს ვიყო, რომ ვისმენდე
მეზღვაურთა ღიღინს,
იმ გემებზე ყოფნა ერთ დღეს —
მთელ სიცოცხლედ მიღირს!..

თუ სიკვდილი მემუქრება,
უხდა მოვკვდე თუკი, —
ჩავქრე ისე, როგორც ქრება
ზღვის სიღრმეში შუქი,

რადგან კაცი მაინც კვდება
და არ ცოცხლობს მარად,
იქ ერთი დღის გატარება
მთელ სიცოცხლედ კმარა!...

მაშ მეც დავდნე, როგორც დნება
ზვირთზე სხივი წმინდა...
ზღვაზე მინდა დაბრუნება,
ზღვასთან მისვლა მინდა!

1927 წ.

★

მეზღვაურის სიმღერა

ქარი და ვარსკვლავები,
ზღვა ცელქ ზვირთებით სავსე,
ტორტმანებს შმაგ ტალღაზე
აფრიკულ სიზმრის ზაფრა...
ჰკიდია შავი ღამე
ხომალდის დიდ ანძაზე,
ვით შავად მოელვარე
უზარმაზარი აფრა.

ვარსკვლავთა სამყაროში
მივცურავთ, მივიჩქარით,
მივცურავთ გაშლილ დროშით,
ვერ გვაკრთობს ღამის ნისლი.

ქარი,
ზღვა,
ვარსკვლავები,
ზღვა,
ვარსკვლავები,
ქარი...
და მეზღვაურთა გუნდის
ლაღი სიმღერა ისმის.
ზღვაზე კი აფრიკული
სიზმრის კოშმარი ბორგავს.
შიშით არ გვითრთის გული
მეზღვაურების ამქარს,
გუგუნებს ჩვენი ჰანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს სიმღერა მოჰგავს
ამ უსასრულო სივრცეს,
ამ ზღვას,
ვარსკვლავებს,
ამ ქარს...

და ეს სიმღერა ამბობს:
„ჩვენ ვიცით იერიში,
ბრძოლაში, გასაჭირში
თვალსაც არ ვახამხამებთ.
ერთხელაც არ უგრძვნია
ჩვენს გულს ლაჩრული შიში,
შიში საზარი, როგორც
ზამთრის შავბნელი ღამე!“

და ეს სიმღერა ამბობს:
„მძლავრი რაზმები ჩვენი
განა იმიტომ დგანან
მწყობრად ხომალდის ქიმზე,
რომ მეგობარმა ხოტბა
შეესხა ტკბილი ენით?! —
მტკიცედ ვართ, რადგან მტერი
ბილების ხრეშენით
გვიმზერს!“

ისმინეთ ეს სიმღერა,
სიტყვებს დაუგდეთ ყური:
„ჩვეხ ვიბრძვით, გემის საჭეს
ვმართავთ ძლიერი ხელით...
წინ გველის ფართო, დიდი
ახალი ნავსადგური, —
ამ ნათელ ნავსადგურში
ლუზის ჩაშვებას ველით“.

შმაგი ზვირთების ჯარი...
ტალღებზე შავი ნისლი...
ღამე ვით შავი აფრა...
ზღვა,
ვარსკვლავები,
ქარი...
მხნე, მამაც მეზღვაურთა
მწყობრი სიმღერა ისმის —
ამ ზღვის,
ამ ვარსკვლავების,
ამ ქარის დასადარი.

1935 წ.

თარგმანი თურქულიდან **ვახტანგ კეკელიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

დაუვიწყარი ზაფხული

★

ხეობებითა და ღელეებით დასერილი ჩემი მშობლიური კუთხე, მთაგორიანი ქვეყანაა. აღმოსავლეთიდან თრიალეთის მთა აკრავს, დასავლეთით — აჭარისა. როგორც გამიგონია, სამხრეთით ჩალდირი აქვს შემორტყმული, ჩრდილოეთით კი ვახტანგის მთა. მაგრამ შორს არიან ისინი, არც კი მოჩანან. მე მიტაცებენ ჩემი სოფლის მახლობელი მთები — ნაჩარდახევი, ნაკარები, ნაშავარდნევი, თაფლიანი და მეტადრე ირმისთავი.

მზე პირველად მის წვეროზე ჩნდება. ბავშვობიდან ადრე ვდგებოდი და შევცქეროდი, თუ როგორ ამოდიოდა მზე ირმისთავზე. ზაფხულობით, როდესაც ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ იყო, მზე გავარვარებული მოჩანდა. მაშინ ჩვენი სოფლის ბაღჩა-ბაღები, მახლობელი სერები და ტყიანი ფერდობები დაოქვრილსა ჰგავდა. მე ეს მომწონდა და მახარებდა.

ახლაც გარიჟრაჟია. გავცქერი ირმისთავს, მაგრამ დღეს ეს მთა მზის ამოსვლით აღარ იპყრობს ჩემს გულისყურს. ამ მთის ფერდობებზე ჩვენი კოლმეურნეობის საძოვრებია და ხვალ დილას ფერმა იქ გადაგვაქვს. მეც მივყვები ფერმას. პირველად მივდივარ. როგორ არ წავალ, როდესაც რვა ძროხას ვუვლი. მიყვარს ჩემი ძროხები. შევალ თუ არა ბოსელში, მაშინვე ჩემსკენ მოაბრუნებენ თავს, ხელებში მიცქერიან, საჭმელი ხომ არ მოგვიტანია. გამოვდივარ და სინანულით თვალს გამომაყოლებენ.

ერთმანეთზე უკეთესები არიან ნარგიზა, წაბლა, ირეკა, მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს მახინჯა.

მახინჯა ფეხებდახუთული დაიბადა. ფეხზე ვერ დგებოდა და ჩაჩოქილი ეგდო ბოსლის წინ. მზეზე თბებოდა.

— მახინჯია, მახინჯი! — გულმოსულად დაიძახა ჩვენი ფერმის გამგემ შალვამ, — ვერ იცოცხლებს!

შალვას გულმოსულობის მიზეზი ის იყო, რომ დედაძროხა ამ ხბომ იმსხვერპლა. ყველამ აითვალისწუნა ეს პატარა და უსუსური ცხოველი, ხელი ჩაიქნიეს, ამბობდნენ, ესეც მოკვდებაო! მართლაც ეს სუსტი და მილეული ხბო მიმკვდარებული გამოიყურებოდა. ის ხანდახან თავს მაღლა ასწევდა ხოლმე, ერთი წამით შეხედავდა სივრცეს, თითქოს რაღაცას ეძებსო და ისევ უძლურად უვარდებოდა თავი.

ხელით ვასმევდი რძეს. ვუვლიდი, ვბანდი, მაგრამ ის მაინც ადგილიდან ვერ იძვროდა.

ერთხელ შალვამ მწყრალად მითხრა:

— სალომე, გოგო, რას გადაყევი მაგ დღენაკლულს. ძროხებს მოუარე, წველადობამ არ დაიკლოს, თორემ გეგმას ვერ შეასრულებ და გამგეობის სხდომაზე საკითხს დაგისვამ. არც ამას გაკმარებ, კომკავშირის კრებაზეც გავაკიცხვინებ შენს თავს!

უხეში ლაპარაკი იცის შალვამ. მიკვირს, სულ ოცდახუთი წლისა არც კი იქნება და ასეთი უკმეხი რამ გახადა, ჯერ არაფერი დამიშავებია და დასჯით მემუქრება.

ხეა არ გავეცი. უსამართლო საყვედური მეწყინა. თავი ჩავღუნე და ჩუმად ვიდექი. ის ალბათ ელოდა, რომ თავს გავიმართლებდი, მაგრამ რაკი ხმა არ ამოვიღე, უფრო მწყრალად მითხრა:

— შენს საქონელს მიხედე, გოგო, თორემ ამ მახინჯ ხბოს ახლავე თავს წავაგდებინებ!

— შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, — დავუწყე ხვეწნა, — ამ საცოდავს ასე ნუ გასწირავ, თუ ვერ გამოვაბრუნე, დაე, თავისით მოკვდეს, მაგრამ დანახ ნუ მიაკარებ!

— მაშ ექიმს ანახვე, რჩევა ჰკითხე, თუ უვლი, ბარემ კარგად მოუარე! — თითქოს მოლბაო, ხმადაბლა მითხრა და წავიდა. ვერც კი მოვასწარი საქონლის ექიმთან წასვლა, რომ ექიმი თვითონ შალვას გამოეგზავნა.

წახალისებულმა უფრო მეტი გულმოდგინებით განვაგრძე მოვლა. ასე შევინარჩუნე მახინჯა. ორიოდე კვირის შემდეგ ზეზე წამოდგა. დახუთული ფეხები გამართა. პირველ ხანებში ფეხს ძლივს ადგამდა, ეკეცებოდა, ეცემოდა, მაგრამ მერე გამაგრდა და თავისუფლად გაიარა. მე სიხარულმა ამიტანა, დღეში ოთხჯერ ჩემის ხელით ვასმევდი რძეს. იზრდებოდა, მშვენდებოდა. დაბოლოს ისეთი ლამაზი ძროხა დადგა, რომ მისი გარეგნობა მთელი სოფლის თვალს იტაცებდა, მე ახლაც ვამაყობ მახინჯათი. თავს დავტრიალებ. ეს მე შევუნარჩუნე მას სიცოცხლე, მე გავზარდე. აი, ამიტომ მიყვარს მე ის განსაკუთრებით.

როდესაც ძროხები წყლის დასალევად მიმყავს, მახინჯა წინ მიუძღვის. ის მოუსვენარია და ღობე-ყორეს ედება.

— მახინჯა, მახინჯა! — ვეძახი მას.

ვისაც კი ესმის მისი სახელი, ყველა მეუბნება:

— რა უგავს მახინჯს? ამ მშვენიერ ძროხას ასე უსამართლოდ რად ლანძღავთ?!

მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ამ სახელს ჩვენც მივეჩვიეთ და ძროხაც.

ახლა მახინჯა თექვსმეტ ლიტრა რძეს იწველის, სხვა ძროხები ათს, ან თორმეტს.

— კარგად ვერ უვლი შენს მერძეულებს, — მკვახედ მეუბნება ხოლმე შალვა, — თორემ დანარჩენების წველადობასაც თექვსმეტ ლიტრამდე აიყვანდი!

სულ ტყუილ-უბრალოდ მემდურება. ნეტავი რას გადამეკიდა?!.

შალვა რომ ნახოთ, არაკი მოგეწონებათ. შავი თვალები აქვს და შავი თმა. სახითაც ისეთი შავია, რომ ცეცხლზე გარუჯული გეგონებათ. მაგრამ აქ ცეცხლი არაფერ შუაშია, დაბადებით ასეთია. მისი წარბები თითქოს შუბლზე ნახშირით გავლებული ერთ მთლიანი ხაზიაო. ღიმილიც კი არა სჩვევია, მაგრამ მაინც აქვს რაღაც მიმზიდველი და სასიამოვნო... მგონი ეშხი!.. ეს-არის მისი მარილი. ეს მე ამ ერთი თვის წინათ შევამჩნიე.

წყაროზე ვიყავი. შუადღე იყო. ცხელოდა. დოქი წყლით ავავსე და წამოსვლა დავაპირე. ამ დროს ჩემს წინ, თითქოს მიწიდან ამოვიდაო, შალვა აღიმართა. ჯერ მე შემომხედა, მერე დოქს.

— სალომე, თუ წყალს არ დაამურებ, დამალევინე! — მითხრა ხმადაბლა.

მაშინვე მივაწოდე დოქი და დოქის დაბრუნების მოლოდინში ჩუმად ვავჩერდი. ძირს ვიცქირებოდი და ვხედავდი მხედრულ შარვალში გამოყვანილ მის მსხვილ მუხლებს და განზე გადგმულ ფეხებს, რომლებიც მტკიცედ იდგნენ მიწაზე.

— მადლობელი ვარ! — მითხრა ხმადაბლა.

მივხვდი რომ დოქი ჩემსკენ გამოწვდილი ჰქონდა. ხელი გავიშვირე.

— შემომხედე, ქალო, თუ ისა გწყინს წყალი რომ დამალევინე, ვეცდები, მალე გადაგიხადო ეს პატივისცემა!

მეც შევხედე. აი, სწორედ მაშინ შევამჩნიე ეშხი. ასეთი ეშხი მხოლოდ იალაღებზე ნაცხოვრებს, მზეში, ქარში და წვიმაში ნასიარულებ კაცს აქვს. შალვა კი ბავშვობიდან მწყემსობაში გაზრდილია.

— აგრე, უნდა ვიცოდე, რომ წყალი არ დამამადლე! — მითხრა და ნაცვლად იმისა, რომ დოქი მოეწოდებინა, გადააპირქვავა, შიგ დარჩენილი წყალი გადაღვარა, მერე წყაროს ღარს შეუშვირა, ხელახლა აავსო და სავსე დოქი მომაწოდა.

სწრაფი ნაბიჯით გავეშურე სახლისაკენ. უკან არ მიმიხედავს. მხოლოდ ერთხელ წარმოვიდგინე თვალწინ და მაშინ დავრწმუნდი რომ ეშხი უფრო მეტად ამშვენებს კაცს, ვიდრე ლამაზად აწყობილი სახე!

ხვალ დილაზე მთაში მივდივართ, ჩვენი კოლმეურნეობის საძოვარზე — ირმისთავზე.

შალვამ ფერმაში თათბირი მოიწვია. ყველა თავის დროზე მოვიდა. არც მე დამიგვიანია. შალვას ლაპარაკი არ ეხერხება და მოკლედ თქვა:

— მთაში მივდივართ. დიდი მოვა-

ლობა გვაწევს, საქონელს თვალის ჩინივით უნდა მოვუაროთ. რაც შეიძლება მეტი რძე უნდა მივიღოთ. გეგმა გვაქვს, მაგრამ მე გეგმას არ დაგჯერდებით. მეტის მიღება შეგვიძლია, ეს კი ჩვენზეა დამოკიდებული! გასაგებია?!

უცნაური ლაპარაკი იცის შალვამ, ისე არაფერს იტყვის, თუ ბოლოს არ დააყოლა — გასაგებია?!

— ამხანაგებო, სავსებით გასაგებია, რომ მთაში მეტი რძე უნდა მივიღოთ, — თქვა უფროსმა მწველავმა დეიდა დარომ, — საქონელს უკეთესი საკვები ექნება. ჩვენ თუ კარგად მოვუვლით, თითო ძროხის წველადობას სულ ცოტა, ოთხი ლიტრა რძით გავზრდით. გეგმას გადავაჭარბებთ! ეს კი დიდი საქმეა!...

ვისაც სურდა, თავისი აზრი გამოთქვა. მე ხმას არ ვიღებდი. რა უნდა მეთქვა? უთქმელადაც დავამტკიცებდი, რომ ჩემი მახინჯა, ჩემი სათუთა, ნარგიზა და წაბლა ბევრ რძეს მომცემდნენ, თუ კი ჩემებურად მოვუვლიდი მათ. მაგრამ შალვამ გაჩუმება არ მომიწონა, წყრომით მომმართა:

— სალომე, რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე. როგორი კომკავშირელი ხარ?!. საერთო საქმისათვის ცეცხლივით უნდა იწვოდე. ყველაზე კარგი ძროხები შენ გყავს. გვითხარი, როგორ აპირებ მუშაობას, — და ბოლოს თავისებურად დააყოლა, — გასაგებია?!

წამოვწითლდი. ვიგრძენი, რომ სახეზე ალმური მომეკიდა. ღირსი რომ არ ვყოფილიყავი, არც მიმიღებდნენ კომკავშირში. თუ ძროხებს ცუდად მოვუვლი, მაშინ გამიცხოს. ახლა კი უსამართლოდ მექცევა. რა სავალდებულოა სიტყვის თქმა?!.

— რა უნდა ვთქვა? — ვიკითხე მე. შევეცადე ჯავრი დამეფარა, მაგრამ ნაწყენს ისეთი ხმა ამომხდა გულიდან, თითქოს გაბზარულ ჭურჭელში ჩაგეძახოს და ეს სამად სამი სიტყვა მისი ამოძახილი ყოფილიყოსო.

— აგერ, ჩვენი ტასო ახლავე მოგვიყვება თუ როგორ აპირებს მთაში მუშაობას. როგორ აამაღლებს. წველადობას! — თქვა შალვამ და ალერსიანად გადახედა ტასოს. როდესაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, შალვამ გაუღიმა კიდეც, მე ეს აშკარად შევნიშნე.

ტასო წამოდგა, თამამად წამოვიდა წინ, ყველას თვალი გადაავლო და ხმამაღლა თქვა:

— ამხანაგებო, მე სიტყვას ვიძლევი, რომ კარგად მოვუვლი ჩემს ძროხებს. ავამაღლებ წველადობას. ვეცდები, გეგმას ბევრად გადავაჭარბო და რაც შეიძლება მეტი რძე მივცე ჩვენს კოლმეურნეობას! — დაამთავრა და ყველა მწველავს სათითაოდ გადმოგვხედა, გამომწვევად გვიცქეროდა. აბა რა უნდა ამის თქმას? ან რა საჭიროა? სხვა რა უნდა გავაკეთო? ფერმაში თითო მოვალეობა ყველას გვაქვს, მეც ვიცი ჩემი საქმე.

— შენ, სალომე, ტასოს უნდა შეეჯიბრო. შეიძლება გაჯობოს, მაგრამ ეს მაინც საჭიროა, გასაგებია?! — მომმართა შალვამ.

— როგორ თუ მაჯობოს? შეიძლება შენ გინდა რომ მაჯობოს, მაგრამ არა, მე ვიცი და ჩემმა ქალობამ. — წამოვდექი და წყნარად, მაგრამ მკაფიოდ განვაცხადე: — ისე ვიმუშავებ, როგორც ჩვენი ქვეყანა მოითხოვს. ამიტომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ტასო ზაზაძეს.

მერე ისიც დავუმატე, თუ რა უნდა გაგვეკეთებინა, როგორ უნდა გვემუშავნა და რისთვის უნდა მიგვეღწია.

შალვამ გაიღიმა. სახე გაუბრწყინდა. ვერ გავიგე, რამ გაახარა. თათბირის დამთავრებამდე ჩუმად ვიჯექი, არავის არ ვუცქერდი. გულნაკლულად ვგრძნობდი თავს.

თათბირის შემდეგ ჯერ ფერმაში შევირბინე. ჩემი ძროხები ვინახულე, მერე შინ წავედი.

— სალომე, შვილო, რა დაგემართა, რად ხარ ასე აწითლებული? — მკითხა დედამ და განცვიფრებული მომაჩერდა.

— მოვრბოდი და იმიტომ!

— რა მოგარბენინებდა?

— ხვალ დილას მთაში მივდივარ, განა არ იცი?

მაგიდას გადავხედე. ტაბაკზე ნაზუქები ეწყო. სუფრა გაწყობილი იყო.

— სტუმრებს ხომ არ ელოდები?

— შენთვის მინდა, შვილო, მთაში მიდიხარ. ხელცარიელს როგორ გაგიშვებ! — დედის ტკბილი ხმა ჯავრიან გულზე მალამოდ მომეცხო.

— წამოდი, შვილო, ნახე რას გატან, — მითხრა დედამ და საწოლ ოთახში გამიყვანა.

საწოლზე იდო მძივებითა და ტყავის ფოჩებით შემკული ხალთა. ჩემს თვალწინ ჩადო შიგ ჯეჯიმი, საცვლები, წინდები, თავშალი, ყანწი, კოვზი და პატარა დანა. მერე ხალთა სამზარეულოში გაიტანა; ოროვანდის დიდრონი ფოთლები ჩაფინა და ზედ დააწყო პურები, ქადები, ჩეჩილი ყველი, პარკით კორკოტი.

ბინდისას მამა მოვიდა. ის, მთელი დღის ნამუშევარი ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ თავისი ხელით გაშენებულ საკარმიდამო ვენახში მაინც შევიდა. კმაყოფილებით ათვალიერებდა პაწაწინა მტევნებს, რომელთაც წვრილ და მწვანე მძივებად ასხმოდა მარცვლები. შამამ ვენახში წყალი მიუშვა და აივანზე ამოვიდა.

— წელს პირველ მოსავალს მივიღებთ! — თქვა მამამ. მის სიტყვებში სიხარული გამოსჭვიოდა, — ძველად ჩვენში კარგი ვენახი ყოფილა. მტრებს ძირფესვიანად ამოუყრიათ, გადაშენებულა, — ნაღვლიანად განაგრძო მამაჩემმა. — ყოჩაღი ხალხია ძევრელები. მოვიდნენ და ვაზიც ჩაყარეს. ვაზის ქვეყანაა საქართველო! ჩვენც უნდა გვქონდეს... მეც ამიტომ გავაშენე. ჩვენი დაწურული ღვინო გვექნება!

ერთხელ კიდევ ამაყად გადახედა ოდნავ დაქანებულ პატარა ვენახს და ოთახში შევიდა.

ვახშმად ყველანი სუფრას შემოვუსხედით.

— ძალიან ბიჭი გამოდგა ჩვენი ფერმის გამგე. ყველა ხელში აიყვანა. საქონელი გამოაკეთა. მეწველს მეწველობა დაეტყო, — თქვა მამამ და ღვინის ჭიქით არაყი გადაჭკრა, ოდნავ შეიჭმუხნა და აპოხტის ნაჭერი გადაიღო.

მე გავიტრუნე. მამაჩემი იმას აქებდა, ვინც მე ასე მაჯავრებდა.

— ეშხი შეიტანა მუშაობაში, ეშხი! — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ და მომიბრუნდა, — შვილო ჭკვიანად იყავი, ყველაფერი გაუგონე, თხასავით წინ არ გადაუხტე!

— მე ჩემი ძროხები მუდამ კარგად მოვლილი მეყოლება, ყოველთვის დროზე მოვწველი, არავის გავაკილვინებ თავს, დანარჩენი მე არ მეკითხება!

ჩემთვის სრულიად მოულოდნელად განცვიფრებული მომაჩერდა მამა.

— რაო, დანარჩენი შენ არ გეკითხებაო?!

პირთან მიტანილი პურის ნატეხი თეფშზე დადო და კარგა ხანს განცვიფრებული მიცქეროდა.

— შენ კოლმეურნეობის წევრი ხარ. ჩვენი ავლადიდების ერთი ნაწილი შენც გეკუთვნის. მაშ, სხვა ბრიგადის ძროხები მოუვლელობით რომ დაეცნენ, შენ არ გეკითხება? გული არ შეგტკივა? მარტო თავმჯდომარემ და ფერმის გამგემ იტეხონ თავი, არა? არ მომწონს, არ მომწონს! — მწყრალად და დარიგებით მომმართა მამამ.

შევწუხდი. ვკიცხავდი ჩემს თავს, ნეტავი არ მეთქვა ეს უაზრო სიტყვა, რაც ასე მწვავედ მოხვდა მამას გულში.

მამაჩემი კოლმეურნეობის ბაღში მუშაობს. ის მერგოლურია და გამგეობის წევრი, საერთო საქმისათვის თავდადებული. არც ერთ სხდომას, არც ერთ კრებას არ გამოსტოვებს. თავმჯდომარე ჩვენთან სახლშიც კი მოსულა, მამას რჩევა-დარიგება მიუცია. ხანში შესული ქაცია და დაეჯერება. ბევრჯერ გამიგონია, როდესაც მამაჩემისთვის უკითხავთ, ძია ნიკო, შენ ეს საიდან იცი, მას უპასუხნია, ცხოვრებამ მასწავლაო!..

მთელი საღამო კრინტი აღარ დამიძრავს. აღარც საჭმელს მივკარებივარ. ისე გაუტეხავი ეწყო ახლადდამცხვარი ქადები და ნაზუქები.

მეორე დღეს ჯერ გათენებული არ იყო, რომ ფეხზე ვიყავი. აივანზე გამოვედი და შევხედე ჩემს საყვარელ მთას— ირმისთავს. მზეს ოდნავ ამოეყო თავი და მისი სხივები ამ მთის დაკლაკნილ ზედაპირიდან ისე იშლებოდნენ სივრცეში, თითქოს მართლაც ირმის რქებიდან გამოჭრილიყვნენო. დაოქვრილიყო ხეხილის ნაზი და მკრთალი მწვანე ფოთლები, როგორც ეს გაზაფხულზე იცის ხოლმე.

— მოვდივარ! შენთან მოვდივარ! — გაიძახოდა გული... მღელვარე სიხარულით ვიყავი შეპყრობილი.

ჩემმა პატარა ძმამ საგზლით სავსე ხალთა ზურგზე მოიგდო და ფერმისაკენ გავეშურეთ. დედამაც გამაცილა. მამა შინ არ იყო. წელს ბარაქიანი მესხური ბაღების ვაშლსა და მსხალს ელიან და ხეხილს თავს დასტრიალებენ, უვლიან.

თავმჯდომარეც ფერმაში ამოვიდა. შალვასთან დიდხანს განცალკევებით იდგა. დინჯად ლაპარაკობდნენ. ბოლოს ხელი ჩამოართვა, ჩვენც მხიარულად დაგვემშვიდობა და დაიძრა ჩვენი ქარავანი.

შალვა ლურჯაზე იჯდა. მჭიდროდ დაკეცილი ნაბადი უნაგირს უკანა კოტაზე ჰქონდა დაკრული. ის ჩვენს ქარავანს ხან წინ მოექცეოდა, ხან უკან. მოხდენილად იჯდა ცხენზე. ზევითად სხვებიც მოდიოდნენ, ბრიგადირები და საქონლის ექიმი, მაგრამ სულ სხვა იყო შალვას იერი. ზედ შეზრდილი გეგონებოდათ.

ერთად მიდიოდნენ ძროხები და ხბოები. საქონელი დინჯად და მშვიდად მიიწევდა წინ, იალაღებისაკენ. გზადაგზა ტკბებოდნენ მსუქანი სამყურა ბალახით და რძით სავსე ტიმოთეოლათი, რაც ასე უხვად იყო მოფენილი ირმისთავის ქვედა კალთებზეც. მივდიოდით სიხარულით. აღარც კი მახსოვს რამდენი მთა გადავიარეთ. ლაღად ვგრძნობდით თავს. საქონელმაც გაიხარა. ერთხელაც არ გაგვიგონია მათი ღმუილი. მთელი ზამთრის განმავლობაში ბოსელში დაბმულებმა ახლა გაინავარდეს. იქვე ჰყავდათ თავიანთი ხბოები. ჩემს მშვენიერ მახინჯას გვერდიდან არ შორდებოდა თავისი წაბლისფერი, მაგრამ ვაშლის ყვავილებივით თეთრი ლაქებით შელამაზებული ხბო—გვრიტო. ისიც დედასავით ლამაზი იყო. ძალიან უყვარდა მახინჯას თავისი გვრიტო. მთელი გზა ხბო ფეხებში ედებოდა, სავსე ჯიქნებს თავის პატარა ფუნჩულა ტუჩებით ნებიერად უწიწკნიდა, მაგრამ მახინჯა არ უწყრებოდა, ყველაფერს უთმენდა.

როდესაც გვრიტოს დავუძახებდი, მახინჯაც გამოიხედავდა ხოლმე, ესმოდა, რომ მის ხბოს ეძახდნენ, გვრიტო კი მაშინვე მოირბენდა ჩემთან.

— მოასვენე, შე ქაჯო, დედაშენი, დააცადე სიარული! — წყრომით ვეუბნებოდი. ის კი პატარა ხანს გაჩერდებოდა, და მიხვდებოდა თუ არა, რომ არავითარი საქმე არა მქონდა მასთან, ისევ დედისკენ მირბოდა.

საღამოს ექვს საათზე ირმისთავაზე ავედით.

გამოჩნდა შემოღობილი ბინები, საცხოვრებელი და კარაქის გამოსახდელი ქოხები.

მენახირეებმა საქონელი დასასვენებლად დაყარეს. ჩვენც მოვეფინეთ თხემს. ვცლიდით ურმებს, ვათავისუფლებდით ცხენებს ტვირთისაგან და ყველაფერი ქოხებში შეგვქონდა.

— დასვენება მერე, მერე. ჯერ დავლაგდეთ და შემდეგ დავისვენოთ, გასაგებია?! — გაიძახოდა შალვა. ისედაც კუშტი სახე, მთელი დღის მგზავრობით დაღლილს, უფრო შეჰკვროდა.

არც ერთი წამით არ შეგვისვენია. მზის ჩასვლამდე უნდა დავლაგებულიყავით, საქონელიც დაგვებინავებინა. ყველაფერი მოვასწარით. მთაში საცხოვრებლად მოვეწყეთ.

ლაღად და თავისუფლად ამოვისუნთქე. ძხოლოდ ახლა ძივაქციე ყურადღება მოწითალო ყვავილოვან ბალახს — აჭრაჭუჭრას, გემრიელ ფამფარას, ბალახებში ჩამალულ მარწყვს და მაღალი მთის უამრავ ყვავილს. ბალახებისა და ყვავილების ერთმანეთში შერეულ სურნელს ჰაერი დაეტკბო. გამაბრუა ამ სურნელმა და მთვრალივით გავცქეროდი სივრცეს. როგორც ბურუსში ისე ვხედავდი შორეულ მთებსა და თეთრად აქაფებულ ჩანჩქერებს.

წყაროსთან ჯეჯიმი გავშალე. შემოვუსხედით მწველავი ქალები. ვისაც რა გააჩნდა, საერთო სუფრაზე მოიტანა. მე გადმოვიღე თორნის პურები, ჩეჩილი ყველი, განმტკიცული, დიკის ფქვილისაგან გამომცხვარი, კვერცხგადასმული გულსავსე ქადები.

მოვიდა შალვა და ღიმილით დაგვხედა. ტასომ სუფრაზე მოიწვია. უარი არ უთქვამს. შემოგვიერთდა. ტასოს პირდაპირ დაჯდა. მე არ ვუქცეროდი მათ. ერთმათისათვის არაფერი უთქვამთ, მაგრამ რა ვიცი, იქნებ თვალებით ლაპარაკობდნენ? ანდა რა ჩემი საქმეა, მე რაში მეჭაშნიკება?!.

დაიწყო ჩვენი მთაში ცხოვრება.

საქონელს დღეში ორჯერ ვწველიდით. მენახირეებს დილა-საღამოს მოყავდათ ძროხები, ჩვენც ჩვენს საქმეს შევუდგებოდით. შალვა ხშირად მი-

დიოდა საძოვრებზე. მთელ დღეს იქ რჩებოდა, საღამოთი დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ბრუნდებოდა.

ერთ დღეს ტასომ დაიჩემა, უნდა ვნახო ჩემი ძროხები, როგორ იკვებებიან. თან უნდა წამოგყვეო.

— რადგან აგრე გულით გინდა, წამოდი! — მიუგო შალვამ და გამომწვევად გადმომხედა. კარგა ხანს მიცქეროდა, ვერ მივხვდი, რის თქმა უნდოდა. მე ჩუმად ვიდექი. სიმართლე უნდა ვთქვა, გული დამწყდა. ისე ვიგრძენი თავი, თითქოს გული დამისერესო.

შალვამ ცხენი ბინაში დატოვა, ტასომ კი თავის ცისფერ ბაღდადში საგზალი გაახვია და ორივენი ერთად გაუდგნენ გზას.

— „აი, ხომ ხედავ, ტასო და შალვა ერთად წავიდნენ, — ვფიქრობ გულში, — ისინი ახლა მარტო მიდიან, ვინ იცის რაზე ლაპარაკობენ. სადმეწყლის პირას გაშლიან ბაღდადს, პატარა სუფრას შემოუსხდებიან და ნებიერი საუბრით დატკბებიან!

საღამომდე მოუსვენრად ვიყავი, ვჯავრობდი, არავის ველაპარაკებოდი.

მზე წითლად ჩადიოდა. ჩვენი საქონელიც გამოჩნდა.

აგერ მოდიან შალვა, ტასო, მენახირეები.

მენახირეს, მოხუც ფიდოს, ტასოს ცისფერი ბაღდადი ხელში უჭირავს. ბაღდადი სავსე იყო. მოგვიახლოვდნენ თუ არა ფიდომ სავსე ბაღდადი გადმომცა და მითხრა:

— მთაში დაკრეფილი სოკო და სატაცური მოგიტანეთ, გაამზადეთ და მიირთვითო! — გამიცინა და დაუმატა, — ბაღდადი უკან დამიბრუნე, საჩუქარია, აქ არ დამრჩესო.

— ამაღამვე დავამზადებ, პაპა, — ვუპასუხე, — ხვალ დილას რომ ჩამოხვალთ, კარგ საუზმეს დაგახვედრებთ!

გამოვბრუნდი. ამ დროს შალვამ თავისებურად მწყრალად გადმომკრა:

— აგრე გულხედაკრეფილი ვერას გახდები. ბინის გარედაც გადი. შენს საქონელს იქაც უნდა მიხედო, გასაგებია?! — თქვა და მომშორდა. კიდევ კარგი, რომ მაშინვე გამეცალა, თორემ რამე საწყენს ვეტყოდი. „გულხელდაკრეფილო!“ — ვერ გამიგია, რა უნდა ჩემგან?!. ისე მეწყინა უსამართლო გაკიცხვა, რომ მეტირებოდა, ცრემლები შიგ გულში მეწვეთებოდა.

საქონელი მოვწველეთ, გავისტუმრეთ და გადავწყვიტე ტასოსთვის ხმა აღარ გამეცა. ზედაც არ შემეხედა. მე ვიცი, ყველაფერი მისი ბრალია! ვინ იცის, რა უთხრა ჩემზე. შალვასათვის თავი რომ მოეწონებინა, გამკილავდა კიდეც, თანაც გემრიელი ქადებით ჩაუტკბარუნებდა პირს.

განგებ ახლოს ჩავუარე ტასოს და სახე გვერდზე მივიბრუნე. მან კი, თითქოს არც კი შემამჩნიაო, ზედაც არ შემომხედა. ან რა ენაღვლებოდა, რა დარდი ჰქონდა?!. საძაგელი! არც ტანი უვარგა, არც სახე, გრძელი შავი თმები კი მკლავის სიმსხოზე დაუწნავს და ამაყობს, კარგი თმა მაქვსო. ნაწნავებს ხან წინ მკერდზე გადმოიგდებს, ხან უკან, მხრებზე, ჰგონია, რომ შვენის!

ჯავრის გასაქარვებლად ღამე დეიდა დაროსთან მივედი.

— ყოჩაღი და ჭკვიანი ქალია ტასო, — თქვა დეიდა დარომ, — საძოვარზეც კი მიხედა ძროხებს. საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ უვლიან მენახირეები. თქვენი სახელით ფიდოს ბაღდადი მიართვა. ქადა და ნაზუქი მიუტანა, მოხუცს გული გაუხარა, თურმე მიჰფერებია და ტკბილად უთქვამს:

— საყვარელო პაპა, ასე კარგად რომ უვლი ჩვენს ძროხებს, მწველავები დიდი მადლობელი ვართ, იდღეგრძელე და დიდხანს იცოცხლეო! იცი, სალომე, — დაუმატა დეიდა დარომ, — თქვენი შრომა მათზე არის დამოკიდებული. მეძროხეები თუ უგულოდ მოუვლიან, საქონელი ბევრს არას მოგვცემს, რძესაც ცოტას მოვწველით და ძროხასაც ფერდები ჩაუცვივა!

ჩავფიქრდი. ნუთუ ის ქადები გზაში არ მიირთვეს? პაპას მიუტანა და ისიც ჩვენი სახელით?! ხმა არ ამომეღებოდა, გულჩათხრობილი წავედი და ლოგინზე პირქვე დავემხე.

გარიჟრაჟზე ვილაც მაღვიძებს.

— ადე, სალომე, სადაცაა ძროხა მოვა, მოემზადე!

ელდანაკრავივით წამოვხტი. ჩემს

წინ ტასო იდგა და ღიმილით მომჩერებოდა.

— როგორ დაწოლილხარ, არაფერი დაგიხურავს. აქ ბარი კი არ არის, მთაა, შეგცივდება!

ნაძალადევად გავუღიმე. თავისი ქურქი ჩემთვის დაუხურავს. ნეტავი ვინ ეხვეწებოდა?! სწრაფად გავისწორე ტანსაცმელი და გომურისაკენ გავეშურე. ქვაბები და კასრები მოვამზადე.

გამოჩნდა ჩვენი ნახირი.

როგორც ყოველთვის, საქონელს, წინ მახინჯა მოუძღოდა, ჩემი მშვენიერი და ჭკვიანი ძროხა. ის დინჯად მოადგამდა დიდრონ ფეხებს და თანაც უზრუნველად იცოხნიდა. ადამიანის თვალს უნებურად იტაცებდა მისი სიმშვენიერე.

მთელი ღამის ნაიალაღარნი სავსე ჯიქნებით მოვიდნენ ჩემი საყვარელი მერძეულები. მიჩენილ ადგილზე გაჩერდნენ, დაიბღავლეს და თავიანთ ხბორებს დაუძახეს. ხბორებმა გაიგეს თავთავიანთი დედის ხმა და გამოეხმაურნენ, როგორც ყოველთვის, ჯერ გვრიტო გამოვიყვანე და შევუდექი წველას.

დეიდა დარომ ჩამოგვიარა და გვითხრა:

— დამუშტული ხელებით სწველეთ, გოგოებო, მეტ რძეს მიიღებთ!

ძლივს მივეჩვიეთ მუშტით წველას, მეძნელებოდა, მაგრამ სამაგიეროდ რძემ მართლა იმატა.

სასაცილოები არიან ხბოები. არ სცილდებიან დედას. გაუმაძღრობა არ ვარგა, გინდ დედის რძე იყოს, ზედმეტი აწყენს. ნაკლები რომ ჭამოს, ისიც აწყენს. ზომიერებაა საჭირო. მეც ამ ზომიერებას ვიცავ.

— წადით, გეყოფათ, მოშორდით აქედან, — ვეუბნები ხბოებს. ისინი კი ხან მე მიცქერიან, ხან დედას. კიდევ უნდათ, მაგრამ ჯიქნებში აღარაფერია.

— გეყოფათ, თქვე წუწკებო, ახლა საძოვარზე წახვალთ, ჭამეთ სამყურა ბალახი, ჭამეთ ტიმოთელა, რძით სავსე და გემრიელი ბალახი! — ყველა ხბო მოვაცილე, მაგრამ ეს გვრიტო ვერასგზით ვერ მოვაშორე მახინჯას. ხან ერთი მხრიდან შემოურბენს დედამისს, ხან მეორე მხრიდან.

წავედი, თოკი მოვიტანე და კისერზე ძოვაბი. გომურიდან გარეთ გავიყვანე. გვრიტო მაინც უკან-უკან ისედებოდა. აგერ უკვე საბალახოდ მიყავთ ხბოები. გვრიტო ტოლებს შეერია და დამშვიდდა, მათთან ერთად გაეშურა. ისევ წავიდა საქონელი საძოვარზე. თითო, ძროხაზე უკვე ორმა ლიტრა რძემ მოიმატა. ცხიმიანობაც გაიზარდა. გამეხარდა! თუ საქმე, ასე წავიდა, გეგმას ბევრად გადავაჭარბებ. შეჯიბრებაშიც გამარჯვებული გამოვალ.

მთელი დღე ზრუნვაში გავიდა. მზის ჩასვლას ერთი შუბიღა აკლდა, როდესაც ცაზე შავი ზღვის ღრუბელი წამოიშალა. სწრაფად და უცნაურად გაიზარდა ეს ღრუბელი, ჩამუქდა, გაშავდა და თითქოს მთელი ცა დაჰფარა.

ჯერ სადღაც შორს იელვა, მერე ელვამ ჩვენ თავზეც დასერა ცა და ატყდა საზარელი ჭექა-ქუხილი. წამოვიდა კოკისპირული წვიმა.

შეწუხდა შალვა, საქონელს არა დაემართოს რაო. მართალია, კარგი მეძროხეები გვყავდა, მაგრამ ასეთ ავდარში ყველაფერი მოსალოდნელი იყო. მეტადრე ნადირისაგან, რომელიც საქონელს შორიახლო ფეხდაფეხ დაჰყვება და ასეთ დროს დაერევა ხოლმე.

შალვა ავდარს არ მოერიდა. მხარზე თოფი მოიგდო და საქონლისაკენ გასწია.

— მეც წავალო, — თქვა ტასომ, — ჩემი ძროხების ჯავრი არ მომასვენებსო, — თავშალი მოიხვია და შალვას უკან დაედევნა. ნაკლებად არც მე მიყვარს ჩემი ძროხები. ამ საშინელ ავდარში მათი დარდი მეც მაწუხებს. მეც წავყევი მათ. ბევრი ვიარეთ. წვიმით აკრიალებულ ბალახზე ფეხი გვისხლტებოდა, ვეცემოდით კიდეც, მაგრამ ისევ ვდგებოდით და განვაგრძობდით გზას. მე და ტასოს ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია, ვერც გავიგებდით რამეს, რადგან წვიმის თქეშსა და ნიაღვარში არაფერი ისმოდა.

დავსველდით, ამოვიგანგლეთ. სახიდან და თმებიდან წურწურით ჩამოგვდიოდა წყალი. ტასო ხელით მანიშნებდა, გამომყევიო. მან კარგად იცოდა გზა. მესამე წელიწადია, რაც ფერ-

მას მოჰყვება ირმისთავზე, მე კი პირველად ვიყავი.

ჩქარა ვიარეთ მაგრამ შალვას მაინც ვერ დავეწიეთ.

მოულოდნელმა თოფის ხმამ შეგვაჩერა. გაისმა ჭახანი. მივხვდით, შალვა გაისროდა თოფს. როგორც იქნა უკანასკნელ კორდს შემოვუარეთ და ჩვენი საქოხელიც დავინახეთ. მეძროხეებს ისინი ერთად შეეგროვებინათ. ჩვენი ფერმის ფხიზელი და ჭკვიანი ნაგაზები ყეფით გარშემო უვლიდნენ ნახირს, ნადირი არ ჩავარდნოდათ, არ დაეზიანებინათ საქონელი.

როგორც იქნა, მივუახლოვდით, გზაში მოკლულ მგელს წავაწყდით. ის კბილებდაკრეჭილი გვერდზე ეგდო.

წვიმა შენელდა. თანდათან ცამ შუბლი გაიხსნა, განათდა.

— თქვენ რაღამ მოგიყვანათ? — გვკითხა შალვამ.

— ჩვენმა ძროხებმა, — მიუგო ტასომ.

— ერთი თქვენგანი ხბოებთან წასულიყო, არ აჯობებდა?...

— სჯობდა, მაგრამ ვერ მოვიფიქრეთ!

— საქონელს თავს დავტრიალებთ, — წამოიწყო ფიდომ, — ნადირს არაფერს დავანებებდით, მაგრამ შენ რომ დაგინახეთ, გული უფრო გაგვიმაგრდა, თითქოს ძალა შეგვემატაო. აკი მოკალი კიდეც ი წყეული!

— ასე უნდა, პაპა, ასე, საერთო საქმეს საერთო ძალღონით უნდა მოვუაროთ! — უპასუხა შალვამ.

ამ დროს ნახირიდან თავი გამოჰყო მახინჯამ. მომიახლოვდა, თავისი სველი და სქელი დრუნჩი მომადო და ისე დაიბღავლა, თითქოს მომესალმაო. წვიმისაგან აკრიალებულ ბეჭზე ხელი გადავუსვი. გაიტვრინა. ყველა მიხვდა, რომ მიფერება ესიამონა. იცინოდნენ. შალვას გაეხარდა. თვალები გაუბრწყინდა, ულვაშებში ეღიმებოდა.

— კარგი ძროხა გაბარია, კარგი! — მითხრა მხიარულად, — ოღონდ მოვლაც კარგი სჭირდება, გასაგებია?! — დაუმატა ბოლოს და მთლად მომიწამლა სიამოვნება.

საქონლის წამოყვანის დროც დადგა. ყველანი ერთად გამოვბრუნდით. გულჩათხრობილი მოვდიოდი. ხმას არ ვიღებდი. მესმოდა შალვას და ტასოს ლაპარაკი, ხანდახან სიცილიც, ერთხელაც არ შემიხედავს მათთვის.

ოჰ, ნეტავი მალე გაივლიდეს ზაფხული რომ სახლში დავბრუნდე, მოვშორდე ამ ირმისთავს, რომელიც ბავშვობიდან ძლიერ მიყვარდა მაგრამ ახლა კი ჭირივით შემძულდა!..

ბინაში მოვედით. მერძეულები თავთავიანთ ადგილებზე მივიდნენ. კასრების გამოსატანად ქოხში შევედი. ამ დროს მახინჯას ხმა მომესმა. ის ბღაოდა. ამ ბღავილით ვიღაცას ეძახდა. მივხვდი, რომ მე მეძახდა და სწრაფად გავწიე ძროხებისაკენ.

— რა მოხდა, მახინჯა, რა გაბღავლებს? ახლავე მოგიყვან შენს გვრიტოს, ახლავე!

კასრები დავაწყე და ხბოების ბოსლისკენ გავეშურე. შიგ შევედი. გვრიტო ვერ ვნახე. გულში რაღაცამ გამკრა. თავის ქალაში ნემსებმა დამიარეს და თმა ამებურძგნა. მივიხედე, ვერსად შევნიშნე, გარეთ გამოვედი და ხმამაღლა დავიძახე:

— გვრიტო!

ვიცი, ჩემს ხმას გაიგებს თუ არა, მაშინვე მოირბენს, მაგრამ სად არის გვრიტო?! არა ჩანს! შევწუხდი. ისევე შევირბინე გომურში. მახინჯამ მარტო რომ დამინახა, თითქოს უბედურება იგრძნოო, აბღავლდა.

ჯავრიანად შევუდექი წველას. ვწველიდი ძროხებს, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა გვრიტოზე ფიქრი და მახინჯას მწარე მოლოდინი. ის მწუხარედ გასცქეროდა გომურში შემოსასვლელ კარს.

როგორმე მახინჯაც უნდა მოვწველო. მერძეულის ასე დატოვება არ შეიძლება. მერე კი წავალ და ვიპოვი გვრიტოს. სხვა ხბო მივიყვანე მახინჯასთან, რომ მომეწველა, მაგრამ ახლოს არ მიიკარა. მივეფერე, ჯიქნები დავუზილე, დავიწყე წველა, მაგრამ ამაოდ, არ მომცა რძე. დროდადრო ბღაოდა. ეძახდა თავის გვრიტოს.

შევატყე ვერას გავხდებოდი და მოვეშვი.

მთელი ფერმა შეწუხდა. ეს როგორ მოხდა, რომ ხბო დაგვეკარგაო. შალვა კუშტად გამოიყურებოდა. ხბოების მომვლელთ შავი დღე დააყენა:

— ახლავე ხბო აქ გააჩინეთ, ახლავე. ისე თვალით არ დამენახოთ, გასაგებია?!..—შესძახა მათ შალვამ.

რამდენიმე კაცი მაშინვე საძებნელად გაიქცა. მაგრამ მე იმათ რას დავენდობოდი? რძე ჩავაბარე და გვრიტოს საძებნელად წავედი.

ბინდდებოდა. ლაჟვარდი მზის უკანასკნელი სხივებისაგან ბრწყინავდა, მაგრამ ჩემს გულში ბნელოდა. ხბო დავკარგე, ბავშვივით გაზრდილი ხბო!.. გარდა აბისა დღეს ათი ლიტრა რძე დამაკლდა. თუ გვრიტო არ ვიპოვნე, ხვალ დილასაც ათი ლიტრა დამაკლდება. ცხადია, შეჯიბრებაშიც დავმარცხდები!.. მაჯობებს ტასო. ის ახლა ზეიმობს ჩემს მარცხზე. უხარია! არა, უსათუოდ უნდა ვიპოვნო, უსათუოდ,— გულდათუთქული ვეუბნები ჩემს თავს და ხმამაღლა გავკივოდი:

— გვრიტო, გვრიტო!

ვჩერდები, ვჩუმდები და ყურს ვუგდებ, იქნებ საიდანმე გამომეხმაუროს, მიპასუხოს ჩემმა ლამაზმა გვრიტომ. მაგრამ არსაიდან არაფერი არ ისმის, არაფერი!

დაბინდდა. აღარ ჩანს მზე. მთები ჩამუქდა და ჩაშავდა. ხევისკენ გავწიე. მაღლობზე გადავდექი და კვლავ რამდენჯერმე გავძახე:

— გვრიტო, გვრიტო!..

ხევიდან წყლის ჩხრიალი მესმის. ღამის მდუმარებაში მოთქმასავით გაისმის ფოთლების შრიალი, ნაკადულების ჩუხჩუხი და გულს მიწყლულებს.

„იქნებ უკვე იპოვნეს გვრიტო და ახლა უზრუნველად წევს თავის დედასთან,—გამიელვა გუნებაში,—მე კი უაზროდ დავეხეტები!“

ბინისაკენ გავბრუნდი. ჩქარი ნაბიჯით მივდივარ. ასე მგონია, მივალ და უსათუოდ იქ დამხვდება გვრიტო. როგორც იქნა, მივაღწიე ბინას. შუაღამე იყო. შევირბინე გომურში, მაგრამ იმედი გამიცრუვდა.

შევედი ქოხში. კართან დეიდა დარო და ტასო შემომეგებნენ.

— ვერ იპოვე? — თანაგრძნობით შემეკითხნენ ისინი.

— ვერა, ვერ ვიპოვე!—ხელის ჩაქნევით ვუპასუხე და საწოლზე პირქვე დავეშვი.

— საწყალი გოგო!—შემომესმა ტასოს სიტყვები.

— არაფერია, გამოჩნდება. იმ ავდარში სადმე ბარდებში ჩავარდებოდა, ვიპოვით! — დააიმედა ტასო დეიდა დარომ.

ეს სიტყვები მეც იმედად შემომესმა და ამ იმედით ჩამეძინა.

გარიჟრაჟზე წამოვდექი. მერძეულები კვლავ მოვიდნენ. ისევ შემომბღავის მახინჯა, თითქოს მეკითხება, სად არის ჩემი შვილიო.

რაღა ვქნა. ხბო დამეკარგა. ძროხას ველარ ვწველი. მოუწველაობის გამო მახინჯაც შეწუხდება, დაავადდება. ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ მე ხომ დამატყდა თავს ეს უბედურება!..

— დეიდა დარო, შენ შემოგევლე, დამეხმარე. მე გვრიტოს საძებნელად წავალ. თუ დროზე ვერ მოვედი, საღამოზე ჩემი ძროხებიც მოწველეთ!

— მაგის დარდი ნუ გექნება, გეთაყვა, წადი მოძებნე, შვილო, მოძებნე!

და მე ისევ წავედი საძებნელად. ჯერ ახლო-მახლო მიდამოები შემოვიარე. ნაკვლევსაც ვერ მივაგენი, თითქოს დედამიწა გაპკდა და შიგ ჩაიტანაო. მთელი დღე ვიარე. ფერდობები და ღელეები შემოვიარე. დავიქანცე. მუხლები მეკეცებოდა, მაგრამ მაინც არ ვცხრებოდი. ხევისაკენ გავწიე და შემომაღამდა კიდეც.

წვიმასა და თქეშში ჩემს პატარა გვრიტოს ფეხიდან მიწა გამოეცლებოდა, ქვებზე დაცურდებოდა და ხევში ჩაეშვებოდა. უსათუოდ იქ იქნება. წუხელის ვერ გავბედე ჩასვლა, ახლა კი გადავწყვიტე ჩავსულიყავი და კარგად მომეძებნა.

ვაი-ვაგლახით ჩავდიოდი ხევში. მეშინოდა, ნადირი არ შემხვედროდა. ამ დროს ქვევიდან რაღაც ხმა მომესმა. გავჩუმდი, სმენად გადავიქეცი. აშკარად გავიგე, რომ ვიღაცამ დაიძახა:

— გვრიტოოო!

— ვინ არის?!—ვიკითხე გულში და ამ ხმის მიმართულებით გავეშურე.

მივდივარ აჩქარებული, აღელვებული. აი, კვლავ გაისმა შეწუხებული დაძახილი:

— გვრიტოო, გვრიტოო!

ქალის ხმა იყო. შორიდან ისმოდა და ვერ გავარკვიე, თუ ვინ იძახდა.

ნაბიჯს ავუჩქარე. გვრიტოს მძებნელს დავედევნე. აი, სულ ახლოს მომესმა ძახილი. ნეტავი ვინ არის? საღამოთი წამოსულა საძებნელად, ამ ხევში ჩემზე ადრე ჩასულა და სწორედ ისე მწყურვალედ გაჰკივის, როგორც მე.

მთვარის შუქზე გავარკვიე:

ნაწნავები ოდნავ დაშლოდა და თმა ასწეწოდა. სახეზე წამოწითლებულიყო. საფეთქლებზე და ყელ-კისერზე ოფლი დასხმოდა. შეწუხებული გამოიყურებოდა.

— ტასო, შენა ხარ?—გაოცებით შევკითხე, — შენც ეძებ ჩემს გვრიტოს? მე მეხმარები?!

— სალომე, ჩემო დაიკო, რად გაგიკვირდა? რა გამაჩერებდა...

მივუახლოვდი და მადლობის გამოსახატავად მაჯაში ხელი ჩავჭიდე.

— ოოჰ, ნელა, ჩემო სალომე, ხელი ვიტკინე. ხევში რომ ჩამოვდიოდა, სიბნელეში ფეხი გამისხლტა, დავქანდი და ამ ხელზე დავეცი!

მინდოდა მივფერებოდი, მაგრამ სიხარულისაგან სული ვერ ამოვითქვი.

— შენი ცოდვით დავიწვი. ძროხას ვერ წველი, რძე გაკლდება. ნამატი დაგეკარგა. მახინჯაც შეწუხებულია, რძე გაუბრუნდება! არა, სალომე, სხვანაირად არ შეიძლება, უსათუოდ უნდა ვიპოვნოთ!

— უსათუოდ, უსათუოდ. თუ გვრიტოს არ ვიპოვნი, მე აქედან თავცოცხალი არ დავბრუნდები! — ვუპასუხე და რამდენადაც შემეძლო ხმამაღლა დავიძახე:

— გვრიტოოო!

ეს რა ამბავია? რა ხდება ჩემს თავზე? სიზმარი ხომ არ არის?! ნუ-თუ მართლა მოესმა გვრიტოს ხმა?!

წინ გავიქეცი. ტასოც გვერდში მომყვება. ისიც ჩემსავით სულამოუთქმელი მორბის. არ ვერიდებით ქვებს, ღრეს, ნაწვიმარ ორმოებს. მივრბივართ და დროდადრო გავკივით პატარა, უსუსური ცხოველის სახელს. ისიც ბღავილით გვიპასუხებს. ვიპოვეთ, ნამდვილად ვიპოვეთ! დავინახეთ კიდეც წაბლისფერი, ვაშლის ყვავილებივით თეთრლაქებდაყრილი ხბო. საცოდავი, ყელზე მობმული თოკით ბარდებში გახლართული წინა მუხლებზე ჩაჩოქილიყო. მივირბინეთ, ბარდებზე გახლართული თოკი შევხსენით. კისერზე მოვეხვიე, შუბლზე ხელს ვუსვამდი და ვკოცნიდი. მერე ტასოს შევხედე და განვცვიფრდი. მას თვალზე ცრემლი მოსდგომოდა.

— რად ტირი?

— ოოჰ, ნუთუ მართლა ვტირი? — თვალებზე ხელი მოისვა, შეწითლებული სახის ალმური შეინელა და უფრო ხმადაბლა დაუმატა: — საკვირველია, მიხარია და ვტირი კი!

მეც ცრემლი მომაწვა ყელში, ასეთი თანაგრძნობის გამო გული ამომიჯდა და ავქვითინდი.

— შენ რაღად ტირი?

— მე? მე რაღად ვტირი?! — წამოვდექი, ხბო წინ გავიგდე. ტასოს სახეზე ვერ ვუცქეროდი, სლუკუნით მივაბიჯებდი.

— თქვი, გოგო, რა დაგემართა?

— იცი რა, იცი რა?! — წამოვიწყე, — უნდა მაპატიო, უსათუოდ უნდა მაპატიო!

— რა უნდა გაპატიო?

— იცი, მე შენზე რასა ვფიქრობდი?! მე მეგონა შენ გიხაროდა გვრიტოს დაკარგვა!

— მიხაროდა?! — გაიკვირვა ტასომ.

— ერთ ძროხას ველარ ვწველიდი, შენზე ნაკლებ რძეს მივიღებდი, შეჯიბრებაში შენ გაიმარჯვებდი. მე კი.... მე კი!..

— შენ კი დამარცხდებოდი, არა?! ნუთუ არ გესმის, რომ შენი დამარცხება ჩემი დამარცხებაც არის?! თუ ფერმა გეგმას ვერ შეასრულებს ყველას ჩამორჩენილად ჩაგვთვლიან. ჩვენს თავსაც შევარცხვენთ და შალვასაც. არც კოლმეურნეობას ეტყვიან მადლობას. ჩემი გამარჯვება კი ის არის, როდესაც შენც წარმატება გექნება. სხვანაირად ვერ გავზრდით ვერც პროდუქციას და ვერც საქონლის სულადობას. განა არ იცი, სოცალისტური შეჯიბრება — ეს დოვლათის მომატებაა, ხალხის სიკეთის ზრდაა!..

დამნაშავესავით მივყვებოდი გვერდში. მარიგებდა, მე კი ხმაამოუღებლად ვუსმენდი.

სიხარული დატრიალდა ბინაში, დეიდა დარომ დაგვინახა თუ არა, ეს შუა-

ხნის ქალი ბავშვივით გაიქცა გომურისაკენ და გაიძახოდა:

— უპოვიათ, მოყავთ, საჭირო აღარ არის!

— ნეტავი რა აღარ არის საჭირო?— გავიფიქრე.

შალვას განკარგულებით მახინჯა საძოვარზე აღარ გაეშვათ. რადგან ვერ ვწველიდით, ზედმეტი იყო ძლიერი კვება. ზოოტექნიკის რჩევით კი ძროხა ძალით უნდა მოეწველათ. რქებითა და ფეხებით ბაგაზე აბამდნენ. ჩვენც სწორედ ამ დროს მივედით.

მახინჯამ გვრიტო რომ დაინახა, აიკლო იქაურობა. თოკები შეხსნეს, გაათავისუფლეს. გვრიტო მივარდა დედას. დიდხანს ეალერსებოდნენ დედა შვილი ერთმანეთს. ლოკავდნენ. მე ვერ გავუძელი მათი ალერსის ცქერას, გამოსვლა დავაპირე, მაგრამ მახინჯამ დრუნჩი მომადო და სასიამოვნო ხმით შემომბღავლა, თითქოს მთხოვა ნუ წახვალო, აქ იყავი, უყურე ჩემს ბედნიერებასო. მეც დავრჩი მათთან. გვრიტო მთელი ღამე დედასთან იყო.

მეორე დილას ჩემი მერძეულები ისე დამაძღარნი მოვიდნენ, რომ მათი დანახვა თვალსა და გულს ახარებდა. იმდენი მოვწველე, რომ მახინჯას დანაკლისიც დავფარე. მერე ტასოსთან გავიქეცი. ის მერვე ძროხას სწველიდა. მხოლოდ ორი ძროხა დარჩენოდა მოსაწველი. ტასომ ჩემს ფეხის ხმაზე გამოიხედა, დამინახა და წველა შეწყვიტა. ალერსიანად მომაჩერდა. თავისი გიშერივით შავი მსხვილი ნაწნავები წინ მკერდზე გადმოუვარდა და ლამაზად მოქარგა მისი სახე. რა მშვენიერი ნაწნავები აქვს! როგორ უხდება, ოჰ, როგორ შვენის! კარგა ხანს, ვტკბებოდი ცქერით...

ნელა მივუახლოვდი.

— დაიკო, შენ ხელი გტკივა. მოგეხმარები. ამ ორ ძროხას მე მოვწველი. დაასვენე შენი მტკივანი მაჯა!— ვთხოვე და მაშინვე კასრს ხელი ჩავავლე, ისე სწრაფად გავეშურე მოსაწველად, რომ ტასომ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო.

ამ დროს შალვა შემოვიდა. ორივეს გამომცდელი თვალით შემოგვხედა. კარგა ხანს ჩუმად გვიცქეროდა. მე ძროხას ვწველიდი, ტასო კი სამფეხზე იჯდა და მაჯას იხვევდა.

მე ვიცი შალვას ხასიათი. კარგად ვიცი, მისი ჩემდამი განწყობილება. აი, ახლავე მეტყვის:

— შენ შენი თავისთვის ვერ მოგივლია და აქ სხვის ძროხებს წველი?— დიახ, უსათუოდ ასე მეტყვის უსათუოდ!

მაგრამ არა! მოგვიახლოვდა და ღიმილით მოგვმართა:

— აი, მესმის, შეჯიბრება ასეთი უნდა! გაჭირვებაში ერთმანეთს უნდა დაეხმაროთ. მეგობრობა თქვენც გაგზრდით და თქვენი შრომის ნაყოფსაც.— მერე ტასოს ჰკითხა,— ძალიან გტკივა ხელი?

— არა, მალე გამივლის!

— კარგი,— ჩაფიქრებით | განაგრძო შალვამ,— თქვენ, როგორც მოწინავე მწველავებს, ჩემი გადაწყვეტილება მინდა გაგიზიაროთ!

ამ სიტყვების გაგონებაზე სიხარულმა ამიტანა. „მოწინავე მწველავებსო“. მაშინვე შევაჩერე წველა თორემ რძის ჩხრიალი შალვას სიტყვების გაგონებას მიშლიდა.

— შემოდგომიდან, როდესაც ახალ ნამატს მივიღებთ, ხბოებს პირველი დღიდანვე მოვაცილებთ დედაძროხებს. ხბოები ცალკე გავზარდოთ. ეს ბევრგან არის შემოღებული, ჩვენ კი ამ მხრივ ჩამორჩენილები ვართ. განა სალომეამ ცუდი ძროხა გაზარდა ხელით ნაკვები რძით? ფერმის თვალია მახინჯა. ამ საკითხს საერთო კრებაზე განვიხილავთ!..

ისე დაამთავრა თავისი სიტყვა, რომ არც ერთხელ არ დააყოლა— „გასაგებია?!“

რასაკვირველია, კარგად მივხვდით შალვას აზრს. მოწინავე მწველავები ვიყავით და როგორ არ გავიგებდით?!

როდესაც შალვა წავიდა, ტასო გვერდზე მომიჯდა, ხელი გადამხვია და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გულთბილად მკითხა:

— მოგწონს შალვა?

— არა!—გადაჭრით უარი ვუთხარი.

— მას კი მოსწონხარ! ამას წინათ იცი რა მითხრა? საძოვრებიდან რომ დავბრუნდებითო, სოფელში ჩავალთ

თუ არა, ძია ნიკოს ვინახულებ და ქორწილის თანხმობა უნდა ვთხოვოო!

— მერე, მე აღარ მეკითხება?!

— შენც გკითხავს, აბა, ისე როგორ შეიძლება?!

ოჰ, აღარ გადის ეს ზაფხული, რომ ირმისთავიდან სოფელში დავბრუნდე. არ გეგონოთ ქორწილზე ვფიქრობდე. მე ის მაფიქრებს, ჩვენი ახალი ვენახიდან რამდენ ღვინოს მოიწევს მამაჩემი, ეყოფა თუ არა მთელ სოფელს საქეიფოდ, რომ აღვნიშნო ჩემს საყვარელ ირმისთავზე ასე მღელვარედ, მაგრამ ლამაზად გატარებული ზაფხული?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰარინდრანათ ჩატოპადჰაია

აზიის ღღესასწაული

★

დაწერილია და წაკითხულია ბომბეიში საბჭოთა დელეგაციის მიღებისას 1947 წლის 14 აპრილს და დაბეჭდილია „Indo-Soviet Journal-ის იმავე წლის მაისის ნომერში.

თვით ირონია ხარხარებდა დაუნდობელი,
როცა აზია, მთლიანობის მტკიცედ მდომელი,
ორმოცდაშვიდის ოცდასამ მარტს არ მოერიდა
ერთად თავმოყრის საზეიმო გამოცხადებას.
სულ იგრიალებს ეს ხარხარი ამიერიდან,
ვიდრე მსოფლიოს გულისწყრომა არ დაწყნარდება.

ის ხარხარებდა განუწყვეტლივ, როცა ხედავდა
მრისხანე ლომის დაღრეჯილი ყბის მოდუნებას, —
უხეში ძალა ამძლავრებას ვერა ბედავდა,
უცებ მოალბო ცოფიანი თვისი ბუნება,
ოდნავ მოჩრდილა მძულვარებით სავსე თვალები
და თაყვანი სცა იმ აზიას, რომლის დაგლეჯას
ის აპირებდა სისხლიანი თვისი ბრჭყალებით.

სწორედ ის ძალა მოთარეშე, დაუცხრომელი,
მუდამ ცბიერი, ვერაგი და მუდამ მწყრომელი,
დიდ საბჭოეთს რომ სწყევლიდა და ემუქრებოდა,
როცა ეს გმირი-ბუმბერაზი ფეხზე დგებოდა,
სწორედ ის ძალა, მთელ აზიას რომ აკვნესებდა
და ტანჯულ ხალხთა სისხლითა და ცრემლით თვრებოდა, —
წელში მოხრილი და შემკრთალი სიტყვებს ეძებდა,
რომ იმ აზიას მეგობრულად მისალმებოდა.

ამპარტავანო მოძალადევ! შენ დაიპყარი
სნეული, დუნე და ბეჩავი ძველი აზია,
მაგრამ მან დაგმო მორჩილების გზა საზიზღარი,
იგი გამხნევდა და ამოდის ტანჯვის ორმოდან,
დღეს იგი, ხედავ, ვაჟკაცური ბრძოლის გზაზეა!

თავისუფალნო, საბჭოური აზიის ხალხნო,
ინდონეზიის მებრძოლებო სახელოვანნო,
შემოჯავშნულო ვიეტნამო ურჩო, ამაყო,
და მალაელნო უშიშარნო და გულკლდოვანნო,
შეუდრეკელნო მონღოლებო, ირანელებო,
მტერთა მიმზღველნო არაბებო, ეგვიპტელებო,
თქვენ შემოკრბენით და ამართეთ დროშა მზიანი,
მტაცებელთათვის მიუწვდომი და ხელუხლები
და დააჩოქეთ მოძალადე პირსისხლიანი,
ვინაც ლამობდა მოემსხვრია თქვენთვის მუხლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•
• •

ხედავთ, მებრძოლნი შეიყარნენ ერთად, უკლებლად,
რათა დაიცვან ჩაგრულ ხალხთა თავისუფლება!
შეხვდა აზია საბჭოური არასაბჭოურს.
მხურვალე გულით აქ ერთმანეთს ეგებებიან,
ახალ ოცნებით, ახალ მიზნით გამხნევებულნი
საერთო ბრძოლის სასახელო გზაზე დგებიან.
იმსხვრევა ჯაჭვი, წინ მიმავალთ ფეხებს რომ უკრავს,
ხალხთა მჩაგვრელი ახლა შიშით თვითონ ცახცახებს.
ხატავს აზია განახლებულ მსოფლიოს რუკას,
იმ მსოფლიოსას, ცისკარივით დღეს რომ თვალს ახელს.

ძველ სიმაგრეში, რასაც ჰქვია პურანა ქილლა,
შეყრილან ძმები, რომ აკეთონ ეს დიდი საქმე.
მეწამულ ციხის ღია კარი მათ შეხვდა თბილად,
დაიძრა ციხე ხომალდივით მომავლისაკენ.

მდუმარე ციხევ, გეკითხები, რა იგრძენ მაშინ,
როცა აზიამ ნაკუწების რიდე მოიხსნა
და შენს დარბაზში ამქუხრებულ სიტყვების ხმაში
დიდი მომავლის ახლობელი გრგვინვა მოისმა?
რა უპასუხა იატაკმა იმ ურიცხვ ფეხებს,
შეთანხმებული მწყობრი რიტმით რომ ხმაურობდნენ,
ფეხებს მონღოლთა, კორეელთა და მალაელთა,
ინდონეზიელთ, ტიბეტელთა, ვიეტნამელთა,
ყაზახთ, არაბთა, ავღანთა და კამბოჯიელთა,
ჩინელთა, ინდოთ, ნეპალელთა და ბჰუტანელთა,
ტაჯიკთა, ბირმელთ, ფილიპელთა და ეგვიპტელთა,
აზერბაიჯანელთ, სპარსთა, თურქთა და სიამელთა,
ვინც ქმნის აზიას განუყოფელ ერთ კონტინენტად?

ნეტავ რა იგრძნეს, ციხევ შენმა ძველმა კედლებმა
როცა ერთობას ზეიმობდა ხალხთა კრებული
და მღელვარებდა ერთიანი სულისკვეთება,
ერთი მიზნისკენ განუხრელად მისწრაფებული?

•
• •

ჩვენი სალამი საბჭოური აზიის შვილებს!
ვამაყობთ თქვენი სიმტკიცით და ნებისყოფითა.
რა შეუძლიათ თქვენს ძალასთან წარსულის ჩრდილებს
მათი ზარბაზნით და ყაჩაღის ნაცად თოფითა?
თქვენ აამაღლეთ საბჭოეთის დროშა გაშლილი
და აზიასთან დაამყარეთ ძმური კავშირი.
ხალხთა ძმობისთვის თქვენებრ არვის არ უბრძოლია,
ეს ძმური გრძნობა არასოდეს დაიღრუბლება,
და მეგობრობა ამ კავშირის ერთი რგოლია:
თქვენთან გვაერთებს, თან გვანიჭებს თავისუფლებას.
ჩემო სამშობლოვ, საყვარელო ჩემო ქვეყანავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ, აზიამ თვისი შვილნი ერთად შეყარნა!
შენ ნაწილი ხარ აზიისა და სხვებთან ერთად
უნდა იბრძოლო დასამხობად მოსისხლე მტერთა.
შენ ამ დიდ კავშირს შენი ხალხის ბედი მიანდე,
მებრძოლ ხალხებთან უნდა მჭიდროდ გაერთიანდე.
უნდა იბრძოლო, ზედმეტია აქ მერყეობა,
უნდა მოისპოს უტიფარი ძალმომრეობა!
ჰე, ინდოეთო! ულმობელი ბრძოლა განაგრძე,
ომის ვაჭარი მებრძოლთაგან არ დაინდობა.
უნდა განმტკიცდეს საბოლოოდ მთელს ქვეყანაზე
თავისუფლება, მეგობრობა, ხალხთა მშვიდობა.
ვერას გახდება მოძალადის თვალი მზვერავი,
ჩვენ ამ ბრძოლის ცეცხლს ვერ ჩაგვიქრობს გულში ვერავინ.
საბჭოებისგან ჩვენს ქვეყანას ვერვინ გათიშავს,
ძმათა ერთობას სითბო უფრო მოემატება.
ჩვენ კარგად ვიცით ეს კავშირი ჩვენთვის რას ნიშნავს:
ჩვენი აზია ერთიანი დღეს იბადება!

თარგმანი **ალ. აბაშელისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

ფოლადი

★

რომანი

VI. მარტოხელი *

მარინა სერგეევნა იმ დღეს შინიდან ადრე გავიდა.

გულსავსე მზე ახალამოსული იყო. გრილი ნიავი ჰქროდა, მაგრამ პაპანაქების მოახლოვება მაინც იგრძნობოდა. მოყვითალო გორაკები მბზინვარე ბურუსში ეხვეოდნენ.

მარინა სიცხეს ადვილად იტანდა, მაგრამ იმდენი რამ უამბეს საქართველოს აგარაკებზე, ისეთი წარმტაცი სურათები დაუხატეს, რომ ძალიან ეწადა ემოგზაურა, დაეთვალიერებია ეს ლამაზი ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ იცნობდა. ძნელი არ იყო ამ სურვილის შესრულება, შეეძლო აეღო შვებულება და საითაც გული მოსთხოვდა, იქით წასულიყო.

რამდენიმე დღის წინათ შეხვდა ალმშენკომის თავმჯდომარე კალისტრატე კილაძე და თავისებური ალტაცებით მიესალმა:

— გამარჯობა, მარინა სერგეევნა, გამარჯობა! როგორ გიკითხოთ? სიცხემ ხომ არ შეგაწუხათ? — პასუხს არ დაუცადა, მყისვე განაგრძო: — თქვენ რომ იცოდეთ, რა შესანიშნავი მხარეებია საქართველოში, რა კურორტები! აუცილებლად უნდა ნახოთ, თორემ ისე საქართველოზე სრული წარმოდგენა არ გექნებათ. ეს ჩვენი არიში დიდი ისტორიული ადგილია, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაუდაბურდა. აქ ცხოვრება ახლა იდგამს ფეხს. თქვენ ჩვენი ბორჯომის ხეობა უნდა ნახოთ, ჩვენი ბახმარო, ჩვენი ზღვის პირი. სამოთხეა, ნამდვილი სამოთხე!.. ჰო, მართლა, არ დაგვერიდოთ, დამირეკეთ და საგზურს უთუოდ გიშოვით.

— გმადლობთ, კალისტრატ მაკაროვიჩ, ყურადღებისათვის. ჯერჯერობით საქმეს ვერ დავტოვებ. აი, როცა ტარიელ ზურაბოვიჩი დაბრუნდება მივლინებიდან, მერე ვიფიქრებ.

— ჰო, ეგ საპატიო მიზეზია. — დაეთანხმა კალისტრატე, მერე ღაჟღაჟა სახე მიმზიდველი იერით დაუმშვენდა და შინაურულად მიეფერა: — მომწონს თქვენი გულმოდგინეობა, საქმით გატაცება. თქვენ, ჩრდილოელები, საერთოდ ძალიან გამძლენი ხართ. მე ხომ ცოლი რუსეთში შევირთე. ამას წინათ ჩავიყვანე ბავშვიანად დასავლეთ საქართველოში ნათესავებთან. მშვენიერი მთაგორიანი ადგილია. წარმოიდგინეთ, ორიოდე წელი გავიდა, მეტი არა, და ქალიც და ბავშვიც უკვე ახერხებენ ქართულად ლაპარაკს. ახლა სოფელში წასვლა უხარიათ. აი თქვენც რომ...

სიტყვა შეუფერხდა კალისტრატეს. რატომ? უნდოდა ეთქვა: თქვენც რომ ვინმეს აირჩევდეთ, აქაურობას ადვილად შეეჩვევითო. ამ ვინმეშიაც გარკვეულ პიროვნებას გულისხმობდა კალისტრატე. მართალია, არაფერი სმენია მარინასა და ტარიელის ურთიერთობაზე, მაგრამ რატომღაც ერთხელ მაინც გაივლო გულში — ნამდვილად შესაფერისნი არიანო. ეს მოხდა გაზაფხულზე, როცა კალისტრატემ ერთად მიმავალი ტარიელი და მარინა დაინახა. მოშორებით იყვნენ. მათი ხმა არ ესმო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" №8.

და, მაინც თითქოს ის იდუმალი სხივი დაიჭირა, რომელიც ათას საბურველში გახვეულ სიყვარულს ამჟღავნებს ხოლმე.

— ჰო, — გაისწორა სიტყვა კალისტრატემ:—თქვენც რომ აქ მეტხანს დარჩებით, უფრო კარგად გაეცნობით ჩვენს ქვეყანას.

მარინამაც იგულისხმა მაშინ ის, რაც პირველად უნდა ეთქვა კალისტრატეს და სახე ოდნავ შეეფაკლა, ხოლო შემდეგ, მას რომ განშორდა, გუნებაში სიამით გაეღიმა.

იმ დილასაც, რაკი ჯერ ძალიან ადრე იყო და არ ეჩქარებოდა, გზაჯვარედინთან შედგა მარინა და ოხშივარის მსგავს ბურუსში გახვეულ მთაგორებს გაჰხედა.

მახლობლად, ქვიან მინდორზე, პირფართო, თეთრწვერა მწყემსი იდგა; იგი ამ ადგილას იბარებდა მშენებლებისაგან ძროხებს და საძოვრად მიდენიდა.

მარინას არც მოხუცისათვის მიუქცევია ყურადღება და არც მინდორში გაფანტული პირუტყვისათვის, ცხელი დღის მოლოდინში კვლავ გაუცხოველდა მთიან ადგილებში მოგზაურობის ნატვრა. მაგრამ იმ წამს რომ ეთქვათ მისთვის: ყველაფერი ?ზად არის, არც საქმე, არც სხვა რამე არ გაბრკოლებს, ადექი და მიჰყევ შენს გულისთქმასაო, ის მაინც უარს იტყოდა, მარტოდ წასვლას არ ისურვებდა.

ვის ელოდა? ეს გადაჭრით თვითონაც არ იცოდა; მხოლოდ როგორც კი აყვებოდა ოცნებას, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ ტარიელი ედგა გვერდით, ან თან მიჰყვებოდა, ან რაღაც ამბავს უამბობდა.

და ისე კარგი იყო ყველაფერი, ისე წარმტაცი, ისე საუცხო, რაკი ტარიელი მასთან იყო, მის ძლიერებას გრძნობდა.

ეს ნატვრა ძილშიაც ჩაჰყვა და დაუვიწყარი სიზმარი ნახა: ჯერ რომელიღაც მდინარის პირს მიყვებოდნენ, ერთ მხარეს უზარმაზარი ქარხანა იყო თავისი ცადაწვდილი კვამლსადენებით, მეორე მხარეს — ბაღში ჩამჯდარი ქალაქი, თავისი კოხტა სახლებითა და კრიალა ქუჩებით, ხოლო შემდეგ რაღაც სანებივრო ხევში მოხვდნენ, მაღლობზე ავიდნენ და ისეთ სანახებს გადახედეს, როგორიც სინამდვილეში ვერც კი წარმოედგინა. მწვანით შემოსილ ფერდოებს ის მოალისფრო ელფერი გადაჰკრავდა, რომელსაც ჭკნობა არასოდეს არ ეპარება; მთელი გარემო სდუმდა, მაგრამ თანაც, ასე ეგონათ, სულ უბრალო სურო, ან არა და, სულ პაწია ყვავილიც კი საალერსოდ არისო მინაზებული. მიდიოდნენ, ხმას არ იღებდნენ, რადგან მთელი ბუნება ადამიანის დიდებას მეტყველებდა. უცებ (სიზმარში ხომ ყველაფერი შესაძლებელია) არც ფრთები გამოსხმიათ, არც თვითმფრინავში ჩამსხდარან, ისე დაეშვნენ თვალუწვდენელი სიმაღლიდან მშვენიერ მდელოზე. მაშინ გადასწია თავი მარინამ და ტარიელს სახეზე მიაშტერდა. აი, თურმე როგორი ყოფილა ეს მუდამ საქმეში გართული, ფიქრგანუშორებელი ვაჟკაცი! როგორ შვენის უაღრესად წრფელი, გრძნობიერი გამომეტყველება და კეთილი, კეთილი თვალები!..

იმ თვალებს გაუღიმა ახლა გუნებაში მარინამ, მანქანას აღარ დაუცდა, გზა ფეხით განაგრძო. ისევ ის თალხი ქაბა ეცვა, თეთრფოთლებიანი. ხელში პორტფელი ეჭირა. სიარულშიაც ემჩნეოდა ტანადსა და გულმკერდსავსეს, რომ იმ წამს კარგ ხასიათზე იყო.

ახალდამთავრებული კოტეჯის აივანზე ნიკოლოზ პავლოვი დაინახა. შორიდან მიესალმა. ნიკოლოზი პერანგის ამარა იყო, სწრაფად შებრუნდა, ხალათი ჩაიცვა, კიბე ჩაირბინა და მარინას გზაზე მიეგება.

— სწორედ ამ დილით ვფიქრობდი თქვენზე, — უთხრა მარინას: — იქნებ ტარიელისაგან რაიმე ცნობა მიიღო-- მეთქი. ხომ არ იცით, როდის აპირებს ჩამოსვლას?

— არა... რატომ მაინც და მაინც ჩემთვის უნდა ეცნობებინა? — გაიკვირვა მარინამ, გულში კი ესიამოვნა, ეს ხანდაზმული მშენებელიც რომ ტარიელის ამბავს მას ეკითხებოდა. ისე გამოდიოდა, რომ არიშელებს ტარიელი და მარინა ცალ-ცალკე ვერ წარმოედგინათ. ეს კარგი ნიშანი იყო... თუმცა საიდან შეექმნათ ასეთი წარმოდგენა? ვინ უთხრა მათ, რომ მარინა... კარგი, მარინას თავი დავანებოთ. საი-

დან იციან, რომ ტარიელს რაიმე აქვს გულში ამოჭრილი მარინას მიმართ?

გაიფიქრა ეს და ნიკოლოზი, ცოტა არ იყოს, განცვიფრებით შეათვალიერა, მაგრამ მის მზემოკიდებულ სახეში ვერაფერი ამოიკითხა.

— იქნებ წერილი მიიღეთ-მეთქი. — განუმარტა ნიკოლოზმა და დასძინა: — ძალიან ძნდა, რომ ტარიელი ადრე ჩამოვიდეს. შშენებლობის უფროსმა წასვლისას სთხოვა, რომ ჩვეხთვის ერთი მეტად სერიოზული საკითხი გაერკვია.

— ალბათ, თქვენ წამოწყებას ეხება, ბეტონის მილებს?

— დიახ. არის ერთი დეტალი. ცდა იყო საჭირო.

— ეგ უთუოდ პირაპირა ქუროებთან იქნება დაკავშირებული.

— სწორედ. ტარიელს იქ ბევრი საქმე აქვს. ვაი თუ დრო არ დაურჩეს და ჩვენი თხოვნა ვერ შეასრულოს. აქ უკანასკნელ ცდებს ვაწარმოებთ. მე პირადად შედეგებით ძალიან კმაყოფილი ვარ...

ამ დროს მახლობლად თედო კორფაძემ ჩაიარა. ნიკოლოზს დიდი მოწიწებით სალამი მისცა.

სახე მოეღრუბლა ნიკოლოზს, თავი ოდნავ დახარა, კორფაძეს თვალი ქვეშ-ქვეშ გააყოლა.

მარინა მიხვდა, რომ ნიკოლოზს იმ კაცის ნახვა არ ესიამოვნა. ამიტომ დაინტერესდა:

— ვინ არის ეგ?

— ნუთუ არ იცნობთ? საკვირველია, როგორ გამორჩით! შეუძლებელია, რომ მან აქ ვინმე მნიშვნელოვანი პიროვნება შენიშნოს და არ მიელაქუცოს, არ მიეპირფეროს. დიდი გაქნილი ვინმეა. როგორც იყო, ჩვენგან მოვიშორეთ, ახლა სავაჭრო დარგში მოწყობილა. ამიტომ არ უნდა გიკვირდეთ, ამ ბოლო დროს რომ ასე გამრავლდნენ არიშში მელუდეები და წვრილი მედუქნეები, გამორჩენის მაძიებელნი... არაფერია, დადგება დრო და მაგათვისაც მოვიცლით. ჰოდა, ცუდი რა არის იცით? ეს მავნე ტიპი ტარიელის ცოლის ახლო ნათესავია...

მარინას იმდენად ეწყინა ეს, რომ ფერი ეცვალა, თვალები მოჭუტა და განზე მიიხედა.

მახლობლად, შუა ქუჩაში, ექსკავატორი მუშაობდა, ღრმა თხრილში იყო ჩამდგარი, მიწანარევი ... ქვები ამოჰქონდა და მანქანაზე ... მარინას ხმაურიც აღარ ესმოდა, სახლებს მიღმა, ტიალ მინდორს გაჰყურებდა, იქაც ვერაფერს ამჩნევდა; მას თითქოს მხედველობითაც სურდა გაერკვია, თუ რამ ატკინა გული ასე მწვავედ.

ნიკოლოზს რომ განშორდა, ერთხანს გაოგნებული მიდიოდა, მერე უცებ შუბლი შეიკრა და თვალები რისხვით აენთო. ჰო, ეგ იყო, ტარიელის ცოლის ხსენებამ დააყენა ცუდ გუნებაზე. ერთხელ ნახა ეს ქალი და უმალვე შეკრთა, თითქოს რაღაც საფრთხე იგრძნო. ისე აღიზარდა, თვითონაც ისეთი სათნო ბუნების ადამიანი იყო, რომ არასოდეს პირადი მტერი არა ჰყოლია. უსიამოვნება ახლობელთან თუ ამხანაგთან როგორ არ მოსვლია, მაგრამ შურისგების მოლოდინი არავისაგან არა ჰქონია. ხოლო იმ ქალს რომ შეხედა, მთელი სხეული ისე შეეკუმშა, თითქოს თავდაცვისათვის ემზადებაო.

ჩაფიქრებული მიდიოდა. რა მოხდა, რა საშიშროება მოელის? ის ქალი, ალბათ, უკვე შეურიგდა თავის ბედს. იქნებ კმაყოფილიც არის. თუ კაცს არ უყვარხარ, თავს ძალად ხომ ვერ მოახვევ. მთავარი ადამიანის ნამდვილი შინაგანი თავისუფლებაა. სიყვარული გზას უხსნის ნიჭს, შრომის უნარს, შემოქმედებას. ამიტომ ვერ ითმენს იგი ვერავითარ ძალადობას, მისთვის მარტოოდენ საკუთრება არ არსებობს, არის მხოლოდ ორთა საზიარო, საერთო... კი, მაგრამ ალიოშას რომ სხვა ვინმე შეეყვარებია, მარინა რას იზამდა? აჰ, ეს არასოდეს არ მოხდებოდა! — წამოიძახა გუნებაში და ყოველგვარი ფიქრი უკუაგდო, თანაც თითქოს თავისითავი რაღაც ცუდ საქციელში დაიჭირა, მამხილებელმა სევდამ მოიცვა.

შუადღემ მოატანა. ჩამოცხა.

კარგა ხანია გაერთო მარინა საქმეში, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც შეამჩნევდა: მის ნათელ სახეში ჩვეული კაეშანი გამოსჭვივოდა.

ჭერდაბალ შენობაში ჰაერი მეტისმეტად შეიხუთა. მარინამ სამუშაო მიალაგა, მთავარი ინჟინერი ინახულა.

მერე ქალაქში მიმავალი მანქანა ნახა, ჩაჯდა და ბინისაკენ გასწია.

სასადილოში იშვიათად დადიოდა, თვითონ იმზადებდა ელექტროღუმელზე. ახლაც ბაზარში შეიარა, სანოვაგე გაიძღვანია. ბინაში სიგრილე დახვდა. მაინც ფანჯარა ორივე მხარეს გააღო, მოიშილიფა, ჩითის ხალათი ჩაიცვა.

ამ დროს კაკუნი მოესმა. ეს ნელი იყო. მარინას ბინის გვერდით თედო კორფაძის ნაცნობი იდგა. იმის ცოლს დაუმეგობრდა. ამდენ ხანს იქ იჯდა და მარინას მოსვლას ელოდა.

მარინამ კარი გააღო და სახტად დარჩა, სტუმარი წამსვე იცნო. ჯერ მხოლოდ მისი საერთო იერი დაეჭირა: ეს იყო ხანდაზმულობას მიახლოებული ქალი, რომელიც თავს ძალიან იახალგაზრდავებს. შემდეგ მისი ჭრელი თვალების მომნუსხველი შუქი შეეფეთა და უნებლიეთ შეკრთა.

ნელი თავის დაჭერის დიდი ოსტატი იყო, მაგრამ იმდენი ხნის მოლოდინმა მოქანცა და ახლა ძალა არ ეყო, რომ მღელვარება დაეცხრო. მაინც მიხვდა, რომ საჭირო გამომეტყველება არა ჰქონდა და თავი დახარა, მარინას ისეთი ხმით მიმართა, თითქოს ცრემლები უნდა წასკდესო:

— მაპატიეთ, გეთაყვა. თქვენთან ძალიან საჭირო საქმე მაქვს და იმედია რამდენიმე წუთს დამითმობთ.

— მობრძანდით! — თქვა მარინამ და ანგარიშმიუცემლად უკან დაიხია.

მძიმედ დაეშვა ნელი სავარძელში. ხელის ჩანთა გვერდით დაიდო და ოთახში მიმოიხედა. არ ესიამოვნა ეს მეტისმეტი სიფაქიზე, ეს სისადავე, ეს ალისფერი ყვავილები ფანჯრის რაფაზე. მოეჩვენა, თითქოს აქ ყველაფერი ტარიელის გემოვნებაზე იყო გაწყობილი. მას თვითონ, თუ თეოლინე ან შინამოსამსახურე არ მიხედავდა, ოთახი ყოველთვის მიულაგებელი ჰქონდა; სარკესთან პუდრი ეყარა, სკამზე რომელიმე კაბა ან ყელსახვევი იყო გადადებული, მაგიდაზე ნახმარი ჭურჭელი რჩებოდა.

მარინა სამზარეულოში გავიდა, ელექტროღუმელი ამორთო, თანაც დრო მოიგო, რომ უხერხულობისაგან თავი დაეღწია. იცოდა, არასასიამოვნო საუბარი ელოდა. ამიტომ ძალას იკრებდა, რომ მღელვარება არ გამოემჟღავნებია.

ოთახში რომ შებრუნდა, ნელიმ კედელზე ჩამოკიდებულ სურათს თვალი მოსწყვიტა და, თუმცა დაწვრილებით იცოდა ყველაფერი, მაინც ძორიდებულად იკითხა:

— ვინ არის ეს შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი? ეს ბავშვიც რა მშვენიერია!

ასე რამ შეაწუხა მარინა? სხვა დროს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, გრძნობიერად მოუყვებოდა თავისი ქმარ-შვილის ამბავს, მწუხარება უმსუბუქდებოდა, ახლა კი ისე ემწვავა, თითქოს გახსნილ ჭრილობაზე ჭუჭყიანი ხელი შეახესო.

— ჩემი ქმარშვილია. — უპასუხა ყრუდ.

— ნუთუ?! — გაიოცა ნელიმ, მერე ისე ჩაილაპარაკა, თითქოს გულზე მოეშვაო: — მე კი გაუთხოვარი მეგონეთ. რა ლამაზი ახალგაზრდა კაცია! ახლა სადაა? ისევ არმიაშია?

მარინა თითქმის მიხვდა, რომ ნელი თვალთმაქცობდა, მაგრამ თავაზიანობამ დასძლია და თქვა:

— ომში დაიღუპა.

— რას ამბობთ! — წამოიძახა ნელიმ და მარცხენა ხელის თითები ლოყაზე მოისვა. — ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! მაგრამ რას იზამთ, მარტო თქვენ ხომ არა ხართ, ბევრია ამ დღეში... ბავშვი, ძვირფასო, ბავშვი სადა გყავთ?

მარინამ განზე მიიხედა, უსასოო მარტოობა იგრძნო. მოგვიანებით უპასუხა:

— ისიც მომიკვდა.

— უიმე, რა უბედური ქალი ყოფილხართ, ძვირფასო, რა უბედური! აი თურმე ვისთან მქონია საქმე! თქვენ ხომ იცით, რა არის საყვარელი ქმრის დაკარგვა, რა არის დედის მწუხარება! მეც დავკარგე შვილი, ჩემო ძვირფასო, მეც უბედური ვარ...

ხმა აუთრთოლდა ნელის. წამწამებზე ცრემლი დაეკიდა. ხელის ჩანთა გახსნა, ბავშვის სურათი ამოიღო.

— ა, ჩემო ძვირფასო, — განაგრძო მოთქმით: — ნახეთ თქვენი მშვენიერი თვალებით, რა ოქროსავით ბიჭი გამომგლიჯა ხელიდან მუხთალმა ბედმა!..

მარინამ ნელის ხმაში დედის მწუხარება იგრძნო, გული დაეძღულრა, თავისი ბავშვი დაუდგა თვალწინ, უკანასკნელად ხემსს რომ უკეთებდხენ და სულს ძლივს ითქვამდა, — სკაბზე დაეშვა, თავი ხელზე დააყრდნო.

ნელიმ ქვეშქვეშ გახედა მარინას, შვება მოჰგვარა ძისმა მწუხარებამ, წამოდგა, სურათი მარინას წინ დაუდო და ისეთი ხმით განაგრძო, თითქოს ცრემლს ძლივს იკავებსო:

— ა, ჩემო ძვირფასო, გრძნობიერი ადამიანი ყოფილხართ და ნახეთ თქვენი მშვენიერი თვალებით, რა ოქროსავით ბავშვი მომწყვიტა გულიდან ულმობელმა სიკვდილმა. დააკვირდით, ძვირფასო, ხომ ზედ გამოჭრილი ტარიელია ჩემი ზურიკო! თვალები, ნიკაპი, ცხვირი, ტუჩები, ყველაფერი მამისეულია. არ გიკვირთ, ჩემო ძვირფასო, რომ ზურიკოს დამკარგავს სული ისევ მიდგას? რა დამრჩა? ერთადერთი კაცი მყავს, ის მაცოცხლებს, ის არის ჩემი ნუგეში და ახლა ისიც...

აქ სიტყვა შემოაკლდა ნელის, — იმიტომ კი არა, რომ რუსული ენა ცუდად იცოდა, არა, საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა, ამით თავსაც კი იწონებდა, — მიხვდა, რომ ჯერ პირდაპირ საგანზე გადასვლა ადრე იყო, ნიადაგი მომზადებული არა ჰქონდა. ამიტომ შორიდან მოვლა ამჯობინა.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მივლიდა ტარიელი, რა მზრუნველობას იჩენდა. ჩემი მეგობარი ქალები გაოცებული იყვნენ, ჩემ ბედს შენატროდნენ, ჩვენს დროში ასეთი თავდადებული ქმარი იშვიათიაო, მეუბნებოდნენ. მართლაც გამონაკლისი იყო, ჩემო ძვირფასო, არაფერს არ მაკლებდა, თავს მევლებოდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ხშირად შინ არ იყო, ხომ იცით, ინჟინერია, პასუხისმგებელი მუშაკია. მერე კიდევ ომი დაიწყო, რამდენიმე წელს თვალით არ მინახავს. ბოლოს ამ საძაგელ არიშში...

აქ ვეღარ მოზომა ნელიმ, ბოლმამ აიყოლია, მშენებლობისადმი ზიზღი უნებლიეთ გამოამჟღავნა, თვითონაც მიხვდა და სიტყვა გაისწორა.

— ან კი ჯერჯერობით რამ უნდა მიიზიდოს აქ ადამიანი? ახლა კიდევ არაფერი, თქვენ წინათ უნდა გენახათ ეს უდაბნო, ქარი, მტვერი და ტალახი... ჰოდა, აქ დაუსრულებელმა მშენებლობამ ჩაითრია, ოჯახისათვის ვეღარ მოიცალა. წინათ ყველაფერს მე მეკითხებოდა. რაც კი რაძ კარგი გაუკეთებია, სულ ჩემი დახმარებით, ჩემი ძვირფასო, ჩემი ხელისშეწყობით. ამ ბოლოს კი საქმემ იძდენად გაიტაცა, რომ ჩვენ შორის თითქოს ფარდა ჩამოეშვა. მერე კიდევ ხომ მოგეხსენებათ, ძამაკაცია, ბუნება თავისას მოითხოვს, თქვენისთანა მშვენიერ ქალს გადაეყარა და რაღა საკვირველია, რომ...

მარინამ თავი ასწია, კუშტად ახედა ნელის. ამდენხანს უსმენდა და მეტად მძიმე, მიწასთან გამასწორებელი გრძნობით იძსჭვალებოდა; ზიზღიც იყო ამ გრძნობაში და საშინლად დამამცირებელი უმწეობაც. ხოლო ყველაზე აუტანელი ის იყო, რომ, ეგონა, მალიდან ძიცვალებულის სურათი როდი დაჰყურებდა, თვითონ ალიოშა უხილავად შემოსულიყო ოთახში და იდუმლად უსაყვედურებდა: „ასე როგორ დაეცი, ჩემო მარინა? რას ჰგავს შენი ცხოვრება? რა უნდა გქონდეს შენ საერთო ისეთ კაცთან, რომელსაც ცამდი აჰყავდა ეს ურცხვი ქალი? რა უნდა სიყვარულს იქ, სადაც ასეთი წუმპე გუბდება? ხომ გესმის, რას ამბობს: „ძამაკაცია, ბუნება თავისას მოითხოვსო...“

ნელის ფერი ეცვალა, მარინას სასტიკ გამომეტყველებაში ამოიკითხა, რომ მას ასე ჯიქურ ვერ მიუდგებოდა. ისევ როგორმე თავი უნდა შეებრალებინა. ამიტომ უცებ კილო შეიცვალა, ხმა აითრთოლა, ცრემლი მოიშველია.

— არა, ჩემო ძვირფასო, იმას კი არ ვამბობ, რომ თქვენ რამე საბაბი მიეცით. როგორ გეკადრებათ! განა არა ვხედავ, თუ რა პატიოსანი და გრძნობიერი ქალი ხართ? მაგრამ კაცის გული ხომ იცით, გნახათ ასეთი მშვენიერი, ვარდივით გაფურჩქვნილი არსება და სხვანაირი ფიქრი აღეძრა. კარგად ვხედავ, თქვენ არაფერ შუაში ხართ. ამიტომ გეხვეწებით, ნუ ჩადგებით ჩემს ცოდვაში! აგერ, ამ თქვენი ძვირფასი ქმრის სურათს ახედეთ. ხომ გამოცადეთ, რა მძიმეა საყვარელი ადამიანის დაკარგვა. ვიცი, აწი დროა, უნდა გათ-

ხოვდეთ, მუდამ ქვრივად ხომ არ დარჩებით. ახლანდელ დროში ზოგი ქალი ექვს თვესაც არა გლოვობს. მხოლოდ რატომ უნდა გახდეთ ჩემი უბედურების მიზეზი? განა უცოლო მამაკაცები ცოტანი არიან? თქვენ ვინ არ მოგაქცევთ ყურადღებას, ულამაზესი, სისხლხორცით სავსე ქალი ხართ! მე კი ისედაც დაჩაგრული ვარ, ჩემო ძვირფასო, ამ საწყალი ბავშვის დამკარგავი დედა ვარ. ჰოდა, აგერ თქვენი საყვარელი ქმარ-შვილის ხსოვნას გაფიცებთ, ხელი აიღეთ, დამიბრუნეთ ჩემი ტარიელი!..

ძალიან აჩქარებულად ლაპარაკობდა ნელი. ისედაც სიტყვამრავალი ქალი იყო, შეეძლო მთელი საათობით განუწყვეტლად ეუბნა, არ დაიღლებოდა, თანაც ერთი საგნიდან მეორეზე რომ გადავიდოდა, იშვიათად შეამჩნევდით, თუ მათ შორის არავითარი კავშირი არ იყო.

მარინას გუნებაში მწარედ გაეღიმა. ადგა, ფანჯრიდან სივრცეს გახედა. სახეზე მკაცრი გამომეტყველება არ შორდებოდა. გულში ფიქრობდა: „ეს ყბედი დედაკაცი ისე მსჯელობს, თითქოს ტარიელი უსულო საგანი იყოს და ეს უსულო საგანი მის პირად საკუთრებას შეადგენდეს! ახლა გასაგებია, ეს მამაკაცში მხოლოდ მარჩენალს ხედავს და არა მეუღლეს, არა თანამებრძოლს. საოცარია, იმდენხანს როგორ იცხოვრა ამასთან ტარიელმა!“

ეს კი გაიფიქრა, მაგრამ თავს მაინც ვერ მოერია, მეტისმეტად აფორიაქებული იყო. ერთის მხრით თავისი წარსული, თავისი ქმარ-შვილის აჩრდილი ბოჭავდა, ისეთი მტკივნეული გრძნობით მსჭვალავდა, თითქოს გამოუსწორებელი ცოდვა ჩაედინოს, მეორეს მხრივ, გარს თითქოს რაღაც შხამიანი ბურუსი ეხვევოდა და თვალს ვეღარ უსწორებდა იმას, რაც მისთვის წმიდათაწმიდას წარმოადგენდა. ბოლოს, როგორც იყო, ძალა მოიკრიბა და საკმაოდ დინჯად თქვა:

— თქვენ მეუბნებით, დამიბრუნეთო! უცნაურია, მე რა, ნივთი მიდევს მაგიდაზე, რომ ავიღო და მოგცეთ?!

ნელის ძალიან ეუცხოვა ეს სიტყვები. არც მისი მკაცრი გამომეტყველება მოეწონა. „ეს რა ალქაჯი ვინმე ყოფილაო“, გაივლო გონებაში, მაგრამ ფარხმალი მაინც არ დაჰყარა, მარინას მიუახლოვდა, შემპარავი ხმით მიმართა:

— რას ბრძანებთ, ძვირფასო? განა არ ვიცი, ხელთ რომ გეპყრათ, უთუოდ გაათავისუფლებდით. ახლა ვხედავ, რა კეთილშობილი ქალი ყოფილხართ. თქვენ არ ისურვებთ, ადამიანს გულზე ფეხი დაადგათ და ისე ააგოთ თქვენი ბედნიერება...

ეემაძრწუნებელმა გრძნობამ გაუელვა მარინას, თავის ორეულს ჰკიდა თითქოს თვალი, ადამიანის გულზე ფეხდადგმულს... რა ღირებულება აქვს ისეთ ბედნიერებას, რომელსაც სხვისი ტანჯვა უდევს საფუძვლად?.. თუმცა არა, აქ რაღაც სხვაა, უფრო რთული. ადამიანის შინაგანი თავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს ის, რას აკეთებს თავისი ქვეყნისათვის. ამ ქალს კი უნდა მხოლოდ თავისი გულის ჭია ახაროს, თვითონ არაფერი შექმნას, სხვას აკეთებინოს. ეს კიდევ არაფერი, აქ რაღაც მეტია, აქ ისეთი რამაა, რასაც პირუტყვამდის დაჰყავს ადამიანი...

ამ ფიქრმა გაამხნევა მარინა, პირი შეაბრუნა, ნელის ახედ-დახედა, მერე მაგიდასთან მივიდა, დაჯდა და ნელისაც სკამზე მიუთითა:

— დაბრძანდით! მინდა გავარკვიო, რამ გაიძულათ ჩემთან მოსვლა? საიდან წარმოიდგინეთ, რომ მე შემიძლია ტარიელ ზურაბოვიჩი ისე ვამოქმედო, როგორც მომესურვება? ნუთუ იგი ამდენად უნებისყოფო კაცია?

— რას ბრძანებთ, ძვირფასო! ჩემს ქმარს როგორ არ ვიცნობ, ვიცი მისი ხასიათი, თუ საითმე გაიწია, გზიდან ვეღარ გადაახვევინებ. მაგრამ ამასთანავე, იცით, კიდევ რა არის? მეტისმეტად გულკეთილია, მოწყალე, კაცის გულისათვის თავს არ დაზოგავს. ჰოდა, ჩემო ძვირფასო, ასეთ კაცს ვკარგავ, უმწეოდ ვრჩები.

— რატომ კარგავთ? ვინ გართმევთ?

ნელი ერთ წამს ჩაფიქრდა. მართლაც ვინაა დამნაშავე? იქნებ თვითონ... „აჰ, არა!“ შესძახა თავის თავს და გაჯიქდა, ენერგიულად წამოიძახა:

— როგორ გულუბრყვილოდ ლაპარაკობთ, ძვირფასო? ხომ გითხარით, ოჯახსმოშორებულმა მამაკაცმა მშვე-

ნიერი ქალი ნახა, იმ ქალმაც ისეთი თვალით შეხედა, რომ უნებლიეთ გულისთქმას აჰყვა. ამაზე მარტივი რა იქნება? ეს ხომ ბუნებრივია, ეს თქვენც მშვენივრად იცით!..

ახლა თითქმის სავსებით შეიცნო მარინამ, თუ რა ზნეობის ქალთან ჰქონდა საქმე. ეს ისე არ დადგება, უთუოდ ვინმესთან აქვს კავშირი, ტარიელს იმიტომ არ ეშვება, რომ უსაზღვროდ პატივმოყვარეა, ამის წადილს სარჩულად მარტოოდენ ანგარება უდევს.

გაიფიქრა ეს მარინამ და შვება იგრძნო, აძაღლდა თავის თვალში. პირდაპირ შეხედა ნელის და, ცოტა არ იყოს დამციხავი კილოთი ჰკითხა:

— საინტერესოა მაინც, რას მოითხოვთ ჩემგან? მე რა შუაში ვარ?

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ნელიმ. — თქვენ, ძვირფასო, ისე ლაპარაკობთ, თითქოს ეს ამბავი პირველად გაგეგოთ. მთელმა არიშმა იცის, ყველა ამაზე ლაპარაკობს, ყველას მე ვებრალები.

— საიდან სადაო? ჩვენს შორის არაფერი ყოფილა და ამიერიდანაც...

— მით უკეთესი, ჩემო მშვენიერო, მით უკეთესი! — შეაწყვეტინა სიტყვა გახარებულმა ნელიმ.—თქვენთვის ყველგან გზა გახსნილია, ბედს ყველგან ეწევით. რა გინდათ, რა დაგრჩენიათ ამ საძაგელ არიშში? საბოლოოდ აქ ხომ მაინც არ დასახლდებით. რაღას აყოვნებთ, რას იკლავთ თავს ამ აუტანელ სიცხეში, ამ მოუწყობელ ქალაქში? წადით აქედან, მიხსენით უბედურებისაგან. კეთილი ადამიანი ხართ, ჩემო ძვირფასო, და ნუ ჩადგებით ჩემს ცოდვაში. მერე კიდევ, უნდა გამოგიტყდეთ, თავზე ხელაღებული ნათესავები მყავს. მე მათ ვერ შევაკავებ, ვაი თუ რამე მოგწიონ. მიკვირს, მარტოხელა ქალი ხართ და როგორ სძლებთ აქ, ხუთუ არ გეშინიათ? მე რომ ვიყო, შიშით გული გამისკდებოდა...

უცებ შეჩერდა ნელი, პირი ღია დარჩა, განზე მიიხედა, რაღაც მოიაზრა და უმალვე განაგრძო:

— ჰო, აი, რა უნდა მეთქვა, ძვირფასო! სწორედ ამისთვის მოვედი თქვენთან. მე აქ ერთი ბიძაშვილი მყავს. ღვინის სმაში ჩხუბი მოუვიდა, კაცი დასჭრა და ხუთი წელიწადი ჰქონდა მისჯილი. ამას წინათ გათავისუფლდა. ისევ ისეთივე შლეგია, თუ გულში ამოიღო, არაფრის გულისათვის კაცს არ დაინდობს. საიდანღაც ჩვენი ამბავი გაუგია. მომვარდა, მიდი, იმ ქალს უთხარი, დროზე უშველოს თავს, აქედან გამეცალოს, თორემ ისეთ დღეში ჩავაყენებ, სიცოცხლეს იწყევლიდესო. მერწმუნეთ, ძვირფასო, იმ გიჟისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. ჰოდა, რად იგდებთ თავს საფრთხეში, რა გინდათ ამ უდაბნოში?..

ამას რომ ამბობდა, მარინას თვალს არ აშორებდა, მოეჩვენა, ახლა კი არისო შიშისაგან ზარდაცემული; ამან აღაფრთოვანა, აჩქარდა, მაჯის საათზე დაიხედა:

— აჰ, რა დრო გასულა! უნდა წავიდე, მატარებელზე მაგვიანდება. თუ არა ვცდები, ჩემი რჩევა ჭკუაში დაგიჯდათ. ნახვამდის, ძვირფასო! გზა მშვიდობისა!

ხელის ჩანთა აიღო, გამოსათხოვებლად თავი დახარა და უნებლიეთ ჭრელი თვალებიდან ონავრული შუქი გამოკრთა.

VII. თავისიანებთან

ის იყო, საქმეში გაერთო მარინა სერგეევნა, რომ უცებ ტელეფონი აწკრიალდა. შუბლი შეიკრა, ეწყინა, აზრი რომ გააწყვეტინეს. ისედაც არ იყო კმაყოფილი თავისი თავით, რადგან ნელისთან საუბრის შემდეგ რაღაც უცნაური ნერვიულობა დასჩემდა. პირად მწუხარებას გულმოდგინე შრომით იმსბუქებდა, გამბედაობა მის ბუნებრივ თვისებას შეადგენდა, რადგან თავისი დიდი ერის ღვიძლი შვილი იყო: სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან თავისი ხალხის ძლიერებას გრძნობდა. ბინაში თუმცა მარტო იყო, მაგრამ რაც სიცხეები დაიწყო, ღამით ფანჯარა ერთხელაც არ ჩაუკეტია; წინა ღამეს კი, ვიდრე მაგრად არ გადარაზა, აღარ დაეძინა. დღესაც დილიდანვე ისეთი გრძნობა გამოჰყვა, თითქოს ყოველი კუთხიდან ვიღაც მოძალადე უთვალ-

თვალებდეს. იცის, არ შეჰფერის მას ეს შიში, მაგრამ სწორედ ის აშფოთებს, რომ გულს ვერ ერევა. ცოცხლად წარმოუდგება ხოლმე ნელის „ძლეგი ბიძაშვილი", ახმახი, თვალებწამოკარკლული, გრძელხანჯლიანი...

ტელეფონის მილი აიღო.

— გამარჯობა, მარინა სერგეევნა! თუ დრო გაქვთ, მცირე ხნით შემოიარეთ. — მოესმა საქალაქო კომიტეტის მდივნის ხმა.

— ახლავე, გრიგოლ პავლოვიჩ! — უპასუხა, მილი ხელში შერჩა, ჩაფიქრდა. რისთვის ეძახის? რამდენჯერმე მიიხმო წინათ, მაგრამ მაშინ მარინა სასწრაფო პროექტზე მუშაობდა, გრიგოლ პავლოვიჩი იმ საქმით ძალიან დაინტერესებული იყო, მარინას მეტად სასარგებლო რჩევა მისცა, საქმე წარმატებით შეასრულებინა. ახლა კი...

გასასვლელთან გრიგოლ ამირანიძის მიერ გამოგზავნილი შოფერი შეხვდა, მანქანისაკენ გაუძღვა.

მზე რუხი მთისაკენ გადახრილიყო. არიშის ველს ბუღი ასდიოდა. ახალგადახურული ჩოხჩხედები მცხუნვარე სხივებში ლაპლაპებდნენ. მხოლოდ ქალაქის განაპირას აღმართულ ვერხვებს შერჩენოდათ მწვანე ელფერი. სიცხეს მაინც მუდმივი ნიავქარი ანელებდა.

დაიძრა მანქანა და მარინამ შვება იგრძნო, თითქოს ძალიან ახლობელ, სიყრმიდანვე თანშეზრდილ ადამიანთან მიიჩქარისო. მივა, გაუზიარებს გრიგოლს თავის დარდს და ყველაფერი მოწესრიგდება. გრიგოლი ხომ ყოვლისშემძლეა. მართალია, საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს იმას, რაც ახლა მარინას აწუხებს, იქნება პირადად მისთვისაც არაა იმდენად მნიშვნელოვანი, მაგრამ რაკი არ ასვენებს და მუშაობაში ხელს უშლის, რატომ არ უნდა გაანდოს? მარინა მარტოხელი ქალია, არიშში ნათესავი არავინ ჰყავს. გრიგოლ პავლოვიჩი თუმცა ახალგაზრდა კაცია, მაგრამ მის წრფელ სახეში იმდენი გულისხმიერება გამოსჭვივის, რომ მარინას შეუძლია გადაუშალოს გული ისე, როგორც თავის დიდ მეგობარს, თავის დაუვიწყარ მამას.

საამქროების მაღალი კორპუსებისა და მტვრიანი გზის შემდეგ სიამოვნებით შეასვენა მარინამ თვალი გრძელი შენობის წინ მობიბინე ყვავილნარზე, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეხამებოდა მზისაგან გადარუჯულ ეზოს, აქაიქ ხელუხლებლად დარჩენილს.

მისაღებ ოთახში პატარა მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი წიგნს დასჩერებოდა, დაინახა თუ არა მარინა, მოგრძო სახე მეგობრულმა ღიმილმა დაუმშვენა, სქელი წიგნი განზე გასწია, მარინას ხელი გაუწოდა.

მახლობლად პირმრგვალი ჭაბუკი იჯდა, რომელსაც მარინა პირადად არ იცნობდა, ისე კი ჰყავდა რამდენჯერმე ნახული. ჭაბუკი ადგა, მარინას თავი დაუკრა.

— არის ვინმე გრიგოლ პავლოვიჩთან? — იკითხა მარინამ.

— სამინისტროს წარმომადგენლები არიან, ამ წუთას შევიდნენ, — უპასუხა ახალგაზრდა ქალმა და მარინას ჩვეულებრივი საუბარი გაუბა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მოლოდინი კარგა ხანს დასჭირდებოდა.

— ხომ არ იცით, რისთვის გამომიძახა? — ჰკითხა ბოლოს მარინამ.

— არ ვიცი... ხომ მუდამ დატვირთულია გრიგოლ პავლოვიჩი, მაგრამ დღეს რაღაც საოცრებაა, დილიდანვე ერთი წუთი ვეღარ მოიცალა. ამ საღამოს კიდევ პარტაქტივია, მოხსენებით უნდა გამოვიდეს.

მარინამ წარმოიდგინა დაღლილი, პირქუში გრიგოლ პავლოვიჩი და გუნებაში მწარედ გაეღიმა. რამ აფიქრებია, პირად განწყობილებას გავანდობო? სად სცალია გრიგოლს, რამდენი მარტოხელი ქალია, ყველას გულში ჩაიხედოს, ყველასთვის იზრუნოს? არა, მართლაც ძალიან შეშფოთებულია მარინა, რაკი ასეთი აზრი მოუვიდა. ძნელი ყოფილა, ქალი თუ მარტოობის გრძნობამ შეიპყრო. ასე როგორ დაშხამა იმ მავნე დედაკაცმა? თავის თავს არ უმხელს მარინა, თორემ მთავარი ის კი არაა, თითქოს ვიღაცის ეშინოდეს, არა, მთავარი ისაა, რომ ტარიელს შორდება, სულ სხვადასხვა მხრით მიიმართება მათი ცხოვრების გზა. აგერ ახლა, თავი ისე უჭირავს, ვითომ ახალგაზრდა ქალის ლაპარაკს ყურს უგდებდეს, ნამდვილად კი ფიქრით უცნაურ ნაპრალს მიადგა, ტარიელი გაღმაა, იქ ვერასოდეს ვეღარ გააღწევს.

— რა მოგვიდათ, მარინა? რაღაც უგუნებოდ მეჩვენებით?

მარინამ ახალგაზრდა ქალს ნაძალადევად გაუღიმა:

— არაფერი. ერთი რამ მომაგონდა.

ახალგაზრდა ქალმა დაკვირვებით შეათვალიერა მარინა, თითქოს საგონებელს მიუხვდა და მესაიდუმლესავით უთხრა:

— იცით რა, ამას წინათ გრიგოლთან ტარიელ ზურაბოვიჩის ცოლი მოვიდა. არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს, მხოლოდ ქალი რომ წავიდა, გრიგოლი საძაგელ გუნებაზე იყო, მრისხანედ გამოიყურებოდა...

მარინას ფერი ეცვალა, განზე მიიხედა. ნამდვილად ამის გამო მიიხმო ამირანიძემ. გაიფიქრა ეს და თავი ვერ შეიკავა, მყისვე წამოდგა, დაბალ ფანჯარასთან მივიდა. როგორ უნდა წარსდგეს გრიგოლის წინაშე? აქ რომ მოდიოდა, გულის დარდის განდობას ლამობდა, ახლა კი თავს ისე გრძნობს, თითქოს რაიმე სამარცხვინო საქციელი ჩაედინოს. ვინ იცის, რა არ გამოიგონა იმ ქალმა, რა ცილი არ დასწამა. როგორ უნდა იმართლოს თავი?.. არა, მათლაც არა ღირს არიშში დარჩენა. დაამთავრებს დაწყებულ საქმეს და...

ტუჩები შეუთრთოლდა მარინას, დიდი ხანია არ უგრძვნია ასეთი მარტოობა, ასეთი მწვავე სევდა. მაინც რად ღირს ქალის სიცოცხლე, თუ მას არც ქმარ-შვილი ჰყავს, არც ძმა, არც მამა, ერთი იმედი ჩაესახა და იმის ირგვლივაც ისეთი შხამიანი ქსელი დახლართეს, რომ შიგ მზის სხივი ვეღარ გააღწევს.

შეკრთა, როცა კარი გაიღო და სამინისტროს წარმომადგენლები გამოვიდნენ. რა უთხრას გრიგოლს? საქმე ის კი არაა, რომ არავის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღვის, საქმე ისაა, რომ ყოველგვარი თავისმართლება ზიზღს იწვევს მასში.

ჭაბუკი, რომელიც ამდენხანს მდუმარედ იჯდა, ახლა კართან გაჩერდა და მარინას შესვლას დაელოდა.

მარინას მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, არც გრძელი დარბაზის სიღრმეში გაუხედავს საქალაქო კომიტეტის მდივნის მაგიდისაკენ, რადგან წინასწარ დარწმუნებული იყო, რომ ამირანიძე, ჯერ ერთი, განუწყვეტელი შრომით დაღლილი, და მეორე — მარინას მიმართ უკვე ცუდად განწყობილი, ძალიან პირქუშად მიიღებდა, ამიტომ თვალმორიდებულად გადადგა ნაბიჯი, მერე მკრთომარედ გაიხედა და სახტად დარჩა: პირნათელი, მღიმარე ამირანიძე ფეხზე იდგა; ასე მხოლოდ საარსებო საქმის თანამოზიარე მეგობარს ეგებებიან.

გული გაუნათდა მარინას, გამხნევდა; თვითონაც ღიმილი მოერია; დამშვენდა. მყისვე გაჰქრა ისე მწვავედ შემოპარული გრძნობა მარტოობისა; ახლა იგი ყოვლადძლიერი კოლექტივის წევრია, ახალი ცხოვრების მშენებელი ქალია. არა მარტო სახეზე აღებეჭდა ეს სიხარული, მთელმა მისმა მკვრივმა აღნაგობამ შეიქსოვა იგი და მოხდენილად გაემართა ამირანიძისაკენ, ამხანაგურად გაუწოდა ხელი.

— მაპატიეთ, მარინა სერგეევნა, რომ გალოდინეთ, მაგრამ მოულოდნელად დამესხენ თავს. — თქვა გრიგოლმა, მერე მოშორებით გაჩერებულ ჭაბუკს მიმართა ქართულად: — მოიწი, კაცო, ეს ადამიანი უნდა გაგაცნო.

მარინამ ჭაბუკს მიხედა. იმ წამს ისეთ გუნებაზე იყო, რომ ისიც მოეწონა, მის მრგვალ, მზემოკიდებულ სახეში მეტად კეთილი გამომეტყველება ამოიკითხა.

— გაიცანით, ეს ჩვენი ახალგაზრდა ოსტატია, ძალიან მონდომებული და ნიჭიერი მუშაკია. ერთი მეტად მნიშვნელოვანი წინადადება აქვს. თქვენც ამისთვის გამოგიძახეთ. დაბრძანდით!

მარინა სერგეევნა და ის ჭაბუკი პირისპირ დასხდნენ გრძელ მაგიდასთან, ხოლო ამირანიძემ უჯრიდან ქაღალდი ამოიღო, გაშალა. მერე თვითონაც დაჯდა. იმ ქაღალდს დააცქერდა.

მარინა სავსებით დამშვიდდა ამ თავისიანი ადამიანების გვერდით, ისევ იმ საქმისადმი ინტერესმა შეიპყრო, რაც მისი მთავარი მასულდგმულებელი იყო. ხოლო წინადღით რომ იმ ქალმა გული დაუკოდა და დამამცირებელ ბურუსში გახვია, ის სულ სხვა ქვეყანაა, გესლით, შურით, ანგარებით, ცბიერებით სავსე ქვეყანა, რომელთანაც მარინას არაფერი საერთო არა ჰქონია და არც ექნება, ჰო, არ ექნება, რადგან

დიდ ქარცეცხლში გამოიარა და ვერავითარი ბიუროერება ვერ შეეხება მის წრთობილ ბუნებას.

— აი, ეს არის. — ასწია თავი გრიგოლმა. — სრულიად შემთხვევით წავაწყდი. საერთო საცხოვრებელში შევიარე. ეს ჩვენი ამხანაგი კუთხეში რაღაცაზე მუშაობდა. რა არის-მეთქი, შევეკითხე. ცოტა მორცხვი ყმაწვილია და თავდახრით მიპასუხა, ისეთი არაფერიაო. მაინც? ჰო-და, მერე მომიყვა. გამოირკვა, რომ ეს საქმე არა მარტო ჩვენი მშენებლობისათვის იქნება დიდად სასარგებლო, არამედ, მგონი, მას საკავშირო მნიშვნელობაც დაურჩეს. ამ წინადადებას ტექნიკური დამუშავება აკლია. თქვენ უნდა დაეხმაროთ. მოილაპარაკეთ ერთად და საბოლოოდ ჩამოაყალიბეთ. ეს საერთო წესითაც გაკეთდებოდა, ბიუროს გადავცემდით, მაგრამ თქვენ, მარინა სერგეევნა, განსაკუთრებული უნარით ხართ დაჯილდოებული. ყველას როდი შეუძლია სხვის ნააზრევს არა მარტო ჩაწვდეს, არამედ წინ წასწიოს, სრულქმნილი გახადოს. თქვენი იმედი კი ყოველთვის მაქვს. შეიძლება ამ შემთხვევაშიც დაგვჭირდეს ბრძოლა კონსერვატიზმთან. ხომ იცით, როგორ ეძნელება ზოგიერთს ახლის დანახვა, ახლისადმი შეგუება. ზოგჯერ შეიძლება კარგი სპეციალისტიც კი დამყაყდეს, თუ მაძიებელი გონების პატრონი არაა. რაკი გულდასმით შეისწავლა და გაიწრთვნა, უკვე საკმარისი ჰგონია. ჩვენთვის კი, თქვენ კარგად იცით, საკმარისი არასოდეს არაფერი არაა. — ნათელი ღიმილით თქვა ამირანიძემ და ქალალდი მარინა სერგეევნას გაუწოდა.

ჭაბუკს მღელვარებამ მზემოკიდებულ სახეშიც კი გამოქონა, ადგა, მორცხვად ჩაილაპარაკა:

— უკაცრავად, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მაგ ქალალდებში თქვენ გაგიძღელდებათ...

— ეგ უკვე ერთად მოილაპარაკეთ, — შეაწყვეტინა გრიგოლმა და თვითონაც წამოდგა. — ჰო, თქვენთან, მარინა სერგეევნა, კიდევ მაქვს ერთი საქმე. მინდა თქვენი პასუხი ვიცოდე. დონბასში ერთი გამოცდილი ინჟინრის გაგზავნა გვჭირდება. მართალია, ტარიელ ზურაბოვიჩი იქ არის, მაგრამ ეს საკითხი შემდეგ წამოიჭრა და მიწერ-მოწერით ვერ გაკეთდება. გუშინ იყო ამაზე ლაპარაკი მშენებლობის უფროსთან და თქვენ დაგასახელეთ. თქვენ იქ ყველას იცნობთ, საქმეს ადრე მოაგვარებთ. რას იტყვით ამაზე?

ჩაფიქრდა მარინა. მერე გრიგოლს მიაპყრო თვალი და თითქოს სრულიად არ იყო მისთვის მოულოდნელი, რაც იმ წამს ამ ყოვლისშემძლე ადამიანის ნათელ სახეში ამოიკითხა: ჰო, გრიგოლმა ყველაფერი იცის, ისიც იცის, თუ რა გესლს ავრცელებს ის ბოროტი დედაკაცი... ტარიელს თანაუგრძნობს... ჩემთვისაც ზრუნავს...

გაუელვა ამ აზრმა და მყისვე იგრძნო, თუ როგორ გაწითლდა, თვალი დახარა, მღელვარედ ჩაილაპარაკა:

— სიამოვნებით, თუ აუცილებელია.

— მაშ, კარგი, კარგი! ამ საქმეს კი ახლავე ჩაუჯექით! ორ დღეში უთუოდ მორჩებით. — დაასკვნა ამირანიძემ და მარინას ხელი გაუწოდა, ეტყობოდა, სხვა საზრუნავი აჩქარებდა.

VIII. დიდი ცხოვრება

დონბასში, მეტალურგიული ქარხნის ერთი ღიდი საამქროს გვერდით, მეორე სართულში გაეწყოთ მუშათა სასადილო. ფართო და ნათელ დარბაზში ოთხკუთხი მაგიდები ახლო-ახლო იდგა, შიგ მაინც საუცხოო სისუფთავე იყო. სამზარეულშიაც ისე კრიალებდა ყველაფერი, რომ ცხადი იყო, კვამლი და ჭვარტლი იქ არაფერს გაჰკარებოდა. ქათქათა თავსაბურიან მზარეულ ქალებს სახე უღაჟღაჟებდათ; კოხტად მიმომავალ ოფიციანტებსაც სიჯანსაღის იერი ამშვენებდათ.

ვასო სიამაშვილი, ვიქტორ კირიჩენკო და გაიოზ დარჯანია ფანჯრის მახლობლად მიუსხდნენ მაგიდას. კარგ გუნებაზე იყვნენ, სამუშაო ამ დილითაც წარმატებით დაამთავრეს, საამქროს უფროსმა ბრიგადა კვლავ ქებით მოიხსენია. რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა საავადმყოფოდან სახელმოხვეჭილი მიხაილოვი, მაგრამ ლეონიდ ალექსეე-

ვიჩმა ვასო კვლავ პირველ მეფოლადედ დასტოვა, ხოლო მიხაილოვი მეორე ცვლას ჩაუყენა სათავეში. ახლა ეს ცვლები ურთიერთს ეჯიბრებოდნენ. ჩინებული მეფოლადე იყო მიხაილოვი, გამბრიახი თვალი ჰქონდა და ბუნებრივი ალღო, მაგრამ ვასო ამ მხრივ მას არ ჩამორჩებოდა, ანდრეი კუზმიჩის მიერ საკმაოდ დახელოვნებული იყო; მხოლოდ ერთ რამეში უთუოდ სჯობნიდა მიხაილოვი, — ეს იყო თანამომუშავეთა დარაზმვის უნარი. რამდენიმე დღე გავიდა, რაც მიხაილოვი დილის ცვლას სათავეში ჩაუდგა და ბრიგადის წევრები თითქოს გამოიცვალნენ, გადახალიერეს, ძალღონე მიემატათ. აი, ამ მხრივ უნდა მიბაძოს ვასომ მიხაილოვს. არ კმარა, რომ მხოლოდ შენ იმუშაო ნაყოფიერად, ამხანაგებიც მხარდამხარ უნდა მოგყვებოდნენ.

მერე რა უშლის ვასოს ხელს, რომ თავის სახელოვან ამხანაგს ამ მხრივაც არ ჩამორჩეს? რამ დაუხშო გულგამლილობა და მიმზიდველობის ნიჭი?

აგერ ახლაც, დანაყრდნენ თუ არა, ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა და იქაურობას თითქოს სავსებით განშორდა.

ქარხნის ეზო ზაფხულის მზის სხივებში ბზინავდა. ერთ კუთხეში ყვავილნარი ბიბინებდა. დაბალ, შტოებამდე შეთეთრებულ ხეებს ნიავი ფოთლებს უთრთოლებდა. ყანგისფერი კორპუსების გასწვრივ მარაოსავით გაშლილი შადრევნები ბროლის მძივებივით ინჩქრეოდნენ. ვასოს კი სულ სხვა გარემო ედგა თვალწინ... რამდენი ხანია, ასე ცოცხლად არ უხილავს ნატაშას დაუვიწყარი სახე... შუბლი შეიკრა, თავისი მტკიცე ნებისყოფა მოიშველია და ზმანებას განერიდა. გულში მაინც ჩარჩა მცირე ნაპერწკალი, არა მწუხარების ალმძვრელი, არამედ მაამებელი. წინათ არ იცნობდა ამ გრძნობას, ახლახან გაუცხოველდა: თურმე მარტოოდენ ბლოვა როდი რჩება საყვარელი არსებისაგან, — ყამთა მდინარებაში იბადება ერთობ ნაზი, ნელთბილი ნათელი და მთელ სხეულს მოიცავს შეგნება, რომ იგი განუშორებლად შენთან იმყოფება, რომ სიკვდილის დღემდე თან ატარებ ამ ძვირფას განძს, ხოლო შემდეგ...

დღეს უთუოდ სოფელშიაც ასეთი მზიანი დილაა. ყუყუნას ოდის წინ გამოუყვანია ასია; დედისეული ოქროსფერი კულულები შვეხის გოგონას, ხოლო როცა გაიცინებს, ცისფერი თვალები ისე გაუთოდ ყოფილა, ასეთი ბეჭედი მოკრთეია ტუიებში, თითქოს ლაღი სიცოცხლით გახაოებული ხატაშა გესაუბრებოდეს.

— ყუყუნა, ბები! — ოდიდან იძახის ასინეთი: — მზეში ნუ დასწვავ, გენაცვალე, ბაღანას, შინ ეეძოიყვახე!

— ცოტა ხანს კიდევ ვიქნებით აქ, ბები, რუსიკო გამოივლის...

წინა დღეს მიიღო ვასომ ასინეთის მიერ გაძოგზავნილი ბარათი, ყუყუნას ხელით ნაწერი. კითხულობდა ვასო წერილს და თითქოს დედის ხმა ესმოდა, ყუყუნას რომ უკარხახებდა:

„ვასო, შვილო, დედმამის ნუგეშო! ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ, შვილო! ვიცი შენი კეთილგული, ჩვენს ამბავს იკითხავ. ჩვენ ქევართ ყველანი კარგად. მამაშენი ძხნედარის, გახარებულია, მოსავალს კაი პირი უჩანს. ჩაის კრეფა წელს გვიან დაიწყო, მაგრამ ტასოს მაინც იმედი აქვს, რომ გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს. გივიმ და ყუყუნამ გამოცდები კარგად ჩააბარეს. ჩვენი გამხარებელი, ჩვენი ასია, დღითიდღე იზრდება. ნეტავი ერთი განახა, როგორ დამშვენდა, როგორ შეგვაყვარა თავი! მამაძენს ყანიდან შინ მოსვლამდე ერთი სული აქვს, ბაღანაი ენატრება. უნდა უყურო, რაფერ გაეგებება ასია, რაფერ მოეხვევა ყელზე. ერთი რამე უნდა გახარო, შვილო, კიდევ: ჩვენმა რუსიკომ ისე შეიყვარა ასია, რომ დღეში თუ ერთხელ მაინც არ ნახა, ველარ სძლებს. თუ დილას არ გამოუარა, საღამოს უთუოდ ინახულებს, ეხვევა, ეალერსება. დიდი სიკეთეა, შვილო, ეს, დიდი. ჩაუკვირდი ამას. მუდამ გულდახურული არ უნდა იყო. ძალიან მინდა, ვასოს წერილი მივწეროო, მითხრა რუსიკომ, მაგრამ მერიდებაო, თანაც მეშინიაო: ვაი თუ ცივად მიიღოს, მაშინ რაღა მეშველებაო. იფიქრე, შვილო, ამაზე. შენს ბედზე არის გაჩენილი ეს ადამიანი და ნუ დაჩაგრავ...“

„დედა მართალს ამბობს, თქვა გუნებაში ვასომ, მართლაც ძალიან დამჩემდა გულდახურულობა. თუ კაცი პირადი ნაღველით მეტისმეტად გაიმსჭვა-

ლა, სხვას ვეღარ გამოადგება, საზოგადო საქმეშიაც ვერ გამოიჩენს მთელ უნარს. ეს კარგა ხანია ვიცი, მაგრამ მარტო ცოდნა არაა საკმარ, შინაგანი ხალისია საჭირო. აგერ გაიოზი. რა გულისხმიერად ეპყრობა ვიქტორს, როგორ ცდილობს აამაღლოს იგი თავისი თავის წინაშე, ჩაუნერგოს რწმენა, რომ არაფერით არ ჩამორჩება იმ ცნობილი ინჟინრის ქალიშვილს. მე კი...“

პირი მიიბრუნა ვასომ, ამხანაგებს შეავლო თვალი.

ვიქტორი თამბაქოს აბოლებდა, ხოლო გაიოზი ახალ გაზეთს ათვალიერებდა. ეს ის წამი იყო, როცა გულითადი მეგობრებიც კი განმარტოვდებიან ხოლმე, რომ მძიმე მუშაობის შემდეგ სრული თავისუფლება იგრძნონ.

„ნუ დაჩაგრავო“, — დაუბრუნდა ვასო თავის საგონებელს, — განა რუსიკოს მიმართ ოდესმე ცუდი რამ გამიტარებია გულში? ქვეყანა დიდია, გზა გახსნილი აქვს, იბედნიეროს. ის კი, რაც ჩვენს შორის იყო, ისეთივე წმინდა და სათუთია, როგორც სიყრმის ოცნება. გაზაფხულის მზესავით ამობრწყინდება, მაცოცხლებელ სხივებს მოაფრქვევს ახალგაფურჩქვნილ ყვავილებს და ასე დარჩება ხსოვნაში წარუშლელად. მაინც დიდი ზღვარია ოცნებასა და სინამდვილეს შორის. ჩემი ცხოვრება სულ სხვა გზით წარიმართა, სხვა შინაარსით აივსო...“

ამ ფიქრში იყო ვასო, თანაც შორს იმზირებოდა, ის მაღლობი ედგა თვალწინ, ის ცაცხვი, სადაც ისე მკრთომარედ აენთო ბავშვური სიყვარულის ნათელი. ათასმა გრიგალმა დაუქროლოს, მაინც არ ჩაჰქრება იგი, მუდამ იციმციმებს, მხოლოდ იმ ჟამის დაბრუნება კი აღარ შეიძლება, იგი წარსულს ეკუთვნის...

— ძალიან გამრავლდნენ ჩვენში შრომის გმირები და ორდენოსნები, — ჩაილაპარაკა გაიოზმა და ვასოს გაზეთი გაუწოდა: — ერთი გადაავლე თვალი ამ სიას, შიგ უთუოდ შენი მეზობლებიც იქნებიან.

ვასომ კოპები შეიკრა, გაზეთი უხალისოდ გამოართვა; ჯერ კიდევ ფიქრში იყო გართული და შავი ასოებით გამოყოფილი გვარები ბუნდოვანად ჩაათვალიერა. აქ უმთავრესად მახარაძის რაიონიდან იყვნენ. აგერ მისი თანასოფლელებიც. უცებ თვალები გაუფართოვდა, გაზეთი მიიახლოვა.

„გუჯაბიძე რუსიკო ივანეს ასული“...

ამოიკითხა თუ არა ეს, მყისვე გადალახა უკრაინისა და ყუბანის ველები, კავკასიონის მწვერვალებიც უკან მოიტოვა, თავის ეზოში შეიხედა...

ეს უკვე წარსული როდია, ეს დღეისდღეა: რუსიკოს ასია მკლავზე უზის, ეალერსება. სრულიად არაა მოულოდნელი, რომ რუსიკო ლენინის ორდენითაა დაჯილდოვებული, იცოდა, რომ სხვებთან ერთად ისიც წარდგენილი იყო, — მოულოდნელი ეს ცეცხლოვანი გრძნობაა, რომელმაც მზესავით დაჰკრა. აღგა, მხრები გაშალა, ფანჯრიდან ისე გაჰხედა სივრცეს, თითქოს ამდენხანს შეკაკვული ყოფილიყოს, ახლა დაემსხვრიოს იგი და სრული თავისუფლებით ტკბებოდეს. რამდენი ხანია იშმუშნებოდა მის არსებაში ეს გრძნობა, ახლა იპოვა გამოსავალი და მთელ სხეულს მოედო.

გაიოზმა ვასოს თვალი გააყოლა, ეიხილა, რომ გაზეთში ძალიან სასიამოვნო ცნობა ამოიკითხა, — მცირე ხანს ადროვა, მერე მიმართა:

— მგონია, უნდა მოგილოცო, ისე გაგახარა ამ გაზეთმა.

ვასომ ღიმილით გადმოხედა ამხანაგს.

— ჰო... მაგრამ ეს კი არაა, გაიოზ, მთავარი, აქ რომ ჩვენებურების გვარები ამოვიკითხე. არა, მეგონა, ფრთები გამომესხა და ჩვენს სოფელში გადავფრინდი. მერე კიდევ, რაღაც თითქოს გაბზარული იყო ჩემში და ახლა უცებ გამთელდა. ასეთი რამ ჯერ არ გამომიცდია. იცი რაა? გგონია, ხიდი ჩატეხილია, არც დიდი სურვილი გაქვს, რომ გალმა გახვიდე. ჰოდა, უცებ ხედავ, არავითარი უფსკრული არ არსებობს, გასწი, იარე! იცი რაა ეს? ეს, ძმაო... ჰო, ეს ისაა, აი ხომ გამოგიცდია, პირველად რომ დიდ ცხოვრებაში ფეხს შედგამ და იცი, ვერავითარი ბორკილი ვერ დასძლევს სიყვარულით სავსე გულს...

კარგა ხანია, არ ამოუკითხავს გაიოზს ვასოს მოგრძო სახეში ასეთი აღტაცება. სტალინგრადი მოაგონდა. იქ ამშვენებდა ასეთი იერი: სხივჩამდგარი მახვილი თვალები თითქოს უცინის; კეპის წინაფრა აწეული აქვს, შეკეცილ თმის ქვემოთ მაღალ შუბლს აღარ უჩრდილავს;

კოხტად შეკრეჭილ, მოწაბლისფრო ულვაშებს ქვეშ ძწყობრი, თეთრი კბილები გამოკრთის, ხოლო ხორბლისფერ ღაწვებს, კეხიან ცხვირსა და წინ წამოხრილ ღარიან ნიკაპს გულის სიღრმეში ნაფეთქი ღიმილი უნათებს.

— კარგად ლაპარაკობ, კარგად! — თქვა გაიოზმა. — ჩვენ უკვე შევდგით ფეხი დიდ ცხოვრებაში... მხოლოდ ფუძე არა გვაქვს ჯერ გამაგრებული. როგორც კი ჩავალთ არიშში, იმ ახალ სახლში უნდა გადავიდეთ. ახლა რომ ვაკვირდები, მართლაც საუცხოო ადგილას შენდება, ტყის პირად, მაღლობზე, მდინარეც ახლოსაა. ამ ზამთარში ყოველმხრივ უნდა მოვეწყოთ. მერე ეზოსაც გავაშენებთ.

— აუცილებლად! — დაუდასტურა ვასომ. — გული იყოს და მონდომება, მეტი არაფერი არ გვინდა. ამასობაში ჩვენს საამქროშიაც აეწყობა მუშაობა...

ქართულად საუბრობდნენ. კირიჩენკო მაინც მიმხვდარი იყო, რომ ისინი გულითად ზრახვას უზიარებდნენ ურთიერთს. მიუსაფარს რომ სჩვევია, ისეთმა განწყობილებამ შეიპყრო, წარბი შეიკრა, ადგა, ბუფეტისაკენ გაემართა.

ვასომ თვალი გააყოლა ვიქტორს, არასოდეს გულთან ისე ახლოს არ მიუტანია ამ ობოლ ჭაბუკზე ფიქრი, როგორც ამ წუთას.

— კაცო, ჩვენ აგერ გულში ჩიტი გვიფრინავს, ეს ბიჭი კი დაგვავიწყდა. — უთხრა გაიოზს. — როგორ მიდის საქმე, აქვს თუ არა რაიმე იმედი? მუშაობას კი დაუდვა ამ ბოლოს გული, მაგრამ თავის თავს მაინც არ ეკუთვნის.

— საქმეც ეგ არის, რომ თავის თავს არ ეკუთვნის, — დაემოწმა გაიოზი. — მერე კიდევ, ამ მხრივ მეტისმეტად უუნაროა. შორიდან უვლის, ეტრფიალება, სიტყვის თქმა კი ვერ გაუბედნია. კაცმა თქვას, გასამტყუნარიც არაა. რა გააჩნია, ტანისამოსი, ერთი წყვილი ქვეშაგებელი და ერთი ჩემოდანი. ჰო, სამასი თუმანი ფული აქვს კიდევ სალაროში, ამდენივე ობლიგაცია, ესაა და ეს. ის ქალი კი, ხომ გითხარი, ჩვენი ნიკოლოზ პავლოვის ასული აღმოჩნდა, ასეთი ცნობილი ინჟინრის, ასეთი მაღალი თანამდებობის მქონე კაცის ქალიშვილი, თვითონაც ინჟინერი ქალი და ჩვენი ობლად აღზრდილი კირიჩენკო, — მაოთლაც ვერ არიან მაინც და მაინც შესაფერნი.

— კარგი ერთი, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ქვეყნად არაფერი შეცვლილიყოს. განა შეძლებით და თანამდებობით განიზომება ახლა ადამიანის ღირსება? ის დრო ხომ არა გგონია, „ოთარაანთ ქვრივის“ ვაჟი, გიორგი რომ იტანჯებოდა! თუ შრომის ნიჭი გაქვს და კაცად ვარგიხარ, რასაც გინდა, იმას მიაღწევ. განა ჩვენი ნიკოლოზ პავლოვი ვიქტორს სიძედ დაიწუნებს? ვიცნობ, ტარიელის ახლო მეგობარია, დიდად განათლებული კაცია. საქმე აქ არის, თუ ქალის გულს მოიგებს, მეტი არაფერი უნდა.

— მართალი ხარ. იცი, რას გეტყვი? მგონია, აქაც არ ეღობება წინ დიდი დაბრკოლება. ამას წინათ პავლოვის ქალიშვილის მეგობარს, ლიუდმილას ველაპარაკე გადაკვრით. თურმე მაგ ეშმაკებმა ყველაფერი იციან. ან კი რა გასაკვირველია, განა ვიქტორის სახეზე ვერ ამოიკითხავდნენ?

— უთუოდ ეცოდინებათ. იქნება არც ის ქალიშვილი უცქერის გულგრილად.

— სწორედ ეგ მინდა გამოვარკვიო. ამ საღამოს ყველანი თავისუფალი ვართ. მოდი, ზღვის პირად გავისეირნოთ, ვიქტორი და ის ქალიშვილებიც გავიყოლიოთ.

— კარგია! შესანიშნავი აზრია! — სიხარულით წამოიძახა ვასომ და ბუფეტისაკენ გასწია, კირიჩენკოს მხარზე ხელი მოხვია, გაესაუბრა.

გარეთ რომ გამოვიდნენ, უკვე ცხელოდა, ქარხანა მთელი ხმით გუგუნებდა. მარტენის საამქროს მაღალი მილებიდან ამომავალი კვამლის ჩრდილი ფეხქვეშ ეგებოდათ; ბრძმედების გასწვრივ რკინის მადნის მტვერი მზეში ისე ბზინავდა, თითქოს ცისიერისაკენ მოყვითალო ალი მიიწევსო..

IX. ნუთუ ეს მართალია?!

— აბა, ყველანი მზად არიან,—ოთახში შესვლისთანავე მიახარა გაიოზმა ვასოს. კიბეზე რომ ამოირბინა, მხოლოდ ამიტომ როდი ემჩნეოდა მღელვარება, ისეთ გუნებაზე იყო, თითქოს ძეტად რთული საქმე ჰქონდა მოსაგვარებელი და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ვასომ წიგნი განზე გადასდო, დინჯად წამოდგა. თვითონაც გულით ელოდა ამ გასეირნებას, მაგრამ ბუნებით ასეთი იყო, აჩქარება არა სჩვევოდა.

თეთრი აბრეშუმის ხალათი ეცვა ვასოს, საყელო გადაკეცილი ჰქონდა. თაკარა ცეცხლის პირისპირ წრთობილი სახე და ძაღალი ყელი ახალგალეწილ ხორბლისფრად უელვარებდა.

გაიოზი საზაფხულო კოსტუმში ცოლმვილიანი ჭაბუკის იერს იძვენებდა.

ქალიშვილები ჩასასვლელთან იდგნენ, ხოლო ვიქტორი ეზოში იცდიდა.

— უკაცრავად, ელენე ნიკოლაევნა, მგონი გალოდინეთ, — მოიბოდიშა გაიოზმა. — სულ ამ ჩემი მეგობრის ბრალია, თავზე სახლი რომ ენგრეოდეს, მაინც არ აჩქარდება. მერე საოცარი რა არის, იცით? საბმვიდობოზე გასვლაში არა თუ არ ჩამორჩება, სხვას გზას უჩვენებს.

ეს ისეთი ტონით თქვა გაიოზმა, რომ ქალიშვილებს სიცილი წასკდათ.

ტანსრულ, პირსავსე ლიუდმილას სიცილის ჟამს ლოყები ეკუჭებოდა, წვრილი თვალები ცის შორ სიღრმეში ოდნავ მჩინარე ვარსკვლავივით გაუბრწყინდებოდა; პირველი ნახვისთანავე დაგიახლოვებდათ თავისი გულღიაობით.

ელენე ნიკოლაევნა თავის ახოვან მამას სრულიად არ მოგაგონებდათ, სახითაც დედას ჰგავდა. მთელი მისი მოქნილი აღნაგობა, ცისფერი, მღიმარი თვალები, მისი მიხრა-მოხრა დაუშრეტელ სიმკვირცხლეს გამოხატავდა. ტუჩებს არ იღებავდა, მხოლოდ ხანდახან, ისიც ანგარიშმიუცემლად, შეახებდა მათ წვრილსა და თეთრ კბილებს. სადად იცვამდა. ამით უფრო მეტად იმჩნევდა გონებრივი მუშაკის იერს.

ეზოში რომ გავიდნენ, ვიქტორმა თავი დახარა, თითქოს მზემ თვალი მოსჭრაო, ძერე უხერხულობის დასაძლევად თავზე კეპი გაისწორა, ყაჭვივით ბრბილი მწიფე კომბისფერი თმის კულული მუბლზე ჩამოეფინა. გადადგა ნაბიჯი და თითქოს მთელი ტანი შეერხაო ამ მოსხეპილ ჭაბუკს.

ლიუდმილამ მყისვე იგრძნო, თუ რა მდგომარეობაში იყო ვიქტორი, შეყოყმახდა, ელენეს საყვედურით გადაჰკრა თვალი, გულმოწყალეობამ დასძლია, ვიქტორთან მივიდა, მკლავში ხელი გამოსდო და ენერგიულად მიმართა ყველას:

— აბა, წავიდეთ, მეგობრებო!

მზე ჩადიოდა. ფერდობზე შეფენილი ქალაქიდან ტრამალები ისე ძოჩანდა, გეგონებოდათ, ცისკიდურიდან გამჭვირვალე ბურუსის ზვირთები მოღელავსო. ფართო ქუჩას ძაღალი ხეების ჩრდილი ეფინა.

ლიუდმილა და ვიქტორი წინ მიდიოდნენ. რამდენჯერმე ახედა ლიუდმილამ ვიქტორს, უნდოდა მასთან გულითადი საუბარი გაება, მაგრამ ვაჟის მკაცრმა გამომეტყველებამ შეაკრთო. სხვა შემთხვევაში ვიქტორი უთუოდ გამონახავდა საერთო ენას ამ კეთილ ქალიშვილთან, მაგრამ ახლა მეტისმეტად გაეოგნებინა დიდი განსაცდელიხ მოლოდინს.

გაიოზი და ვასო მხარდამხარ მოჰყვებოდნენ ელენეს. ვასომ არიშზე ჩამოაგდო სიტყვა. ელენეს სახე გაუნათდა, აღტაცებით წამოიძახა:

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება არიში! არა მარტო იმიტომ, რომ იქ დედ-მამა მყავს და ჩემი უმცროსი დაი,—საქართველოზე ვარ შეყვარებული. მინდა ვიმოგზაურო მთებში, ბორჯომის ხეობაში. ჯერ თითქმის არსად არა ვყოფილვარ. ერთხელ მამაჩემმა ამიყვანა ფუნიკულორზე. კრიალა საღამო იყო. ზღაპრული სანახაობა გადაიშალა, მთელი კავკასიონი მოჩანდა. ვნანობ-მეთქი, ვუთხარი მამას, რომ გეოლოგი არა ვარ, მაშინ მოგზაურობისათვის მეტი საბაბი მექნებოდა-მეთქი. ისედაც მოესწრებიო, დამაიმედა მამამ. თქვენ უთუოდ იცნობთ მას, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, როგორ უყვარს ხვალინდელი დღის დანახვა. ჩვენი სინამდვილის ყოველ მოვლენაში, რაც არ

უნდა პირქუში იყოს იგი, ამომავალ ნათელს ხედავს. ჩემი უფროსი ძმა — ახლა მოსკოვშია, დისერტაციას იცავს, — განზრახ შეედავებოდა ხოლმე, რომ ეგზნო, ელაპარაკებინა. ჩვენც დავსხდებოდით და გატაცებით ვუსმენდით. რამდენი გაჭირვება განუცდია, რამდენი სიძნელე გადაულახავს, გული მაინც ისეთი აქვს, ისე მიგიზიდავს, თითქოს მასთან ერთად თვალუწვდენელ მაღლობზე იდგე და კაცთა სადიდებლად ამომავალ წლებს გაჰყურებდე. ეს მისი სიტყვებია, უყვარს ხოლმე თქმა: რამდენი დრო გავა, მით უფრო დაამშვენებსო ადამიანი დედამიწას... ვამაყობ, რომ ასეთი მამა მყავს. აი, როცა არიშში ვიქნებით, უთუოდ უნდა გვესტუმროთ, ჩვენი ოჯახი ახლოს უნდა გაიცნოთ, მამაჩემი აუცილებლად დაგიმეგობრებთ.

— იმედია, ჩვენც გვესტუმრებით, — მიიპატიჟა თავის მხრივ გაიოზმა, — მართალია, ჯერ კარგად დაფუძნებული არა ვართ, მაგრამ თქვენ მაინც არ დაგვძრახავთ. მომავალი მშენებელი ხართ, უთუოდ წარმოდგენილი გაქვთ, თუ როგორ იქმნება ახალი ყოფა-ცხოვრება ისეთ ახალშობილ ქალაქში, როგორიც ჩვენი არიშია.

— როგორ არა. მე ხომ ახალ მშენებლობებზე ვარ გაზრდილი. პირველ კლასში რომ შევედი, დონბასში ვიყავით, საშუალო ურალში დავამთავრე; ვიცი, რა მალე უახლოვდებიან ურთიერთს ახალი მოსახლეები, როგორ ყალიბდება ახალი საზოგადოება. არის რაღაც მეტად მიმზიდველი მშვენიერება, წმინდა საბჭოური მშვენიერება, როცა ხედავ, თუ როგორ ჩნდება გუშინდელ ტრიალ მინდორზე ჯერ ღრმა თხრილები, საძირკვლები, მუშათა საცხოვრებლები, სტანდარტული სახლები, შემდეგ კი უზარმაზარი ქარხნები და კეთილმოწყობილი ქალაქები! ერთი შეხედვით გეგონებათ, თითქოს სხვადასხვა მხარეში, სხვადასხვაგვარ მშენებლობებზე სხვადასხვანაირი ტრადიციები უნდა შეიქმნასო. მაგრამ, არა, ახალ ცხოვრებას ყველგან ერთი ცხოველმყოფელი საწყისი უდევს საფუძვლად, — ესაა თავდადებული შრომა და ძმური შეჯიბრება.

„რა განათლებული ქალია, რა ფართო ჰორიზონტი აქვს, — გაიფიქრა ვასომ. — სად არ ყოფილა, რა არ უნახავს, მაინც კიდევ მოგზაურობა, ახალი ადგილების გაცნობა ენატრება. ვინ იცის, ოჯახები სადმე უკვე ჰყავს გულითადი მეგობარი ვიქტორი ამაოდ იტანჯება. ისედაც სხვადასხვა ინტერესები უნდა ჰქონდეთ. მერე კიდევ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. თანასწორობა მაშინ არის კარგი, როცა ჩამორჩენილი მოწინავეს ეწევა, როცა ეოთად მიიკვლევენ გზას მწვერვალისაკენ. ისე კი, შენ თუ წინ მიმავალს უკან სწევ... თუმცა არა, ვიქტორს ეყოფა ძალაცა და ნიჭიც. ფრთებს გაშლის, გაუტოლდება...“

ზღვის პირს მიუახლოვდნენ. ჯერ კიდევ ანათებდა მაღალი ხეების წვეროებს ჩასული მზის ანარეკლი. ჰაერი დატკბა; ნაზი ალერსით შეეხო ახალგაზრდების სახეებს ზღვის სურნელებით გაჟღენთილი ნიავი.

ლიუდმილამ მალე დასძლია უხერხულობა, ვიქტორს შინაურულად გაესაუბრა, უკითხავად მოუყვა, თუ როგორ ეჩქარება სწავლის დამთავრება და მშობლებთან წასვლა; ისიც კი აგრძნობინა, თუ როგორ ელოდება მას ერთი გულითადი მეგობარი.

— იცით რა, — ამბობდა ლიუდმილა, — ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწევ, მხოლოდ ნამდვილმა, რეალურმა გრძნობამ არ უნდა გიღალატოს, უნდა შეგეძლოს ნათლად დაინახო შენი ასპარეზი, შენი დიდი გზა. ჩვენ ხშირად წარმოდგენილი არა გვაქვს, თუ რა ძალუძს სიყვარულით სავსე გულს...

ვიქტორი ლიუდმილას დააცქერდა, გუნებაში გაეღიმა, ისეთი შვება იგრძნო, თითქოს ეს ტანსავსე ქალიშვილი მისი ღვიძლი დაი იყოს, თითქოს ისე საშინლად დაღუპული გალია გაცოცხლებულიყოს და გვერდით მიჰყვებოდეს. სწორედ ამხელა იქნებოდა ახლა გალია, ასეთივე პირმრგვალი, თმახუჭუჭა. სიცილიც ასე შვენოდა უბედურს...

ლიუდმილამ ვიქტორის მზერა დაიჭირა, მისი ფარული სევდაც ამოიკითხა, სერიოზული გამომეტყველება მიიღო და დამარიგებელი კილოთი უთხრა:

— არ შეგფერით, ვიქტორ, ასეთი დაღვრემილობა. კაცს ეგონება, ისეთი უბედურება შეხვედრია, წელში ვეღარ გამართულაო.

— რატომ არ შეიძლება, რომ მართლაც...

— არაა ეგ საჭირო, ვიქტორ! — შეაჩერა ლიუდმილამ. — ჩვენ ყველამ გამოვიარეთ საძაძულო ომი, ყველას დაგვაკლდა ვინმე, მაგრამ განა რაიმე შეედრება ჩვენი გამარჯვების სიდიადეს, ჩვენს ბრწყინვალე წინსვლას?

— მართალს ამბობთ, მაგრამ ეგ საერთოა, პირადი კი...

— რომელი პირადი? — აუწია ხმას ლიუდმილამ, ვიქტორს მკაცრად ახედა, — სად გაგონილა ჩვენი ადამიანის გაორება!..

— თქვენ ვერ გამიგეთ, — შეესიტყვა ვიქტორი, — მე სულ სხვა ვქონდა მხედველობაში. აი, თქვენ გყავთ მშობლები, გყავთ გულითადი მეგობარი, იცით, მალე ნახავთ მათ და ეს წინასწარ გახარებთ. ახლა წარმოიდგინეთ რომელიმე უპატრონოდ გაზრდილი ბიჭი...

სიტყვებზე მეტად ვიქტორის ხმამ აგრძნობინა ლიუდმილას, თუ რა მღელვარებას განიცდიდა ეს მეფოლადე; სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ალერსით შეახო მხარზე ხელი:

— იცით რა, ვიქტორ! ამას მთელი გულით გეუბნებით: ისე მიგულეთ, ვითომც ღვიძლი და გყოლოდეთ.

ამ მახლობელმა, მთლად მშობლიურმა სიტყვებმა აღიტაცა ვიქტორი, გამხნევდა, გულში იმედი ჩაესახა.

გრძელ ხეივანში შევიდნენ, მოსეირნეებს შეერივნენ. ერთ ალაგს ბაიანს უკრავდნენ, ხმაშემწყობილად მღეროდნენ.

ამ ხალხურმა სიმღერამაც ძალა შემატა ვიქტორს. გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში მეტად დიდი, მეტად ცხოველი ნაკადი იჭრებოდა, მაგრამ არა კრთოდა; არც ის იყო მოულოდნელი, ელენე რომ მარტოდ დარჩა მის გვერდით და მხარიმხარ მიყვებოდნენ ზღვის პირს, შორდებოდნენ ხალხის ჟრიამულს. ქვეყნის იმ კარებში შედიოდნენ, სადაც ყველაფერი მარტოოდენ მათთვის იყო თითქოს ფიანდაზად გაშლილი, მათ უხმობდა; მათთვის ლივლივებდნენ ასე დაუსრულებლად ეს მუქლურჯი ტალღები, ღამის ეს ქუფრი საბურველიც იმიტომ ეშვებოდა ასე ნარნარად, რომ ავი თვალი არ შეხებოდა მათ გულისთქმას, მათ მისწრაფებას. შეავლებდა ხოლმე თვალს ვიქტორი მის გვერდით მიმავალ ელენეს და ეგონა, აქ ტანმორჩილ ქალიშვილში იყო თითქოს მოთავსებული ცისა და დედამიწის უსაზღვროება.

განაპირა მერხზე ჩამოსხდნენ. იქვე ახლოს ჩქრიალებდა ზღვის მოთეთრო ზვირთები, შეენარცხებოდა კბოდეს, მიმოინჩქრეოდა და იწყებდა ჟონვას სილაში. შორს კი არა ჰქონდა დასასრული ცისფერი ჭავლების სრბოლას.

ის იყო, სავსე მთვარე ამოვიდა, ჯერ პრიალა სპილენძივით ელვარებდა, მერე თანდათან დაეწმინდა გულმკერდი და ზღვის ზედაპირს შუქის გამჭვირვალე ზოლი გადმოეფინა.

პირველ წამს არც ერთს არა სურდა დაერღვია დუმილი. თითქოს ეშინოდათ, არ გაეღრმავებინათ ის უჩინარი ზღვარი, რომელიც მათ ერთიმეორისაგან აშორებდა. ახლოს ისხდნენ ურთიერთთან, თითქმის მხარით მხარს ეხებოდნენ, მაინც რაღაც ბუნდოვანი მოლოდინი აკრთობდათ.

ელენემ ქალური ალღოთი იცოდა, თუ რა გრძნობებით იყო გამსჭვალული მის მიმართ ვიქტორი, თვითონაც ხომ მოსწონდა ეს მოკრძალებული ჭაბუკი, მაგრამ ახლა პირველად ჩაიხედა თავის გულის სიღრმეში და გაოცდა: რა უნდა აქ? რა ძალაა ეს, ასე რომ შეჯაჭვა? რატომ ჰგონია, თითქოს საცაა იელვებს სიტყვა და მთელი ცხოვრების გზას გაანათებს? იქნებ რაიმე საფრთხე მოელის? იქნებ სჯობს, ახლავე ადგეს, არ მისცეს ვიქტორს იმ ჯადოსნური სიტყვის თქმის საბაბი, თორემ შემდეგ შესაძლოა ისეთი ქსელი გაებას, რომ თავი ვერ დააღწიოს და ინანოს. თუმცა არა ღირს ახლა ამაზე ფიქრი. აგერ, როგორ გაბრწყინდა ზღვის ზედაპირი, როგორ ციმციმებენ მთვარის შუქით მოვერცხლილი ტალღები! რა ნაზი საღამოა! ისეთი სიწყნარეა, თითქოს საცაა აშრიალდება ფარდა და ზღაპრული სანახაობა გადაიშლება... რას ფიქრობს ნეტავი ახლა ვიქტორი? ნუთუ ასე უმძიმს თავისი გულის ზრახვის გამოთქმა? იქნებ ცუდი რამ ამოძრავებს და იმიტომ ვერ გაუბედნია?

ელენემ თავი ოდნავ დახარა, ვიქტორს ირიბად ახედა.

ვიქტორმა ელენეს მზერა დაიჭირა, შეირხა, ტუჩი შეუთრთოლდა, მოკრძალებით თქვა:

— ელენა ნიკოლაევნა, მე მინდოდა მეამბნა თქვენთვის...

— თქვი, ვიქტორ, გისმენთ.

ქალის ამ მძვიდმა, ამ გულითადმა ხმამ გაუორკეცა ვიქტორს თხრობის უნარი. შორიდან დაიწყო, ბავშვობა მოიგონა.

ზეამოწეული მთვარე თითქოს გაფართოვდა, გასხივოსნდა; ზღვაზე გადმოფენილი ზოლი მოოქროვილ კამარას დაეძაგავსა; შეგიძლია მიჰყვე ამ ნათელ გზას, მიჰყვე, სანამდის ოცნება მიწვდება. მაგრამ ელენეს საოცნებოდ არა სცალია, ყურს უგდებს ვიქტორს და თვალწინ მალხაზი ყმაწვილი უდგას. ბედნიერად იზრდება იგი თავის სოფელში, სწავლობს. დედა თავს ევლება, მოხუცი ბაბუა ჰყავს, ბრძენი, კეთილი. იგი რომ ამბებს მოუყვება, მასში მარტოოდენ წარსული როდი ჩანს, მომავალიც იგულისხმება. პატარა ბაღი აქვთ ეზოში, თეთრი სახლის გვერდით. ბაბუა ისე უვლის ხეხილს, თითქოს ისინი ცოცხალი არსებანი იყვნენ. ჰოდა, ომის ტალღა მოვარდა, მოხუცი კარმიდამოს არ მოშორდა, ხოლო დედა თავისი ქალ-ვაჟით ლტოლვილებს გაჰყვა. ცეცხლი კვალდაკვალ მისდევთ. პატარა ხომალდზე მოხვდნენ. ბევრნი არიან, გემბანი გაჭედილია. ზაფხულის დღეა. გადასარკულ ზღვაზე ტალღები ოდხავ იგრაგნებიან. ხომალდი ნაპირის მახლობლად მისცურავს. უცებ აზრიალდა ცა, მტრის თვითმფრინავები გამოჩნდნენ, დაეშვნენ ხომალდისაკენ და აზვავდა ირგვლივ ყველაფერი, სივრცე შხეფებმა დაფარეს. ხომალდსაც მოხვდა ყუმბარა, საშინელება დატრიალდა. არ იცის ყმაწვილმა, როდის მოწყდა დედას და დას. ძლივს გასცურა ნაპირზე. სული მოითქვა. მერე დიდხანს ეძება დედა და და. ვერსად იპოვნა. დარჩა მარტოდმარტო. ზღვის პირად ჩამოჯდა და, ირგვლივ რომ თვალი მოავლო, ასე ეგონა, სავსებით მოწყვეტილი იყო მთელი ქვეყნიერებისაგან. არავის, არავის მისთვის გული აღარ შესტკივა...

გარინდული უსმენს ელენე. გაჰყურებს ზღვას და ნორჩი ჯეჯილივით მოლივლივე ტალღების ნაცვლად ნაპირზე ობლად დარჩენილ ვიქტორს ხედავს, გული სიბრალულით ევსება, უნდა ხელი გაუწოდოს, ანუგეშოს, მიეალერსოს, ძაგრამ ვერ — გაუბედნია, რადგან ჯერ თითქოს არ გააჩნია ის სიწრფოება, რომელიც უსიტყვოდაც კი გულიდან გულს ეხმაურება...

საიდან სად არ მოხვდა შემდეგ ვიქტორი. ბოლოს გათავისუფლებულ უკრაინაში დაბრუნდა, თავის სოფელს მიაშურა. აღარაად იყო არც სათნო ბაბუა, არც კარ-მიდამო. ხეხილი ყუმბარებს დაეხლიჩა...

ელენეს ერუანტელმა დაუარა. ნათლად წარმოუდგა, თუ როგორ გამობრუნდა გაპარტახებულ ეზოდან ვიქტორი, სავსებით დაცარიელებული, მიუსაფარი. ნეტავი ძაძინ მის გვერდით ეოფილიყო; დაეიმედებდა, ეტყოდა, რომ დიდია, ძლიერია, გულთამხილავია ჩვენი დედა-სამშობლო; იგი წაუძღვება წინ, აღზრდის, ობლობით არ დაჩაგრავს. ეტყოდა... მაგრამ მეტს რაღას ეტყოდა? მარტოოდენ სიტყვა ხომ ვერ გაუწევდა დედის მაგიერობას? დიდი გული იყო საჭირო, წრფელი სიყვარული...

ერთ წამს თხრობა შესწყვიტა ვიქტორმა, თვალები გაუშტერდა. გადააგიწყდა, სად იყო; თავის თავს ხედავდა მხოლოდ, ნასოფლარიდან რომ გამობრუნდა, მოსახვევში შედგა და უკან მიიხედა; იმ ადგილს დააცქერდა, სადაც წინათ სკოლა იყო, ეზოში ბავშვებთან თამაშობდა. საშინელმა სიცარიელემ გული ბოლმით აუვსო, მოძალებული ცრემლი მოიწურა, ვაჟკაცივით ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო; გულში მტკიცედ გადასწყვიტა, რომ რაღაცას დიდს მოიმოქმედებდა, იმდენად დიდს, რომ მოსისხლე მტერს სამაგიეროს მიუზღავდა.

უცებ გამოერკვა. მოგონებამ ძალა შემატა. მაინც მღელვარედ განაგრძო:

— და აი, ერთ დღეს... მომისმინეთ, ელენა ნიკოლაევნა, ნუ დამძრახავთ...

— მე ხომ გისმენთ, ვიქტორ!

— ჰო, ერთ დღეს ჩვენს ეზოში გამოვედი. კარგ გუნებაზე ვიყავი, თითქოს წინასწარ ვგრძნობდი, რომ რაღაც დიდი სიხარული მელოდა. ზევით ამოვიხედე. თქვენ მოაჯირზე იყავით გადმომდგარი... აჰ, რომ იცოდეთ, რა იყო

ის წამი! განათდა ირგვლივ ყველაფერი! შემოგყურებდით თქვენ და მეგონა, პირველად კი არ გხედავდით ასე უცნაურად ახლობელს, დიდი ხანია იყავით ჩემში, მხოლოდ იმ წამს ამეხილა თვალი და მარტო თქვენ როდი გიმზერდით, მეგონა, ისე საშინლად დაღუპული დედაც გამიცოცხლდა, ჩემი საწყალი დაც, ბაბუაჩემიც. ამავე დროს, საკვირველია, თითქოს გავევორდი და ჩემ თავსაც ვხედავდი, ზღვის პირად რომ ვიჯექი მარტოდმარტო და ვტიროდი, ვხედავდი და მიკვირდა: ამ სიმაღლეზე როგორ ავაღწიე, როგორ მოვიპოვე ეს ბედნიერება-მეთქი!.. ეს წამი ჩემთვის მთელ სიცოცხლედ ღირს... თქვენ ოთახში შებრუნდით, მე კი ზღვას მოვაშურე: დიდხანს მიმოვდიოდი აქ მარტოდმარტო და ჩემს აღტაცებას მთელ ქვეყნიერებას ვუზიარებდი...

ამას რომ ამბობდა, ცისკიდურს გაჰყურებდა ვიქტორი, ვერც ზღვის მოკამკამე ჭავლებს ხედავდა გარკვევით, ვერც მთვარის სხივების ზოლს, ტალღების ჩქრიალიც აღარ ესმოდა. დიდი ხანია ელოდა ამ წამს, ახლა, როგორც იყო, გადაუშალა ელენეს გული, უჩვენა თავისი საუნჯე, მისთვის ისევე დიადი, როგორც მთელი ეს [illegible] გარემო.

აი, დაამთავრა სათქმელი. დუმილი ჩამოწვა. უნდა, მიხედოს ელენეს, მაგრამ ვერ გაუბედნია. ვაი თუ...

ანაზდად მთელ ტანში ჟრჟოლამ დაუარა, მაჯაზე ელენეს ხელის შეხება იგრძნო. ჯერ მის პატარა, თეთრ ხელს დახედა, მერე თვალი აღაპყრო და ფერგამკრთალ, საოცრად მინაზებულ სახეზე მიაცქერდა. ბედნიერებამ დაამუნჯა ჭაბუკი, ძლივს-ღა მოახერხა, ეთქვა:

— ნუთუ ეს მართალია?!

ქალწულს ტუჩები შეუთრთოლდა, თვალები დაჰხარა.

საყვარელი სახის ამ გამომეტყველებამ იმდენი რამ აგრძნობინა ვიქტორს, რომ იგი მთლად აენთო, წამოიმართა; მერე კვლავ გვერდით მიუჯდა, მკლავი ოდნავ მოხვია და შეფრფინვით შეანათა სხივჩამდგარი თვალები.

ელენემ კეპი გადაუწია და ნაზი ალერსით შეახო ხელი რბილ ქოჩორზე.

* * *

განთიადი ახლოვდებოდა. მარტენის საამქროში ექვსივე ღუმელი გაბმულად გუგუნებდა; ხან ერთი ჩამტვირთავი მანქანა არაწკუნდებოდა, ხან მეორე. ორთქლმავალი რომ მოკლედ დაიკივლებდა და როფებიან ვაგონეტებს გასწევდა, ან არა და, რომელიმე ღუმელის კარიდან რომ ალი იფეთქებდა და მარაოსავით გაიშლებოდა, ესეც ვერ არღვევდა მეფოლადეებისათვის ჩვეულ საერთო ხმაურს. მუშაობაც ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. მხოლოდ ახალგაზრდების ბრიგადაში მომხდარი ცვლილება კი არავის გამოპარვია.

ვასო და გაიოზი აქ დროებით მუშაობდნენ, პრაქტიკანტები იყვნენ. ამიტომ არავისთვის მოულოდნელი არ იყო, საამქროს უფროსმა რომ ვიქტორ კირიჩენკო კვლავ პირველ მეფოლადედ დანიშნა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი მიხაილოვი მეორე ცვლას ედგა სათავეში.

მაშ რამ მიიპყრო ყველას ყურადღება?

რამ და, თვითონ ვიქტორმა გააკვირვა ყველანი. როგორ გარდაიქმნა ეს კაცი, როგორ გაიზარდა! თუ იგი ეგზომ მარჯვე და უნარიანი იყო, ამდენ ხანს რატომ ვერ შეამჩნიეს! მართალია, დიდ ძალას ანიჭებს ადამიანს შეჯიბრება, თავის გამოჩენის ის მხურვალე წადილი, რომელიც საქვეყნო საქმეს ემსახურება, მაგრამ კირიჩენკოს ამასთანავე სხვა რამეც ამშვენებდა.

აგერ მკვირცხლად შებრუნდა იგი, მაღალი, პირნათელი, ღუმელის კარებს ჩამოუარა, მდუღარე შენადნობის მფეთქავ ჭავლებს დააკვირდა, თაღს ახედა, მერე თითქოს რაღაცას დააყურა, რეგულატორს მიაშურა. აშკარად ემჩნევა, რომ სრულიად ადვილად, უშუალოდ განაგებს ღუმელში მიმდინარე პროცესს. თანაც კიდევ ყველა ხედავს, რომ რაღაც შემატებია ამ მოსხეპილ ჭაბუკს,

შინაგანად გამდიდრებულა, ამაღლებულა.

კირჩენკოს გულითადმა მეგობრებმა — ვასომ და გაიოზმა ყველაზე უწინ გაიგეს, თუ რამ გააძლიერა ასე ვიქტორი, რამ გამოავლინებინა თავისი შემოქმედი ენერგია; საამქროს უფროსმა — ლეონიდ ალექსეევიჩმა და მთავარმა ოსტატმა — ფეოდორ ივანიჩმაც იცოდნენ კიდევ ეს. ამათ თითქოს იდუმლად დაინახეს, როგორ შემომზიურდა ვიქტორთან ერთად ტანმორჩილი, ცქრიალა ქალიშვილის სახე და ამ ბობოქარ საამქროში თავისი კუთხე გაიჩინა.

ფოლადის გამოშვების ჟამმა მოაღწია. ვასოსა და გაიოზს სახეზე ოფლი შეაშრათ. ვიქტორმა საათს გახედა, მერე ღუმელის კარებთან ისეთი მსუბუქი ნაბიჯით ჩაიარა, თითქოს თავის სამძიმეს სრულიად ვერა გრძნობსო; კუთხეში შეჩერდა, წამს ელოდა, რომ სიგნალი მიეცა. იმდენად გატაცებული იყო საქმით, რომ საამქროს უფროსის მისვლა არ შეუმჩნევია.

— როგორაა საქმე, ამხანაგო კირჩენკო?

ვიქტორმა პირდაპირ შეხედა სახეში უფროსს, მტკიცედ უპასუხა:

— მშვენივრად, ლეონიდ ალექსეევიჩ, მშვენივრად. უკვე ვიწყებთ ფოლადის გამოშვებას.

— ჩინებულია. აი, ასეთი კილო შეგფერის, ჩემო მეგობარო! ამას ველოდი სწორედ შენგან, — წრფელი ხმით უთხრა ლეონიდ ალექსეევიჩმა, მერე კვლავ ახლოს მდგარ ვასოს მიხედა, კეთილად გაუღიმა და თვალით თითქოს რაღაც ანიშნა.

ვიქტორი უთუოდ მიხვდებოდა, თუ რას გულისხმობდა ლეონიდ ალექსეევიჩის უზაკვო ღიმილი, მაგრამ არ ეცალა, სწორედ იმ წამს შებრუნდა და ამხანაგს გასძახა:

— აბა, დრო არის!

ასოცდაათტონიანი ციცხვი უკვე თხევადი ფოლადით ივსებოდა, როცა ვიქტორმა შემთხვევით ბარიერზე მიმდგარ მაყურებელთა შორის ელენე დაინახა. ისევ ისე სადად ეცვა ელენეს. ვიქტორს კი მოეჩვენა, თითქოს ციურ ბრწყინვალებით იყო იგი მოსილი. ისეთი ბრწყინვალებით, როგორიც გაზაფხულზე ამოჰყვება ხოლმე რიჟრაჟს და აყვავებულ მიდამოს მოეფინება.

არც ეს ბედნიერება იყო ამ დილით ვიქტორისათვის მოულოდნელი, რადგან გული აღსავსე ჰქონდა იმ რწმენით, რომელიც წრთობილი ვაჟკაცის ყოველის დამთრგუნველ ძლიერებას შეადგენს.

X. გამგზავრების წინ

მარინა სერგეევნა დონბასში გამგზავრების წინ მშენებლობის უფროსმა მიიხმო. ალბათ, რაიმე უნდა დამავალოსო, გაიფიქრა მარინამ და დანიშნულ დროზე სამმართველოსაკენ გაეშურა.

დილით ბინიდან რომ გამოვიდა, ნაცრისფერ ღრუბლებში მზის შუქი ოდნავ სჭვივოდა, ჰაერი შეხუთული იყო; ახლა კი გადასარკულ ცაზე ცხრათვალა მზე გიზგიზებდა, მაინც არ ცხელოდა, გაძლიერებულ ნიავქარს ჩრდილოეთიდან სადღაც ციისიერში მოტაცებული თქორის მეჩხერი ცვრები მოჰქონდა.

მარინამ ბილიკზე გადაუხვია. ბალახშემხმარი მინდორი გვალვისაგან დახეთქილიყო. ხელმარცხნივ ახალგაზრდა ხეებს თიხისფერ წრეებზე ემჩნეოდათ რომ მათ ყოველდღიურად სათითაოდ რწყავდნენ. მარინა ყოველ ნაბიჯზე ხედავდა, თუ როგორ მძიმედ იკიდებდა ფეხს ახალი ცხოვრება ამ გაუდაბნოებულ ველზე; მაინც უკვე მტკიცედ მოემართებოდა იგი, ყველაფერს ცხოველი ელფერით ამშვენებდა.

— ჩინებულია. აი, ასეთი კილო შეგფერის, ჩემო მეგობარო! ამას ველოდი სწორედ შენგან, — წრფელი ხმით უთხრა ლეონიდ ალექსეევიჩმა, მერე კვლავ ახლოს მდგარ ვასოს მიხედა, კეთილად გაუღიმა და თვალით თითქოს რაღაც ანიშნა.

ვიქტორი უთუოდ მიხვდებოდა, თუ რას გულისხმობდა ლეონიდ ალექსეევიჩის უზაკვო ღიმილი, მაგრამ არ ეცალა, სწორედ იმ წამს შებრუნდა და ამხანაგს გასძახა:

— აბა, დრო არის!

ასოცდაათტონიანი ციცხვი უკვე თხევადი ფოლადით ივსებოდა, როცა ვიქტორმა შემთხვევით ბარიერზე მიმდგარ მაყურებელთა შორის ელენე დაინახა. ისევ ისე სადად ეცვა ელენეს. ვიქტორს კი მოეჩვენა, თითქოს ციური ბრწყინვალებით იყო იგი მოსილი. ისეთი ბრწყინვალებით, როგორიც გაზაფხულზე ამოჰყვება ხოლმე რიჟრაჟს და აყვავებულ მიდამოს მოეფინება.

არც ეს ბედნიერება იყო ამ დილით ვიქტორისათვის მოულოდნელი, რადგან გული აღსავსე ჰქონდა იმ რწმენით, რომელიც წრთობილი ვაჟკაცის ყოველის დამთრგუნველ ძლიერებას შეადგენს.

X. გამგზავრების წინ

მარინა სერგეევნა დონბასში გამგზავრების წინ მშენებლობის უფროსმა მიიხმო. ალბათ, რაიმე უნდა დამავალოსო, გაიფიქრა მარინამ და დანიშნულ დროზე სამმართველოსაკენ გაეშურა.

დილით ბინიდან რომ გამოვიდა, ნაცრისფერ ღრუბლებში მზის შუქი ოდნავ სჭვივოდა, ჰაერი შეხუთული იყო; ახლა კი გადასარკულ ცაზე ცხრათვალა მზე გიზგიზებდა, მაინც არ ცხელოდა, გაძლიერებულ ნიავქარს ჩრდილოეთიდან სადღაც ციისიერში მოტაცებული თქორის მეჩხერი ცვრები მოჰქონდა.

მარინამ ბილიკზე გადაუხვია. ბალახშემხმარი მინდორი გვალვისაგან დახეთქილიყო. ხელმარცხნივ ახალგაზრდა ხეებს თიხისფერ წრეებზე ემჩნეოდათ რომ მათ ყოველდღიურად სათითაოდ რწყავდნენ. მარინა ყოველ ნაბიჯზე ხედავდა, თუ როგორ მძიმედ იკიდებდა ფეხს ახალი ცხოვრება ამ გაუდაბნოებულ ველზე; მაინც უკვე მტკიცედ მოემართებოდა იგი, ყველაფერს ცხოველი ელფერით ამშვენებდა.

რამდენჯერმე მოხვდა სახეზე გრილი წვეთი, ეამა. ცის თაღზე არც ერთი ნაჭერი ღრუბელი არა ჩანდა, მოელვარე სივრციდან კი ცვარი ისე მოიფრქვევოდა, თითქოს საიდანღაც უჩინარი ხელი წმინდა წყალს ასხურებსო.

თავი ასწია მარინამ, სახე ნიავს შეუშვირა, თვალი კი შორს, მაღალი მთების მიღმა მიეპყრო, გონებაში თავისი მშობლიური ქალაქი წარმოიდგინა. მალე მივა იქ, ინახულებს ბინას,

რომელშიაც ახლა მოხუცი მამიდა ცხოვრობს თავისი შვილებით და შვილიშვილებით, მამის საფლავსაც მიაკითხავს. მაგრამ ამ წამს ისინი ისე ბუნდოვანად ესახებიან, როგორც აგერ, მთების ერთ მწვერვალზე კომკივით აღმართული ძველისძველი ეკლესია. ხოლო ყველაზე ნათლად ტარიელს ხედავს. ისიც იქ არის, მისი ნახვა ენატრება. როგორ შეხვდება ის, რას ეტყვის? იქნებ გული ატყუებს მარინას და ამაოდ მიისწრაფის? იქნებ მხოლოდ ოცნებაა ეს, მარტოობის ჟამს შემოჩვეული ოცნება? ვინ იცის... მაგრამ ეს ოცნება რომ არ იყოს, მაშინ რა ფასი ექნებოდა სიცოცხლეს?

სამმართველოს დერეფანში მზესშეჩვეული თვალით ვერავინ შეამჩნია. მისაღები ოთახის კარი ღია დახვდა. პირველად მშენებლობის უფროსის მდივანი — ტანწერწეტი ქალი დაინახა; იგი ფეხზე იდგა, ოდნავ დახრილი, ვიღაცას ტელეფონით პასუხს აძლევდა. გადადგა მარიხან ნაბიჯი და უცებ თითქოს საფრთხე იგრძნო, შეკრთომით მიიხედა.

დინჯად წამოდგა ნელი, შუბლი გაშალა, ღიმილი დაიმშვენა, დამტკბარი ხმით მიმართა მარინას:

— ახ, რა მოხარული ვარ, რომ გნახეთ! ხომ კარგად ბრძანდებით, ძვირფასო? გავიგე, სამშობლოში მიდისო, ხომ მართალია?

მარინას მხოლოდ ფერი ეცვალა, ხმა არ გაუცია, ლევან სალოძის მდივანს თვალით დარბაზის კარი ანიშნა:

— შეიძლება?

— მობრძანდით, — უპასუხა ამ უცნაური შეხვედრით გაოცებულმა მდივანმა და წინ გაუძღვა, კარი გაუღო.

ნელიმ მედიდურად გააყოლა მზერა მარინას, მერე ნელა შებრუნდა, ფანჯარას მიადგა და მარაო გაშალა. თვალმოჭუტულად გაჰყურებდა სივრცეს, ბრაზი ერეოდა; მაინც თავს ძალას ატანდა, რომ მდივნის წინაშე სიდარბაისლე შეენარჩუნებია და ლევან სალოძესთან შესვლა მოეხერხებია.

მარინა შესასვლელთან ერთ წამს შეჩერდა, შუბლზე ხელი მოისვა, მერე ანგარიშმიუცემლად თმა გაისწორა. თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა: „ყველგან დაძრწის ეს დედაკაცი, გესლს ანთხევს...“

დარბაზშიაც შეჰყვა ეს ფიქრი, უხერხულად გაემართა მშენებლობის უფროსისაკენ, რომელთანაც ხელმარჯვნივ ნიკოლოზ პავლოვი იჯდა.

— მობრძანდით, მარინა სერგეევნა, მობრძანდით! — მხიარულად მიიპატიჟა ლევანმა. — აგერ ნიკოლოზის გვერდით ჩამოჯექით.

ეს რომ უთხრა, სახეზე მერე დააკვირდა, თავი აიქნია, გულისხმიერად შეეკითხა:

— რაშია საქმე? რაღაც მოწყენილი მეჩვენებით.

მარინამ ღიმილი მოიშველია, გუნებაში კი უნებლიეთ გაიფიქრა: „უთუოდ იცის ლევანმა, ის ქალი რომ ძიღებას ელოდება, ისიც იცის, თუ რისთვისაა მოსული. წინათაც იქნებოდა...“

ნიკოლოზს გულმა მოსთხოვა, მარინას დახმარებოდა, ამიტომ ლევანს მეგობრულად შეესიტყვა:

— მწუხარება და სიხარული, სევდა და ბედნიერება — ღვიძლი დები არიან, ამხანაგო ლევან. ჩვენი მარინა სერგეევნა მარტოხელა ქალია, ხანდახან რომ ნაღველმა ბრჭყალი გაჰკრას, არ გაემტყუნება.

ნიკოლოზის ამ წრფელმა ხმამ გაამხნევა მარინა, ახლა უკვე გულიანად გაიღიმა, სკამი გამოსწია და დაჯდომისას ჩაილაპარაკა:

— თქვენ მართალი ხართ, ნიკოლაი პეტროვიჩ, მწუხარება და ბედნიერება მართლაც დები არიან, მგონია, უერთმანეთოდ ვერც ივარგებენ, ხომ ასეა: ღამე რომ არ იყოს, დღეს იმდენი შნოალარ ექნებოდა.

— მაშ აგრე. — თქვა მშენებლობის უფროსმა და მყისვე სახეზე საქმიანი გამომეტყველება აღებეჭდა. ეტყობოდა, მცირე გასაუბრება მისთვის შესვენება იყო. — ეს საქმე დაყოვნებას არ ითმენს, — მიმართა მარინა სერგეევნას. — თქვენ იცით, რა წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა მებეტონეებმა, იცით, რაზე მუშაობს ჩვენი ნიკოლოზი. დღეს უკვე ცდებმა გვიჩვენა, რომ ფოლადის მავთულით გამაგრებული ბეტონის მილი თუჯის მილზე უფრო გამძლე იქნება. შეიძლება ფოლადის მილსაც გაუტოლდეს. იცით რას ნიშნავს ეს? — აუწია ხმას ლევანმა, შინაგანმა გზნებამ აღიტაცა, წამოიმართა, ორიოდე ნაბიჯი

გადადგა, მკვირცხლად შემობრუნდა, ფესვმაგარ მუხასავით ჩასკვნილი, თვალგაბრწყინებული.

მარინა თითქოს კარგად იცნობდა ლევანს, მაგრამ ახლა, მის შთაგონებულ სახეს რომ ახედა, პირველად ჩასწვდა, თუ რა დაუშრეტელი ენერგიით იყო აღსავსე ეს ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოვებული მშენებელი. ბართალია, სქელი თმა უკვე შეჭირხლული აქვს, მაგრამ ეს უფრო აჩენს მის უჩვეულ ძლიერებას, მის გონებრივ უნარს. რამდენი დარგია, რამდენი სპეციალობაა ამ უზარმაზარ მშენებლობაზე, რამდენი ახალი ამოცანა ისახება ყოველდღიურად, რამდენი გაუთვალისწინებელი დაბრკოლება წამოიჭრება ხოლმე. ყოველივე ამაში უნდა გაერკვეს ლევან სალოძე, უნდა შეიცნოს, მიმართულება უნდა მისცეს.

— რა თქმა უნდა, — გაიღიმა ლევანმა, — თქვენ ეს კარგად იცით, მაგრამ აბა ერთი ჩაუკვირდით, გაშალეთ ფრთები და მთელს ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში მიმოიხედეთ. რა ეკონომია იქნება, რა დოვლათი! რამდენი თუჯი და ფოლადი მოხმარდება სხვა საქმეს! ჩვენ ხომ ყველგან აუარებელი მილი გვჭირდებდა. ჰოდა, ყოველ ახალ მშენებლობას შეეძლება მოაწყოს ბეტონის მილების საკუთარი ქარხანა, წყალსადენისათვისაც, საკანალიზაციოდაც. აგერ ჩვენ რომ წყაროს წყალი, მთელი დიდი ქალაქისათვის საყოფი წყალი, შორიდან გამოგვყავს და ფოლადის მილების ლოდინში საჭირო ტემპი ვერ აგვიღია, რა შეღავათი იქნება, როგორ დაჩქარდება საქმე, როცა ჩვენ თვითონ დავამზადებთ ბეტონის მაღალხარისხოვან მილებს!

ნიკოლოზ პავლოვს დიდი ხანია ყოველივე ეს მკაფიოდ ჰქონდა გათვალისწინებული, მაგრამ ლევანი რომ აღტაცებით ლაპარაკობდა, ისე სიამოვნებდა, თითქოს რაღაც ახალი ემატებოდა მრავალგზის ნაფიქრსა და ნაოცნებარს, ახალი სხივით იმოსებოდა. უგდებდა ყურს ლევანს და გუნებაში ტკბილად ეღიმებოდა ნაცად მშენებელს. რამდენი უშრომნია ამ საქმისათვის, რამდენი ღამე უტეხია, რამდენ დაბრკოლებას წაწყდომია და ხელი კინაღამ ჩაუქნევია. ახლა კი უკვე ხორცშესხმულია იგი. თანაც თითქოს არც ისეთი რთული რამაა, მაგრამ რამდენი ცდა, რამდენი გამოანგარიშება დასჭირდა, ვიდრე მას თავს ძოაბამდა. ჯერაც კიდევ ვიდრე ბეტონის მილების დამამზადებელ ქარხანას ააგებენ და ტექნიკურად გამართავენ, ბევრი რამაა საჭირო. სარისკოც არის, მაგრამ არა უშავს რა, ლევან სალოძე ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს. ზოგი იმდენად კონსერვატიულადაა განწყობილი, რომ ახალ აზრს მანამდის ვერ ეგუება, სანამ მას ხროცშესხმულს არ იხილავს. ლევანი კი შორს იყურება, ჩანასახშივე ამჩნევს, რა მომავალი აქვს ამა თუ იმ წამოწყებას. ამიტომაა იგი ესოდენ გამბედავი და დაუცხრომელი.

ჯერ კიდევ სხვა მშენებლობაზე მუშაობისას დაებადა ნიკოლოზს აზრი, რომ შესაძლებელი იყო ბეტონის მაღალხარისხოვანი მილების დამზადება, მაგრამ ამ იდეის პრაქტიკულად განხორციელება აქამდის ვერ მოხერხდა. ზამთარში მოუყვა ლევანს. პირველი სიტყვიდანვე შეატყო, თუ როგორ დაინტერესდა იგი. ჯერ თავისებურად შეიჭმუხნა წარბები, სავსე ღაწვებზე თითქოს ჩრდილი დაეფინა, მერე საქმის დედაარსს რომ ჩაწვდა, თვალები გაუსხივოსნდა, უცებ წამოხტა, გაიარ-გამოიარა, ნიკოლოზს მხარზე ხელი დააყრდნო, სახეზე დახედა, აღტაცებით წამოიძახა:

— აქამდის სად იყავით, ნიკოლაი პეტროვიჩ? ეს ხომ ხსნაა ჩვენთვის! ახლავე, ამ წუთიდანვე შეუდექით საქმეს! ყველაფერი იქნება, არაფერს არ მოგაკლებთ. საჭირო მანქანებსაც დავამზადებინებთ, მუშახელიც გეყოლებათ, მასალაც. რა ვუყოთ, რომ ჯერ ხარჯთაღრიცხვაში არსად არაა გათვალისწინებული ეს საქმე. არაფერია, მოვაგვარებთ!

— ცოტაოდენი რისკი მაინც არის, ლევან ასლანოვიჩ! — ღიმილით შენიშნა ნიკოლოზმა.

— რას ბრძანებთ, ნიკოლაი პეტროვიჩ! სად გაგონილა ურისკო წამოწყება! პირველად ვინც თვითმფრინავით ჰაერში აფრინდა, განა ჩამოვარდნის საფრთხე არ ელოდა? რამდენი დაიმსხვრა. ახლა კი, ხომ ხედავთ, მგონია, მალე პლანეტებზედაც ავფრინდებით. ჩვენ ხომ ბოლშევიკები ვართ, ძვირფასო მეგობარო! ხომ იცით, სანამდის აღწევს ყოვ-

ლი ჩვენი წინსვლა, ჩვენი გამარჯვება!..

ამ საუბრის შემდეგ ნიკოლოზი გაორკეცებული ენერგიით შეუდგა საქმეს. პირველ დღესვე საქალაქო კომიტეტის მდივანი ეწვია. ჯერ ნახაზებს გაეცნო, მერე მთელი მოწყობილობა და სამუშაო მოედანი დაათვალიერა, ის ადგილიც გაითვალისწინა ნიკოლოზთან ერთად, სადაც ახალი ქარხნის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო. ბოლოს მკლავი გამოსდო, კანტორასთან მდგარ მანქანისაკენ გაიყოლა, ვიდრე დუმილს დაარღვევდა, ისეთი ღიმილით ახედა სახეზე, რომელშიაც მეგობრული სიყვარულიც იყო და მოკრძალებაც ამ ღვაწლმოსილი მშენებლის წინაშე.

— ჰო, დიდი საქმეა, ნიკოლაი პეტვიჩ, დიდი! შემიძლია გამარჯვება წინასწარ მოგილოცოთ. მერწმუნეთ, ეს საქმე მშენებლობის ფარგლებს მალე გასცილდება.

— დიდ ჯილდოსაც დაიმსახურებს. — ჩაურთო ერთ-ერთი განყოფილების ინჟინერმა, რომელიც მათ გვერდით მიყვებოდა.

— ეგ შემდეგ, ამხანაგო, შემდეგ! — უთხრა ნიკოლოზმა. — არასოდეს ჩემს მუშაობაში სტიმულად არა მქონია ფიქრი იმაზე, თუ რა ჯილდოს მივიღებდი. თვით საქმე, მისი დედაარსი, მისი მიზანსწრაფვა მამოქმედებდა. ხოლო სახელი და დიდება თავისთავად იგულისხმება, ისე როგორც მზის ამოსვლა დაუცხრომელ შრომაში გატარებული ღამის შემდეგ. მერე კიდევ, სხვა ვერ მოგიზღავს კუთვნილ სიხარულს, იგი თვით შენში ღვივდება, შენგან გამომდინარეობს, საქვეყნოს უერთდება. ვერ არის კარგი საბჭოთა ადამიანი ისეთი კაცი, რომელიც თუნდაც ერთ საათს დაჰკარგავს იმის ცდაში, რომ რაიმე ჯილდო მიიღოს. ჯილდო მაშინაა კარგი, როცა იგი თავისთავად მოდის.

— თავისთავად კი არა, როცა დიდ რაიმეს შექმნი და ღირსეულად დაიმსახურებ, — შენიშნა გრიგოლმა.

ეს ზამთარში იყო. ახლა კი ცდა უკვე ჩატარებულია, ნიკოლოზი დინჯად ზის მაგიდასთან და მშენებლობის უფროსის ალტაცებულ სიტყვას ისმენს.

— მილების ქარხნის მშენებლობას დროზე შევუდგებით, — განაგრძობდა ლევან სალოძე, — საჭირო მანქანებსა და ჩარხებს ახლავე დავუკვეთავთ. ყველაზე მწვავედ მილების შემაერთებელი პირაპირა ქუროების საკითხი დგას. არის ერთი დეტალი, რომლის გამორკვევაც ჩვენ ტარიელს ვთხოვეთ. თქვენ ნახავთ მას დონბასში, — მიმართა მარინას, — გადაეცით, ჩვენ ცდები უკვე მოვახდინეთ და, რომ არ გვეგონა, იმაზე უფრო მეტად გამძლე მილები მივიღეთ. ტარიელს სხვა დავალებებიც აქვს, ჩვენი ქარხნისა და მშენებლობისათვის ყველა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ პირველ რიგში როგორმე ეს საქმე მოაგვაროს. უკვე ოცი დღეა, იქ იმყოფება ტარიელი. რამენაირად ნუღარ დაიგვიანებს.

— ჰო, — დასძინა ნიკოლოზმა, — ტარიელი თუ დროზე არ ჩამოვიდა, ჩვენ ძალიან დავბრკოლდებით. მხოლოდ ხელცარიელი კი არ უნდა დაბრუნდეს.

— მისი იმედი მაქვს, — ჩაილაპარაკა ლევან სალოძემ. — მიწას გახეთქს და ხელცარიელი არ დაბრუნდება.

დარბაზიდან რომ გამოდიოდნენ, მარინას უნდოდა ნელისათვის თვალი აერიდებია, მაგრამ როგორც კი შედგა ფეხი მისაღებ ოთახში, უნებლიეთ მიმოიხედა. გულზე მოეშვა, — ნელი იქ აღარ იყო. ეს რაღაც კარგის მომასწავებლად მიიჩნია, ტანწერწეტა ქალს გამოსათხოვებლად ღიმილით თავი დაუკრა, ნიკოლოზს მკლავში ხელი გამოსდო.

— მოდით, ეს შესანიშნავი დღე იმით აღვნიშნოთ, რომ შინ ვისადილოთ — მიიპატიჟა ნიკოლოზმა. — ჩემი მეუღლე შვებულებაშია, სადილი მზად დაგვხვდება.

— სიამოვნებით, — დაეთანხმა მარინა.

ქალაქში ავტობუსით მივიდნენ. ნიკოლოზს ბინა ახალი სახლის მეორე სართულში ჰქონდა. დიდი ხანი არ იყო, რაც სტანდარტული სახლიდან აქ გადმოვიდა, მაგრამ სამი კრიალა ოთახი ისე იყო გაწყობილი, გეგონებოდათ, აქ მთელი წლები გაუტარებიათო.

ნიკოლოზის მეუღლე — ნასტასია ალექსანდროვნა კარებში შემოეგებათ, მარინას საყვედურით მიმართა:

— ძალიან გემდურით, მარინა, ძალიან, ჩვენთან რომ ასე იშვიათად დადიხართ.

— აგრე, ნასტია, აგრე! — წააქეზა ქმარმა. — საყვედურზე მეტის ღირსია. მართალია, ყველანი საქმით ვართ დატვირთული, მაგრამ ერთმანეთთან მისასვლელად დრო მაინც უნდა ვიშოვნოთ.

მარინასთვის ეს საყვედური ალერსი იყო, დიასახლისს ხელი მოხვია და წრფელად მიესიყვარულა.

სასადილო ოთახში მაგიდა უკვე გაწყობილი დახვდათ. ნასტასია ალექსანდროვნა ჯერ მაინც ფეხზე ტრიალებდა, სამზარეულოდან კერძი შემოჰქონდა. უკვე ორმოცდარვა წლის ქალი იყო, მაგრამ ხანდაზმულობა სრულიად არ ემჩნეოდა, ცოცხლად მოძრაობდა. შვილებში ყველაზე მეტად ელენეს ჰგავდა, სახითაც, ტანადობითაც, — ისეთივე ტანმორჩილი იყო, პირთეთრი.

— დაჯექი, ნასტია, ახლა შენც, — სთხოვა ნიკოლოზმა, მერე მარინას შესჩივლა: — ვეუბნები, შვებულებაში ხარ და დაისვენე-მეთქი. უმცროსი ქალიშვილი აგარაკზეა მეგობართან, შენც იმასთან წადი-მეთქი, მაგრამ არ მიჯერის.

ნასტასია ალექსანდროვნამ სუფრას თვალი მოავლო, ხომ არაფერი აკლიაო, მერე დაჯდა და ქმარს კუშტად გახედა:

— ჰმ, დასტოვე ეგ მარტოდ, კარგი ამბავი დაგხვდება! არა, წარმოიდგინეთ თქვენ, მარინა სერგეევნა: ჯერ ხომ განუწყვეტლად სამუშაოზეა, მოვა შინ და ჩაუჯდება თავის ნახაზებს, თავის წიგნებს; თუ არ გაახსენე, პირში ლუკმას არ ჩაიდებს.

— ეგ სულ შენი ბრალია, ნასტია, შენ შემაჩვიე.

— მოდი და ყური უგდე ახლა ამას! — იწყინა ვითომ ნასტასია ალექსანდროვნამ. — მუდამ ასეთი იყო, ბავშვივით მოსავლელი.

— მართლაც და, — მიმართა ნიკოლოზმა მარინას, — ეგეც ხომ სამსახურშია, არასოდეს არ ჩამორჩენილა. ახლა კიდევ საოჯახო საქმე. მართალია, უმცროსი ქალიშვილი წამოგვეზარდა, ძალიან ეხმარება, მაგრამ...

— უნდა მიხვდეთ, — ღიმილით შეაწყვეტინა ნასტასია ალექსანდროვნამ, — ქალები ზოგ რამეში მამაკაცებზე უფრო ძლიერნი აღმოვჩნდით. ხომ ასეა, მარინა სერგეევნა?

მარინა ამ გასართობი საუბრობის გასაგრძელებლად მამაკაცებს გამოექომაგა.

ბოლოს ნიკოლოზმა მარინას გამგზავრებაზე ჩამოაგდო სიტყვა. ნასტასია ალექსანდროვნამ, როგორც კი ყური მოჰკრა, აღტაცებით წამოიძახა:

— ახ, თქვენ მიდიხართ! რა კარგია! ჩემს გოგოს ნახავთ იქ, ელენეს. აუცილებლად უნდა ნახოთ, გეთაყვა, აუცილებლად!

ეს რომ თქვა, სახე მოეღრუბლა, ერთ წამს იყუჩა, მერე ფიქრმორეულად განაგრძო:

— არ ვიცი რატომ და, გული მეუბნება, რომ ახლა სჭირდება მას მშობლის თვალი. ძალიან ჭკვიანია, მაგრამ ისეთ ასაკშია, რომ ვინ იცის, რა ბედი ეწვევა, ვის გადაეყრება. გუშინწინ წერილი მივიღე, ისეთს არაფერს იწერება, მაგრამ ასე მგონია, სტრიქონებს შორის რაღაც ახალი ამოვიკითხე.

— ჰო, მართალი ხარ, ნასტია! — ჩაილაპარაკა ნიკოლოზმა. — ამ დღეებში მეც სულ ელენეზე ვფიქრობ. გასათხოვარი ქალია. ერთხელ რომ ფეხი წაიკრას... აბა — მიმართა მარინას, — ვაჟი მყავს მოსკოვში, იმას რა უშავს. ელენე კი.... რომ იცოდეთ, რა ცქრიალაა, რა კეთილი, რა მოყვარული!...

მარინა თანაგრძნობით მიაცქერდა ნიკოლოზს. თანაც გულმა შეჰკვნესა, თავისი მამა მოაგონდა. ისიც ასეთი იყო, ასე ზრუნავდა თავის ასულზე. სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, ისეთი გრძნობა ჰქონდა მარინას, თითქოს ყველგან თავს დაჰყურებდა, მფარველობდა, გზას უჩვენებდა მამის მოალერსე თვალი.

— აგერ მისამართს დაგიწერთ. — განაგრძო ნიკოლოზმა, — ბევრი საქმე გაქვთ, მაგრამ როგორმე შეიარეთ მასთან, ან ტელეფონით გამოიძახეთ.

— აუცილებლად ვნახავ. უთუოდ კარგ ამბავს ჩამოგიტანთ, — უპასუხა მარინამ და წამოდგა.

ნიკოლოზიც აჩქარდა. ქარხნისაკენ ერთად წავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

საღამოს შინ გვიან დაბრუნდა მარინა. ფანჯრები გააღო, დახუთული ჰაერი გაანიავა. დილით უნდა გამგზავრებულიყო და ჩემოდანში საჭირო ნივთები წინასწარ ჩაალაგა. მერე ლოგინი გაშალა, მაგრამ გრძნობდა, რომ ჯერ არ დაეძინებოდა, ამიტომ სკამი აივანზე გაიტანა, ჩამოჯდა, მოაჯირს დაეყრდნო.

მოასფალტებულ ქუჩაზე ახალგაზრდა ხეების გვერდით, უკვე ჩამწკრივებული იყო მთვარისფერი ელექტრონათურები. თავისებურად ბუბუნებდა ახალი ქალაქი, თითქოს საძილისპიროდ ხმიანობსო. კულტურის სახლისაკენ ქართველი ბიჭები უკრაინულ სიმღერას მიიმღეროდნენ, ქართულად უქცევდნენ, ერთის ხმა უფრო კრიმანჭულსა ჰგავდა. სადღაც ბაიანი აწკრიალდა, მერცხალივით შეიჭიკჭიკა და ნელინელ შეექსოვა ღამის დუმილს.

მარინამ ცას ახედა, მაგრამ კამკამა ვარსკვლავები თითქმის არც კი დაუნახავს, რადგან თავის შინაარსებაში იმზირებოდა. რამ ააფორიაქა? რატომ ჰგონია, თითქოს არსად, სადაც არ უნდა წავიდეს, საბედნიერო თავშესაფარი არ გააჩნია. მართალია, შორს გამგზავრების წინ სჩვევია ხოლმე გულის ჩქროლვა, აიყოლიებს ხოლმე ბუნდოვანი საგონებელი, მაგრამ ახლა მარტოდენ იმაზე როდი ფიქრობს, თუ რას იხილავს შორეულ ფარდას რომ გადასწევს, — აქვე, მახლობლად იმყოფება ბოროტი სული, მას უთვალთვალებს, კვალდაკვალ დაჰყვება. „გავიგე, სამშობლოში მიდიხარო“. საიდან გაიგო? ვინ უთხრა? იქნება ჰგონია, შეშინდა მარინა და გარბისო. ვისი უნდა ეშინოდეს? რა დააშავა? მაინც როგორ დაძრწის ის დედაკაცი! ალბათ, არიშში არც ერთი ხელმძღვანელი არ დარჩენილა, რომ ეგ არ მისულიყოს. არაფერს არ ერიდება, ოღონდ მარინას სახელი გაუტეხოს. რა ცოდვა იქნებოდა მაგ მზაკვრის ხელში ტარიელი, ეს გულმართალი კაცი... ნეტავი როგორ არის ახლა? უთუოდ ზის ოთახში და ხაზავს, ანგარიშობს, ისევ ხაზავს. დღისით ქარხანაშია და ცდებს აწარმოებს. ერთი წუთი მოცლა არა აქვს. ნეტავი თუ მოიგონებს ხოლმე მარინას? ცოდვაა, არავინ ჰყავს მახლობელი, ხელისშემწყობი. რა ბედნიერნი არიან ნიკოლოზი და ნასტასია, როგორ უყვართ ერთმანეთი, რა ნაყოფიერია მათი შრომა! აი ეს არის ნამდვილი ცხოვრება, ყოველმხრივ სავსე. ნეტავი თუ მოესწრება მარინა ისე ეხმარებოდეს ტარიელს, როგროც ნასტასია ზრუნავს ნიკოლოზისათვის? „ბავშვივით მოსავლელიაო“. რა კარგია, როცა დარწმუნებული ხარ, რომ საყვარელ ადამიანს ისევე სჭირდები, როგორც ბავშვს მზრუნველი დედა! დიდი სულიერი თანაზიარობაა ეს, დიდი ბედნიერების მომნიჭებელი...

კარზე დააკაკუნეს, ფრთხილად, გაუბედავად. მარინა არავის მოელის, ვინ უნდა იყოს! თავისდაუნებლიედ შეკრთა, ნელის „შლეგი“ ბიძაშვილი წარმოესახა, ახმახი, თვალსისხლიანი. შიშმორეულად წამოდგა, შუა ოთახიდან იკითხა:

— ვინ არის მანდ?

— ეს მე ვარ, მარინა სერგეევნა, ტარიელის დედა, თეოლინე...

თავისუფლად ამოისუნთქა მარინამ, ეგონა, თითქოს ბნელში იდგა და ახლა უცებ იელვა დამამშვიდებელმა სინათლემ. აჩქარებულად გააღო კარი, სიხარულით მიმართა თეოლინეს:

— შემოდით გეთაყვა, შემოდით. რომ იცოდეთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოსვლით!

— საღამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო! აივანზე დაგინახეთ, ვიფიქრე, იქნებ მოწყენილია, ერთი წამით შევივლი და გავესაუბრები-მეთქი.

ეს რომ თქვა, სახეზე ახედა მარინას და გულმა უაზრა მოხუცს, თუ რა გუნებაზე იყო იგი მის აქ მოსვლამდის. მშობლიურად მოხვია წელზე ხელი, მიეალერსა:

— მარტო ხარ, ჩემო კეთილო, მარტო! ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ თქვენს ბედნიერებას არ მოვესწრო!

— გმადლობთ დედა! თქვენ ისეთი კარგი გული გაქვთ, რომ ნატვრა უთუოდ აგისრულდებათ. დაბრძანდით, აი, აგერ.

მარინამ საწოლთან მიდგმული სკამი გამოსწია, თვითონაც იქვე ჩამოჯდა.

— ლოგინი გაშლილი გქონიათ, იქნებ მოსვენებას აპირებდით და ხელი შეგიშალეთ?

— რას ბრძანებთ, დედა! პირიქით, ძალიან გამახარეთ. ხვალ მივემგზავრები, ტარიელს ვნახავ იქ და ვეტყვი, წამოსვლისას დედა იყო ჩემთან, კარგად არის-მეთქი.

— მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ, ჩემო კეთილო! მალე გამახარეთ, მე რომ ვნატრობ, ისე დაბრუნდით.

მარინა გრძნობდა თუ რას ნატრობდა თეოლინე. ტარიელი რომ წავიდა, შემდეგ რამდენჯერმე იყო მასთან, პირდაპირ არაფერი უთქვამს, მოიარებით კი აგრძნობინა, რომ იცის მოხუცმა მათი გულის საიდუმლო, იცის და მოუთმენლად მოელის ოჯახის ბედნიერებას.

— გზაში რა უნდა გამიჭირდეს, — ჩაილაპარაკა მარინამ. — მხოლოდ ის კი არ ვიცი, ღირს თუ არა აქეთ ჩემი გამობრუნება...

— რას ამბობთ, მარინა? ეგ რამ გაფიქრებინათ? — წამოიძახა თეოლინემ.

— იცით, რა, დედაჩემო!.. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ... იმ ქალმა დამაკარგვინა მოსვენება. დღესაც შემხვდა მშენებლობის უფროსის მისაღებ ოთახში. აქაც იყო ამას წინათ. იმუქრება, შეშინებას ლამობს, თანაც საშინლად მეცბიერება, ყველგან დაძვრება, ვინ იცის, რას ლაპარაკობს. ეგ ისეთი ავი სულია, რომ თუ ვინმე მიზანში ამოიღო, მოუშხამავად ვერ გადაურჩება...

— მოიცათ, ჩემო კეთილო, ყური მიგდეთ! — უთხრა თეოლინემ და წამოდგა, მარინას თმაზე ხელი ოდნავ შეახო, მიეალერსა, მერე სკამი მისწია და სულ ახლოს მიუჯდა. — ჩემზე უკეთ ვინ იცის თუ რა მეტხოვრეობა ის დედაკაცი. მხოლოდ არაფრის შემძლეა არ არის. რამ გაფიქრებინათ, რაიმეს დამაკლებსო! ის ისეა, ბავშვების სათამაშო ჭრელი ბუშტი რომაა, ოღონდ ძალიან გაბერილი, ოდნავ რომ ხელი მოუჭირო, მაშინვე გასკდება, არარად იქცევა. თუ თავი გაუყადრე, მაღლა-მაღლა იწყებს აწევას, მედიდურად გადმოგხედავს. ამის საშუალება არ უნდა მისცე, არარა არარად უნდა მიიჩნიო. ნათქვამია, ურემი რომ წაიქცევა, გზა მერე გამოჩნდებაო. ჩვენც ასე მოგვივიდა. ჯანდაბას მისი თავი. შენ კი, ჩემო კეთილო, ხვალინდელ დღეზე იფიქრე. მოხუცი ვარ აგერ მე, მაგრამ მომავალს ისე ნათლად ვხედავ, რომ თქვენს პირმშოს სახელიც კი დავარქვი — მამისთვალა...

ისევ შეახო მარინას თმაზე ხელი, ისევ მიეალერსა. მერე მოუყვა, თუ როგორ დაეღუპა ციმბირში ქმარი, როგორ ზრდიდა ტარიელს.

— ახლა რომ შეხედავ, გეგონება, პირქუში კაციაო, — განაგრძობდა თეოლინე, — დიდ ქარცეცხლში გამოიარა, ჩემო კეთილო, დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული, ამიტომ შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს, რომ მის სახეში სიმკაცრე გამოსჭვივისო, მაგრამ არა, მე მკითხე, ჩემო კეთილო, და გეტყვი, თუ რა სათნო, რა მოყვარული გული აქვს ჩემს ტარიელს...

დამშვიდდა მარინა, თანაც დაღლილობამ უწია, უსმენდა თეოლინეს და გრძნობდა, რომ საკმაო იყო მიედო ბალიშზე თავი და მყისვე ტკბილად ჩაეძინებოდა.

XI. ცხოვრების სიბრძნე

სამნი დარჩნენ კუპეში, მეოთხე როსტოვში ჩავიდა. ზაფხულის თბილი ღამეა. მატარებელი მხოლოდ დიდ სადგურებში ჩერდება. მარინას უცებ ჩამოწოლილი მყუდროება აღვიძებს, მიმოიხედავს და ისევ დახუჭავს თვალს. მერე ნელინელ იწყება სვლა; აზრიალდება რომელიღაც ფანჯარა, მალე გაბმულ რაწკუნში დაინთქება.

ზედა საწოლზე რომ სძინავს, საშუალოზე ოდნავ მაღალი ინჟინერი ქალია, ტანსავსე, ქერა, ცისფერთვალებიანი. მეორე წელიწადია აზერბაიჯანის ერთ-ერთ დიდ მშენებლობაზე მუშაობს, ახლა თავის მშობლიურ ქალაქში — ლენინგრადში მიემგზავრება. ომის წლები იქ გაუტარებია. ნათესავებიდან თითქმის არავინ შერჩენია. გულჩათხრობილი არ უნდა იყოს, ღიმილი ძალიან უხდება, მაგრამ მეტწილად პირმოკუმუ-

ლი ზის, ეტყობა, ზოგი ქალივით არ უყვარს უთავბოლო ლაპარაკი.

ქვედა საწოლზე, მარინას გასწვრივ, ტახძორჩილი, პირმრგვალი, მოშავგვრემანო ქალია მოკრუნჩხული. შუახნისა იქნება, მაგრამ ახალგაზრდული სიმკვირცხლე შერჩენია, ვერცხლისწყალივით ტოკავს, დუმილს ვერს იტანს, უთუოდ რაიმე უნდა იამბოს. თუ ერთის წამით ფიქრი მოერია, უმალვე პაპიროსს მოუკიდებს, გააბოლებს, ამოიოხრებს და საუბარს გააბამს, სულ ერთია, რაზედაც არ უნდა იყოს.

მგზავრობაში ადამიანები მალე უახლოვდებიან ერთმანეთს; ესენიც ორი დღეა ერთად არიან და თითქმის გაშინაურდნენ, ურთიერთში რაღაც საერთო აღმოაჩინეს. აგერ რამდენმა წლებმა განვლო ომის შემდეგ, მაგრამ ამათ ცხოვრებაში ჯერაც არ წაშლილა მისი ღრმა კვალი. სათქმელად ძნელია, რაც სიმწარე განუცდია ლენინგრადელ ინჟინერ ქალს გარემოცვის ჟამს; ამ ენაჭარტალასაც, მარინას მახლობლად რომ სძინავს, რაღაცა არ ასვენებს, ამაოდ ცდილობს გული საუბარს გადააყოლოს; მარინას ხომ ქმარშვილი დაეღუპა...

ალიონი მოახლოვდა. მატარებელი შეჩერდა. მარინამ თვალი გაახილა. თამბაქოს კვამლში ძლივს გაარჩია ფანჯრის რაფაზე ჩამოყრდნობილი ქალის სახე.

— არა გძინავთ? — ჩაილაპარაკა მან და პაპიროსის ნამწვავი სარკმელში გადააგდო, წელში გაიმართა, მარინას საწოლზე ჩამოუჯდა, თავი დასწია და დაბალი ხმით შესჩივლა:

— რა დაუსრულებელი ღამეა! ჯავრმა ამიყოლია, ვერ მოვისვენე... რა მშვიდად სძინავს ჩვენს მეგობარს! ნეტავი მას, დარდი არ აწუხებს. მძიმე დღეები გამოუვლია ლენინგრადში, მაგრამ იცით რა, საქმე ის კი არაა, თუ რა გაჭირვება გინახავს, ან ვინ დაგკარგვია! წარსული მკვდარია, მკვდარს კი აუცილებლად უნდა განერიდო, ცხოვრებას უნდა მიჰყვე. საქმე ისაა, როცა გული ცოცხალთან მისვლას გთხოვს და ვერ მიდიხარ, გზა მოჭრილი გაქვს.

— რატომ ვერ მიდიხართ? — უნებლიეთ შეეკითხა მარინა.

— ეჰ, ჩემო კარგო! მტერსაც არ უსურვებ იმას, რაც მე მომივიდა. ძალიან ვეტანები საუბარს, ვერთობი, ამაზე კი ენის დაძვრაც მიმძიმს.

— დაპატიმრებული ხომ არა გყავთ ვინმე?

— ნეტავი პატიმარი მყავდეს! რაიმე დანაშაული ექნება ჩადენილი და სასჯელის ღირსი იქნება. მე კი...

პაპიროზს მიწვდა, მოუკიდა. რამდენჯერმე კვამლი ღრმად ჩაისუნთქა. მერე სრულიად შეცვლილი ხმით განაგრძო. ჩვეულებრივად როდი ჩქარობდა, რომ სიტყვა სიტყვაზე მიება, ძძიმედ ყვებოდა:

— ჩემი ცხოვრება... რად ღირს ახლა ჩემი ცხოვრება?.. გულმხიარული ახალგაზრდა ვიყავი, ჩემს ტოლებში თავი მომქონდა. შრომა მეხალისებოდა... ბედმა გამიღიმა, სწორედ იმ ვაჟმა შემიყვარა, ვინც მე ქვეყანას მერჩია. ვიქორწინეთ... რა ბედნიერი დღეები იყო!.. ამბობენ, ხანგრძლივი ბედნიერება არ არსებობსო. არ დაიჯეროთ. ეს მხოლოდ ჩემისთანა ტანჯულის მოგონილია. ომი რომ არ დაწყებულიყო, დიდებული ოჯახი მექნებოდა... ჩემი ქმარი პირველ დღესვე გაიწვიეს. ვაჟკაცი იყო, მტკიცე, შეუპოვარი... ჩვენ ერთი მეგობარი გყავდა. ვამჩნევდი, სხვა თვალით მიყურებდა, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი... კარგა ხანი გავიდა. წერილს აღარ ვღებულობდი. ერთი ხეიბარი დაბრუნდა, გარემოცვაში ნამყოფი. მომისამძიმრა: შენი ქმარი დაიღუპაო, ჩემი თვალით ვნახე, ყუმბარის კვამლში რომ გაეხვიაო... რა უნდა მექნა? თავს ხომ ვერ მოვიკლავდი... შვილი მაინც დამრჩენოდა... ის ჩვენი მეგობარი მანუგეშებდა, არ მშორდებოდა... ბოლოს... არა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, როგორ შეიძლება თქვენს არსებაში აცოცხლოთ მიცვალებული, მისით ისულდგმულოთ? სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ბეწვის ხიდიც არ არსებობს, უფსკრულია მხოლოდ, მეტი არაფერი... მეც იმ მეგობარს უარი აღარ ვუთხარი... გადიოდა დრო და ვცხოვრობდით, როგორც ჩვეულებრივი ცოლ-ქმარი. ის პირველი ბედნიერება კი აღარ მინდოდა მომეგონებინა, რადგან... ღამურა ხომ გაურბის სინათლეს, მეც ისე ვარიდებდი გონების თვალს ჩემი ცხოვრების განთიადზე ამოსულ

ძზის სხივებს... ჰოდა, ერთ დღეს, ომი რომ დამთავრდა, კვლავ ამოვიდა იგი, დამაბრმავა, გამანადგურა... თურმე ცოცხალი ყოფილა, პარტიზანებს უპოვნიათ მძიმეთ დაჭრილი, მერე მათთან ერთად უბრძოლია, სახელი მოუხვეჭია... ყოველგვარ წამებაზე უფრო ძძიმე იყო ჩემთვის ეს მწუხარე სიხარული... იმან კი, იმ დიდებულმა კაცმა, ყველაფერი აწონდაწონა და მომწერა: იბედნიერეო. მწამს, უსიყვარულოდ არ გათხოვდებოდიო. შენი ბედნიერება ჩემთვის დიდი შვებაოო... იცით, რას ნიშნავს ეს?ხედავთ, რამხელა ადამიანობაა ამაში?.. მე კი, მე ვერ ავმაღლდი აქამდე, პირიქით, უფრო დავეცი, მიწასთან გავსწორდი... სიყვარული რა სახსენებელია, ისე კი შერიგებული ვიყავი მეორე ქმართან ცხოვრებას. მერე გამოჩნდა ის, მკვდრეთით აღსდგა და დავკარგე მოსვენება. აგერ, ახლაც მწყურია მივიდე მასთან, ჩავუარდე ფეხებში, მაგრამ აღარ შეიძლება, ცოლი შეირთო, შვილი ჰყავს.. მას ჩემი სიკეთე ეწადა, ალბათ, ახლაც სწადია, მე კი მისი ოჯახიანობა შემშურს... ქმარი არაფერს მაკლებს, მაინც აღარ მაქვს ხალისი, ლამის პარაზიტად ვიქცე... ხედავთ, რა ცეცხლში ვარ? მინდა თავს ძალა დავატანო, იმ ნათელი კაცის სიმაღლეზე ავიდე, ყოველივე კარგი ვუსურვო, მეც რაიმე საქმეს მივყო ხელი, მაგრამ ვერ ვახერხებ... ეჰ, სჯობს ამოიგლიჯო გული, თუ შიგ სიყვარულის მადლი არ ღვივის!

ჩამქრალ პაპიროზს მოუკიდა, მოსწია. კვამლი ხელით გაფანტა. თავი მარინასაკენ დახარა და ყრუ ხმით დაასკვნა:

— ჰოდა, რაღა ვარ ახლა მე? ობობას ქსელში გახვეული მწერივით ვწრიალობ... მაპატიეთ, აღარ მოგასვენეთ.

ადგა, ფანჯარაში გაიხედა, თვალებზე ხელი მოისვა, მერე თავისი ჩვეულებრივი ხმით ჩაილაპარაკა:

— უკვე გათენებულა! მზე ამოდის!

ზედა საწოლისაკენ მიბრუნდა, წამსვე შეეხმიანა:

— აჰ, თქვენც არა გძინავთ? გაიხედეთ, რა მშვენიერი დილაა! რომელილაც სადგურში შევდივართ. აგერ, ამ მაღალ ხეებზე, ზედ რკინიგზის პირად, რამდენი ბუდე გაუკეთებიათ ჭილყვავებს! შეხედეთ, როგორ დაფარფატობენ, როგორ სხდებიან წვეროებზე, არავისი არ ეშინიათ. ნეტავი მაგათ, არაფერი სადარდელი არა აქვთ... აბა, დავიბანოთ ახლა ხელ-პირი, ვისაუზმოთ. თამბაქომ პირი გამომწვა...

ასე ტარტარებდა იგი განუწყვეტლად, ვიდრე მარინა თავისი ქალაქისაკენ მიმავალ მატარებელში გადაჯდებოდა. აქ ამოისუნთქა თავისუფლად. გავიდა მცირე ხანი და რაღაც სევდის მაგვარი გრძნობა აღეძრა. ფანჯარას მიადგა. აჰა, ეს უკვე სიყრმიდანვე ნაცნობი ადგილებია: მაღაროებიდან ამოზიდული ძირაქანების გორები, მწყობრად შეჯგუფებული თეთრი სახლები, ნაკვეთ-ნაკვეთი ბაღები, ხოლო ირგვლივ ახალმომკილი ყანების ყვითლად მბზინვარე ნამჯები. შორს, ველის სიღრმეში, განმარტოვებით მოჩანს სამანქანო-სატრაქტორო სადგური თავისი გრძელი შენობებით.

აგერ ახალი ტყე იწყება, თვალუწვდენელ ტრამალზე გაშენებული; მიჰქრის მატარებელი და თითქოს რაზმეულებივით მოძრაობენო ლარივით ჩამწკრივებული ახალგაზრდა ხეები. ეს კი, მზის სხივებში რომ რუხად ამოიმართა, მეტალურგიული ქარხნის კვამლსადენებია და რკინის მადნისფერი კორპუსები.

ერთ წამს უკუაგდო მარინამ ბურანივით შემოწოლილი სევდა, ქარხანას თვალი მოსწყვიტა და თავის უშუალო საქმეს ჩაუკვირდა. უკვე წელიწადი სრულდება, რაც არიშში მუშაობს, და არც ერთი წამოწყება ხორცშეუსხმელი არ დარჩენია. მართალია, წვრილმანი იყო ეს მიმდინარე საქმეები, ხან ყოველდღიურად, ხან კვირიდან კვირამდის წამოჭრილი, მაგრამ თითოელი მათგანი ხომ აუცილებელი ნაწილია იმ დიდი მშენებლობისა, რომელსაც უკვე მთელი არსებით შეეთვისა. ახლა თამამად შეუძლია თქვას, რომ ნამდვილი მშენებელია, არა მხოლოდ ამა თუ იმ დავალების შემსრულებელი, არამედ დამოუკიდებლად მოაზროვნე შემოქმედი. ამ მხრივ გზა გახსნილი აქვს; რამდენადაც მეტს იშრომებს, მეტს ეძიებს, მით უფრო გაფართოვდება იგი, დამშვენდება.

მაშ რა აწუხებს? რატომ არ ასვენებს ეს ყრუ ნაღველი, გულში რომ წრია-

ლობს, ისე წრიალობს, თითქო გამოსავალი აღარ იყოს! რა, ვითომ იმ საქმის გაკეთება გაუძნელდება, რისთვისაც ახლა მოემგზავრება? სრულიადაც არა, მოცემულ დროზე უფრო ადრე დაამთავრებს. იქნებ ტარიელი მოექცა ჩიხში და საცდელი მუშაობისაგან არაფერი გამოუდის. არც ეს მოხდება. ლევან სალოძის თქმისა არ იყოს, ტარიელი მიწას გახეთქს და გზას იპოვნის. არა. ეს არ აღონებს მარინას, — ის ენაჭარტალა ქალი უდგას თვალწინ და... რაო, როგორა თქვა? რანაირად შეიძლება შენს არსებაში მიცვალებული აცოცხლოო... ნუთუ მართლა უკვალოდ გაჰქრა, არაფერი აღარ დარჩა ალიოშასაგან? არც შვილი, არც... აგერ თავის მშობლიურ ქალაქში ბრუნდება მარინა და უწინარეს ყოვლისა, ვისთან მიისწრაფვის, ვინ უხმობს, ვისი ნახვა ენატრება? განა ერთი წლის წინათ, როცა აქედან არიშში მიემგზავრებოდა, შეეძლო წარმოედგინა, რომ ვინმე დაჩრდილავდა მის გულში ალიოშას ნათელ სახეს? იქნებ მარტოდენ ქალური ბუნება ატყუებს მარინას და არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა? როგორ შეიძლება ითქვას, რომ მარინას და ალიოშას შორის უკვე ბეწვის ხიდიც აღარ არსებობს! მწერი ხომ არ იყო, ადამიანი იყო, უდიდესი მისწრაფებებით, უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე ადამიანი. როგორ შემოხედა მარინას, როცა მიდიოდა, ბავშვი როგორ ჩააბარა! ახლა აღარც ბავშვი, აღარც...

უნდოდა გუნებაში ეთქვა: აღარც ის სიყვარულია, მაგრამ საშინლად შეძრწუნდა, გრცხვენოდესო, — უთხრა თავისთავს, — უმალ მზე დაგიბნელდეს, ვიდრე ალიოშას დაივიწყებდეო. გული აუჩუყდა და ღია ფანჯარაში გადაიხარა, სახე ნიავს მიუშვირა; წიწვებზე დაკიდებული ცვრებივით წყდებოდა წამწამებზე მდუღარე ცრემლები, ტუჩს კბილს აჭერდა, ღაწვი ოდნავ უთრთოდა. ცდილობდა გაეცოცხლებია, მიეახლოვებია ალიოშა სწორედ იმ სახით, გამოთხოვებისას რომ თვალი მოწყვიტა; თანაც გულში ეფერებოდა, ეფიცებოდა: სამარის კარამდე ჩემს არსებაში იქნებიო განუშორებლად, დღე ისე ნუ გამითენდეს, თუ ერთხელ მაინც ფიქრით შენთან არ გადმოვფრინდეო.

ასე ბუტბუტებდა თავისთვის უხმოდ და ნელინელ, თითქოს ოდნავ საგრძნობი ნელთბილი შუქი შემოეფინა, თითქოს მართლა მიიახლოვა გარდასულის აჩრდილი, თავისი ხვაშიადი გაუხიარა, დაარწმუნა, რომ არ ჩამქრალა მისი თვალების სხივი, რომ არ განიშორებს მას ეს მშობლიური არემარე...

მიჰქროდა, მირაწკუნობდა მატარებელი, ქალაქს უახლოვდებოდა.

ახალის ძალით მიიზიდა მარინა სიყრმიდანვე თანშეზრდილმა მიდამომ, სევდა გაუფანტა, გული სიამით აუჩქროლა. სარკეში ჩაიხედა. სახე მოიწმინდა. მერე ჩემოდანი შეკრა, პორტფელი ხელში აიღო.

კვირა დღე იყო. სადგურში ბევრ მგზავრს ნათესავი შემოეგება. მარინას არავინ დახვედრია. ჩემოდანი მებარგეს წააღებინა. მარცხენა მკლავზე საზაფხულო პალტო ჰქონდა გადადებული, ერთიანი კაბა ეცვა, თალხი, თეთრწინწკლებიანი; მარჯვენათი პორტფელი ეჭირა. მოხდენილად მიდიოდა ტან-კენარი, გულმკერდსავსე. უნებლიეთ შეიპყრო მღელვარებამ და მზემოკიდებული მოგრძო სახე აუელვარდა, დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუსხივოსნდა. რამდენჯერ ჩამოურბენია ამ გზაზე, რამდენჯერ ჩამოჰყოლია მამას... ეგერ მაღალი, ტოტებგაშლილი ხეები, ძველი ეზო. იქიდან გახედავდა ხოლმე ბავშვობისას დიდი მდინარით შემორკალულ მიდამოს, სადაც უზარმაზარი ქარხანა შენდებოდა, დღითიდღე მრავლდებოდა ცადაწვდილი ამწეები და ჩონჩხედები; გაჰხედავდა ზღვას, ხან ტალღებ-აქოჩრილს, ხან ლურჯად მოლივლივეს...

ერთ წამს შეჩერდა, სული მოითქვა, ირგვლივ თვალი მიმოატარა. თითქმის ყველგან წაშლილა ომის ნაკვალევი, ნანგრევი აღარსად მოჩანს, დიდი შენობებიც აღუდგენიათ.

შინ მხოლოდ მოხუცი მამიდა დახვდა. საღამოს ჟამი იყო, ზოგი კინოში წასულიყო, ზოგი ზღვისპირად, ბავშვებიც თან წაეყვანათ.

საოცრად გამოცოცხლდა მამიდა, აღფრთოვანდა. ძლივს მოიჯერა გული ალერსით. მერე ტანზე ახედ-დახედა, მკერდზე შეახო თავისი ძვალტყავა თითები, სახეზე მიაცქერდა, აღტაცებით წამოიძახა:

— როგორ დაქალებულხარ, როგორ დამშვენებულხარ, მამის ნუგეშო! ასე როგორ აყვავდი, ჩემო თვალისჩინო! შემომხედე! უკვე გიპოვნია ახალი ცხოვრების გზა! აგრე უნდა, შვილო, აგრე! მიწას რაც ჩაბარდა, მას როდი უნდა უყურო, ცას უნდა მიაპყრო თვალი, მზეს, ვარსკვლავებს. მიწა თავისას არ დაჰკარგავს, თავის დროზე ყველას მიიღებს. აგრე, ჩემო თვალისჩინო, გამახარე მოხუცი...

ერთხანს მამიდას ესაუბრა, მერე მამას სამუშაო ოთახში შევიდა. ისევ ისე იდგა ძველი მაგიდა და წიგნებით სავსე კარადა. მხოლოდ მაგიდაზე აღარ იყო გაშლილი ნახაზები, არც დიდ-ტანიანი ტომები ეწყო.

ამ სიცალიერემ შეაკრთო მარინა. კარადამ მიიზიდა. მამის საყვარელ წიგნებს მიაშტერდა. ზოგის შინაარსი მოიგონა და მამას თითქოს იდუმლად გაესაუბრა, რაკი მის ნააზრევს მიწვდა გონებით.

შინ ვეღარ მოისვენა. კვირა საღამო იყო და საქმის გამო აღარსად ძიესვლებოდა. ქალაქში გავიდა, ყვავილები იყიდა და სასაფლაოსაკენ გაემართა.

ახალ საფლავებში გზა კინაღამ აებნა, ბოლოს ძეგლად აღმართული პროპელერი იცნო. შემდეგ ადვილად მიაგნო. ეკვდერს აქა-იქ საღებავი მოსცილებია, ჟანგი მოჰკიდებია. შიგ ბალახი წამოზრდილა, კვიპაროსს ტანი აუყრია.

ყვავილები მოჰფინა საფლავზე მარინამ. მერე ეკვდერს დაეყრდნო და დიდხანს იდგა ჩაფიქრებული. ბოლოს ღაწვებზე რომ ცრემლები ჩამოუგორდა, იგი მარტოოდენ მწუხარებით როდი იყო გამოწვეული, მასში ცხოვრების სიბრძნეც იყო, დიდი სიმშვიდის მომნიჭებელი სიბრძნე.

* * *

ქარხნის სასტუმროს დიდ ოთახებში ზოგან სამი, ზოგან ოთხი საწოლი იდგა, ხოლო ტარიელს ცალკე ჰქონდა მეორე სართულში პატარა სადგომი; იგი მისი საცხოვრებელიც იყო და სამუშაო კაბინეტიც. კუთხეში, ფანჯარასთან, ფართო მაგიდის ერთ ნაწილზე ნახაზი იყო გაშლილი; იქვე ეწყო ქარხნის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი სპეციალური წიგნები, რომლებიც უმთავრესად მისთვის საინტერესო საკითხს ეხებოდნენ. მაგიდის გვერდით, ოთხ-კუთხ სკამზე დაგრაგნილი ნახაზები ელაგა. საწოლის კარადაზე ტექნიკურ-მეცნიერული ჟურნალები დაეგროვებია. მხოლოდ ერთი სქელი წიგნი არ შეიცავდა იმ საგანს, რაზედაც ასე გატაცებით მუშაობდა. ეს იყო ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა“. ამასაც მხოლოდ შესვენების დროს გაშლიდა.

უკვე ოცდასამი დღეა, რაც აქ იმყოფება ტარიელი, თითქმის ყველა საქმე მოითავა, მხოლოდ ერთი ცდა კიდევ არის საჭირო, რომ დეტალის გამძლეობა საბოლოოდ დაადგინოს. მთავარი დაბრკოლება უკვე დაძლეულია, ტარიელს სრული იმედი აქვს, რომ ამ დღეებში იმასაც მოაგვარებს.

რიეკრაკისთანავე ეღვიძება, მყისვე წამოხტება, ხელ-პირს ფრთხილად იბანს, რომ სხვები არ გააღვიძოს, მერე სასტუმროს ეზოში გაივლ-გამოივლის, გარემოს თვალს მოავლებს და განთიადის ნათელი ძლიერებით აღსავსე ბრუნდება თავის კაბინეტში.

იმ დღეს კვირა იყო, ქარხანაში წასვლა აღარ სჭირდებოდა. საათის სამამდის თავის ვიწრო ოთახში თავაუღებლივ იმუშავა. ნასადილევს კვლავ მიუჯდა მაგიდას, მაგრამ დაღლილობის ჟამს ჩვეულმა გარინდებამ შეიპყრო. წინათაც დაკვირვებია ტარიელი და იცოდა, რომ ამ დროს თავში თითქოს იკეტება აზროვნების კარი და ბურანში გახვეულ ტვინის უჯრედებს ოდნავ საგრძნობი ბურუსი ეფინება.

ადგა, გაიარ-გამოიარა, მერე „ანა კარენინა“ აიღო, მიწვა და ის ადგილი მონახა, სანამდისაც უკვე წაეკითხა. ერთხანს გულის ყური თითქოს გაორებული ჰქონდა, წიგნში მოთხრობილ ამბავსაც სწვდებოდა მშრალად და წინათ ნააზრევსაც ვერ იშორებდა, მერე უცებ შეისხეს ხორცი სტრიქონებმა, გრძნობა აიყოლიეს, თავის სამყაროში შეუძღვნენ...

ვიღაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ვინ უნდა იყოს? არავის მოელის. სასტუმროს დიასახლისი ან დამლაგებელი მოაკითხავს ხოლმე, მაგრამ ამ დროს არასოდეს არ მოსულან. უფრო

ხმირად თვითონ უტოვებს გასაღებს დიასახლისს, მოვა და ოთახი დალაგებული დახვდება.

ადგა, კარი გააღო.

— უკაცრავად. უდროოდროს ხომ არ შეგაწუხეთ?

ეს ვასო და გაიოზი იყვნენ. მათ უკან ელენე და ვიქტორი იდგნენ.

— მობრძანდით! — სიხარულით მიიპატიჟა ისინი ტარიელმა, მერე ოთახში მიმოიხედა და ღიმილით ჩაილაპარაკა: — ცოტა ვიწროდ კი ვიქნებით, მაგრამ არა უშავს რა, ჩვენ ხომ შინაურები ვართ. თუმცა ეს ქალიშვილი...

უნდოდა ეთქვა: ვერ ვიცანიო, მაგრამ სიტყვა შეუფერხდა, რადგან მოეჩვენა, რომ სადღაც ძალიან ახლობელ ოჯახში უნახავს იგი.

— გაიცანით, ეს ჩვენი ნიკოლოზ პავლოვის ასულია, — უთხრა ვასომ.

— აჰ, ნიკოლოზის ასული! — სიხარულით წამოიძახა ტარიელმა. — აკი ერთხელ გნახეთ არიშში, თქვენს ოჯახში. როგორ ვერ გიცანით! დედას ჰგავხართ სავსებით. ძალიან გაზრდილხართ ამ ცოტა ხანში, დაქალებულხართ. უცებ ამიტომ ვერ მოვისაზრე.

მორცხვად გაუწოდა ხელი ელენემ, მერე თავი ასწია და მოკრძალებით მიაპყრო თავისი კეთილი თვალები.

მართლაც, მხოლოდ მას შემდეგ კი არ შეცვლილიყო ელენე, რაც იგი ტარიელს არ ენახა, არამედ უფრო მეტად ამ ბოლოს დამშვენებულიყო, იმ მიმზიდველი იერით ამაღლებულიყო, რასაც სიყვარულის მადლი ანიჭებს მოწიფულ ქალს.

როგორც იყო მოთავსდნენ ვიწრო ოთახში: ზოგი სკამზე ჩამოჯდა, ზოგი საწოლზე.

გაიოზს უფრო თავისუფლად ეჭირა თავი. მორცხვი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ ახლა მეტი სიდარბაისლე, მეტი გულგაშლილობა ემჩნეოდა. სჩანდა, კმაყოფილი იყო თავისი თავითაც და იმ საქმითაც, რაზედაც თავგამოდებით მუშაობდა.

ვასოს ჯერ კიდევ ვერ მოეშორებია ის კუშტი გამომეტყველება, რომლითაც უკანასკნელ ხანებში ასე საჩინოდ განსხვავდებოდა თავისი მამისაგან.

ტარიელმა ახედ-დახედა ვასოს და უნებლიეთ გაიფიქრა: „ნეტავი რა აწუხებს ამ ბიჭს? საუკეთესო მეფოლადე დადგა, აქ უკვე სახელი მოიხვეჭა. მაინც რაღაც აკლია, თითქოს რაღაც გამოუთქმელი დარდი აქვს გულში ჩაღულებული. ცდილობს დაჰფაროს ეს, მაგრამ ძალა არ ყოფნის. გახა ასეთი იყო ეგ სამიოდე წლის წინათ? სახე უღიმოდა, სხივოსან თვალებშიაც ღიმილის ნაპერწკლები უკრთოდა, მამისეული ეშხი შვენოდა...“

ვასომ თითქოს იგრძნო, რასაც ფიქრობდა მასზე ტარიელი, სახე მოიმხიარულა, ჯერ ვიქტორსა და ელენეს მიხედა, მერე ტარიელს მიმართა:

— ჩვენ ერთი საქმის გამო მოვედით...

შეჩერდა, შესაფერი სიტყვის მონახვა გაუძნელდა, მიამიტად გაეღიმა.

ელენეს სახეზე ალი შეენთო. ვიქტორმაც მორცხვად თავი დახარა.

— თქვი, კაცო, რამ შეგაკრთო? — ქართულად უთხრა ტარიელმა.

— რაი და, — ქართულადვე დაიწყო ვასომ: — ამ ახალგაზრდებს, ვიქტორსა და ელენეს, ხელისმოწერა უნდათ, მაგრამ მშობლებისაგან ნებართვა თუ არ მიიღეს, ისე ერიდებათ. თქვენ მალე არიშში მიდიხართ. უმოციქულეთ ნიკოლოზთან. დარწმუნებული ვართ, იგი უარს არ იტყვის, განათლებული კაცია...

— მერე კიდევ, — მიეშველა გაიოზი, — რომ იცოდე, რა შესანიშნავი ბიჭია ეს ჩვენი ამხანაგი ვიქტორი, რა უნარიანი მეფოლადეა! ახლა ხასიათს არ იკითხავთ? ჭირში და ლხინში რომ გამოგადგება, სწორედ ისეთია. მართალია ობლად აღზრდილი ბიჭია, თავისთავის მეტი არაფერი გააჩნია, მაგრამ ჩვენს დროში განა კაცი ამისთვის დაიწუნება?

— ძალიან მოხარული ვარ, ძალიან! — რუსულად თქვა ტარიელმა და წამოდგა, ელენეს ხელი გაუწოდა: — სულით და გულით გილოცავთ! დარწმუნებული ვარ, მამათქვენი უარს არ იტყვის. რაკი ერთმანეთი გიყვართ, ეს საკმაოა თქვენი ბედნიერებისათვის.

თვითონაც გაუკვირდა ელენეს, ამ პირველმა მილოცვამ რომ გული უცნაურად აუჩქროლა და თვალებზე ცრემლი მოადგა, თავი ჩაღუნა და ოდნავ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა — გმადლობთო.

ხოლო ვიქტორმა მაგრად ჩამოართვა ტარიელს თავისი ძლიერი მარჯვენა და ძღელვარედ უთხრა:

— გმადლობთ, ძვირფასო ამხანაგო, დიდად გმადლობთ!

მარტოდარჩენილი ტარიელი ფანჯარას მიადგა, ქუჩაში გასულ ახალგაზრდებს თვალი გააყოლა. არასოდეს არავის ბედნიერება არ შეშურებია. ახლა კი უნებლიეთ წარმოიდგინა თავისი სიჭაბუკე და გული დაწყდა, რომ ასე უკუღმართად მოეწყო მისი პირადი ცხოვრება.

თავი გაიქნია, შებრუნდა, „ანა კარენინა“ გადაფურცლა. მეტისმეტად ცხადად წარმოუდგა რატომღაც კარენინის ავთვალადი სახე.

„არა, — გაბა, ფიქრი — გარეგნული შესახედაობა არაფერია, მთავარი სულიერი სიმახინჯეა...“

შუბლი შეიკრა, წიგნი დახურა და გაიარ--გამოიარა. კვლავ ფანჯარას მიადგა.

...სულიერი სიმახინჯე... რამ შეახვედრა, რა ჰქონდა საერთო იმ ქალთან? ადრე რატომ ვერ გაშორდა?.. იქნებ სხვა ყველაფრის ნიჭი აქვს ტარიელს, ოჯახის შექმნის უნარი კი არ გააჩნია. ასეა უთუოდ. არიან ასეთი ადამიანები. დიდ საქმეს ეტანებიან, დიდ ღირებულებასაც ქმნიან საზოგადოებისათვის, პირადად კი უშემკვიდროდ გადაშენდებიან. ძალა არ ყოფნით, რომ ორივე უღელი თანაბრად ზიდონ. ალბათ, ტარიელიც ასეთია.. გაივლიან წლები, სიბერე შემოეპარება, მერე გვიან-ღა იქნება...

გაჰყვა ამ ფიქრს და შემზარავი მარტობა იგრძნო. ოთახში მიმოიხედა. არაფერმა არ მიიზიდა.. გავიგდიო, გადასწყვიტა. სამზარეულოში გავიდა, პირზე წყალი შეისხა. ტანთ ჩაიცვა. მცირე ხანს კიდევ შეჩერდა ფანჯარასთან, ქალაქს გადახედა.

ფერდობზე შეფენილ სახლებს ჩრდილი დაჰფენოდა, შორს თვალუწვდენელ ველზე მოჩანდა მხოლოდ ჩამავალი მზის სხივი.

უცებ ერთი ნათელი სახე გამობრწყინდა, მიეახლა და თითქოს უსაყვედურა, ამდენხანს რატომ არ მომიგონეო. ეამა ეს ტარიელს, მაინც შუბლი შეიკრა. არა, მართლაც არა აქვს ოჯახის შექმნის უნარი. ერთი სიტყვა მაინც ეთქვა მარინასთვის! რამ შეაკრთო, რამ დაუშალა? ყმაწვილი ხომ აღარ არის. შესაძლოა ამაოდ ჩაესახა იმედი, ამაოდ წარმოიდგინა, რომ უთქმელადაც ყველაფერი ცხადიაო...

ქუჩაში ისე გავიდა, თითქოს თავის თავს უნდა განერიდოსო. ფართო ფარფლებიანი ქუდი ერთ ხანს ხელში ეჭირა. თეთრი აბრეშუმის კიტელი ეცვა. ამ საამოსში უფრო მკაფიოდ მოჩანდა მისი ფართო მხარბეჭი და მოხდენილი ტანადობა. ხორბლისფერ სახეს, მტკიცედ გამოკვეთილს, სიჯანსაღის ელფერი უმშვენებდა. უკან გადავარცხნილ შავთმაში მარცხენა მხარეს მომეტებულად შერეული ჭაღარა თითქოს ხაზს უსვამდა მის ჭაბუკურ ძალოვანობას.

მიდიოდა, წარბშერჭმით მიმოიხედავდა ხოლმე გულის გადასაყოლებლად.

კინოთეატრთან ხალხი შეჯგუფულიყო. რადიო ხმიანობდა.

აქაც არ შეჩერდა, ხალხს გვერდი აუარა, ტრამვაის ლიანდაგი გადასჭრა და ბაღისაკენ აჰყვა ქვაფენილს. ალბათ, დაძაბულმა შრომამ დაღალა და ამიტომ არა სურს გაერთოს ხალხში, განმარტოებით გავლა ურჩევნია, ასე უფრო ისვენებს.

ზემოდან მოსეირნე ქალები მოდიოდნენ, მოსაუბრობდნენ. ნებანება მიმავალ ტარიელს ახედ-დახედეს, მერე, ოდნავ რომ განშორდნენ, ერთმანეთს რაღაც უთხრეს და გულიანათ გაიცინეს. ტარიელს მათთვის ყურადღება არ მიუქცევია.

მაღლობზე, ბაღის პირად, ხეების წვეროებს ჯერ კიდევ სწვდებოდა მზის სხივი. აქ შეჩერდა მცირე ხანს, ზღვის მხარეს, ვრცელ ვაკეზე გაშლილ ქარხანას გადახედა. თავისი სასწრაფო საქმე მოაგონდა. ხვალ როგორმე საცდელი მუშაობა უნდა დაამთავროს. მალე უნდა დაბრუნდეს არიშში... ახლა უკვე აღარ გადადებს, მისვლისთანავე ეტყვის მარინას....

შვებით ამოისუნთქა, მსუბუქი ნაბიჯით გაჰყვა ხეივანს..

ანაზდად სასაფლაოდან მომავალ მარინას მოლანდა თვალი. შეკრთა, მოჩვენება ხომ არ არისო, გაიფიქრა. უმალვე აეგზნო, ფრთებშესხმულივით მოწყდა ადგილს.

მარინას თითქოს გული შეუღონდა, ხეს მიეყრდნო, სავსებით გაფითრდა, თვალი გაუშტერდა, შემდეგ ნელინელ წამოეფაკლა ღაწვები.

— რა ბედნიერებაა! — ჩაილაპარაკა ტარიელმა და მარინას ხელს მიწვდა, მიეფერა.

მარინამ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ტარიელმა რომ მკლავი გამოსდო და ბაღისაკენ გაიყოლია, ჯერ უსაზომო განცხრომით მიაყრდნო მხარზე თავი, მერე გამოუთქმელი გრძნობით სავსე თვალებით მიაცქერდა სახეზე.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილია ხოშგარია

სამი ლექსი

★

ომგადახდილი მანქანა

ახლა ვიგონებ, როს ღია ცის ქვეშ
ჩემს მებრძოლებთან კარავს გავშლიდი:
„ენა ამიდგი“, — მეტყოდა თითქოს
საველე სტამბის წკრიალა შრიფტი.

ის ჩემთან იყო ძმასავით მუდამ,
ბრძოლით გზა განვვლეთ ბუდაპეშტამდი,
და იმ პატარა ზომის გაზეთში
ჩვენ მტრის შემმუსვრელ სიტყვას ვბეჭდავდით.

განსაცდელის ჟამს ჩემს თავზე მეტად
მისთვის ვზრუნავდი, არას ვაკლებდი,
და ორივენი შეთანხმებულად
გამარჯვებისკენ გზას მივიკვლევდით.

პატარა სტამბის დიდი ამბავი,
ღონე არ შემწევს; რომ დავაფასო,
ომში ვიგრძენი, თურმე რა ძალა
ჰქონია, ძმებო, ლითონის ასოს.

მუდამ მზად ჰქონდა მომარჯვებული,
მუდამ გამკვეთი ბასრი მახვილი,
ყუმბარასავით აფეთქდებოდა
მტრების ბანაკში მისი ძახილი.

მყუდრო ოჯახში, შვილებს პატარებს,
ხშირად ვუყვები დიდ ომის ამბავს,
ო, რა გულთბილად მომაგონდება
გადარჩენილი საველე სტამბა.

ჩვენი სურვილის მიხედვით ახლაც
ომგადახდილი ყველგან გაჩდება,
საკაცობრიო სიტყვა — მშვიდობა —
ამ მანქანაზე დღეს იბეჭდება.

წინ, მოგვიწოდებს კომუნიზმისკენ
დიდი ბელადი, დიდი სარდალი,
და ყველგან, ყველგან მზესავით ბრწყინავს
ჩვენი პარტიის სიტყვა მართალი.

——.——

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

პალდოში

რომ გავხედე ტიალ მინდვრებს,
არსად იყო მზის საფარი,
იქ, პალდოში, კაცი ვნახე
შემართული, მკლავ-მაგარი.

სცემდა წერაქვს ყამირ მიწას,
სადაც მამებს უბრძოლიათ,
„შენ, ძმობილო, საიდან ხარ?“
შევეკითხე იმ გოლიათს.

შემომხედა ვაჟკაცურად
მიპასუხა: „კლდე ვარ სალი,
მინდა მიწა გავახარო
და პირნათლად შევხვდე სტალინს.

დიდლილოში ცოლშვილი მყავს
ხვატით, უწყლოდ ბედგამწყრალი,
მაგრამ მალე ჩემს ეზოში
აჩქეფდება ივრის წყალი.“

ეს მითხრა და ის ჩაფიქრდა
შუბლზე ოფლი მოიწმინდა,
სთქვა: „ბელადო, იდლეგრძელე!“ —
და თვალები გაუბრწყინდა.

———.———

ვნახე რუსთავი

★

ფოლადის ქალაქს ვესტუმრე,
ვიგრძენ ხალისი რამდენი,
ქართულ ფოლადის მშობელი
ამართულიყო მარტენი.

ახალ მოსახლის ეზოში
გაშლილან ბაღის იანი,
ძველად ნაომარ მიწაზე
დღე ანთებულა მზიანი.

ცისკარს დაასწრებს გოგონა,
სიმღერით ბაღჩას ჩაუვლის,
კვლებში მიუშვებს ანკარა
წყაროს წყალს ბულაჩაურის.

დიდი ხნის ნატვრა ასრულდა,
კვლავ აბიბინდნენ ქედები.
ჩვილ ქართველ ბავშვებს რუსთავში
აკვნებს ურწევენ დედები.

ხალხისთვის თავდადებულებს
არ დაკარგვიათ ამაგი,
სტალინმა სთქვა და — გაშენდა
რუსთავში დიდი ქალაქი!

1951 წ.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

ოქროს ჩარდახი *

რომანი

★

სოლომონის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა.

სასახლის კარზე გავლენის დაკარგვით განაწყენებული დავით აბაშიძე კარგახანია აღარ გაჰკარებია მეფეს. მართალია, სახლთუხუცესობა მას ჩამორთმეული არ ჰქონდა, მაგრამ პაპუნა წერეთლისათვის ამავე თანამდებობის მიბოძება ნიშნავდა, რომ მეფე დავითს კარგი თვალით არ უცქეროდა და, ცხადი იყო თავიდან უნდოდა მოეშორებინა. დავითიც მიხვდა ამას, ავადმყოფობა მოიმიზეზა, მეფეს ნებართვა გამოთხოვა და თავის კარმიდამოს მიაშურა. მას შემდეგ ქუთაისისაკენ პირი აღარ უქნია. ნათესავები ურჩევდნენ ხლებოდა მეფეს, ეკითხა მისთვის, თუ რა მიზეზის გამო აღარ წყალობდა, მაგრამ დავითი უარზე იყო.

თუ ვუნდივარ, თვითონ მიბრძანებს— ვეახლო, თუ არა და ისე რა მსჯის, ქედი მოვიდრიკო და მათხოვარივით წინ ავეყუდო. გუნებაში კი მოუთმენლად ელოდა, აი აგერ დამიძახებს მეფე, აი აგერო.

დრო მიდიოდა, მაგრამ სოლომონს თითქოს სულაც დაავიწყდა დავითი. არათუ იხმობდა, იმის ამბავსაც არ კითხულობდა.

მალე დავითთან სიარულს მოუხშირეს სხვა შერისხულმა თავადებმა. ჯერ არგვეთელი თამაზა მესხი ესტუმრა და თავისი გულის დარდები გაუზიარა, შემდეგ მერაბ ნიჟარაძე მოჯირითდა მთელი ამალით და ხელების შლით მოახსენა ჩრდილში შეყუჟრულ სახლთუხუცესს:

— რაა ბატონო, ეს, რაა? ბარემ ევიყაროთ ყველა და ისაა. ქვეყანა მარტო ბერი წულუკიძის და პაპუნა წერეთლის ყოფილა, ჩვენ რაღა ვართ, კაცად აღარავინ გვაგდებს. ვინ ვართ ერთი, გამაგებიეთ, თქვენი ჭირიმე, ვინ?

საქმივე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სანამ სოლომონი მეფობდა, სასახლის კარზე გავლენის მოპოვების იმედი დაკარგული უნდა ჰქონოდათ. საჭირო იყო სოლომონის თავიდან მოშორება. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ვერ იყო კარგად განწყობილი იმერთა მეფესთან და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მას ტახტიდან გადააყენებდა. მერაბ ნიჟარაძის აზრით, თუკი შეთქმულნი შეძლებდნენ სოლომონზე შემომწყრალი ალექსანდრე ბატონიშვილი თავის მხარეზე გადაებირებინათ, მაშინ ადვილი იყო ერეკლეს დახმარებით იმერეთის ტახტზე მამის ნაცვლად შვილი აეყვანათ.

ალექსანდრე ბატონიშვილი კარგახანია, რაც ჩხერის ციხეში ცხოვრობდა და იშვიათად გამოდიოდა გარეთ. მამამისმა მას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სულ ათი წლისაც არ იქნებოდა, მთელი ზემოიმერეთის მამულები მიუბოძა, საწალიკიდან ხანის მთამდე და შორაპნიდან ქვიშხეთამდე (ცხადია, გარდა იმ მამულებისა, რაც აბაშიძეებს და წერეთლებს ეკუთვნოდათ). პირველად ბატონიშვილს ეგონა, მართლა დიდი ქონების მეპატრონე ვარო, მაგრამ, როდესაც ადგილზე მოითვალა, აღმოჩნდა, რომ გაუვალი ტყით დაფარული მთების გარდა ბევრი არაფერი ჰქონდა სახარბიელო. მთელ მის ამ თვალუწვდენელ მამულზე სულ ათასი კომლიც კი არ ესახლა და უმეტესობას ხეირიანი სახნავი მიწები არც კი გააჩნდა. ერთადერთი, რითაც თავი უნდა ენუგეშებინა ბატონიშვილს, ეს იყო უთვალავი სანადირო ადგილები და სათევზაო მდინარეები. ირმის ხორცი და ფორაჯა

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 3 და 5. 1950 წ.

ქალმახი ისე ხშირად ჰქონდათ სუფრაზე, რომ არათუ ბატონიშვილს, ფარეშებს და მეციხოვნეებსაც კი მობეზრებული ჰქონდათ.

ჩხერის ციხე, სადაც ბატონიშვილი მუდმივად ბინადრობდა, მაღალ წვეტიან კლდეზე იყო აგებული და საცხოვრებლად ბევრად არც კი იყო მოხერხებული. ეზო მას სრულიად არ გააჩნდა. სამხრეთ დასავლეთის მხრიდან ამოყვანილი ჰქონდა სათოფურებით დახვრეტილი დიდი და მაღალი კედელი, საიდანაც თავი გამოეყოთ ციხის ჯაზაირებს. აქვე იყო მეციხოვნეთა საცხოვრებელი ოთახები, ბატონიშვილის სასადილო და სასტუმრო დარბაზი. ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან, ზედ კედლის წვეროზე, აგებული -ყო პატარა სამლოცველო, გვერდით კი — გომურის მზგავსი სადგომი, სადაც ბატონიშვილი იძინებდა ხოლმე. ამ სადგომზე მოდგმულ სამლოცველოს სამხრეთ აღმოსავლეთით ეკვროდა მაღლა ამართული საყარაულო კოშკი, სადაც მუდმივად მორიგეობდნენ გრძელლულიანი თოფებით შეიარაღებული მეციხოვნენი, ამ მეციხოვნეებს ისეთი გამჭრიახი თვალი ჰქონდათ და ისე იყვნენ შეჩვეულნი შორ მანძილზე ყოველგვარი სულდგმულის მოძრაობის შემჩნევას, რომ არაფერი გამოეპარებოდათ. კოშკიდან მოჩანდა აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაშლილი ჩხერიმელას თვალუწვდენი ხეობა, ქართლისაკენ მიმავალი, ნასროლი ქამანდივით დაკლაკნილი გზა, რომელსაც სივიწროვისათვის მოსაკიდელს უწოდებდნენ და ერთმანეთზე ფეხმიდგმულ მთების საძირკვლებზე ჩუქურთმასავით დახვეული და ლურჯად ბოკამკამე ჩხერიმელა.

ავდრიან ამინდში ციხე ხშირად ღრუბლებში იყო გახვეული, ხოლო დილაობით იგი აბჯარასხმული რაინდივით გადასცქეროდა ხეობაში ჩაწოლილ ნისლს. ციხედარბაზს მხოლოდ ერთი მისასვლელი ჰქონდა ჩრდილოეთის მხრიდან. ამისთვის საჭირო იყო მაღალი მთის სერზე ასვლა, რომელიც ამ ციხეს ზედ ებჯინებოდა და თავზე დაჰყურებდა. სერის დასასრულს მთის ქიმზე ქვის კოშკი იდგა, რომელიც ჩხერის ციხეს დარაჯივით ადგა თავზე, აქამდე კიდევ შეიძლებოდა ცხენით მისვლა, მაგრამ, აქ კი ყოველი ცხენოსანი უნდა ჩამოქვეითებულიყო და ფეხით გაევლო ის ბეწვის ხიდივით ვიწრო ბილიკი, რომელიც კოშკსა და ციხედარბაზს შუა იყო ჩაკიდული და მარჯვნივ და მარცხნივ უფსკრულს გადაჰყურებდა.

დილიდან საღამომდე ციხეში მიმსვლელი არ ილეოდა. საბატონო გლეხებს ყოველდღე მოჰქონდათ სურსათი, კოკებით ან ტიკებით ღვინო, მოჰყავდათ საკლავი, ეზიდებოდნენ შეშას. არ ილეოდა სტუმარიც. ხაბაზები და მზარეულები დილიდანვე დაკაპიწებულნი ტრიალებდნენ. თითონ ბატონიშვილი იშვიათად ტოვებდა ციხეს და ან წიგნებს კითხულობდა, ან სტუმრებთან საუბრით ერთობოდა. სანადიროდაც იშვიათად წავიდოდა, რადგან საოცრად ბეცი იყო, თითონ სროლა არ შეეძლო, ტყიან ადგილებში ცხენით სიარული უჭირდა, ტოტებს გვიან არიდებდა თავს და მთელი სახე მუდამ დაკაწრულ-დასისხლიანებული ჰქონდა ხოლმე. ამიტომ შინ ყოფნას არჩევდა და თუ საიდანმე ჭადრაკის მცოდნე ეწვეოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი თვით დაბამდა სტუმარს.

თმა, წარბები და წამწამები სრულიად თეთრი, ან უფრო სწორად ბაბუსაგძალას ფერი ჰქონდა. „დაბადების დროს ანგელოზები დასწრებიან და მათი ნათელი ადგასო“, — ამბობდნენ გადიები. ამ თმის ფერით და საოცარი ჭორფლიანი ხელებით ბატონიშვილი ისე გამოირჩეოდა ყველასაგან, როგორც ქოჩორა ვარიებში გარეული ბატის ჭუკი. გლეხები ერთი შეხედვით ცნობდნენ მას, რაგინდ მრავალრიცხოვან ცხენოსანთა მარაქაშიაც არ უნდა ყოფილიყო. „წმინდანია, წმინდანი, მაგის წყალობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა“, — ამბობდნენ მოხუცი დედაკაცები მის დანახვაზე და პირჯვარს ისახავდნენ.

ამ განდგომილად ცხოვრების ბრალი იყო ალბათ, რომ ბატონიშვილს სტუმარი საოცრად უყვარდა და პატივს სცემდა. სტუმრებიც არ წყვეტდნენ გულს და დღედაღამ მის ციხედარბაზში ტრიალებდნენ. განსაკუთრებით მეფის უკმაყოფილო თავადები. მათ შორის ყველაზე მოუშორებელი მერაბ ნიჟარაძე იყო, რომელმაც დაიარა გაბუტული თავადების ოჯახები, სადაც საიდუმლო ხლართები გაბა, შემდეგ

ეახლა ბატონიშვილს და მელიასავით წინ გაუგორდა.

ჯერ ნარდი ეთამაშა, ხუმრობითა და მუნაპიბებით გაართო, მერე, ვითომ სხვათა შორის წამოიძახა:

— ღმერთო ნუ მიწყენ და, ამ ჩვენ ევგენ აბაშიძეს მზეთუნახავი გასათხოვარი ქალი ყოლია, უკეთესის მნახველი არა ვარ. თუ იტყვის ადამიანი, დედოფლობა ეკადრებაო, ისაა სწორედ.

ბატონიშვილმა, ცხადია, არ იცოდა, რომ მერაბ ნიჟარაძეს თავის თანამოაზრეებთან ერთად წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მისთვის ევგენ აბაშიძის ქალი შეერთო. ევგენ აბაშიძეს შეურიგებელი მტრობა ჰქონდა სოლომონ მეფესთან და ამ ორი მოწინააღმდეგის ახლა ერთმანეთთან დამოყვრებით, განაწყენებული თავადები გარეგნულად ვითომ ფიქრობდნენ მათ შერიგებას, ნამდვილად კი ცდილობდნენ მამაშვილს შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ. მერაბმა იცოდა სოლომონის ჯიუტი ხასიათი და ამიტომ იმედი ჰქონდა, რომ მის ვაჟს ალექსანდრეს, ტახტის ერთადერთ მემკვიდრეს, საბოლოოდ გადაამტერებდა მამასთან, თუკი მას ევგენ აბაშიძის ქალს შერთავდა.

— დედა, რა ქალია თქვენი ჭირიმეთ, — განაგრძობდა მერაბი და თან ნარდს აჩხაკუნებდა, — ის რომ ეკლესიაში საკურთხევლის კარებში გააჩერო, თუ არ ვილოცო ზედ, როგორც ღვთისმშობელზე ერთ წუთს ნუ მაცოცხლოს ღმერთმა. ჩარი სე, კამათელო. ეს რა თამაში გცოდნია, ბატონიშვილო, ხელი ვერ გამოგირიე. ფანჯი რაში მჭირდებოდა ახლა... საფერიცვალებოდ უნდა მეწვიოთო, ევგენ აბაშიძემ შემოგითვალათ. თუ ინებებთ წვევას, მეც გეახლებით. თქვენ არ გინახავთ იმის ქალი?

— არ მინახავს, — უპასუხა ღიმილით ბატონიშვილმა. მას სიამოვნებდა, რომ ლამაზსა და თანაც გასათხოვარ ქალზე ესაუბრებოდნენ. ქალის შერთვის სურვილი კარგა ხანია გულში უხიცინებდა.

— რას ბრძანებთ? არ გინახავთ? — გაოცდა მერაბი. — აბა, ლაპარაკი აღარ უნდა, ნახავთ თუ არა, მაშინვე ეკლესიაში წაიყვანთ და იფსკვნით გვირგვინს. თქვენ არ მომიკვდეთ. მერე რა კარგ საქმეს იზამთ, ევგენ აბაშიძეს მამათქვენთან შეარიგებთ და ამ ჩვენს ქვეყანას ერთი ბურჯი შეემატება. ისე, რო თქვას კაცმა, დრო კია ქალი შეირთოთ. ამ ცხენში უცოლოდ რა გამაძლებიებს, ან რაფერ ძლებთ, ის მიკვირს. მერე, შენი ჭირიმე, ჩვენს მეფეს ერთადერთი შვილი ყავხარ და შვილიშვილი არ ეჩქარება? ასე რაფერ შეიძლება! მტერი და ავი, ღმერთმა კარგად გამყოფოთ და ჯვარი გწერია, მაგრამ რამე უბედურება რომ დაგვატყდეს თავს, ქვეყანა უპატრონოდ უნდა დარჩეს და ხალხს იმედი სულ ამოუწყდეს? შვილი ახლა ერთი ხუთი უნდა დაგირბოდეს, თუ მეტი არა. ერეკლე მეფეს, ღმერთმა დღეგრძელი ამყოფოს, ჯერ მარტო შვილები დაურბის იმდენი, რომ დათვლას ვერ ახერხებს და შვილიშვილებს ხომ ნუღა იკითხავ. ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა. მერე, შენი ჭირიმე, ჩემი და შენი ცოლის შერთვა ერთი კი არაა. მე გინდა შემირთავს ცოლი, გინდა არა, ქვეყანას ამით არც დააკლდება რამე, არც მოემატება. შენი ქალის შერთვა, ბატონიშვილს ვენაცვალე, სახელმწიფო საქმეა და დროზეა საჭირო.

მერაბმა შეატყო, რომ ბატონიშვილს ცოლის შერთვა მართლა ჩაუვარდა გუნებაში. ამ საუბრის შემდეგ თითქოს რაღაც დაღვრემა დაეტყო და ფიქრებში გაეხვია. საერთო საუბრის დროს თუკი ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ევგენ აბაშიძეზე, ეს ეშმაკივით შეჩენილი კარისკაცი ამჩნევდა, რომ ალექსანდრე მაშინვე გამოცოცხლდებოდა. მართალია, თითონ საუბარში არ ჩაერეოდა და არც არაფერს იტყოდა, რომ თავისი განწყობილება არ გამოემჟღავნებინა, მაგრამ სახეზე სიხარულის თუ აღტაცების ისეთი ელვა გადაურბენდა, რომ გამოუცდელი თვალიც კი შეამჩნევდა.

მალე მერაბ ნიჟარაძეს თანამოზიარენი და დამხმარენი აღმოუჩნდნენ. ჯერ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და შემდეგ სარდალი თამაზა მესხი, რომელთაც მერაბის აზრი მოიწონეს და ბატონიშვილს მოსვენებას აღარ აძლევდნენ, ეს საქმე გადასადები აღარ არის და დროზე დავაგვირგვინოთო.

ალექსანდრე ერთხანს ყოყმანობდა. მამის უკითხავად ვერ ბედავდა ცოლის შერთვას და მოისურვა მოციქული მიეგზავნა ნებართვის მისაღებად. შეთქ-

მულებმა ქვა ისროლეს და თავი შეუშვირეს

— მაგ ყოვლად შეუძლებელია, — უთხრა მერაბმა ალექსანდრეს, — მაგ ყოვლად შეუძლებელია, შენი რისხვა ნუ მომეცემა. მამაშენს თუ კითხე, ის რა .თქმა უნდა უარს გეტყვის. ჩვენ გვინდა ისე გავაკეთოთ საქმე, რომ ეს დიდებული თავადი რამეფრად შევარიგოთ მეფესთან და ამიტომაა, იმის უკითხავათ უნდა იქორწინო. შენ გგონია, გეტყვის რამეს თუ რა!? პირიქით, გაეხარდება ჭკვიანი შვილი მყოლია და ხტრად მოკიდებული დიდებული მეგობრად და მოყვარედ გამიხადაო. თუმცა წინასწარ რაზე იწუხებ თავს, ჯერ ვნახოთ ის ქალი და მერე გადავწყვიტოთ ყველაფერი. იქნება სულაც არ მოგეწონოთ და ეს ვაიუშველებელი წინასწარ რაზე ავტეხოთ. მე გეტყვი, აბა კარგად. სანადიროდ წამობრძანდით, ასე გადავუყვეთ ამ ღორეშის სერებს, გავაჭენოთ ცხენები და ვითომ უცაბედად ვეწვიოთ თქვენს სასიმამროს. გავხედგამოვხედოთ და, მერე რავარც ღმერთი გვიბრძანებს, ისე მოვიქცეთ.

მართლაც, მეორე დღეს, ალექსანდრე ბატონიშვილი სანადიროდ გაემგზავრა, თან დიდებულების გარდა დიდძალი ამალა იახლა. პირისაფერისად ერთი ორი საათი ტყუილუბრალოდ ალავლავეს ძაღლები სერებზე და ნაშუადღევს უკვე ევგენ აბაშიძის ეზოში, დიდ კაკლების ძირში ისვენებდნენ. მასპინძელი აფუსფუსდა, ვითომ არც კი იცოდა, რომ ბატონიშვილი ეწვეოდა, საბუდრიდან წამოგდებული დიდალივით აწიაქდა და ჩოხის კალთების ფრიალით დატრიალდა ეზოში.

— აბა, დადექით ფეხზე ყველა, დაკალით, რაც რამე გვაბადია, მოხადეთ ქვევრებს თავი, ჩოუკიდეთ თონეს, ამაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში ალარ მეღირსება. — ჰყვიროდა ოდნავ ჭალარაშერეული წითელწვერა ევგენ აბაშიძე, ვითომ ახლა აპირებდა შედგომოდა ყველაფრის თადარიგს, მაშინ, როდესაც საკლავიც დაკლული ჰყავდა, შესაწვავიც შემწვარი და მოსახარშიც მოხარშული ჰქონდა.

მალე სახლიდან მორთულმოკაზმული ქალები გამოვიდნენ და ბატონიშვილს მიესალმენ. უმეტესობას ერთნაირი ფართო ზოლიანი კაბა ეცვა და თავზე აბრეშუმის თავშალი ჰქონდა მოხვეული. პირველად ბატონიშვილს ევგენ აბაშიძის დედა მიესალმა, რომელმაც დალოცა უფლისწული. პირჯვარი გადასახა და შემდეგ ხელზე ეამბორა. დანარჩენები უბრალოდ ეამბორენ ხელზე და სათითაოდ ეკითხებოდნენ, ხომ კარგად ბრძანდებიო, ღმერთმა ჯანმრთელად და ბედნიერად გვიმყოფოს თქვენი თავიო. ყველაზე ბოლოს ბატონიშვილს ევგენის ქალიშვილი მიუახლოვდა. მერაბ ნიჟარაძემ მოასწრო წაეჩურჩულებინა ალექსანდრესათვის.

— კარგად დააკვირდი, ეგაა... — და ვითომ სხვა რამეზე ელაპარაკებოდა ხმამაღლა დასძინა—კი, ბატონო, სწორედ აგრე ვიზამთ. უჰ, ღმერთო მომკალი, ეს ჩვენი მასპინძლის ქალიშვილი გახლავთ ბატონიშვილო...

ევგენის ქალს ჯერ არც კი ეთქმოდა ქალიშვილობა. იგი თითქმის ბავშვი იყო, მაგრამ მთელ მის გარეგნობას ის თავისებური მიმზიდველი ელფერი გადაჰკრავდა, რაც ვაჟკაცს თავბრუს ახვევს და სისხლს უმღვრევს ხოლმე. სახე მართალია არც ისე ლამაზი ჰქონდა, მაგრამ ნუშის მაგვარი დაბინდული თვალები და კბილთა მარგალიტივით ელვარება მას მომხიბვლელს ხდიდა. ბატონიშვილმა დაურიდებლად შეათვალიერა ახალგაზრდა ქალი და მაშინვე გამოუცხადა თავის შუამავალს, რომ თანახმა იყო ახლავე წასულიყო ეკლესიაში ჯვარის საწერად.

*

* *

მერაბ ნიჟარაძეს იმედი გაუმართლდა. სოლომონმა გაიგო თუ არა, ჩემმა ვაჟმა ევგენ აბაშიძის ქალი შეირთოო, ისე განრისხდა, ისე განრისხდა, რომ კინაღამ თავი წააცალა ამბის მომტანს. მაშინვე შეუთვალა შვილს, თუ გსურს ყოველივე გაპატიო და კიდევ შვილად ჩაგთვალო, ახლავე გაცილდი შენს ახლადშერთულ ცოლს და ჩემთან გამოცხადდი, თორემ მერე გვიან იქნებაო.

ალექსანდრე შეშინდა და, მართალია, სიმამრთან დიდის განცხრომით სტუმრობდა, ისევ თავის ციხესიმაგრეს მიაშურა. სოლომონისაგან ყოველივე მოსალოდნელი იყო და ამიტომ არათუ ციხის ბჭესთან, გზებზედაც კი ყარაულები დააყენა. მამას ბარათი გაუგზავნა, ქალთან განშორებაზე უარი შეუთვალა, პირიქით, ლოცვა-კურთხევას

თხოვდა და ემუდარებოდა, შერიგებოდა, მის სიმამრს ევგენ აბაშიძეს. პასუხის მოლოდინში წამდაუწუმ ეკითხებოდა თავის ახალ მეგობრებს — მერაბ ნიჟარაძეს და თამაზა მესხს:

— რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

თამაზა მესხი ბუნებით ჩუმი და მოუქნელი კაცი, ხმას არ იღებდა და თავჩაქინდრულს თავისი გრძელი ულვაშები ისე ჩაეკიდა ძირს, თითქოს ლამობდა მიწამდე დაეწვდინა. მერაბი კი მელიასავით წრიალებდა და ისე იკატუნებდა თავს, თითქოს გაგებაში არ იყო, რა ხდებოდა ამ ქვეყნად.

— რას გაიგებ ადამიანისას. შვილი გაგიბედნიერდეს კაცს, ერთადერთი შვილი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე მზეთუნახავს ირთავდეს და რავა გაბედე მაგისთანა საქმეო? მოდი ახლა და იკითხე სამართალი. თითონ, შენი ჭირიმე, არც ხანს დახედა თავისას, არც მდგომარეობას, მომეწონაო და დაავლო ხელი ტილიან აზნაურის გვერდით ნაწოლ ქალს და დედოფლად დაგვიჯინა იმერეთში. მისმა შვილმა სამეფო გვარეულობის შთამომავლის ქალი, მოწყვეტილი ვარსკვლავი შეირთო და რავა გაბედე მაგიო, ვის ვუთხრა და რაფერ გავამხილო ამისთანა საქმე...

რამდენიმე დღის შემდეგ ბატონიშვილს სახლთუხუცესი დავით აბაშიძეც ეახლა და ახალი ამბავი მოახსენა: მეფეს სოფელი წირქვალი და მთელი საუფლისწულო მამული, რაც კი ყვირილის მარჯვენა ნაპირზე ჰქონდა ბატონიშვილს, დავით გიორგის ძისთვის უბოძებია და ახლა ამ მამულებს იასაულები აბარებენ მოქიშპე მემკვიდრის მოურავსო.

ამ ამბავმა არათუ ბატონიშვილზე, თვით შეთქმულ თავადებზედაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ცხადი იყო, სოლომონი თავის შვილს აშკარად ემუქრებოდა, თუ ურჩობას დამიწყებ, შეიძლება ტახტიც კი არ გაღირსოო.

— აქამდე მეგონა, მარტო ჩვენ არ დაგვედგომებოდა იმერეთში, — იტკიცა შუბლზე ხელი მერაბმა, — ახლა, თურმე, ბატონიშვილსაც აღარ დაედგომება. ღმერთო მომკალი, რა გავიგონე ეს! აჰ, არა, ჩვენი საშველი არ არის, ისევ ერეკლე ბატონს უნდა შევევედროთ გვიხსნას ამ უბედურებისაგან, იმას უნდა შევაფაროთ თავი. მე ჩემს თავს რას დავეძებ, ბატონიშვილის შიში მაქვს, არაფერი ავნოს ამ ყმაწვილს, ან თვალები არ დათხარონ, ან სხვა უბედურებას არ შეჰყარონ. ამან, შენ ეირიძე, სადღაც როსტომ-ერისთავის შვიდი წლის ბავშვი არ დაინდო და გახურებულ თოხებში ამოუწვა თვალები, — რომ მომაგონდება, ტანში მზრავს, — ის ვის დაინდობს. ახლავე, დროზე უნდა გავეცალოთ, თორემ, მერე ვინ იცის, რა დღეს დაგვიბნელებს მზის სინათლეს.

საღამოს სათათბიროდ შეიკრიბნენ. ბატონიშვილი თავის კოშკში მეუღლესთან ერთად „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა, როდესაც მას დიდებულნი ეახლნენ სახლთუხუცეს დავით აბაშიძის მეთაურობით.

„ცისკრად ავდექ, შევეკაზმე,
რა გათენდა ღამე დილად?
ვნახე სამი დიდებულნი
მეფისაგან მოგზავნილად“.

მოესმა სამივეს უფლისწულის მეუღლის ნარნარა ხმა.

მერაბ ნიჟარაძემ გაოცებით გაშალა ხელი და წარბშეკვრით წარმოთქვა:

— ნეტავი გამაგებინა, იმ დალოცვილ რუსთაველს თქვენზე ხომ არ დაუწერია ეს ამბავი. ჭეშმარიტად ტარიელს მაგონებ, ბატონიშვილო, თავის კოშკში რომ ჩაიკეტა ხვარაზმშას ტახტის მემკვიდრის მოკვლის შემდეგ. სამი დიდებულიც გეახელით, მაგრამ ვაი, რომ მოცოქულები არა ვართ.

ალექსანდრემ სთხოვა დამსხდარიყვნენ და ბეცი თვალებით დაკვირვებით შეათვალიერა ყველანი.

— რას იტყვით? — ჰკითხა მან ბოლოს სამივეს და თავის მეუღლეს, რომელმაც წასვლა დააპირა უთხრა, — შენ იყავი, ნუ წახვალ.

— რაღა უნდა ვთქვა, ბატონიშვილო — დაიწყო მძიმედ დავით აბაშიძემ. მამა რომ შვილს მტრობას დაუწყებს, რაღა გავიგო ამ ქვეყნის. სულ იმ ენაწუნკალი და გაიძვერა ბერი წულუკიძის ბრალია ყველაფერი. ის აღარ ყოფნის, რომ მეფე მოაჯადოვა და თავის ჭკუაზე ატარებს. ჯერ თავისი დაი გაურიგა, ახლა შენთან დამოყვრებაც განუზრახავს და თურმე მოლაპარაკებული ყოფილა თავისი მოიმახი ქალიშვილი შენთვის გაერიგებინა. ესღა გვაკლდა, წულუკიძის ქალის დედოფლობა!

— არა, შენი ჭირიმე, თუ არ გავეცალეთ ახლავე, ცუდადაა ჩვენი საქმე, — ჩაერია მერაბი — ახლავე უნდა ავიყაროთ და ვეახლოთ ერეკლე მეფეს, იქნება იმან გვიპატრონოს და შეგვიფაროს, თორემ გათავებულია ჩვენი საქმე.

— ეგ როგორ? — შეკრთა ბატონიშვილი, — მამას განვუდგე?

— განდგომა რა შუაშია, თავს მოუარე და ეს მამაშენი ცოტა თუ არ შეაშინე, რაღაც უბედურებას შეგამთხვევს. ჯერ, შენი ჭირიმე, იმდენი ქნა, რომ სასახლიდან ამოგვაკვეთია ფეხი, მოგგვარა იმისთანა დედინაცვალი, თავი რომ მოეკვეთათ შენთვის, ის გერჩია იმისთვის დედის დაძახებას. ახლაა და სადედოფლო ქალი რად შეირთეო, რაც მამულები გქონდა წაგართვა და თითივით შიშველი დაგტოვა. მერე უბრძანებია, ახლავე გაცილდეს მაგ ქალს და აქ მოვიდეს, ბერი წულუკიძის ქალი უნდა შევრთოო. ის ქალი გინახავს, შენი ჭირიმე? არ გინახავს? ბოდიში ამ სიტყვებისათვის და რაცხა კაცი იმას მოუწვევა გვერდში, ის, შენი ჭირიმე, ქალის უნახავი უნდა იყოს. ჯერ ბატონო ბებერი, ქე იქნება კარგი ოცდახუთი წლის, მერე კახპა იმისთანა, რომ ერთი ხუთი მაინც ეყოლება ბუში. ერთი მიბრძანე, რა დაგიშავებია იმ მამიშენისთვის, რომ ასე გადაგეკიდა. არაფერი! მე ვიცი, შენ რა უნდა დაგეშავებინა, ანგელოზი კაცი ხარ, მაგრამ მოაჯადოვეს ბერი წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა და რა-სა-ც უნდათ, იმას აკეთებინებენ.

— თვალებს დავთხრიო, უბრძანებია, თუ არ დამიჯერაო. — უცნაური დუდუნით წამოიძახა, როგორც იქნა თამაზა მესხმა.

— კიდევაც აასრულებს. — ხელის ჩაქნევით თქვა დავით აბაშიძემ. — კიდევაც აასრულებს. ამიტომ, შენი ჭირიმე, ახლავე ავიყაროთ და გადავიდეთ ქართლში. ეს შენი მეუღლეც თან წავიყვანოთ. მივიდეთ ერეკლესთან და ვთხოვოთ დაგვიდგეს შუამავლად. კითხოს ერთი რას გერჩის და რას გვემართლება, ან შენ, ღვიძლ შვილს, ან ჩვენს სამეფო გვარის სისხლის ნათესავებს და უპირველეს დიდებულებს. ერეკლესთან რომ მივალთ, მამათქვენს შეეშინდება და აუცილებლად შერიგებას ისურვებს. ბიძათქვენი არჩილიც იქ ბრძანდება და რაღაცას ვისაშუალებთ.

— ვაი, თუ უარესად განრისხდეს, — გაუბედავად წარმოსთქვა ალექსანდრემ.

— ამაზე უარესად რაღაზე განრისხდება.

— შენ საიდან გაიგე, თვალებს დავთხრიო? — მოუბრუნდა თამაზა მესხს ბატონიშვილი, — ვინ გითხრა?

— ზურიკო ნიჟარაძე დასწრებია ამ ამბავს და ფიცს ამბობს, ასე თქვაო. მაშინვე უფრენია აქეთ კაცი, არიქა ბატონიშვილს შეატყობინეთ, თავს უშველოს, თორემ მისი საქმე გლახთააო.

— ამ თვალებით ისედაც ვერ ვხედავ რიგიანად და ესენიც თუ დამთხარა, კარგათ წაჯა ჩემი საქმე, — ვითომ იხუმრა ბატონიშვილმა.

ამ საუბარში იყვნენ გართულნი, რომ მოულოდნელად ბატონიშვილის ახალგაზრდა მეუღლემ სახეზე ხელები აიფარა და გულაჩუყებულმა ისეთი ზლუქუნი ამოუშვა, რომ შეშფოთებული მამაკაცები მაშინვე ფეხზე წამოიჭრნენ და დამშვიდება დაუწყეს.

— ღმერთო მომკალი, ეს რა მოგვივიდა, — წამოიძახა მერაბმა, — ამ ანგელოზის გული რაფერ გაუძლებს ამისთანა ლაპარაკს. თვალების დათხრა, ანძუხზე აგება და თავის მოკვეთა კი არა, ამასთან ქათმის დაკვლაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

— მე... მე... მეშინია, ახლავე წავიდეთ აქედან. — ზლუქუნებდა უფლისწულის მეუღლე. — თვალები რომ დაგთხარონ, ხომ თავი უნდა მოვიკლა...

— შენი მუხლების ჭირიმე, ბატონიშვილო, — კისერი წინ წაიწვდინა, ყელზე ორი თითი წაივლო და ისე შეეეედრა მერაბი, — ამის ცრემლებს ნუ დამანახვებ და ახლავე წავიდეთ აქედან. ამის პირით ანგელოზი გველაპარაკება. გვაფრთხილებს, დროზე მიხედეთ თავსო...

— მართალი ბრძანებაა, — დაემოწმა დავით აბაშიძე, — სწორედ რომ მართალი ბრძანებაა. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან. ჩვენ ყველა გეახლებით თან. ახლავე ვაფრენ კაცებს და ვინც შენი ერთგული თავადია, ყველა გეახლება. ერეკლე

მეფეს იმას კი არ ვათქმევინებთ, გაჯიუტებია და მამას განდგომიაო. შენთან მთელი იმერეთის დიდებულებს რომ დაინახავს... — დავითი უცბათ შედგა და ყური დაუგდო. სადარაჯო კოშკიდან, რომელიც ციხესთან მისასვლელ გზას ჰკეტავდა, მეციხოვნის ძახილი მოისმა.

— რომელი ხარ? — იძახდა მეციხოვნე. ის, ვისაც შეეხებოდა ეს კითხვები, ეტყობოდა პასუხს აძლევდა, მაგრამ იმისი ხმა სრულიად არ ისმოდა. მეციხოვნე მის პასუხს კითხვებად იმეორებდა: — რომელი? მეფის შიკრიკი? რა გვარის კაცი ხარ? აბაშიძე? რომელი აბაშიძე? უცუცა? მუცუცა? ბუწუწა? არ გამიგონია ამისთანა სახელი რას იმუქრები, შენი მეშინია თუ?

ცოტახნის შემდეგ დანარჩენი მეციხოვნენიც გადმოდგნენ ციხის კედლებზე ხელში ჟინჟღილებით და შეიქნა ერთი გაძახილ გამოძახილი.

ბატონიშვილმა ბრძანა ახლავე მოეყვანათ მასთან მეფის შიკრიკი და მალე ქვითკირის სენაკში თავი შემოჰყო კუწუწამ. მან გულზე ხელი დაიკრიფა, ფეხები გადაიჯვარედინა და ბატონიშვილს მიესალმა. მერე მელიასავით შეათვალიერა ყველანი და, მართალია, სათითაოდ ესალმებოდა ყოველ მათგანს, ის უფრო ჩქარობდა გამოერკვია, ვინ იყო ბატონიშვილთან. ამიტომ ერთისთვის სალამის მიცემას ვერ ასწრებდა, რომ უკვე მეორეს შეცქეროდა და მაშინვე მზერა მესამესკენ გადაჰქონდა. ამ მისალმებაში და სათითაოდ ყოველის თვალიერებაში კუწუწამ ჩაიყო უბეში ხელი და იქედან პატარა გრაგნილი ამოიღო.

— ეს უსტარი მეფემ გამომატანა თქვენთან, ბატონიშვილო, — კუწუწამ უსტარი დავით აბაშიძეს გაუწოდა, რადგან წესის მიხედვით მას უფლება არ ჰქონდა მიახლოვებოდა უფლისწულს და პირდაპირ გაეწოდებინა მისთვის ბარათი.

— სიტყვიერად ხომ არაფერი დაუბარებია? — ჰკითხა ბატონიშვილმა, სახლთუხუცესს ბარათი გამოართვა და, სანამ გაშლიდა, კუწუწას შეაცქერდა.

— ასე მიბრძანა, ეგ ბარათი თითონ წაიკითხოს და თუ ვინმესთვის უჩვენებია, იმასაც თვალებს დავთხრი, ვინც წაიკითხავს და...

— და?.. — ბატონიშვილმა ბარათს ხსნა დაუწყო.

— იმასაც, ვინც ამ წერილს სხვას წააკითხებსო, ასე მიბრძანა. მომესენებინა.

უფლისწულის მეუღლემ კვლავ ამოიგმინა და თვალებზე ხელები აიფარა, მაგრამ მას ახლა ყურადღება არავინ მიაქცია. ყველანი ბატონიშვილს უცქეროდნენ, რომელმაც ბარათი გახსნა, სანთელს მიუახლოვდა და ბეცი თვალებით ისე დაიწყო კითხვა, თითქოს სტრიქონებზე წალმა-უკუღმა ცხვირს უსვამდა.

— სადაური აბაშიძე ხარ, ყმაწვილო? — მიუბრუნდა დავითი კუწუწას, სანამ ბატონიშვილი წერილს კითხულობდა

— ჭალელი ჩემო ბატონო. აზნაურშვილი ვარ.

— კაი ნაყვანი ხარ, შენ ნუ მომიკვდები, — ღიმილით უთხრა დავითმა. — ჩვენს მაგიერად წერეთელმა შენ ხომ არ მოგიყვანა სანაშენოდ, ვითამ არავინ დამაბრალოს, აბაშიძეებს ფეხი ამოვუკვეთე სასახლიდანო.

— მართალი გვითხარი ახლა, რა დაგაბარა წერეთელმა? — მიმართა მერაბმა კუწუწას, — სულ სათითაოდ ჩამოგვიკანკლე, ვინაა ბატონიშვილთანო, დაგაბარა ხომ?

— აჰ, არა, ბატონო, ჩემი დედმამის სულს გეფიცებით, მე ვიყო შეჩვენებული, თუ მაგ დაებარებინოს, — დაიწყო მხურვალედ ფიცი კუწუწამ. — მაგ კი არა, მოკითხვა მოახსენე დიდის სიყვარულობით ყველასო.

ბატონიშვილმა წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, დაახვია და უბეში შეინახა, მერე ტაში დაჰკრა და შემოსულ ფარეშს უბრძანა:

— ციხისთავს დამიძახე.

ფარეში მაშინვე გავიდა. ბატონიშვილი ჩუმად იყო და ამიტომ დანარჩენებიც ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას, თუმცა არცერთ მათგანს არ ასვენებდა ცნობისმოყვარეობა, გაეგო, რას წერდა მეფე თავის შვილს. მალე სენაკში შემოიმართა ბეჭებგანიერი გოლიათი ციხისთავი ჯაჯანა ჭუმბურიძე.

— რას მიბრძანებთ, ბატონიშვილო? — ჰკითხა მან და კარებთან გაჩერდა.

— წაიყვანე ეს აბაშიძე, იარაღი აჰყარე და ტუსაღად გყავდეს. იცოდე,

თუ გაგექცა, ცოცხალი ვერ გადამირჩები.

— ეს ბატონო? — დამცინავად ჩაიცინა ჯაჯანამ და კუწუწას ახედდახედა — რო ვერ მოვერიო, რაღა ვქნა მერე!

მერაბი ბატონიშვილთან მივიდა, ვითომ წაჩურჩულა, მაგრამ იმდენად ხმამაღლა, რომ ყველას გაეგონა:

— რათ გვიხდა მაგის დატუსაღება, ენა მოვჭრათ და გავუშვათ ისე. მაგ, ძენი. ჭირიმე, წერეთლის მოგზავნილია ჯაშუშად. უენო რომ მიუვა, მაშინ ნახოს სეირი.

— არა, — გაიქნია თავი ბატონიშვილმა, — ჯერ იქ იყოს და მერე ვნახოთ. გაიყვანე, რაღას უცდი! — უბრძანა ჯაჯანას და, როდესაც მან კუწუწა გაიყვანა, განაგრძო: — თუ ამ ღამით ჩვენს ციხეს ალყა არა აქვს შემორტყმული, მაშინ, დილას, ინათლებს თუ არა, გზას უნდა გავუდგეთ თბილისისაკენ თორემ შემდეგ გვიან იქნება.

მერაბს სიხარულით აუციმციმდა თვალები. მან გამარჯვებულის სახით გადახედა თავის თანაძოაზრეებს, წელში გაიმართა და ისე აფუსფუსდა, თითქოს მაშინვე აპირებდა გზას დადგომოდა. დავითმა კი მშვიდად მოახსენა უფლისწულს:

— ალყის ნუ გედარდებათ, ბატონო. აქ ბუზი ვერ მოფრინდება ჩვენს გაუგებლად, გზებზე სულ ყარაულები მიყენია, მაგრამ წასვლა თუ გადაგიწყვეტია, მართლა ხვალვე ჯობს წავიდეთ.

— : —

სოლომონი კარგახანს ელოდებოდა შვილისაგან პასუხს და უკვირდა, პაპუნას გაგზავნილი კაცი თუ რად არ დაბრუნდა ამდენ ხანს და პასუხი არ მოუტანა. მართალია მან ძალზე მკაცრი წერილი მიწერა შვილს, ემუქრებოდა, თუ ჩემი ბრძანება არ შეგისრულებია, დავიწყებ, რომ შენ ჩემი ერთადერთი შვილი ხარ, იმერეთის ტახტის მემკვიდრე და სასტიკად დაგსჯიო; მსტოვრებმა ამბავი მომიტანეს, ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობ და ყოველდღე ჩემს მტრებთან თათბირობ, თუ ეს ტყუილია, დაუყოვნებლივ შეიპყარი თამაზა მესხი, შენი სიმამრი ევგენ აბაშიძე, მერაბ ნიჟარაძე, დავით აბაშიძე და ყველანი გათოკილი აქ მომგვარეო; მაშინ კი დავიჯერებ, ჩემი ერთგული ყოფილხარ და ყოველივეს გაბატიებო. მართალია, ამას წეოდა, მაგრამ ბიჭვილის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა ახლანდელ არ მოსვლია.

ბოლოს შორაპნის მეციხოვნე ხახუტა გაჩიჩილაძე ეახლა მეფეს და მოახსენა, თქვენი შვილი დავით აბაშიძის და სხვა დიდებულების თანხლებით ქართლში წაბრძანებულა და ერეკლე მეფეს ხლებია. სოლომონი მაშინ ვარციხის სასახლეში იყო და მასთან დიდებულთაგან მარტო პაპუნა წერეთელი და ბერი წულუკიძე იმყოფებოდა.

— რა მითხარი, ბიჭო, მაგ? — შეაცქერდა სოლომონი მეციხოვნეს, — მართალია მაგ ამბავი?

— ტყუილს რა გამაბედვინებს თქვენს წინაშე, მეფევ? — უთხრა ხახუტამ, — ან რა მსჯის.

— როდის წასულა?

— ასე მოგახსენებენ დღეისწორ ხუთშაბათს.

— მერე ამდენი ხანი ეს ამბავი რატომ არავინ გამაგებინა? — დაიჭექა სოლომონმა და პაპუნას და ბერის გადახედა, თითქოს იმათი ბრალი იყო ყოველივე.

— გზებზე ბატონიშვილს თავის ყარაულები დაუყენებია, — მოახსენა ხახუტამ მეფეს, — და არავის აქეთკენ წამოსვლის ნებას არ აძლევდნენ. იქით ვინც მიდიოდა, იმას ხელს არ ახლებდნენ, აქეთ კი, თქვენც არ მომიკვდეთ, აღარავის აღარ უშვებდნენ. მომიტანეს ამბავი, წავიყვანე ერთი ათი კაცი, წავავლე ხელი ბატონიშვილის ყარაულს, არ იღებს ხმას, რო მოვდევი ღაჯია, იცოცხლე, ამღერდა. მითხრა ყველაფერი. დავკარი ფეხი ავედი ჩხერში, ვინ მიშვებს ციხეში. გამოვიხმე ციხისთავი, არ გამოდის, იქიდან მიძახის, მე შენთან საქმე არ მაქვს, ბატონიშვილმა მიბრძანა, არც არავინ შევუშვა ციხეში, არც არავის დაძახილზე გარეთ არ გამოვიდეო. სადაა ბატონიშვილითქო. აქ არ ბრძანდება, მაგრამ შენ ვისი ტიკი ტომარა ხარ, რომ ანგარიში ჩაგაბარო, სადაც თითონ ნებავს, იქ ბრძანდებაო. წამოვედი, რაღას ვიზამდი. სოფელში გავიგე ყველაფერი. სამასი კაცი სულ რჩეული ვაჟკაცი გაუყოლებია, თან ხლებიან სახლთუხუცესი დავით აბაში-

ძე, სარდალი თამაზა მესხი, მერაბ ნიჟარაძე, შოშიტა...

— ხომ ვთქვი, ტყვილა არაა წასული ის გაიცვერა ძელია ბატონიშვილთანთქო, მერაბზე რომ მოგახსენებდი, — შეაწყვეტინა ციხისთავს პაპუნა წერეთელძა და მეფეს მიმართა: — ვთქვი, შეთქმულებას აწყობენთქო, გულმა მიგრძნო. ა, ბატონო, თუ ტყუილს მოგახსენებდი.

— რომ ვერ მოისვენა იმ მართლა მელიამ, რომ ვერ მოისვენა! — ჩაერია ბერი წულუკიძე. — შეუჩნდა ალბათ ბატონიშვილს, შეაგულიანა, წავიდეთ ერეკლეს ვთხოვოთ, მამაშენი ტახტიდან გადავაყენოთ და ქვე ჩვენ ვიპარპაშოთ იმერეთშიო.

— წავიდენ მაშ, ჰა?! — აღმოხდა სოლომონს. — ამირიეს ოჯახი, სამეფო, ახლა ზურგში დანა უნდათ ჩამცენ? წავიდენ ხომ? — დაირტყა მუხლზე ხელი სოლომონმა და ფეხზე წამოიჭრა. — ერეკლემ შესარიგებლად მოციქულები მომიგზავნა და თურმე ამას მიმზადებდა.

— არა, შენი ჭირიმე, ერეკლე აქ არაფერ შუაშია, — თამამად მოახსენა პაპუნა წერეთელმა, — ჯერ არაფერი ვიცით, როგორ მიიღო ერეკლემ, ან რა უთხრა ბატონიშვილს და წინასწარ ძნელია მაგის თქმა. ერეკლეს რომ მასეთი განზრახვა ჰქონოდა, ტახტის მოცილე ბატონიშვილი დავით გიორგის-ძე სახლში უჯდა, მაგრამ, პირიქით, იმისი თავი შემოგავედრა და აქეთ გამოგიგზავნა. აქ, მეფევ, მთელი დანაშაული ჩვენს მოქიშპე თავადებს მიუძღვის. უბრძანე ჩემი და ბერი წულუკიძის განდევნა სამეფო კარიდან და თქვენ ვაჟს ისინი ხვალვე ხელფეხშეკრულს მოგგვრიან.

— სახლთუხუცესი მართალს მოგახსენებს, — მიეშველა პაპუნას ბერი წულუკიძე, — ჩვენი დარდი არ ასვენებთყე, ბატონო, იმათ. მერაბ ნიჟარაძე ფიცისკაცებში მისულა თურმე და იძახოდა, თუ მე ბერი წულუკიძე თავის ხელით არ დავაკვლევინე მეფეს, ეს ულვაში ამპარსეთო.

ბერი წულუკიძე ერთ წუთს შედგა, კინალამ წამოსცდა ის, რაც კიდევ ეთქვა მერაბ ნიჟარაძეს და რის გამეორება შეუძლებელი იყო, მას კი დაურიდებლად წამოეროშა: ხომ შეატყუა ბერი წულუკიძემ თავის ნაბოზარი დაი მეფეს ცოლად და გაგვიდედოფლა, ყველაფერა რომ გავაგებინებ მეფეს ჩემ საკუთარი თვალით ნახულს, ასე ადვილად ძიბრძანდება ძაგ გაიძვერა, მერე რომელ სოროში უნდა რომ შეყოს თავიო.

მართალია, წულუკიძის აზრით, ეს ამბავი მტკნარი ცილისწამება იყო, მაგრამ ამ ნაჩქარევად დაწინაურებულ და მეფესთან დამოყვრებულ კარისკაცს მაინც ეშინოდა: ქვრივი ქალისას რას გაიგებ, იქნება მართლა შეცდა ეს უბედური ჩემი დაი, დედოფლად რომ გახდებოდა, რა იცოდა, შეიძლება სისხლმა შეაწუხა, იფიქრა, თუ გამიცინა ვინმემ, მეც გავუცინებ, ვინ რას გამიგებსო, და ღმერთი კი დასწყევლის ქალის გაჩენას, შეიძლება კიდევაც იმრუწ...ო, — ამბობდა გუნებაში ბერი.

წულუკიძეს ეშინოდა, რომ ეს ამბავი არავის ჩაეწვეთებინა ყურში სოლომონისათვის და ახლა ისე შეეგუბა სული რომ კინალამ ენაზე იკბინა, მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო:

— ნეტავი რა დამიშავებია მისთვის, რას მერჩის, რას მემართლება? ასე უთქვამს ჩემი სამკვიდრო სახელო მეფემ წულუკიძეს ბისცაო, ჩემს მამულებზე დაასახლაო, დავიჯეროთ ახლა მაგ? როდის იყო, რომ ნიჟარაძეები სამეფო კარზე მეფის პირველ მსახურად ითვლებოდნენ. მამამაგისი იყო და, რაც ყმა ჰყავდა, თათრებში გაყიდა, ადგილმამული გაანიავა. ეს თავისი შიშველ-ტიტველი შვილები მოგიყარა აქ, გოჭებივით, შენ მირჩინეო; დაუზარდე, ასწავლე, კაცები გამოიყვანე, ეს აღარ იკმარეს, იძახიან — ყველაფერი ჩვენიაო, იმე! ასე რავა შეიძლება!

სოლომონი წარბშეკრული უსმენდა ერთგულ დიდებულებს და სასახლის ფართო აივნიდან თავისი გადმოქაჩული თვალებით გადაცქეროდა რიონის დაცემულ ბალას. მას გული დაწყდა, რომ ბატონიშვილის გაპარვა ქართლში ერეკლეს განზრახვებთან არ აღმოჩნდა დაკავშირებული. ახლა თავისთავზე უფრო მოდიოდა გული. ხვაშიადი გაამღავნა, დაუფიქრებლად აჩქარდა და ბრალი დასდო ერეკლეს, როდესაც ის არაფერ შუაში იყო.

ქიშპობის სენით შეპყრობილ სოლომონს გუნებაში ყოველთვის სიამოვნებ-

და, თუკი ქართლ-კახეთის მეფის რაიმე ნაკლს გაიგებდა, მაშინვე გულში გაჰკრავდა, მე ვჯობნივარო, და კმაყოფილებას გრძნობდა. ამაში, შესაძლებელია, მლიქვნელ დიდებულებს უფრო მიუძღოდათ ბრალი. განსაკუთრებით ქართლიდან გადმოხეწვილ თავადებს: სად თქვენ და სად ისო, ეუბნებოდნენ; ერეკლეზე კარგიც რომ გაეგონათ, მაინც ცუდობით შეატრიალებდნენ, და მის ბუზის ოდენა შეცდომას სპილოს ოდენად აქცევდნენ, შუბლზე ხელს შემოირტყამდნენ და თან ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ გვიხსენი და სოლომონი მოგვივლინე პატრონადო.

სოლომონი საკმაოდ ძლიერი გონების ადამიანი იყო, თავის ამ ნაკლულოვანებას და კარისკაცთა გადაჭარბებულ ფლიდობას აშკარად ხედავდა, მაგრამ პატივმოყვარეობის ტკბილი ნეტარებით მთვრალს ძალა აღარ ჰყოფნიდა ყველაფრისათვის ფხიზელი თვალით შეეხედა. ამიტომ იყო, რომ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში კიდევაც ცდილობდა თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. სოლომონი ხშირად ამბობდა (და არც მთლად უსაფუძვლოდ), ერეკლე ქვეყანას თავის პირად საკუთრებად თვლის და არ ესმის, რომ ის ერის მფარველი უნდა იყოს და არა მარტო თავისი პირადი მამულებისათვის მზრუნველი მებატონეო. ქართლ-კახეთი ჩამოსახლებული თათრებით, ბერძნებით და ათასი სხვა ჯურის ხალხით აავსო და თუ ასე განაგრძო, მის ქვეყანას ალბათ აღარც კი იქნება შესაძლებელი საქართველო ეწოდოს, ისე დაემსგავსება ბაბილონის გოდოლსო. ამ მოსაზრების სისწორე განსაკუთრებით ალექსანდრე ამილახვარმა დაუდასტურა. მან საკმაოდ დაწვრილებით გადაუშალა თვალწინ ქართლ-კახეთის იმდროინდელი მდგომარეობა და ისეთი შემზარავი სურათი დაუხატა, რომ ერეკლეს სიდიადიდან აღარაფერი აღარ დატოვა. განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა სოლომონზე ალექსანდრე ამილახვრის ტრაქტატმა „ბრძენი აღმოსავლეთისა გინა განზრახვა მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა“, რომელიც მას გადმოკეთებული ჰქონდა იმერთა მეფისათვის მონტესკიეს ცნობილი წიგნის „კანონების სულის“ რუსული თარგმანიდან.

„ჰეი რაზომ ბედნიერ არს და უმეტეს სანატრელ მეფე, — მოაგონდა ახლა სოლომონს ამ წიგნიდან ამოკითხული, — რომელმაც იცის ეფლება თავისი არა უსაზღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათაცა თანასწორად თავის კაცთა, რომელთა მიჰსცეს მას უფლება თავსა ზედა თვისსა და იქცევის მათთან უმეტეს უხუცესისა ძმისა ვიდრე თავმოყვარისა მეფისა“.

— რა ვქნათ ახლა, რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?—მიუბრუნდა სოლომონი ერთგულ დიდებულებს და ისევ ტახტს მიაშურა. დაჯდა, უკან გადაიწია, ხელებზე ისე დაეყრდნო თითქო ყავარჯნებზე დაბჯენილიყოს და მოსაუბრეებს გადახედა.

— მოვითმინოთ, შენი ჭირიმე, — შემპარავი ტკბილი ხმით უთხრა ბერი წულუკიძემ, რაკი შეატყო ოდნავი დამშვიდება მეფეს, — აჩქარება არ გვარგებს. ჯერ გავიგოთ ყოველივე, იქნება ბატონიშვილს ცუდი არაფერი არ გაუზრახავს და ისე სტუმრად ინება წვეოდა კახეთის მეფეს... — სოლომონმა უხმოდ ჩაიცინა თუ წარმოთქვა „ჰმ!ჰმ“, ვითომ რა გულუბრყვილო სისულელეს ამბობო და წულუკიძემ ფუსფუსით დასძინა: — არა, მე იმას კი არ მოგახსენებ.. შეაცდინეს, ბავშვი კაცია, ქვე რა ვუყოთ, ცოლი რო შეირთო.

— ბავშვი! მე თვრამეტი წლის ვიყავი ტახტზე რომ დავჯექი.

— შენ, შენი რისხვა ნუ მომეცემა, სხვა ხარ. შეცდა, რა ვუყოთ მერე. ქალი შეურთავს, რისხვა შეუთვალე, შეშინდა ყმაწვილი კაცი და იქნება ერეკლე მეფეს ეახლა, მამაჩემთან მოციქულად დამიდექი და შემარიგეო.

ბერი წულუკიძე განგებ აუბრალოებდა და აქარწყლებდა ბატონიშვილის დანაშაულს. ეშმაკმა კარისკაცმა იცოდა, რაც უფრო შეეცდებოდა ბატონიშვილის მოქმედება მეტად უსუსური საბუთებით გაემართლებინა, მით უფრო გააღვივებდა საწინააღმდეგო მოსაზრებებს და გაახელებდა მეფეს.

— ქალიც ხომ სხვისი რჩევით არ შეურთავს, — განაგრძობდა ბერი — ასე მოგახსენებენ, მერაბ ნიჟარაძე, (ჩემი მტერი კია, მაგრამ მაინც სიმართლე უნდა ვთქვა), არაფერი შუაშია, ოითონ უნახავს, გამიჯნურებია...

„ჰეი რაზომ ბედნიერ არს და უმეტეს სანატრელ მეფე, — მოაგონდა ახლა სოლომონს ამ წიგნიდან ამოკითხული, — რომელმაც იცის ეფლება თავისი არა უსაზღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათაცა თანასწორად თავის კაცთა, რომელთა მიჰსცეს მას უფლება თავსა ზედა თვისსა და იქცევის მათთან უმეტეს უხუცესისა ძმისა ვიდრე თავმოყვარისა მეფისა“.

— რა ვქნათ ახლა, რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?—მიუბრუნდა სოლომონი ერთგულ დიდებულებს და ისევ ტახტს მიაშურა. დაჯდა, უკან გადაიწია, ხელებზე ისე დაეყრდნო თითქო ყავარჯნებზე დაბჯენილიყოს და მოსაუბრეებს გადახედა.

— მოვითმინოთ, შენი ჭირიმე, — შემპარავი ტკბილი ხმით უთხრა ბერი წულუკიძემ, რაკი შეატყო ოდნავი დამშვიდება მეფეს, — აჩქარება არ გვარგებს. ჯერ გავიგოთ ყოველივე, იქნება ბატონიშვილს ცუდი არაფერი არ გაუზრახავს და ისე სტუმრად ინება წვეოდა კახეთის მეფეს... — სოლომონმა უხმოდ ჩაიცინა თუ წარმოთქვა „ჰმ!ჰმ“, ვითომ რა გულუბრყვილო სისულელეს ამბობო და წულუკიძემ ფუსფუსით დასძინა: — არა, მე იმას კი არ მოგახსენებ.. შეაცდინეს, ბავშვი კაცია, ქვე რა ვუყოთ, ცოლი რო შეირთო.

— ბავშვი! მე თვრამეტი წლის ვიყავი ტახტზე რომ დავჯექი.

— შენ, შენი რისხვა ნუ მომეცემა, სხვა ხარ. შეცდა, რა ვუყოთ მერე. ქალი შეურთავს, რისხვა შეუთვალე, შეშინდა ყმაწვილი კაცი და იქნება ერეკლე მეფეს ეახლა, მამაჩემთან მოციქულად დამიდექი და შემარიგეო.

ბერი წულუკიძე განგებ აუბრალოებდა და აქარწყლებდა ბატონიშვილის დანაშაულს. ეშმაკმა კარისკაცმა იცოდა, რაც უფრო შეეცდებოდა ბატონიშვილის მოქმედება მეტად უსუსური საბუთებით გაემართლებინა, მით უფრო გააღვივებდა საწინააღმდეგო მოსაზრებებს და გაახელებდა მეფეს.

— ქალიც ხომ სხვისი რჩევით არ შეურთავს, — განაგრძობდა ბერი — ასე მოგახსენებენ, მერაბ ნიჟარაძე, (ჩემი მტერი კია, მაგრამ მაინც სიმართლე უნდა ვთქვა), არაფერი შუაშია, ოითონ უნახავს, გამიჯნურებია...

იმ მერაბ ნიჯარაძეს... — სოლომონმა მეციხოვნეს შეხედა და უბრძანა: — წადი, როცა საჭირო იქნება დაგიძახებთ. — მეციხოვნე წავიდა და სოლომონმა განაგრძო: — იმ მერაბ ნიჯარაძეს თავს კი არ მოვკვეთ, თვალებს დავთხრი და მთავარანგელოზის ბჭესთან დავაჯენ მათხოვრად...

რიონის გალმა შარაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ. ისინი გამალებული მოაჭენებდნენ ცხენებს და ბორანს უახლოვდებოდნენ. სოლომონმა ფარეშს უბრძანა დურბინდი გამოეტანა და ყველანი აივნის მოაჯირს მიადგნენ.

— ვინ არიან ნეტავ? — იკითხა სოლომონმა და დურბინდი მოიმარჯვა. — ოჰო, ჩემი სიძე მობრძანდება ელიზბარ ერისთავი, ეს მეორე გაბაშვილია, მესამე ვინაა, აბა შენ შეხედე, სარდალო, — გაუწოდა პაპუნას დურბინდი სოლომონმა.

სანამ პაპუნა დურბინდს მოიმარჯვებდა და რომელიმე მათგანს გაარჩევდა, მხედრები თხმელათა კორომში შევიდნენ და თვალთაგან მიეფარნენ.

არაფერი ისე არ სიამოვნებდა სოლომონს, როგორც მომსვლელი. იმ ხანაში საქმეზე ან სტუმრად მოსულ ადამიანს აუცილებლად რაიმე ახალი ამბავიც უნდა მოეტანა და ამიტომ მომსვლელი ყოველდღე ისევე სანატრელი და აუცილებელი იყო მაშინ მეფის ან თავადისათვის, როგორც თანამედროვე განათლებული ადამიანისათვის ჟურნალ-გაზეთები.

— ის მესამე ვინ იყო, როგორ ვერ გავიგეთ, — წყენით წამოიძახა სოლომონმა, — სანამ შენ მაგას გამართავდი, ისინი კიდევაც გამოვიდნენ მგონი გამოლმა.

— მაგას ახლავე გავიგებთ. ბიჭია — ასძახა მარცხნივ კუთხის გოდოლზე გადმომდგარ მეციხოვნეს პაპუნამ, — ჩაირბინე ერთი, თუ კაცი ხარ, ბორანთან და გაგვიგე, ვინ არიან ისინი, ჩვენთან რომ მოდიან.

— ერთი ელიზბარ ერისთავია, ბატონო, — გადმოძახა მეციხოვნემ.

— ეგ ჩვენც ვიცით.

— მეორე ახალი მდივან-მწიგნობარი გახლავთ.

— ეგეც ვიცით.

— მესამე, კახეთიდან რომ გეახლათ, დავით ბატონიშვილის მოურავი, ისაა.

— ყოჩაღ, თუ მართლა მიხვდი, დამბაჩა მიჩუქნია შენთვის. — გასძახა სოლომონმა და სიამოვნებით გადაისვა ულვაშზე ხელი. — დურბინდი თუ არ უჭირავს, იმიტომაც ვერ იცნო.

დავით ბატონიშვილის მოურავი, მახ შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ ბესიკთან ერთად პირველად გაემგზავრა წირქვალში მამულების ჩასაბარებლად, მთელი წლის განმავლობაში გაკრული იყო იმერეთ-ქართლის გზაზე და მახ სასახლის ყოველი დარაჯი იცნობდა. მამულების ჩაბარება არც ასე იოლი საქმე იყო, მით უმეტეს, რომ მას ნაბრძანები ჰქონდა, არავისთვის არაფერი გაემხილა მანამდე, სანამ სიგელს მეფე თავის ბეჭედს არ დაარტყამდა. გარდა ამისა, მოურავმა ჩუმად გაიკითხ-გამოიკითხა და გაიგო, რომ ეს მამულები, გარდა იმისა, რაც ეკუთვნოდა მემკვიდრე ბატონიშვილს ალექსანდრეს, მრავალი მებატონეთა მიერ სადავოდ იყო ქცეული. ზოგს ძველისძველი მეფეების წყალობის სიგელი ჰქონდა, ზოგი მთას იჩემებდა თავისად, ზოგი ყმას, ზოგი ვენახს და მოურავი იძულებული იყო ყოველივე გამოერკვია, ოქმები შეედგინა და მეფესთვის მოდავეთა სარჩელი გაებათილებინა. ამას მთელი შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული დაჭირდა. ბოლოს ყოველივე დამთავრდა, მეფემ სიგელი დაუმოწმა და მოურავი მაშინვე გაემგზავრა ქართლში.

ახლა, ცხადი იყო, მას ჩამოეყვანა დავით გიორგის-ძე მთელი ოჯახით და მეფესთან მოდიოდა მოსახსენებლად.

მცირე მოლოდინის შემდეგ ცხენოსნები სასახლის კარიბჭეს მოადგნენ. მათ წინ შეეგება ეზოს მოძღვარი პაპუნა აბულაძე და სამთავეს მაშინვე წაუძღვა მეფესთან.

— მადლობა უფალს, რომ გვიკადრე, მადლობა უფალს, — მიმართა სოლომონმა ელიზბარ ერისთავს, — თუმცა შენზე გული არც უნდა მომივიდეს. საკუთარი შვილი თუ მღალატობს და არ მეკარება, სიძეზე როგორ უნდა დამწყდეს გული.

— ეს რა გავიგე, თქვენო უმაღლესობავ, მართლაც რომ თავზარდამცემი ამბავი, — უთხრა ელიზბარმა და მეფეს

მხარზე ეამბორა, — კიდევ კარგი, დავით ბატონიშვილის მოურავმა ცოტა დამამშვიდა...

— ჰო! — სოლომონმა მოურავს შეხედა, რომელიც მიუახლოვდა მას და ჩოხის კალთაზე ემთხვია.

— ეს დასწრებია, მეფევ, და ყოველივეს თითონ მოგახსენებთ.

სოლომონმა ახლა ბესიკს შეხედა, სალამზე ოდნავ გაუღიმა და ხელი საამბოროდ გაუწოდა. ბესიკი მაშინვე მიუახლოვდა, ეამბორა და უკან დადგა, მეფე კი ისევ მოურავს მოუბრუნდა.

— დამავიწყდა, შენი სახელი? — ჰკითხა სოლომონმა მოურავს.

— ბეჟან, თქვენი დღეგრძელობა ნუ მომაკლოს ღმერთმა, გოგიანთ ბეჟანას მიხმობენ.

— რაო, ბეჟან, დააბინავე ბატონიშვილი?

— ჯე არა, მეფევ. ცოლიც და ქმარიც ქუთაისში ბრძანდებიან, თქვენთან ხლება სურთ, მადლობა უნდათ მოგახსენონ და თაყვანიცა გცენ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

— მობრძანდნენ, — რაღაც მწარე ღიმილით თქვა სოლომონმა, — საკუთარი სხვაგან გამირბის, კიდევ კარგი სხვისი მაინც მოდის ჩემთან. როდის მოხვედით?

— დღეს დილით გეახელით.

— ჩემი შვილის ამბავი იცით რამე?

— როგორ არა, შენი ჭირიმე. გორში გახლდით. ბატონი ერეკლეც გორში ბრძანდებოდა, თბილისში ყვავილ-ბატონებია და ოჯახით გაერიდა, ჩვენც აქეთ წამოსასვლელად ვემზადებოდით. ამ დროს ხმა გავარდა, იმერთა ბატონიშვილი ალექსანდრე მობრძანდაო. ავიშალენით, ლიახვთან გავეგებენით. ბატონიშვილი მეუღლით მობრძანდა. სამასი კაცი ახლდა. წინ ლეონ ბატონიშვილი შეეგება და ბატონთან წაუძღვა. ერეკლე ციხეში ბრძანდებოდა. ალაყაფთან გამოეგება. მერე თქვენმა მემკვიდრემ მოახსენა, უნდა შემოგფიცო, რომ მამაჩემს ღალატით არ გავდგომივარო. მე მამაჩემის ორგული არ ვყოფილვარ მარა შემაბეზღეს, გიჭერსო და გაღარიბებსო. თავი აღარ მამართლებინა და წახდენისა მეშინოდა და გამოვექეცი. მეფემ ერეკლემ უბრძანა, რად დაიფიცავ და ვინ გპატიჟებსო, ესე იგი, თქვენებურად — ვინა გსჯისო, ფიცს არავინ გაძალებსო...

— აგრე უთხრა? — შეეკითხა სოლომონმა და დიდებულებს გადახედა. — გესმით? კიდევ იტყვით არაფერ შუაში არისო? ჩემი შვილი ხატზე დაფიცებას აპირებს მამაჩემის მოღალატე არა ვარო, ის ეუბნება, არ დაიფიცო, მე არ გაძალებო. დაიფიცა?

— დიახ. ექვს აგვისტოს მობრძანდა და რვა აგვისტოს მეფისა და ლეონ ბატონიშვილს თანდასწრებით დაიფიცა. სახლთუხუცესი დავით აბაშიძე და თამაზა მესხი ურჩევდნენ, ბატონო არავინ გაძალებს ამ ფიცს და თავს რაზე იწუხებთო. ბატონიშვილმა არ დაუჯერა. მეც იქ გახლდით და ჩემი ყურით გავიგონე...

— კარგი. მადლობელი ვარ ამბისათვის. დავით ბატონიშვილს და მის მეუღლეს მოახსენე, მოხარული ვიქნები თქვენი ხილვისათქო. ეზოს მოძღვარო, — მიუბრუნდა სოლომონი პაპუნა აბულაძეს, — ამ კაცს პატივი ეცი, მერე ქუთაისს გაისტუმრე. ამ საღამოს შეიძლება ჩვენც ვინებოთ ქუთაისს გამგზავრება.

ბეჟანი და პაპუნა გავიდნენ, სოლომონი კი მაშინვე მიუბრუნდა ბესიკს და უთხრა:

— აბა, მგოსანო, აღიკაზმე მგზავრობად სპარსეთსა შიგან, კარსა ქერიმხან ზანდისა. არ აგცდა ეს მძიმე ტვირთი, მაგრამ, რას იზამ, არ გვაყენებენ. ერეკლემ ჩემი შვილი ალექსანდრე ჩაიგდო ხელში. მე ალექსანდრე ბაქარის-ძეს ჩამოვიყვან სპარსეთიდან. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!

— : —

ქუთაისში დავით ბატონიშვილს, მეუღლის გარდა, თან ახლდა თავისი დაი თექვსმეტი წლის ქეთევანი. რძალიც და მულიც თითქმის ტოლები იყვნენ და ისე დამეგობრდნენ ორთავენი, რომ ერთმანეთის გულის მესაიდუმლენი გახდნენ. ნამდვილად ეს უფრო ქეთევანზე ითქმოდა, რადგან ყოველივეს გულახდილად უამბობდა, მაშინ, როდესაც ანა იშვიათად გაუმხელდა მულს თავის საიდუმლოებებს და მხოლოდ ქმრის შესახებ არაფერს უფარავდა. ქეთევანმა იცოდა ძმის უკურნელი მანკიერებიც, მიტომ რძალი ებრალებოდა, უბე-

დურ, განწირულ ადამიანად მიაჩნდა და სულ გულ'ძი იხუტებდა. ამ გულწრფელმა გულშემატკივრობამ განსაკუთრებით შეაყვარა თავისი მული, მაგრამ მსტოვართა გარემოცვაში აღზრდილი და სიფრთხილეს შეჩვეული ანა თავის პირად საიდუმლოებათა ჯურღმულებში არავის ჩაახედებდა. გარეგნულად ქეთევანი თითქოს ძალზე ჰყავდა დაახლოებული და ის იყო ანას ერთადერთი მესაიდუმლე, მაგრამ სინამდვილეში ისიც ისევე შორს იდგა ანასაგან, როგორც მი'ი ძმა. ანას არავინ არ ჰყავდა, არც მეგობარი, არც ნათესავი, რომ გულის მესაიდუმლედ გაეხადა. ახალგაზრდა ქალი სრულიად მარტოდმარტო იყო და თავისივე ბედის ხომალდზე თითონვე იდგა მესაჭედ. იქნებ ამ სიმარტოვის ბრალი იყო ანას ასეთი განმტკიცება და გაკაჟება. სოლომონთან შერიგება მან თხოვა ერეკლეს და მანვე აიძულა ქართლ-კახეთის მეფე, ეთხოვა იმერთა მეფისათვის, რათა მას მამულები ებოძებინა სხვის კარზე სამოწყალოდ მოხეტიალე უნებისყოფო და ბეჩავ დავით უფლისწულისათვის. მანვე დაიბარა სამეგრელოდან თავისი მული, იმ განზრახვით, რომ რომელიმე დიდგვარიან დიდებულს შერთავდა და ამით მდგომარეობას განიმტკიცებდა. მართალია, ქეთევანს ახალგაზრდობის გარდა სხვა ბევრი ვერაფერი ამკობდა ისეთი, რაც მამაკაცს მოხიბლავდა, არც გარეგნობა და არც ჭკუა, მაგრამ მაინც ბაგრატიონთა გვარისა იყო და სამეფო გვარეულობასთან დანათესავების სურვილით არც ერთი თავადი არ დაერიდებოდა მის შერთვას. ანიკოს პირველად სურდა ქეთევანი ლეონისათვის გაერიგებინა და ერთხელ სიტყვაც კი ჩამოუგდო დარეჯან დედოფალს, მაგრამ დარეჯანმა ტუჩი აიბზუა, მე რუსეთის იმპერატრიცამ შემომითვალა, შენს შვილს ჩვენი დიდებული თავადის ქალი უნდა შევრთო და აბა იმას უარს ხომ ვერ მოვახსენებო. თითონ ლეონმაც გაიგო თუ არა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ანიკოს პირში უთხრა, ერთი გიჟი შენც გეყოფა და მეორე ჩვენი ოჯახისათვის მეტისმეტი იქნებაო. ამიტომ, ანიკომ, როგორც კი იმერეთის მამულები გამოითხოვა, პირვანდელი განზრახვა შეიცვალა და ახლა იმერთა დიდებულებს დაუწყო თვალთვალი. იმერეთის დიდგვარიან თავადთან დამოყვრება ანიკოსათვის მით იყო ხელსაყრელი, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის უთანხმოება მამამისთან შეიძლება უფრო გამწვავებულიყო და მაშინ დავით გიორგისძის გამეფება იმერეთში მართლა შესაძლებელი ხდებოდა.

ქუთაისში ანას ნანატრივით დაუხვდა თავისი ბიძა ელიზბარ ერისთავი და ბესიკი. ერთი უახლოესი ნათესავი, მეორე უახლოესი მეგობარი იყო და ანა მთელ თავის მომავალ იმედებს ამ ორ კარისკაცზე ამყარებდა. პირველმა შეხვედრამ ეს იმედები გაუმართლა. ელიზბარმა ანა მაშინვე წარუდგინა დედოფალ გულფანას. თავისი გერის მოქმედებით განრისხებულმა დედოფალმა განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით მიიღო თავის ქმრის ბიძაშვილი დავითი, მისი მეუღლე ანა და დაი ქეთევანი. დიდი სიხარული გამოთქვა, რომ იმერთა მეფის სახლის ჭერქვეშ იხილა ესოდენი სახელოვანი მამის შვილი, ღირსი სკიპტრისა და ფაენისა. მსახურთ უბრძანა სტუმრებისათვის მოევლოთ, ხოლო ელიზბარ ერისთავს და ბესიკს თხოვა წასულიყვნენ ვარციხეს, რათა სოლომონისათვის ეცნობებიათ საკუთარი ვაჟის გაპარვა და ბიძაშვილის სტუმრობა. გაისტუმრა თუ არ ისინი, გულფანამ ანა თავის საწოლ ოთახში დაიბარა, მასთან ერთად ჩაიკეტა და მუსაიფი გაბა. დაწვრილებით აამბობინა, ჯერ თვისი გერის კახეთში გადასვლის ამბები და შემდეგ ყველაფერი, რაც კი იცოდა ერეკლეს ოჯახის, თავის მაზლის არჩილის და ელენეს შესახებ. ხშირად გულფანა ანას ლაპარაკს შეაწყვეტინებდა და ეტყოდა:

— შენ გენაცვალე, რა კარგი ყოფილხარ, რა ლამაზი, მერე, შენი ჭირიმე, ყველაფერი მიამბე, ყველაფერი.

ანა განაგრძობდა მბობას და ცოტახნის შემდეგ გულფანა კვლავ შეაწყვეტინებად:

— ნეტავ შენისთანა ლამაზი თუა ამ ქვეყანაზე ვინმე. ბაგრატიონის და ორბელიანის სახლის ქალებში შენისთანა

ჯერ არ დაბადებულა. კი გეკუთვნის იმერეთის დედოფლობა ჩვენს შემდეგ, შენ ნუ მოუკვდები გულფანას, გეკუთვნის და ქალი არ ვიყო, თუ ეს ასე არ მოხდეს. მერე, შენ განაცვალე, მერე, უკაცრავად, სიტყვა შეგაწყვეტინე.

ანა გულში სიხარულით ცას სწვდებოდა. მოულოდნელად ასეთი მოკავშირე და მფარველი დაუხვდა. გულფანას, აშკარა იყო, საკუთარი შვილის გამეფების იმედი არ ექნებოდა. ქაჯაიას ხელში ნაყოლ ვაჟს იმერეთში მეფის გვირგვინს არავინ დაადგამდა და თუ სოლომონი საბოლოოდ შერისხავდა ალექსანდრეს, მაშინ ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ დავით გიორგის-ძე რჩებოდა. ამ ხელსაყრელ პირობებს ზედ ერთვოდა დიდგვარიან თავადთა შორის ჩამოვარდნილი შუღლი. სოლომონის დაწინაურებული თავადები მოპოებული მდგომარეობის დაკარგვის შიშით, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილის დაბრუნებას, რომელსაც გარს ერტყა სოლომონით უკმაყოფილო დიდებულთა ჯგუფი და ყოველ ძალღონეს იხმარდნენ, რათა იმერეთის ტახტზე ისეთი მემკვიდრე ასულიყო, რომელთანაც, თავისი უპირატესობის და გავლენის შენარჩუნება შეეძლოთ. ყველაზე სასურველი ამ შემთხვევაში ჭკუანაკლები დავითი იყო, რომლის გამეფებით განუსაზღვრელი უფლებები უვარდებოდა ხელში ყველას, ვინც კი ამ უნებისყოფო ბატონიშვილს ტახტზე აიყვანდა. გონებაგამახვილებული ანა ყოველივე ამას კარგად გრძნობდა და ნათლად ხედავდა. გულფანას გადაჭარბებულმა ალერსმა კიდევ უფრო უკეთ დაანახა, რამდენად ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა მისთვის. ამიტომ ის მთელი გულით მიენდო იმერთა დედოფალს და თავი ისე დაიჭირა, ისეთი მოწიწებით მიმართავდა საუბარში და იმდენი ეჟღურტულა, და გააბრუა ქებადიდების შესხმით, რომ საბოლოოდ მოხიბლული გულფანა სულ გულში იხუტებდა ამ თვალციმციმა ახალგაზრდა ქალს.

საღამოს სოლომონიც მოვიდა. დავითი და ანა ალერსიანად მიიღო და მათ პატივსაცემად გაჩირაღდნებულ დიდ დარბაზში სანადიმო სუფრა გააშლევინა. ნადიმზე ყველანი განსაკუთრებით უკვირდებოდნენ დავითს. უფლისწულს სურდათ გაეგოთ, როგორ დაეჭერდა თავს ბატონიშვილი და გამოერკვიათ, მართლა გიჟი იყო თუ არა. მოლოდინი არ გაუმართლდათ. დავითს საკმაოდ თავაზიანად და მშვიდათ ეჭირა თავი, ლაპარაკში არ ერეოდა და კითხვებზე მარტივ პასუხებს იძლეოდა. ძალზე ზომიერად დალია და საჭმელიც ცოტა ჭამა: ნავახშმევს სოლომონთან ბოდიში მოიხადა, დაღლა მოიმიზეზა, დასაძინებლად წასვლის ნებართვა სთხოვა და თავისთვის მიჩნეულ ოთახში წავიდა. დანარჩენები გალაგდნენ, დიდ აივანზე, რომელიც რიონს გადაცქეროდა, და საუბარი გააბეს. ერთ მხარეს ქალები დასხდნენ, მათ ისე მჭიდროდ მიადგეს ერთმანეთს სავარძლები, რომ ერთ თაიგულად შეიკვრენ და თავისთვის მუსაიფობდნენ, მეორე მხარეს — მამაკაცები. სოლომონი მოაჯირთან ჩამოჯდა და მთვარით გაქათქათებულ დაბლობს გადაცქეროდა.

ქალთა შორის გულფანას და ანას გარდა აქ იყვნენ სოლომონის დაი — ელიზბარ ერისთავის მეუღლე დომნინა ანუ როგორც შინაობაში უწოდებდნენ დომნა, ბერი წულუკიძის მეუღლე ერმონია, ქალიშვილი დარეჯანით, ანას მული ქეთევანი და კიდევ რამდენიმე მანდილოსანი. ქალებმა მაშინვე გააბეს ძალდაუტანებელი მუსაიფი და, როგორც ხშირად ჩვევიათ, ერთმანეთს არც კი აცდიდნენ ლაპარაკს. მათი საუბრის საგანი ბატონიშვილი ალექსანდრეს დაუკითხავად ქალის შერთვას და ქართლში გარდახვეწას შეეხებოდა. ზოგი მორიდებულად, ზოგი უფრო თამამად ჰკიცხავდა ბატონიშვილის საქციელს და ყველანი იმ აზრს გამოთქვამდნენ, რომ ასეთი შვილი ღირსი იყო სასტიკი სასჯელისა. მარტო გულფანა არ ერეოდა მსჯელობაში და თავდაჭერილად იყო. ხანდახან პირიქით, და ისიც ქმრის გასაგონად, კიდევაც იცავდა ბატონიშვილს, მაგრამ ამით უფრო აღიზიანებდა ქალებსაც და ქმარსაც.

სოლომონი კარგახანს იჯდა აივანზე მდუმარედ და ფიქრებში წასული ყურადღებას არ აქცევდა არც ქალთა

და არც მამაკაცთა საუბარს. ისინიც თითქოს შიშობდნენ, მეფე არ შეეკრთოთ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

— ბესიკი სად არის? — იკითხა მოულოდნელად სოლომონმა.

კარისკაცები წამოიშალნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს, ბესიკი არც აივანზე და არც დარბაზში არ იყო.

მწიგნობართუხუცესი გოგია აბაშიძე მოუახლოვდა მეფეს და შეშფოთებით ჰკითხა:

— დასაწერი ხომ არაფერი გაქვს, მეფევ, ბესიკი ჩემს დაუკითხავად სახლში წაბრძანებულა (ეს სიტყვა დაცინვით წარმოსთქვა გოგიამ).

— დასაწერი, თორემ შენ რომ დიდი დამწერი მყავხარ, — ღიმილით უთხრა სოლომონმა.

ამ სიტყვებზე ანამ დაურიდებლად გადიკისკისა, გოგია აენთო. ეს სიცილი მწარედ მოხვდა გულზე.

— ბავშვობიდან ასე გამიგონია, წერა-კითხვა ქალების საქმეა და არა ვაჟკაცისაო, თორემ ჭყაპნას მეც ვისწავლიდი, — წაიდუდუნა გოგიამ. — მიბრძანებთ, მოგგვაროთ მწერალი? ახლავე მოვაყვანინებ ლევონტი ნიჟარაძეს.

— არა, შენ ბესიკი მომგვარე.

— კი, ბატონო, ახლავე. — გაიმართა წელში გოგია, ანას ამაყად ჩაუარა და გუნებაში გაიფიქრა: „მაცადე, შენ, კაცი არ ვიყო, თუ არ გახვეწიო ერთხელ ტყუილა მაინც შემომხედეო. შენ გგონია არ ვიცი, რომ ყოველ ღამე იცვლი საყვარლებს“. ეზოს აივანზე გავიდა და მსახურებს გასძახა: — რომელი ხართ მად, ეზოს მოძღვარი მომგვარეთ.

მაშინვე, ქვედასართულიდან მოისმა: „მე მიძახი, ბატონო?“ და სანამ გოგია აბაშიძე რაიმეს უპასუხებდა, ეზოს მოძღვარი უკვე კიბეებზე ამორბოდა.

— წადი ახლავე და ბესიკი მოიყვანე. მეფე იბარებს, — უბრძანა მწიგნობართუხუცესმა ეზოს მოძღვარს, — დაუკითხავად რომ მიდიოდა ჩემგან მიიღო ნება? უთხარი იმ ყმაწვილს, მეორედ აღარ ქნას ასეთი საქმე, თვარა მე ვიცი, რასაც ვუზამ. უმცროს-უფროსობა ჯერ არ გადავარდნილა ჩვენშითქო.

ეზოსმოძღვარი წავიდა, გოგია კი კარგახანს წრიალებდა აივანზე და აღარ იცოდა, ვისზედ ამოეყარა გულისჯავრი. ანას დამცინავი სიცილი მოსვენებას არ აძლევდა. ჯერ კიდევ, სანამ დავით უფლისწული მოვიდოდა იმერეთს, თავის მეუღლით, სოლომონის კარისკაცთა შორის ერთი მითქმა-მოთქმა ატყდა. ყველას სალაპარაკოდ ჰქონდათ, რომ მოწყვეტილი ვარსკვლავივით ლამაზ ანას ასეთი ტვინნაკლები და დოყლაპია ქმარი ჰყავდა. ჩუმად იმასაც კი დასძენდნენ, რომ ბატონიშვილი ცვედანი ყოფილა და მისი ვნებააშლილი მეუღლე თვალებით ჭამს მამაკაცებსო. გოგია აბაშიძეს თავი ულამაზეს კაცად მიაჩნდა, (თმა ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცვენილი და ლოკოკინას ნიჟარასავით დახვეული ულვაშები მჭიდროდ მიბჯენოდა ქორივით მოკაკულ ცხვირს). ასევე ფიქრობდნენ ალბათ ბახტაძეების და ლორთქფანიძეების გაუთხოვარი ქალები და ეს ქოთქოთა მამალივით ამაყად მოსიარულე დიდებული სილამაზის განსახიერებად მიაჩნდათ.

გოგია იმდენად დარწმუნებული იყო თავის გარეგნობის მომჯადოებელ ძალაში, რომ სანამ თვალით ნახავდა დავით უფლისწულის მეუღლეს, წინასწარ უკვე გადაწყვიტა, რომ აუცილებლად დაისაკუთრებდა მის გულს. „შენ ნახავ, რა საქმეები გავაკეთო — ეუბნებოდა თავისთავს გოგია, — მაცადე შენ, რა საქმები გავაკეთო. ყველას თვალებს უპრაწავს თურმე და მე რომ დამინახავს, ხომ ბნედა მოუვა. თუ საქმე-საქმეზე მიდგა, შეიძლება ტახტზედაც ქე ავიდეს. მერე ერთი ვაჟიშვილიც თუ შეეძინა, მაშინ თქვი აბაშიძე, რა ბიჭი ყოფილხართქო.“ ასე ფიქრობდა გოგია და მოუთმენლად მოელოდა იმ სანეტარო წუთს, როდესაც ანას აღტაცებულ ცქერას დაიჭერდა.

მოლოდინი არ გაუმართლდა.

პირველად შეხვედრისას ანამ არცკი შეხედა და როდესაც გოგიამ გადაჭარბებული მზრუნველობით მოისურვა ამ თვალწარმტაცი ქალის ყურადღება მიექცია, მან ისეთი დამცინავი ღიმილით შეათვალიერა ეს თავმომწონე თავადი, რომ თითქოს ერთი კასრი ცივი წყალი გადაესხას მისთვის. მას შემდეგ ანა თვალს არ აშორებდა გოგიას, მაგრამ ვაი ამ შეხედვას. გოგიას მოსვენებას არ აძლევდა ანას მცელავი ღიმილი და ახლა პირველად იგრძნო ოილი გამარჯვებით

თავგასულმა რაინდმა სასტიკი დამარცხება. იმდენად დაიბნა, რომ სიტყვაპასუხიც წაუხდა, ყოფაქცევაც და ხასიათიც. თავისთავზე ბრაზობდა, ცდილობდა ღონე მოეკრიბნა და კვლავ ძოეპოვებინა წინანდელი სიჩაუქე, როდესაც ერთი გადახედვით მოჰკვეთავდა ხოლმე მუხლებს ქალებს, მაგრამ ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. თვითონ ეკვეთებოდა მუხლები.

როდესაც ანამ პირველად მიაქცია გოგიას ყურადღება და დაიჭირა მისი თავხედური და გამომწვევი შეხედვა, მაშინვე მიუხვდა ყოველივეს და მასში უცბად იფეთქა შეურაცხყოფის გრძნობამ. ვიცი, რომ მამაკაცები შენთვის სახალისო არსებანი არიან და შემომხედე, რა ბიჭი დაგიხვდიო. ისე ნათლად ამოიკითხა გოგიას გამომეტყველებაში ანამ, რომ უცბათ აივსო ზიზღით ამ კარისკაცისადმი. ანას უფრო ის აბრაზებდა, რომ უნებურად მხილებული იყო მისთვის ბედისმიერ განკუთვნებულ ცოდვებში და ეს უფრო უძლიერებდა შეურაცხყოფას. „რა არამზადა და უზნეო ვინმეა ეს თავადი“ — იმეორებდა გუნებაში ანა და თან ემუქრებოდა. სოლომონის წახუმრებაზე კი ისე დამცინავად გადაიკისკისა, რომ ბასრი ხანჯალივით გაუარა გულში ამ სიცილმა მწიგნობართუხუცესს.

როდესაც აღრენილი გოგია უკანვე მობრუნდა, აივანზე მარტო მამაკაცები დაუხვდა. ქალები ყველანი გაკრებილიყვნენ და ამ შეწბილებულმა თავადმა უნებურად თავისუფლად ამოისუნთქა.

—:—

თითქმის გათენებამდე გაუგრძელდათ თათბირი სოლომონსა და მის დიდებულებს. მსჯელობდნენ, რა გზით წასულიყო ბესიკი სპარსეთს და ან რა გაეგზავნათ ყაენისათვის საჩუქრად. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე კარგი გზა დიგორის გადავლით მოზდოკ-ყიზლარ-ასტრახანის მიმართულებით იყო. იქ ბესიკი ჩაჯდებოდა ხომალდში და ზურგის ქარის შემთხვევაში რამდენიმე დღის ცურვის შემდეგ რეშტში მივიდოდა. იქიდან შირაზამდე კი ყველაზე უშიშრად და საიმედოდ შეიძლებოდა მგზავრობა.

საჩუქარზე უფრო დიდხანს იმტვრიეს თავი. პაპუნა წერეთელი ფიქრობდა, რომ სულაც არ იყო საჭირო რაიმეს გაგზავნა. აბა იმერეთში ისეთი სახარბიელო თვალმარგალიტი რა უნდა ეშოვათ, რომ ყაენი გაეკვირვებინათ. პაპუნას აზრით ჯობდა, რომ ბესიკი ჩუმად ჩასულიყო შირაზს და ბატონიშვილი ასევე ჩუმად, სხვების გაუგებლად წამოეყვანა. სოლომონმა სახლთუხუცესის აზრი უარყო. ყაენი ბესიკს აუცილებლად უნდა ენახა. ქერიმს თუ ეცოდინებოდა, რისთვის მიჰყავდა იმერეთის მეფის კაცს ბატონიშვილი, ერეკლეზე შემომწყრალს, იქნებ, ჯარიც კი ებოძებინა ალექსანდრესათვის და ისე გამოესტუმრებინა იმერეთისაკენ. ამიტომ სოლომონის აზრით ბესიკი უნდა გამოცხადებულიყო ქერიმთან და მასთან კიდევ ხელცარიელი მისვლა უზრდელობა იქნებოდა. ძღვენის მირთმევა აუცილებელი საჭირო იყო, არ იცოდნენ ოღონდ-რა გაეგზავნათ.

— მე გეტყვი, შენი ჭირიმე, — უთხრა ბერი წულუკიძემ სოლომონს, — ყველაზე კარგი იქნება, თუ ჩვენებური გიშრის ნივთებს გავუგზავნით, კრიალოსნებს და ყელსაბამ საყურეებს. გამიგონია, გიშერი იქ ალმასივით ფასობსო და ამაზე უკეთესს ჩვენ იმას ვერას მივართმევთ. უბრძანე ჩვენს ოსტატებს და იმისთანა კრიალოსნებს გათლიან, უკეთესს თვალი ვერა ნახავს. აგერ წინაზე ერმინე თუთბერიძემ მაჩვენა, იმისთანა გიშრის კენჭები გაეთალა რო ნახვად ღირდა, ღორისთავები იყო თლად ვერ გაარჩევდი ნამდვილში.

— მაგას არაფერი აჯობებს, სპარსეთის ყაენს რომ ღორისთავების კრიალოსანი მივართვათ, — თქვა სოლომონმა და გადაიხარხარა.

გადაწყვიტეს ასი ცალი სხვადასხვა ზომის კრიალოსანი და ყელსაბამი დაემზადებინათ. გარდა ამისა სოლომონმა თავის სალაროდან ქერიმისთვის მისართმევად გადაადებინა მუშტისოდენა გაუთლელი ამეთვისტონი და ორი კარგა მოზრდილი ზურმუხტი. ფულად ბესიკს ასი თუმანი უბოძა მეფემ. ამ ფულიდან, რაც გზაში არ დაეხარჯებოდა, დანარჩენი უკლებლად უნდა მიეცა ალექსანდრე ბაქარისძისათვის.

— საქმეს ნულა გავაჭიანურებთ, — უთხრა სოლომონმა ბესიკს, — ერთი

ორი დღე, რაც საშინაო საქმეები გაქვს, გეყოფა ყოველივეს მოსაწესრიგებლად. კვირას რა რიცხვია? აგვისტოს ოცდარვა. გაუდექი გზას. მამაშენისა და საერთოდ შენი ოჯახის დარდი ნუ გექნება. ქალი კი მსურდა შენთვის გამერიგებინა, მაგრამ, რომ დაბრუნდები, მერე მოვაგვაროთ მაგ საქმე. მხლებელი რამდენი გჭირდება?

— ბევრი არა, მეფევ. სულ ორი კაცი კმარა.

— ორი ცოტაა. სახლთუხუცესო, ვინ გავაყოლოთ? — ჰკითხა სოლომონმა პაპუნას.

— ვისაც თითონ ისურვებს. ამ საქმეში მეფევ არჩევანი თითონ ბესარიონს ეკუთვნის.

— ერთი თქვენი სადუნა უნდა წავიყვანო, — მიმართა ბესიკმა პაპუნას.

— ინებეთ, — სიხარულით დაეთანხმა სახლთუხუცესი. მას ისედაც ჰქონდა განზრახული, როგორმე თავისი კაცი გაეყოლებინა ბესიკისათვის.

— ერთიც დათუკა გძელიძე გავაყოლოთ და მეტი არცაა საჭირო, — ჩაერია ბერი წულუკიძე საუბარში. — გასაჭირში ღმერთმა მაგისთანა ყმა ნუ მოგიშალოს, გინდა ცეცხლში ჩავარდე, გინდ ზღვაში, ყველგან საიმედოა.

— ეგ ორი. დანარჩენი? — გადახედა სოლომონმა დიდებულებს.

— მეტი არც არის საჭირო, მეფევ, — მიმართა ბესიკმა სოლომონს, — მოზდოკამდე თუ გნებავთ, შეიძლება მართლაც წავიყვანო ოცი-ოცდაათი კაცი, მაგრამ მოზდოკიდან ყიზლარამდე და ყიზლარიდან ასტრახანამდე რუსთა ფოსტა დადის და იქ შიში არაფრის არ მექნება. ფოსტის ტროიკებს...

— ეგ რაღაა, ყმაწვილო? — შეაწყვეტინა მეფემ.

— სამცხენიანი ეტლები გახლავთ. ჰოდა, ამ ტროიკებს მუდამ ოცდაათამდე მხედარი ახლავს ბადრაგად. იმათ გავყვები. სპარსეთში კი ისეთი გზით მოგვიხდება სიარული, რომელზედაც სულ გაბმულნი არიან ქარავნები. ჩვენც რომელიმეს მივეკედლებით და შირაზს მშვიდობით ჩავალთ. იქიდან კი ბატონიშვილის ამალის თანხლებით დავბრუნდებით.

— კარგი, შენი ნებაა, — დაეთანხმა სოლომონი, — მაშ კვირას მიდიხარ?

— როგორც თქვენ მიბრძანებთ.

უკვე კარგა გათენებული იყო, ბესიკი შინ რომ დაბრუნდა. ის უკვე მთელი ოჯახით ახალ სახლში ბინადრობდა. მართალია შენობა ჯერ კიდევ არ იყო მოთავებული, ზედა სართულს არც კარფანჯრები, არც ლამფა-გაკრული ჭერი, და, არც ტიხრები არ ჰქონდა ამოყვანილი, მაგრამ ქვედა სართულის პალატაში ცხოვრება შეიძლებოდა; ამიტომ ზაქარიამ აღარ დააყოვნა საკუთარ შენობაში გადაბარგებულიყო. ისევე როგორც ქვრივი ქალის ნაქირავებ სახლში, აქაც ეს მთელი მრავალრიცხოვანი ოჯახი ერთს განიერსა და გრძელ ტახტზე იძინებდა.

ბესიკს მთელი ოჯახი ფეხზე დაუხვდა. თურმე მთელი ღამე არც მათ ძინებოდათ და სამგზავრო სურსათისა და ბარგიბარხანის მზადებაში იყვნენ გართულნი. რძლები გომიჯებს და ხაჭაპურებს აცხობდნენ, ქათმებს ბრტყვნიდნენ და კეცებზე წვავდნენ, ხოლო როდამი და მელანო ტანსაცმელსა და ხამის საცვლებს უმზადებდნენ მგოსანს. ზაქარია თავისი ვაჟებით ვითომ ქალებს ეხმარებოდა, მაგრამ თავიანთი რჩევა-დარიგებით ისინი უფრო ხელს უშლიდნენ მათ და ფეხებში ებლანდებოდნენ.

ყველას ემჩნეოდა თავისებური აღგზნება. განსაკუთრებით ზაქარია ბორგავდა. მას მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ოცნება, რომ კვლავ ეღირსებოდა თბილისში დაბრუნება, ლურჯად მოკამკამე გოგირდის ცხელ წყალში განბანვა, თავისი სახლის აივანზე ფეხმორთხმით ჯდომა და სახუმარო ლექსთა თხზვა, ან კიდევ კრიალოსანის ჩამარცვლით ფსალმუნის კითხვა. გარეგნულად თითქოს მარტო ეს იყო მისი სანუკვარი ოცნება და კიდევაც მრავალჯერ გამოთქვამდა ხმამაღლა თავის სურვილებს ოჯახის წევრებთან, მაგრამ გულში უფრო მეტზე ოცნებობდა; სურდა კვლავ აღედგინა თავისი მდგომარეობა, როდესაც ის არსებითად მთელი ქართლ-კახეთის ეკლესიის განმგებელი იყო და ერთი ნაბიჯი აკლდა კათალიკოსის ტახტამდე. ვინ იცის, იქნება კიდევაც დაეჭირა ეს ტახტი, რომ ანტონთან ბრძოლა არ წაეგო. სასულიერო ტახტზე სავალდებულო არ იყო მაინცდამაინც ბაგრატიონის გვარის წარმომადგენელი

მჯდარიყო. აგერ იმერეთში ხომ აკურთხეს იოსების შემდეგ მაქსიმე აბაშიძე კათალიკოსად. ქართლ-კახეთი ვითომ რით განსხვავდებოდა იმერეთიდან? ახლა, თუკი, მართლა კვლავ წაღმა დატრიალდა ძისთვის ცხოვრების ეს მძიმე ჩარხი და ქართლის ტახტზე ალექსანდრე ბაქარისძე ავიდოდა, ბევრი რამ სასიხარულო ამბავი იყო მოსალოდნელი. კვლავ უდავოა, ახლადგამეფებული, მუდამდევნილი ბატონიშვილი განსაკუთრებული პატივით მოეპყრობოდა არა მარტო ბესიკს, არამედ მის მშობელსაც. ზაქარიას კვლავ მიიწვევდა სატახტო ქალაქში და სხვა რომ არა, სიონის მეკარედ მაინც დანიშნავდა.

— დიდია ღვთის ძალა, ვენაცვალე მის სახელს — იმეორებდა წამდაუწუმ ზაქარია და პირჯვარს ისახავდა, დიდია! სამართალს მაინც თავის კალაპოტში ჩააგდებს. ასე რომ არ იყოს, რა არ დამიპირა იმ ბოროტმა და ჯოჯოხეთის მოციქულმა ანტოხმა. სახლიდან გამომაგდო, ყოველივე ღირსება ამყარა, გამკრიჭა, რუსეთში გადამხვეწა, იქაც არ მომასვენა, ტაძარში შესვლა და მღვდელმსახურება ამიკრძალა, სულით ხორცამდე მოსპობა მომისურვა, ჩემს შვილსაც ძიწვდა, მეფესთან შეასმინა, კინაღამ თავი მოაკვეთინა, მაგრამ, ვენაცვალე ღვთის ძალას და განგებას, მადლი უფლისა მოავლინა ჩემს შვილს, იხსნა საფრთხისაგან და აჰა ძრწოდე ბოროტებავ, მალე ვიხილავ, რომ ბოროტსა სძლიოს კეთილმა, არსება მისი გრძელია.

დაღლილ დაქანცული ბესიკი მისვლისთანავე მიეგდო ტახტზე. მას სურდა ცოტა მაინც წაეძინებია და უძილობით გამოწვეული თავის ტკივილი გაენელებია. ზაქარიას კი ამბების გაგება სურდა და შვილს მოსვენებას არ აძლევდა შეკითხვებით.

— რა ითათბირეთ? მიდიხარ? რა გზით მიდიხარ. ვინ მიგყავს? შენ გეძინება, შვილო, გატყობ. კარგი, დაიძინე, ხელს არ შეგიშლი. ოღონ ეს მითხარი, სოლომონმა რა ბრძანა ერეკლეზე? არა გატყობ, მართლა დაღლილხარ, შვილო, დაიძინე, დაიძინე.

ზაქარია ვითომ მოცილდა შვილს, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა და ისევ მოუბრუნდა:

— ანტონზე არ უთქვამს რამე? იტყოდა, მაგრამ შენ ახლა გეძინება, შვილო, და აღარ გახსოვს. კარგი მერე მიამბე.

ზაქარია როგორც იქნა მოშორდა შვილს. ბესიკმა ძლივს მოასწრო თვალის მოტყუება, რომ ის ფრთხილად გააღვიძეს და უთხრეს, ვიღაც უცხო კაცი მოვიდა და გკითხულობსო. იძულებული იყო ამდგარიყო. ძილი მართლა აკლდა, მაგრამ თავი აღარ ტკიოდა და ამან ცოტა არ იყოს, უკეთეს გუნებაზე დააყენა.

გარეთ მას ვიღაც ბეჭებშიმოხრილი დათვის მაგვარი ჯმუხი მამაკაცი დაუხვდა. „დავით ბატონიშვილის მეუღლეს ანას სურს თქვენი ნახვა და თავისთან გიხმობსო“ უთხრა მან ბესიკს.

— კარგი, ვეახლები. სად ბრძანდება?

— სასახლეში გახლავთ.

— შენ თითქოს სადღაც მინახვიხარ? შენი სახელი?

— როსთო, ჩემო ბატონო.

— ქართლელი ხარ თუ იმერელი?

— იმერელი გახლავართ. ბატონიშვილის ძიძიშვილი და მისი მსახური. მე ქართლში თან ვახლდი ბატონიშვილს და იქიდან გეხსომები.

— მე გახსოვარ?

— კი, ბატონო, — მძიმედ ამოიოხრა როსთომ და დამნაშავესავით განზე გაიხედა, — მახსოვხარ.

— კარგი წადი, მოახსენე ერთ საათში გეახლებითქო.

როსთომ გულზე ხელი მიიდო, ბესიკს დაბლა თავი დაუკრა და დარბაზში ბაჯბაჯით დაეშვა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიორგი შალვაშვილი

რუსთავი

★

ფოლადის მდნობელი

შუქი უნათებს ოფლიან სახეს,
შრომობს ფოლადის მარჯვე მდნობელი,
საამქროს სიცხის ალმურში ახვევს,
ღუმელში ცეცხლი ჩაუქრობელი.

ღამეა, მაგრამ ვერა სძლევს ძილი,
მისი ხმა ყველგან მტკიცედ გაისმის,
ფოლადის ნიმუშს მიიღებს დილით
და გაახარებს მდნობელს ხარისხი.

ღუმელის მილებს უმატებს ჰაერს,
ცეცხლი აწყდება საკეტს რგოლებად,
გეგმაა მისი ფიქრი მღელვარე,
მისი აზრი და მისი გონება.

ხუთ წელს ესმოდა ნალმების
გრგვინვა,
თვალს უსწორებდა ბრძოლებს ალიანს,
მას კარგად ესმის ფოლადი, რკინა,
მისი საშობლოს ხერხემალია.

და როცა ზეცა უკუნის მფენი,
ნათელს გაიკრავს ნაცრისფერ ზოლად,
ის ჩამოასხამს მაღლიან ხელით
საუკეთესო ხარისხის ფოლადს.

ლხენით გახედავს ლითონის გორებს,
დაავიწყდება დაღლა და ძილი,
ფოლადით სავსე რკინის ვაგონებს,
ხვალ ორთქლმავალი გაიტანს დილით.

შუქი უნათებს ოფლიან სახეს,
შრომობს ფოლადის მარჯვე მდნობელი,
საამქროს სიცხის ალმურში ახვევს,
ღუმელის ცეცხლი ჩაუქრობელი.

—— . ——

ფოლადზე მტკიცე

★

როცა ნათელი მოსავს მწვერვალებს,
და ნაცრისფერი ქუჩები სდუმან,
გახარებული დიად მიღწევით
იგი სახლიდან გამოდის ჩუმად.

მის აღურიცხველ საქმეს ვინ
მოსთვლის,
მრავალ სიძნელის გზები გალია,
სადაც კი მისი აზრი იელვებს,
იქ გამარჯვება გარდუვალია.

არ ერიდება ქარიშხალს, წვიმას,
მოჰქრის მანქანა გზით დანისლულით,
ის ნათლად ხედავს მარტენის წინსვლას,
ქარხნის კედლებთან ჯერ არ მისული.

ხალხს გზას უნათებს, მათვე
სდარაჯობს,
თუ სიძნელეა, უმალ გაჩნდება,
რომელ საამქროს, რომელ ხარაჩოს
არ შეხებია მისი მარჯვენა.

აი რუსთავი ლხენით უყურებს,
იზიდავს ქარხნის რუხი კედელი,
მოჰქრის, შეხარის სახლის ჩუქურთმებს
ახალ ქალაქის ფუძემდებელი.

შორით მოესმის ხმები სიმღერის,
ქალაქს დაჰყურებს ზეცა მზიანი
გახარებული წინსვლით, მიღწევით,
რუსთავს შეაქებს ცეკას მდივანი.

—— . ——

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუჯის ჩამოსასხმელი ინდუსტრიულ ქალაქში

★

ნეტავ რა არის, სიტკბო განცდების,
თუ წინაპართა ხსოვნაა სუფთა,
ბოლომოგრეხილ მაღალ ყანწებით
დღესაც ამღერდა ქართული სუფრა.

მთვარის ამოსვლას აღარ უცდიან,
ვის ძალუძს არ სთქვას ხოტბა სათქმელი,
თითქოს ამ ჭერქვეშ ჩამოუცლიათ
ყველა ვარსკვლავთა უხვი ნათელი.

ჭერის ჩუქურთმა სტუმრებს აოცებს,
ხმაშეწყობილნი ტკბილად მღერიან,
სახლს ულოცავენ თუჯის
ჩამომსხმელს,
სახლს ულამაზესს, მაღალ ჭერიანს.

ქარი შეარხევს ხავერდის ფარდებს,
ოთახს აავსებს ბაღის სურნელით,
შორს, თითქოს ცეცხლი ედება მარტენს
და იწვის ზეცის ტატნობი ბნელი.

ილხენს, პატიჟობს ხალხს ენით
ტკბილით,
ქუჩებსაც სწვდება ხმები
„სუფრულის",
აწ აქ ჩახედავს მას ყოველ დილით
მზე სადაფ ცაზე ამობურთული.

დასთმო, დაშორდა თბილისის
ბაღებს,
ვინ შეაფერხებს კაცის არჩევანს,
რუსთავქალაქშიც გაითქვამს სახელს
დიდი ოსტატის ოქროს მარჯვენა.

ლოცავს თამადა თუჯის
ჩამომსხმელს,
იცლება ყანწი ყანწზე შეხლილი,
შორს, კვლავ ღუმელის ცეცხლი
იელვებს
ზეცის უკუნში სხივად შეჭრილი.

—— . ——

ბელადის სურათი მარტენის საამქროს კართან

★

იხილეთ გიგანტ ქარხნის მშვენება,
კვამლსადენების ტევრი უღრანი,
მოდი, ქართველო, და მის მშენებელს
შენი მადლობის სიტყვა უთხარი.

ჩამოგვიქროლეთ ჰანგით
დამწველით,
იგრძნოს რუსთავმა გულების ფეთქვა,
რომ თქვენ ხართ მისი გმირი
დამცველნი,
გამომჭედელი ბედნიერ დღეთა!

ქარხანა, ბჭენი მთებს რომ მიუგავს
და მტკვარსაც სწვდება მისი აჩრდილი,
სანატრელია ჩვენთვის ნიადაგ,
ეს კარმიდამო შორს გადაშლილი.

დაგატკბობთ ქართულ ფოლადის
კერა.
მარტენის შუქით განათებული,
ლითონისმსხმელთა გულების ძგერა
მათი შრომა და საქმე გმირული.

იხილეთ გიგანტ ქარხნის მშვენება,
კვამლსადენების ტევრი უღრანი,
მოდი, ქართველო და მის მშენებელს
შენი მადლობის სიტყვა უთხარი.

მობრძანდით, ნატვრა გულს არ
შერჩება,
იცნობთ ნაომარ ფარაჯის კალთას,
ის მომღიმარი სახით შეგხვდებათ
დიად საამქროს გარუჯულ კართან.

—— . ——

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩირაღდანი

★

ვის არ უყვარს სამშობლოზე
ოცნება,
ქთვარის შუქი ალვის ჩრდილში
ჩასული,
ფიქრი მოლზე, ტყის შრიალი
ბორცვებთან,
მწვერვალებით სივრცე შემოხაზული.

წყნარ ღამეში ნაამბობი ზღაპარი,
სულ ერთ წუთში ქალაქების შენება,
გმირის ხელით გაკაფული გზაკვალი,
მისი ხოტბა მისი ტანის მშვენება.

დღეს რუსთავი მოგვაგონებს თქმულ
ამბებს,—
ზღაპრულ ქალაქს სინამდვილის იერით,
როცა ღამით აქ ღუმელი შუქს
აფრქვევს,
ზეცის შუქზე არის უფრო ძლიერი.

როს ფოლადის მოელვარე ნიაღვარს,
წრეგადასულ აღტაცებით ვუცქერი,
ვარდის ფერსაც, ძოწის ფერსაც
მიაგავს,
სილამაზე ენით გამოუთქმელი.

არ გავს ზღაპარს?
მინდორ-ველი ტრიალი,
ჩვენს თვალებში გაჰქრა როგორც
ჩვენება,
არც სიბნელე, არც ნადირის ღრიალი;
შუქის ზღვა ჩანს, დიად ქარხნის
მშვენება.

იბრძვის გმირი, მედგრად,
ღამენათევი,
შრომა სჩრდილავს ყველა ზღაპრულ
მწვერვალებს,
დღეს რუსთავი,—კომუნიზმის ნათელი,
საქართველოს ჩირაღდანად ელვარებს.

—.—

ორთქლმავალი № 431

★

ჯართს და რკინას მოაქანებს
ჭოჭქრის მოეჩქარება,
გამიცინებს მემანქანე
გოგო ცისფერთვალება.

გიშრის თმები მხრებს უმშვენებს,
გმირულ შრომით ამაყობს,
ყველას უყვარს, ყველა ეძებს
მიზეზს სალაპარაკოს.

„ეგ წარბები რა რიგ გშვენის“,—
გალიმებით ეტყვიან,
„ქალო, ლურჯი ზეცა შენი
თვალის ანარეკლია“.

ეზიდება ფოლადს, რკინას,
უყვართ, ყველა აფასებს,
მისი სახის ეშხი ბრწყინავს
წარჩინების დაფაზე.

როცა არ სჩანს მისი კვალი,
ვწუხვარ. მეტად ვღელდები,
თვალწინ მიდგას ორთქლმავალი
ოთხას ოცდათერთმეტი.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ქვანია

სტალინური „ბრძოლა“

★

ბოლშევიკური პრესა, ისევე როგორც ბოლშევიკური პარტია იშვა და გაიზარდა რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში ბოლშევიზმის ფუძემდებლებისა და ბელადების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით. პირველად ლენინმა და სტალინმა მოგვცეს ახალი ტიპის პროლეტარული პრესის, როგორც მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე, ძირითადი რგოლის, ღრმა და ყოველმხრივი შეფასება. მათვე შექმნეს პროლეტარული პრესის ორგანიზაციისა და იდეური ხელმძღვანელობის დიადი ტრადიცია.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ შორეულ ციმბირში გადასახლების დროს შეიმუშავა ახალი ტიპის პირველი საერთო-რუსული მარქსისტული გაზეთის შექმნის გენიალური გეგმა.

ვ. ი. ლენინის ეს გეგმა „სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის სინამდვილეს და ოსტატურად განაზოგადებდა საუკეთესო პრაქტიკოსთა ორგანიზაციულ გამოცდილებას“.[1]

ვ. ი. ლენინმა თავის გეგმის საფუძველზე „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ წევრებთან — პლეხანოვთან, აქსელროდთან და ვ. ზასულიჩთან ერთად 1900 წლის 24 დეკემბერს ლაიფციგში გამოსცა რევოლუციური მარქსისტების პირველი საერთო-რუსული გაზეთი, ახალი ტიპის გაზეთი „ისკრა“, რომლის სათაურქვეშ იყო გამოთქმა „ნაპერწკლიდან ალი აინთება“.

„და მართლაც, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ლენინის მიერ დანთებული „ნაპერწკლიდან“ („ისკრიდან“) შემდეგში აინთო დიადი რევოლუციური ხანძრის ალი, რომელმაც სულერთიანად გადაბუგა მეფის თავადაზნაურულ-მემამულური მონარქია და ბურჟუაზიული ძალაუფლება“. გაზეთ „ისკრას“ შექმნა, ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, ძირითადი რგოლი იყო იმ ამოცანათა შორის, რომლებიც მაშინ პარტიის წინაშე იდგა. „... მხოლოდ საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის საშუალებით,— აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი,— შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში პარტიის ხმაშეწყობილი ბირთვის შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა უამრავი წრეები და ორგანიზაციები, მოემზადებინა იდეური და ტაქტიკური ერთიანობის პირობები და, ამრიგად, საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის“.[1]

„ისკრამ“ „საძირკველი ჩაუყარა იმ დარაზმულ და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, რომლის ბადალიც მსოფლიომ არ იცის“.[2] მანვე შექმნა „... რუსეთის მუშათა კლასის ნამდვილად რევოლუციური მოძრაობის თეორიული საფუძვლები“.[3]

ლენინური „ისკრის“ პოზიციებზე იმ-თავითვე დადგა ლენინის დიდი თანამებრძოლი, მისი უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობი ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა მაშინვე დაინახა „ისკრის“ შემოქმედის — ლენინის სახით ნამდვილი მარქსისტული პარტიის ფაქტიური შემქმნელი, უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უვალ გზებზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი, და ლენინის გზით წავიდა. „ეს იყო გზა, — წერს ამხანაგი ლ. ბერია, — პროლეტარიატის ნამდვილი რევოლუციური პარტიის შექმნისა და განმტკიცებისა, მუშათა

---

[1] ი. სტალინი. თხზულებანი, ტ. 4, გვ. 339.

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 6, გვ. 189.
[2] ი. სტალინი. თხზ., ტ. 4, გვ. 339.
[3] ი. სტალინი. თხზ., ტ. 6, გვ. 106—107.

კლასის აშკარა პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად“.[1]

ამხანაგმა სტალინმა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ისე როგორც ლენინმა რუსეთში, გადაჭრით დააყენა ცარიზმის ცენზურისაგან დამოუკიდებელი არალეგალური პოლიტიკური გაზეთის შექმნის ამოცანა.

ამხანაგი სტალინი, ისევე როგორც ლენინი, მხოლოდ არალეგალური გაზეთის საშუალებით თვლიდა შესაძლებლად რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდასა და გავრცელებას, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ფართო პოლიტიკურ აგიტაციას, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციას და ნამდვილი პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობას.

ამხანაგმა სტალინმა არალეგალური პოლიტიკური გაზეთის შექმნის გეგმის დამუშავება დაიწყო ჯერ კიდევ 1898 წლის აგვისტოში, როცა იგი შევიდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში — „მესამე დასში“. ამხანაგმა სტალინმა „მესამე დასში“ იმავე წელსვე შექმნა ლ. კეცხოველთან და ა. წულუკიძესთან ერთად რევოლუციური მარქსისტული უმცირესობის ჯგუფი, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში... „რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი გახდა“.[2]

ამ ჯგუფმა ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ, მისი ლიდერის—ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ—ლენინური „ისკრის“ პრინციპებისათვის.

ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელსაც ამხანაგი სტალინი გადაჭრით აყენებდა „მესამე დასის“ რევოლუციური უმცირესობის წინაშე და რომელმაც წინააღმდეგობა გამოიწვია „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის მხრივ, იყო არალეგალური გაზეთის შექმნა.

ნოე ჟორდანია და „მესამე დასის“ ოპორტუხისტული უმრავლესობა, მსგავსად რუსი „ლეგალური მარქსისტებისა“ და „ეკონომისტებისა“, უარყოფდნენ არალეგალურ გაზეთს. ისინი უგულებელყოფდნენ იმ გარემოებას, რომ რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა, მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისათვის სოციალისტური მიმართულების მიცემა, მუშათა კლასის მოწინავე ელემენტების მობილიზაცია, ძათგან მებრძოლი მარქსისტული პარტიის შექმნა და ნათელი პროგრამითა და რევოლუციური ტაქტიკით მისი შეიარაღება შეუძლებელი იყო ამ პერიოდში ცარიზმის ცენზურისაგან დამოუკიდებელი გაზეთის გარეშე. „მესამე დასის“ უმრავლესობა მოითხოვდა, რომ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოებად აღიარებული ყოფილიყო მთავრობის მიერ ნებადართული გაზეთი „კვალი“ და ჟურნალი „მოამბე“, რომლებიც წარმოადგენდნენ ლეგალური მარქსიზმის რუპორს, ლიბერალურ-ნაციონალისტური მიმართულების ორგანოებს.

ნოე ჟორდანია და „მესამე დასის“ უმრავლესობა გაზეთი „კვალისა“ და ჟურნალ „მოამბის“ საშუალებით ფიქრობდნენ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ერთიანობის ოპორტუნისტული იდეის პროპაგანდას, მარქსიზმის შეგუებას ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებთან.

წინააღმდეგ „მესამე დასის“ უმრავლესობისა, ამხანაგი სტალინი „დიდ შეცდომად“, „უსუსურობად“ და „საქმის არცოდნად“ თვლიდა მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმის დროს ლეგალურ გაზეთზე იმედის დამყარებას. „ჩვენ დიდ შეცდომად ჩავთვლიდით,— წერდა ამხანაგი სტალინი „ბრძოლის“ სარედაქციო წერილში,—თუ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობებითაც უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც უნდა ადგეს იგი, ჩას-

---

[1] ლ. ბერია. თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი, გაზ. „პრავდა“, 1939 წლის 21 დეკემბერი.

[2] ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 17.

თვლის თავისი, მუშის, ინტერესების გამომხატველად. მუშებზე „მზრუნველ“ მთავრობას ᲫᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ხროვა ჩინოვნიკები, ცენზორებად წოდებულნი, მიჩენილი ᲰᲧᲐᲕᲗ მათ და ისინი საგანგებოდ ადევნებენ თვალს, წითელ მელახს და მაკრატელს მიმართავენ, თუ სადმე, თუნდ ᲭᲣᲠᲭᲣᲗᲐᲜᲘᲓᲐᲜ, გამოსᲭᲕᲘᲕᲘᲡ სიმართლის და ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ სხივი. ცირკულარი ცირკულარს მოსდევს ცენზორთა კომიტეტებში — „არაფერი გაუშვათ მუშების შესახებ, არ გამოაქვეყნოთ ესა თუ ის მოვლენა, არ მისცეთ ნება ამა და ამაზე „სᲯᲐᲑᲐᲐᲡᲘᲡᲝ“ და სხვადასხვა. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, გაზეთი ვერ მოეწყობა სასურველად, და მუშა ტყუილად დაუწყებს ძებნას მასში, თუნდ სტრიქონთა შუაც, მისი საქმის შესახებ ცნობებს და სწორ შეხედულებას. თუ ვიტყვით იმას, რომ მუშას შეუძლია ისარგებლოს ამა თუ იმ ლეგალური გაზეთის იმ ათასში ერთი სტრიქონით, რომელიც გაკვრით შეეხება მის საქმეს და რომელიც მხოლოდ შეცდომით გაეპარებათ ᲯᲐᲚᲐᲗ ცენზორებს, — უნდა ვთქვათ ისიც, რომ დამყარება იმედებისა ამგვარ ნაწყვეტებზე და აშენება ამ აბდაუბდაზე რაიმე სისტემისა ამტკიცებს მხოლოდ მკითხველის უსუსურობას და საქმის არცოდნას“.[1]

ამხანაგმა სტალინმა არა მარტო დააყენა არალეგალური გაზეთის გამოცემის საკითხი, არამედ წულუკიძესთან და კეცხოველთან ერთად თვითონ მოჰკიდა ხელი ამ უმნიშვნელოვანესი პარტიული საქმის პრაქტიკულად განხორციელებას. მაგრამ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზის გამო 1898 — 1900 წლებში შეუძლებელი გახდა არალეგალური გაზეთის გამოცემა. სამაგიეროდ, ამ პერიოდში, ლენინური „ბრძოლის კავშირის“ მსგავსად, სტალინის, კეცხოველისა და მოწინავე მუშების მეცადინეობით ეწყობა ფურცლებისა და პროკლამაციების არალეგალური ბეჭდვა და მათი გავრცელება თბილისის მუშებს შორის, აგრეთვე ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში“.[1]

1901 წელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდის საფუძველზე კიდევ უფრო ფართოვდება პროკლამაციებისა და ფურცლების გამოცემა. როგორც ლენინური „ისკრა“ წერდა, იმ დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩიხებულად დაწერილი პროკლამაციები გამოდიოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე და ეფინებოდა... ყველა უბანს.[2]

ამ პროკლამაციებსა და მოწოდებებს, რომელთაც ჟანდარმერია „შფოთის გამომწვევს“ უწოდებდა, დიდი გავლენა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ამიერკავკასიის პროლეტარიატზე.

კავკასიის მთავარმართებელი თავადი გოლიცინიც კი, მთელი მისი აპარატი — ჟანდარმერია, პოლიცია და ცენზურა იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, თუ რა უდიდესი გავლენა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშებზე იმ პროკლამაციებსა და ფურცლებს, რომლებიც გამოცემული იყო ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ისინი მუდამ ჩიოდნენ, პროკლამაციები „წმინდა რევოლუციურ, უაღრესად მავნე ხასიათს“ ატარებენო.

მიუხედავად ჟანდარმერიისა და ცენზურის მხრივ გამმაგებულ დევნისა, ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემა სულ უფრო და უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა.

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა იმ საგამომცემლო მოღვაწეობას, რასაც ამხანაგ სტალინის მეთაურობით ეწეოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ᲯᲒᲣᲤᲘ. პროკლამაციების ფურცლებისა და მოწოდებების გამოცემის მხრივ ამიერკავკასიას ლენინი ᲯᲔᲠ კიდევ 1899 წელს პეტერბურგის გვერდით აყენებდა.

თუმცა ამიერკავკასიაში ამ სახის სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გავრცელებამ ფართო ხასიათი მიიღო,

---

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 5—6.

[1] ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 21.

[2] „ისკრა“, № 26, 1902 წ. 15 სექტემბერი.

ბაგრამ ამხანაგ სტალინისათვის მაინც ცხადი იყო, რომ ბეჭდვითი სიტყვის ეს ფორმა არასაკმაო იყო, რა მასშტაბიც უნდა მიეღო მას, მაინც ვერ შეასრულებდა ცარიზმის ცენზურისაგან თავისუფალი, არალეგალური გაზეთის როლს. ამიტომ 1900 წლის დამლევისათვის ამხანაგმა სტალინმა თბილისის ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრალური ჯგუფის წინაშე დააყენა არალეგალური გაზეთის გამოცემის საკითხი, როგორც უაღრესად არსებითი და გადაუდებელი საკითხი.

ამავე დროს ამხანაგ სტალინისათვის ცხადი იყო, რომ თბილისში, ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრში, რა კონსპირაციისთვისაც არ უნდა მიემართნათ, შეუძლებელი იყო გაზეთის გამოცემა, ვინაიდან ჟანდარმერია აქ განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდა. ამიტომ ამხანაგ სტალინის გეგმით გაზეთი უნდა გამოცემულიყო ბაქოში. გარდა ამისა, სტალინის გეგმა ითვალისწინებდა ბაქოს გადაქცევას არალეგალური სტამბებისა და პარტიული გამოცემების უდიდეს ბაზად არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის, არამედ რუსეთისთვისაც.

ამხანაგმა სტალინმა არალეგალური გაზეთის გამოცემის გეგმა ჩამოაყალიბა განთქმულ საპროგრამო სტატიაში „რედაქციისაგან“, რომელიც „ბრძოლის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა.

ამხანაგმა სტალინმა თბილისის ხელმძღვანელი ცენტრალური პარტიული ჯგუფის მთელი საქმიანობა ძირითადად წარმართა არალეგალური გაზეთის გამოცემის ორგანიზაციისაკენ. მისი წინადადებით თბილისის ცენტრალურმა პარტიულმა ჯგუფმა გაზეთის გამოცემის განხორციელება დაავალა ლადო კეცხოველს, რომელიც დაუფლებული იყო კონსპირაციისა და ბეჭდვითი საქმის ხელოვნებას. მასვე დაევალა ბაქოში მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა.

ბაქოში რომ ჩავიდა, კეცხოველი ენერგიულად შეუდგა ამხანაგ სტალინის მიერ წინასწარ მოფიქრებული და ყოველმხრივ დამუშავებული გეგმის საფუძველზე არალეგალური გაზეთის გამოცემის განხორციელებას. გაზეთის გამოცემის ორგანიზაციის დროს ლადო კეცხოველი ძთელ რიგ სიძნელეებს ყაყყდა. ლადო კეცხოველს უაღრესად ძნელ პირობებში ძოუხდა სტამბის ძოწყობა. აი, რას წერს ამის შესახებ ლ. ბ. კრასინი: „არ იყო არავითარი შესაძლებლობა შეგვეძიხა საბეჭდი მანქანა და სისტემატურად გვეყიდა ქაღალდი, საღებავი, ‘ძრიფტი და სხვ., თუ არ გვექნებოდა გუბერნატორის მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე. ამხ. ლადომ ძალიან უბრალოდ გაართვა თავი ამ სიძნელეს. მან განჯის გუბერნატორის სახელით შეადგინა თავის სახელზე მოწმობა სტამბის გახსნის უფლებაზე, გადასწერა ეს მოწმობა წინასწარ მიღებულ ბლანკზე, რომელსაც გუბერნატორის ტიტული ეკრა, და შემდეგ თითონ მოაწერა ხელი ამ დოკუმენტს გუბერნატორის მაგივრად... გადაიღო ასლი ყალბი მოწმობიდან, დაამოწმა ეს ასლი ბაქოს ნოტარიუსთან და ამგვარად მიიღო დოკუმენტი, რომელზეც უკვე არც ერთი ყალბი ხელმოწერა არ იყო. ამ დოკუმენტით ლადომ უხიფათოდ შეიძინა საჭირო მანქანა და მასალები, და რსდმპ არალეგალურმა ტექნიკამ დაიწყო მუშაობა ბაქოში“.[1]

ამგვარად, ლადო კეცხოველმა 1901 წლის შუახანებში შექმნა არალეგალური სტამბა.

ლადო კეცხოველის მიერ ბაქოში მოწყობილ არალეგალურ სტამბას, წერს ამხანაგი ბერია, — „უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კავკასიის სოციალ-დემოკრატიისათვის, არამედ მთელ რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვისაც საერთოდ“.[2]

სტამბის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში კეცხოველს მუდმივ დახმარებას უწევდა თბილისის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი და პირადად ამხანაგი სტალინი. ბაქოს ცენტრალურ პარტიულ სტამბაში სამუშაოდ გაიგზავნა აგრეთვე ორი ასოთამწყობი სოციალ-დემოკრატი თბილისის მუშათა წრიდან. ბაქოში მოწყობილ სტამბაში 1901 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოიცა საქართველო-

---

1 ლ. ბ ე რ ი ა. „ლადო კეცხოველი“, გვ. 14.

2 ი ქ ვ ე.

სა და ამიერკავკასიაში პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბრძოლა“ — ლენინური „ისკრის“ შემდეგ ყველაზე უკეთესი მარქსისტული გაზეთი რუსეთში.

გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლა უდიდესი მოვლენა იყო ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ცხოვრებაში, მთელი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში.

სტალინური „ბრძოლის“ გამოცემას მხურვალედ მიესალმა ლენინური „ისკრა“. „ისკრამ“ მაშინვე აღნიშნა როგორც დიდი მნიშვნელობის მოვლენა პირველი ქართული რევოლუციური გაზეთის — „ბრძოლის“ პირველი ნომრის გამოსვლა და მის ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიების დიდი პრინციპული ხასიათი.

გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი იხსნება ამხანაგ სტალინის საპროგრამო სტატიით „რედაქციისაგან“. ამ სტატიაში სტალინმა ყოველმხრივ დაამუშავა არალეგალური გაზეთის და კერძოდ „ბრძოლის“ მოღვაწეობის ფართო პროგრამა და ძირითადი პრინციპები.

ამხანაგი სტალინის განსაზღვრით, ახალი ტიპის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი სათავეში უნდა ედგას მუშათა მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს მას თავიდან შეცდომებს. „ერთი სიტყვით, — წერდა ამხანაგი სტალინი, — გაზეთის უპირველესი მოვალეობაა, რომ იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი“.[1]

შემდეგ, ამხანაგი სტალინი საერთოდ არალეგალური გაზეთის და კერძოდ „ბრძოლის“ უმნიშვნელოვანესი მოვალეობად თვლიდა, რომ მას გაეშუქებინა ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობა თუნდაც იგი მუშათა მოძრაობის გარეთაც ხდებოდეს. „დაუთმოს ადგილი, — წერდა ამხანაგი სტალინი, — იმ სახით კი არა, როგორც სასხვათაშორისო ცნობას და ახალ ამბავს, არა, მან უნდა მიაქციოს საგანგებო ყურადღება იმ რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც ხდება თუ მოხდება საზოგადოების სხვა ელემენტებშიც. მან უნდა გაარკვიოს ყოველი საზოგადოებრივი მოვლენა და ამით იქონიოს გავლენა თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლზე. ამიტომ გაზეთი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნუსხოს ყოველი შედეგი ამ მდგომარეობისა და რაც შეიძლება ფართოდ დააყენოს საკითხი პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებაზე“.[1]

ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა, — აღნიშნავდა შემდეგ ამხანაგი სტალინი, — უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშათა მოძრაობით გამოწვეულ ყოველ კითხვაზე, გაარკვიოს პრინციპული საკითხები, ახსნას თეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა.

ითვალისწინებდა რა იმას, რომ ქართველი მუშა-მკითხველების მომეტებულ ნაწილს არ შეეძლო თავისუფლად ესარგებლნა გაზეთ „ისკრით“, ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ ქართული გაზეთი ვალდებულია გააცნოს თავის მკითხველს პროლეტარული პარტიის ცხოვრების ყველა პრინციპული თეორიული და ტაქტიკური საკითხი. ამიტომ „ქართულმა გაზეთმა, — წერდა ამხანაგი სტალინი, — უნდა ითამაშოს საერთო-პარტიული და ამასთანავე რაიონული, ადგილობრივი ორგანოს როლი“.[3]

ბოლოს, ამხანაგი სტალინი, გაზეთ „ბრძოლის“ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა, რომ იგი ყოფილიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე ეუწყებინა მკითხველებისათვის, თუ „როგორ ცხოვრობენ მუშები სხვაგან, რას და როგორ აკეთებენ თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და თავის დროზე მოუწოდოს ქართველ მუშას ბრძოლის ველზე. ამასთანავე გაზეთი არ უნდა ტოვებდეს არც ერთ საზოგადო მოძრაობას აუნუსხავად და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკით გაურჩევლად“.[4]

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 8.

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 8.
[2] ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 9.
[3] იქვე, გვ. 7.
[4] იქვე, გვ. 9.

„ბრძოლამ“ ბრწყინვალედ შეასრულა მის წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასმული ამოცანები.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაზეთი „ბრძოლა“ და მთელი მისი გამომცემლობა ბრწყინვალედ ასრულებდა ლენინურ-ისკრული იდეების მგზნებარე პროპაგანდისტისა და აგიტატორის როლს.

*
* *

ამხანაგი სტალინი გაზეთ „ბრძოლის“ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდ ბრძოლას პარტიის აგების ლენინური გეგმისათვის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის.

„ბრძოლამ“, — როგორც ამხანაგი ბერია წერს, — თავიდანვე გაიხადა თავის სახელმძღვანელო პრინციპად გაზეთ „ისკრის“ იდეა ფართო პოლიტიკური აგიტაციისა და რევოლუციური მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საფუძველზე ერთიანი რევოლუციური პარტიის მოწყობის შესახებ“.[1]

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა პროლეტარული პარტიის შექმნის აუცილებლობის საკითხს, წერდა:

„ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები, უნდა შევმჭიდროვდეთ და მთელი ჩვენი ძალღონე მივმართოთ მტკიცე პარტიის შესაქმნელად, პარტიისა რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ერთიანი დროშით იბრძოლებს“.[2]

რუსეთში ერთიანი რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის ლენინურ იდეას მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხანაგმა სტალინმა. ამხანაგი სტალინი „მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას, მთელ თავის საბრძოლო ტემპერამენტს და თავის ღრმა ცოდნას ანდომებს კავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნას და ჩამოყალიბებას. ბოლშევიკური პარტიის მშენებლობას და განმტკიცებას“.[1]

ამხანაგი სტალინი „ბრძოლაში“ დაბეჭდილ სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ წერდა:

„... სოციალ-დემოკრატიას სჭირდება ძლიერი და მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, სახელდობრ, სჭირდება ორგანიზაცია პარტიისა, რომელიც შეკავშირებული იქნება მარტო სახელით კი არა, თვით ძირითადი პრინციპებით და ტაქტიკური შეხედულებებით. ჩვენი ამოცანაა ვიმუშაოთ იმ ძლიერი პარტიის შესაქმნელად, რომელიც იქნება აღჭურვილი მტკიცე პრინციპებით და გაუტეხელი კონსპირაციით“.[2]

მაგრამ ამხანაგი სტალინი არა მარტო აყენებდა პარტიის შექმნის ამოცანას, არამედ იგი ლენინთან მჭიდრო თანამეგობრობით ამუშავებდა ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს.

აზრი პარტიის, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის, შესახებ წითელი ზოლივით გასდევს „ბრძოლაში“ მოთავსებულ ყველა სტატიასა და კორესპონდენციას.

ახალი ტიპის პარტიის შექმნისა და განვითარების ძირითად პირობად ამხანაგი სტალინი, ისევე როგორც ლენინი, თვლიდა „ეკონომისტებისა“ და „ლეგალური მარქსისტების“ იდეურ განადგურებას. ამიტომ სტალინური „ბრძოლა“, ლენინური „ისკრის“ ანალოგიურად თავიდანვე მკვეთრად აყენებს „ეკონომისტებისა“ და „ლეგალურ მარქსისტებისაგან“ გამიჯვნის საკითხს.

ვ. ი. ლენინი, „ისკრის“ რედაქციის განცხადებაში“, რომელიც გაზეთ „ისკრის“ № 1-ში დაიბეჭდა, პირდაპირ ამბობდა:

„სანამ გავერთიანდებოდეთ, და იმისთვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ

---

[1] ლ. ბერია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის. გვ. 38.

[2] ვ. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 433.

[1] ლ. ბერია. „თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი“, გაზ. „პრავდა“, 1939 წ. 21 დეკემბერი.

[2] ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 38.

გადაჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთ“.[1]

ანალოგიურ ამოცანას ისახავს „ბრძოლაც“, ამხანაგი სტალინი „ბრძოლის“ № 1-ში დაბეჭდილ სტატიაში „რედაქციისაგან“ წერდა:

„მხოლოდ აქ არ უნდა დავივიწყოთ სოციალ-დემოკრატიული პრინციპები და რევოლუციური საშუალება ბრძოლისა. თუ ჩვენ ყოველ მოძრაობას ამ საზომით დავუწყებთ ზომვას, — თავისუფალნი ვიქნებით ყოველგვარი ბერნშტეინური მიეთმოეთობისაგან“.[2]

ამხანაგმა სტალინმა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ გამანადგურებელი იერიში მიიტანა სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ და განსაკუთრებით ნაშრომში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც ისევე როგორც სტატია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ უშუალოდ უკავშირდება ლენინის ისტორიულ ნაწარმოებს „რა ვაკეთოთ?“.

ამხანაგი სტალინი სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ მიუთითებს, რომ „ეკონომისტები“ იმის მაგივრად, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ სტიქიური მოძრაობისათვის, შთაენერგათ მასაში სოციალ-დემოკრატიული იდეები და მიემართათ იგი საბოლოო მიზნისაკენ - სოციალიზმისაკენ, თვითონ გახდნენ „...ბრმა იარაღი თვით მოძრაობისა“.

ამხანაგი სტალინი გმობს „ეკონომისტების“ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ვითომც სოციალიზმი თავისთავად არაფერს ახალს არ წარმოადგენს და ადვილად მოთავსდება კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში. „ეკონომისტები“, როგორც ამხანაგი სტალინი წერდა, ყოველ პროფესიულ კავშირს, თუნდაც სამომხმარებლო დუქანს ან კიდევ საწარმოო საზოგადოებას სოციალიზმის ნაწილად თვლიდნენ.

„ეკონომისტები“ აბუჩად იგდებდნენ მუშებს, გამცემლობას სჩადიოდნენ მუშათა კლასის მიმართ, როცა ურცხვად აცხადებდნენ, რომ „პოლიტიკური თავისუფლება (თავისუფლება გაფიცვების, კავშირების, სიტყვის და სხვ.) ‘ეიძლება შეთავსდეს ცარიზმთან და ‘მიტომ სრულებით არ არის საჭირო განსაკუთრებული პოლიტიკური ბრძოლა, ბრძოლა თვითმპყრობელობის დასამხობად; მარტო ეკონომიური ბრძოლაც, თუ‘რმე, საკმარისია, რომ მიზანს ‘ივაღწიოთ“.[1]

„ეკონომისტები“ თავიანთი კაპიკიანი დევიზით — ეკონომიური ბრძოლით ბორკავდნენ მუშათა რევოლუციურ ენერგიას, მათს რევოლუციურ გატაცებას, მათს რევოლუციურ მისწრაფებას. „...დიადი ენერგია მხოლოდ დიადი მიზნისათვის იბადება“, — წერდა ამხანაგი სტალინი, ააშკარავებდა რა „ეკონომისტების“ მაჩანჩალობას, მათი ოპორტუნიზმის სათავეებს.

ამხანაგმა სტალინმა თავის სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ გვიჩვენა, თუ როგორ გადადიოდა „რუსეთის მუშათა მოძრაობა თავისი შინაგანი განვითარების წყალობით“, წინააღმდეგ „ეკონომისტების“ სურვილისა, ეკონომიური ბრძოლიდან პოლიტიკური ბრძოლის გზაზე.

„ამგვარად, — წერდა ამხანაგი სტალინი, — ჩვენს წინ იშლება პერიოდი უპირატესად პოლიტიკური ბრძოლისა“.[2]

რუსი „ეკონომისტების“ წინააღმდეგ ამხანაგი სტალინის ბრძოლა მოასწავებდა აგრეთვე ქართველი ლეგალური მარქსისტების მხილებასა და საბოლოო იდეურ განადგურებას.

სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ ამხანაგი სტალინი ღრმად და ყოველმხრივ ავითარებს მუშათა სტიქიურ მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების აუცილებლობის ლენინურ იდეას. ეს იდეა შემდეგ განვითარებულ იქნა მის გენიალურ ნაშრომში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“.

ამ მიმართულებით ამხანაგ სტალინის საქმიანობა, ისე როგორც მთელი „მისი რევოლუციური საქმიანობა თბილისში სავსებით ემთხვეოდა პეტერბურგში

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. IV, გვ. 434.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 8—9.

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 18.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 29.

„მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ პოლიტიკურ მიზანდასახულობას, როცა მას ლენინი ხელმძღვანელობდა“ (მ. კალინინი).

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მუშების რევოლუციურ ბრძოლაში სოციალისტური შეგნების შეტანაში ფასდაუდებელი როლი შეასრულა გაზეთმა „ბრძოლამ“. გაზეთი დაბეჯითებით განმარტავდა, რომ მუშათა სტიქიური მოძრაობა, მუშათა მოძრაობა უსოციალიზმოდ აუცილებლად წვრილმანდება და ტრედუნიონისტულ ხასიათს იღებს.

სტალინურმა „ბრძოლამ“ დიდი როლი შეასრულა წვრილბურჟუაზიული პარტიების, განსაკუთრებით ესერების რეაქციული იდეოლოგიის მხილების საქმეში. კერძოდ, „ბრძოლამ“ „ისკრის“ 1902 წლის 1 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი ლენინის ცნობილი სტატიის „რევოლუციონური ავანტიურიზმის“, საფუძველზე—შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღა ესერების წინააღმდეგ ინდივიდუალური ტერორის საკითხში. აღნიშნულ სტატიაში ლენინმა მთელი სიცხადით გვიჩვენა ტერორის, როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალების, უვარგისობა, მუშათა რევოლუციური მოძრაობისათვის მისი ფრიად მავნე ხასიათი. ეყრდნობოდა რა ინდივიდუალური ტერორის ლენინურ შეფასებას, „ბრძოლამ“ ტერორის შეფასებას მიუძღვნა სტატია „როგორ ვუცქერით ჩვენ ტერორს?“. ეს სტატია დაიბეჭდა „ბრძოლის“ მეოთხე ნომერში.

ამ სტატიაში მკაცრად არის დაგმობილი ინდივიდუალური ტერორი, როგორც „ყოვლად შემცდარი და უვარგისი საშუალება სოციალური საკითხის გადასაწყვეტად“.

„ჩვენ, — ვკითხულობთ სტატიაში, — ვერასგზით ვერ გავამართლებთ მას. (ლაპარაკია ტერორზე — გ. ჟ.), ვერასგზით ვერ თანავუგრძნობთ მას. ცდება ის, ვინც ფიქრობს, ვითომ ტერორს შეეძლოს გამოაფხიზლოს ვითომდა მიძინებული მუშათა კლასიური თვითცნობიერება; ვინც ასე ფიქრობს, მას ავიწყდება ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ერთხელ გამოღვიძებულ კლასობრივ ანტაგონიზმს ვეღარაფერი ჩააქრობს, ეს ანტაგონიზმი თანდათან იზრდება. მაშასადამე, ტერორი ამ მხრივ ყოვლად უმნიშვნელო და უადგილოა. ის ვერავის გამოაღვიძებს, რადგან ყველა ფხიზლობს. იქნება სხვაფრივ იყოს საპარგებლო ტერორი? ვნახოთ ესეც. გვეტყვიან: ტერორი თავზარს დასცემს ძთავრობას, შიშში ჩააგდებს და აიძულებს რეფორმის გზას დაადგესო. ისტორია სრულიად წინააღმდეგს გვეუბნება. რა რეფორმებისათვის აიძულა მთავრობა ევროპიელი ანარქისტების ეპიდემიურმა ტერორმა? რა შესძინა მან ხალხს? არაფერი! რა გააკეთა რუსეთში მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებში მომხდარმა ტერორმა? არაფერი!

განა ცოტა სისხლი დაიღვარა? განა ერთი და ორი საუკეთესო შვილი რუსეთისა იმსხვერპლა ამ შემცდარმა შეხედულებამ?“ [1]

ამავე სტატიაში მოცემულია აგრეთვე შესანიშნავი შედარება ინდივიდუალურ ტერორსა და მუშათა კლასის მასობრივ რევოლუციურ მოძრაობას შორის და ნაჩვენებია ის დიდი უპირატესობა, რომელიც აქვს მუშათა კლასის რევოლუციური ამოცანების გადასაჭრელად მასობრივ რევოლუციურ ბრძოლას. „თამამად შეიძლება ვთქვათ, — ვკითხულობთ აღნიშნულ სტატიაში, — 22 აპრილის მანიფესტაციას (ლაპარაკია თბილისის 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაციაზე, — გ. ჟ.) გაცილებით უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს და უფრო გვაახლოებს ჩვენს საბოლოო მიზანს, ვიდრე რომელიმე მინისტრის მოკვლა. და რათ არის ეს ასე? იმიტომ, რომ აქ ხალხია, იქ კი კერძო პირი, ერთი ადამიანი, ერთ-ერთ ზღვა არის, ძლიერი და [illegible] — მეორე მთის ნაკადულია — მოვარდება და ჩაქრება“. [2]

„ბრძოლის“ მიერ ესერების მთელი რეაქციული იდეოლოგიისა და განსაკუთრებით ინდივიდუალური ტერორის საკითხში მათი შეხედულებების კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

გაზეთმა „ბრძოლამ“ ამხილა აგრეთვე რუსი „ეკონომისტებისა“ და „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნისტუ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 4, გვ. 22.

[2] გაზ. „ბრძოლა“, № 4, გვ. 24.

ლი ხაზი პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის საკითხებში. გაზეთ „ბრძოლას“ პოლიტიკური ბრძოლის საჭიროების პროპაგანდის ამოცანა დაუსახა ამხანაგმა სტალინმა თავის სტატიაში „რედაქციისაგან“. შემდეგ ეს საკითხი ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებით ღრმად და ფართოდ განიხილა თავის სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“.

გაზეთი „ბრძოლა“ პოლიტიკური ბრძოლის საკითხზე პირველ ნომერშივე აქვეყნებს სპეციალურ სტატიას „პოლიტიკური ბრძოლა“. „მუშათა მოძრაობა, — ვკითხულობთ წერილში,—ისტორიულად რევოლუციური მოძრაობაა. იგი აპირებს საზოგადოებრივი წყობილების ძირეულად გარდაქმნას, ადამიანთა შორის დამოკიდებულების შეცვლას, და ეს გარდაქმნა, ეს შეცვლა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მშვიდობიანად, ნებაყოფლობით, ნაბიჯობით, ან როგორც ზოგიერთი რძენაწყენი მარქსისტები იძახიან, რეფორმებისა და კულტურული რევოლუციის გზით“.

გაზეთი „ბრძოლა“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სწორი ტაქტიკური პრინციპების გამომუშავებას. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ სტატიაში „პოლიტიკური ბრძოლა“:

„...ჩვენი მუშათა მოძრაობა, სოციალ-დემოკრატიული ბრძოლა უკვე არსებული ფაქტია. ეს ფაქტი არ საჭიროებს დამტკიცებას, განმარტებას. ახლა ჩვენი საქმე ის არის, რომ ეს ბრძოლა წავიყვანოთ სასურველად, ჩვენთვის ახლა საჭიროა გავითვალისწინოთ ბრძოლის უმთავრესი მომენტები, შედგენილი გვქონდეს ბრძოლის გეგმა, რომ ამით ყოველ წინააღმდეგობას მომზადებული შევხვდეთ, თავიდან ავიცილოთ ყოველი მოსალოდნელი შეცდომა და თვითეული ჩვენი ნაბიჯი მტერთან ბრძოლაში იყოს უშეცდომო და ნაყოფიერი“.

„ბრძოლის“ ფურცლებზე ტაქტიკურ საკითხებზე დაბეჭდილი სტატიები, რომლებიც უმთავრესად ამხანაგ სტალინის კალამს ეკუთვნის, წარმოადგენენ ლენინური ტაქტიკური პრინციპების დაცვასა და დასაბუთებას.

ამრიგად, სტალინური „ბრძოლა“ მსგავსად ლენინური „ისკრისა“ ფართოდ იხილავდა, ღრმად ასაბუთებდა, ყოველმხრივ იცავდა და ავითარებდა ახალი ტიპის მებრძოლი მარქსისტული პარტიის სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი ულმობლად ააშკარავებდა, გმობდა და უკუაგდებდა რუსი „ლეგალური მარქსისტების“, „ეკონომისტების“ და ქართველი ოპორტუნისტების რეაქციულ ძეხედულებებს.

გაზეთი „ბრძოლა“ წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მარქსისტული ორგანიზაციების შტაბს.

* * *

სტალინური „ბრძოლა“ პირველი ნომერიდანვე იცავს და ავითარებს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას, იძლევა პროლეტარიატის კლასობრივი მიზნებისა და ბრძოლის პერსპექტივების ყოველმხრივ დასაბუთებას.

აი, რას წერდა ამხანაგი სტალინი გაზეთ „ბრძოლაში“.

„ბურჟუაზია გამუდმებულ შიშქვეშ არის კომუნიზმის „წითელი აჩრდილისაგან“ და ყველა რევოლუციაში ცდილობს იქ გაათავოს საქმე, სადაც იგი ჯერ მხოლოდ იწყება. რაკი თავისთვის შოიპოვებს ცოტაოდენ სარგებლიან დათმობას, ის, მუშებისაგან დაშინებული, შერიგების ხელს უწვდის მმართველობას და ურცხვად ჰყიდის თავისუფლების საქმეს.

მხოლოდ მუშათა კლასია საიმედო ბურჯი ნამდვილი დემოკრატიისა. მხოლოდ მას არ შეუძლია შეუთანხმდეს თვითმპყრობელობას რაიმე დათმობაზე, ის არ მისცემს თავს ძილს, როცა მას დაუწყებენ ტკბილად გალობას კონსტიტუციურ ჩონგურზე.

ამიტომ რუსეთის დემოკრატიული საქმისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შესძლებს მუშათა კლასი ჩაუდგეს სათავეში, გაუწიოს წინამძღოლობა საერთო დემოკრატიულ მოძრაობას, თუ იგი მოძრაობას გაყვება კუდში, როგორც დამხმარე ძალა „ინტელიგენციისა“, ე. ი. ბურჟუაზიისა. პირველ შემთ-

ხვევაში თვითმპყრობელობის დამხობის ნაყოფი იქნება ფართო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც მიანიჭებს თანასწორ უფლებებს მუშასაც, საწყალ გლეხებსაც და კაპიტალისტსაც. მეორე ‘ძემთხვევაში კი ნაყოფად დაგვრჩება ის „გაყვლეფილი“ კონსტიტუცია, რომელიც აბსოლუტიზმზე ხაკლებად არ შესძლებს მუშების მოთხოვნილების გადაქელვას და მიანიჭებს ხალხს მხოლოდ თავისუფლების აჩრდილს.

მაგრამ ამ ხელმძღვანელის როლისათვის მუშათა კლასი უნდა მოეწყოს დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად. მაშინ მისთვის საშიში აღარ იქნება აბსოლუტიზმთან ბრძოლაში ყოველგვარი ღალატი და გამცემლობა მისი დროებითი მოკავშირისა — „საზოგადოებისა“. იმ წუთიდან, როდესაც ეს „საზოგადოება“ გადაუდგება დემოკრატიის საქმეს, მუშათა კლასი გაუძღვება ამ საქმეს წინ თავისი საკუთარი ძალით, — დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია მისცემს მას ამისათვის საჭირო ძალას“.[1]

ამავე საკითხზე ამხანაგი სტალინი „ბრძოლის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში „რედაქციისაგან“ წერდა:

„... რუსეთში, და საზოგადოდ ყველგან, მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიისაგან ამორჩეული როგორც განმათავისუფლებელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებელი“.[2]

პროლეტარიატის როლის ასეთივე მაღალი შეფასებაა მოცემული „ბრძოლის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ სარედაქციო სტატიაში „პოლიტიკური ბრძოლა“. ამ სტატიაში ვკითხულობთ:

„საკმარისია გადავავლოთ თვალი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის სხვადასხვა კლასების ერთმანეთის დამოკიდებულებას, რომ დავრწმუნდეთ: რუსეთში უმთავრეს ძალას წარმოადგენს შეერთებული ძალა რევოლუციური პროლეტარიატისა. ბურჟუაზია, დამყარებული თავის უძირო ჯიბეზე, მშვენივრად გრძნობს თავის თავს თვითმპყრობელობის კვერთხის ქვეშ.

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 30—31.
[2] იქვე, გვ. 7.

პროლეტარიატი — აი ის მედგარი ძალა, რომელმაც უნდა დალეწოს თვითმპყრობელობა“.

„ბრძოლის“ პირველი ნომერი იხსნება მუშებისადმი მიძღვნით: „მიიღეთ და შეიტკბეთ“. აი რას ვკითხულობთ ამ მიძღვნაში:

„ვუძღვნი ჩემს უძვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ჭირში და ლხინში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცეცხლში გამოწრთობილთ... უშიშარ გმირთ, სიმართლისათვის თავდადებულთ, ადამიანის ზნეობრივად ამამაღლებელთ. დავრდომილთა და ჩაგრულთა გამამხნევებელთ, უსამართლობის ბორკილთა დამლეწთ, ადამიანის შემბორკავ ჯაჭვთა დამამსხვრეველთ, მეცნიერების განმათავისუფლებელთ, შემზარავ საპყრობილეთა დამანგრეველთ,... და გასალკლდევებულ ვაჟკაცთა, თავისუფლების სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!...“

„ბრძოლას“ პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური იდეის დაცვა უხდებოდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობისა და მისი ორგანო „კვალის“ წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, 1898 — 1901 წლები უაღრესად მდიდარი მოვლენების პერიოდი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. 1899 წელს მოეწყო მაისობა, 1900 წელს მოეწყო მაისობა და თბილისის რკინიგზის სახელოსნოებსა და დეპოში გაიმართა მუშათა გრანდიოზული გაფიცვა, ხოლო 1901 წელს ქალაქის ცენტრში მოეწყო მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია.

„ბრძოლამ“ ამ პერიოდის ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის ყველა გადამწყვეტი მომენტი გააშუქა სტატიაში „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1898—901 წ.“ ეს სტატია დაიბეჭდა „ბრძოლის“ № 2 — 3-ში.

გაზეთ „ბრძოლაში“ მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და მუშათა ცხოვრების საკითხები შუქდებოდა აგრეთვე „ქრონიკის“, „კორესპონდენციებისა“ და „შინაური მიმოხილვის“ განყოფილებებში.

ამრიგად, სტალინური „ბრძოლა“

ბრწყინვალედ ახორციელებდა თავისი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის—ამხანაგ სტალინის მიერ დასმულ დიად ამოცანას, რომ „გაზეთის უპირველესი მოვალეობაა... იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი“.

„ბრძოლა“ მსგავსად ლენინური „ისკრისა“, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა სტუდენტთა მღელვარებას. ამ საკითხზე „ბრძოლის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა წერილი „სტუდენტთა მოძრაობა“. ამ წერილში დაწვრილებით არის აღწერილი 1901 წელს მომხდარი სტუდენტთა საყოველთაო გაფიცვა. ეს წერილი იწყება შემდეგი სტრიქონებით:

„რუსეთის თვითმპყრობელობამ მეოცე საუკუნე სტუდენტებთან ომის გამოცხადებით გაითენა: მთავრობამ გადასწყვიტა მოსპოს სტუდენტებში ყოველი მოძრაობა და უნივერსიტეტები გადააქციოს კაზარმებად, თვით სტუდენტები კი თავის ყურმოჭრილ მონებად“.

გაზეთი სტუდენტთა მღელვარებას ეხება აგრეთვე № 2—3-ში. იგი ასე ახასიათებს მეფის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებულ იეზუიტურ რეჟიმს:

„დღევანდელ პირობებში მეცნიერების ტაძარი მხოლოდ საპყრობილეა მოსწავლეთათვის, სადაც სასტიკად იდევნება ყოველი თავისუფალი აზრი და მეცნიერება: რომ მართალია პროფესორები უნდა იყვნენ ტაძრის ლამპრები, მაგრამ დღეს ისინი მხოლოდ მმართველობის ჩინოვნიკებად გადაქცეულან და მეცნიერება გაუყიდნიათ ორდენებზე და კარგ შემოსავალზე; რომ ისინი დღეს მხოლოდ თავქვევით დაკიდებული ლამპრები არიან, რომლებიც სინათლის მაგივრად კვამლსა და სიმყრალეს უშვებენ გარშემო“.

სტუდენტთა მღელვარების მნიშვნელობის ყოველმხრივ შეფასებას იძლეოდა ამხანაგი სტალინი სტატიაში—„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“. ამხანაგი სტალინი მიუთითებს სტუდენტთა მღელვარების სათავეში მუშების ჩადგომის აუცილებლობაზე.

„ბრძოლა“ სამარცხვინო ბოძზე აკრავდა რეაქციულ ქართველ თავადაზნაურებისა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომლებმაც ნიშნად თვითმპყრობელობისადმი ერთგულებისა 1901 წლის სექტემბერში ზეიმით აღნიშნეს რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლის თარიღი. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერში იბეჭდება სპეციალური სტატია „ასი წლის იუბილეს გამო“. ეს სტატია, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე როგორც პროკლამაცია, დაწერა ლ. კეცხოველმა—რევოლუციური სოციალ-დემოკრატების თბილისის ხელმძღვანელი ჯგუფისა და პირადად ამხანაგ სტალინის დავალებით. ამ სტატიაში, ლ. კეცხოველი ამხილებს მეფის მთავრობისა და ქედმოხრილი ქართველი თავად-აზნაურების კავშირის ნამდვილ რეაქციულ შინაარსს.

ლადო კეცხოველის სტატიას „ასი წლის იუბილეის გამო“ მაღალი შეფასება მისცა ლენინურმა „ისკრამ“. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ „ისკრამ“ ზემოაღნიშნულ თარიღს მიუძღვნა სპეციალური სტატია „რუსული ხიშტის ასი წელი საქართველოში“. ეს სტატია დაიბეჭდა „ისკრის“ 1901 წლის 20 დეკემბრის ნომერში.

*
* *

გაზეთი „ბრძოლა“ თავიდანვე იკავებს „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობისა და მათი ორგანოს—„კვალისაგან“ განსხვავებულ პოზიციას გლეხობის საკითხში და ლენინური „ისკრის“ ანალოგიურად იძლევა გლეხობის, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ბუნებრივი მოკავშირის, როლის შეფასებას. „ბრძოლის“ ფურცლებზე გლეხთა მდგომარეობისა და გლეხთა მოძრაობის საკითხებზე დაბეჭდილ ყველა მასალაში ხაზგასმულია, რომ გლეხობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავი დააღწიოს მემამულეთა და კაპიტალისტთა მხრივ ჩაგვრას, თუ იგი მუშათა მოძრაობას მიემხრობა, დაეხმარება მას სოციალისტური წყობილებისათვის ბრძოლაში.

„ბრძოლის“ დამოკიდებულება გლეხობისადმი ნათლად ჩამოაყალიბა ამხანაგმა სტალინმა სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“. ამხანაგი სტალინი, ახასიათებს, რა რუსეთის გლეხობას, როგორც „საუკუნო მონობით, სიღარიბით და სიბნელით“ გაქელილს, მიუთითებს მის როლზე და რევოლუციურ ძალაზე რუსეთის დესპოტური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. „მხოლოდ მუშათა კლასი და, საზოგადოდ, ხალხი, რომელიც ბრძოლაში დაკარგავს თავის ბორკილებს, წარმოადგენს ნამდვილ რევოლუციურ ძალას“.[1]

გლეხობის საკითხს ეხება აგრეთვე ლადო კეცხოველი თავის სტატიაში „ასი წლის იუბილეს გამო“. ამ სტატიაში კეცხოველი იძლევა გლეხთა მდგომარეობის დახასიათებას ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. გლეხი, — წერს იგი, — „... იურიდიულად თავისუფალი იყო, მაგრამ ის თავისუფალი იყო ამასთანავე ყოველივე საკუთრებისაგან და ამიტომ ეკონომიურად ისევე ყმად ხდება, რადგან საარსებო ლუკმა უნდა ეძია თავის მარჯვენის საშუალებით“.[2]

„ბრძოლა“ აშუქებდა გლეხთა მოძრაობას, რომელიც 1902 წელს მუშათა რევოლუციური მოძრაობის გავლენით გაიშალა როგორც საქართველოში, ისე რუსეთის სამხრეთ რაიონებში.

სტალინური „ბრძოლა“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა ნაციონალურ საკითხს. ამ საკითხზე „ბრძოლის“ მე-2—3 ნომერში დაიბეჭდა სტატია: „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“, რომელიც ეხება ნაციონალიზმისა და სოციალიზმის დამოკიდებულების საკითხს. სტატია წარმოადგენს აღნიშნული საკითხის მარქსისტული განხილვის შესანიშნავ ნიმუშს. გაზეთ „ბრძოლის“ რედაქციას განზრახული ჰქონდა მორიგ ნომერში სტატიის გაგრძელების დაბეჭდვა. ამასთან დაკავშირებით რედაქციის შენიშვნაში ვკითხულობთ:

„რადგან ვეჩქარებით ნომრის მალე გამოშვებას (ისედაც ძალიან დაგვიანებულს), იძულებული ვართ გადავდვათ ამ წერილის დასასრული შემდეგი ნომრისათვის, ესევე გარემოება გვაიძულებს ბევრგან შეგვემოკლებინა ბრბევლი ნახევარიც. მაგრამ რადგანაც ეს საკითხი ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია, ჩვენ მას არაერთხელ დავუბრუნდებით შემდეგშიც და უფრო ვრცლად განვმარტავთ გამოთქმულ შეხედულებათ ამ საკითხზე“.[1]

მაგრამ ვინაიდან „ბრძოლის“ მორიგი, მეოთხე ნომრის გამოცემა თითქმის ერთი წლით შეფერხდა, რედაქციამ ვერ შესძლო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

„ბრძოლამ“ ფასდაუდებელი როლი შეასრულა ამიერკავკასიის ხალხთა შორის მტკიცე და ურღვევი მეგობრობის დანერგვის საქმეში.

სტალინური „ბრძოლა“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიის ხალხებში დიდი რუსი ხალხისადმი ნდობისა და პატივისცემის დანერგვას.

სტალინურ „ბრძოლა“ იყო „... შუამავალი, შემაერთებელი ქართველი და რუსი მებრძოლი მუშებისა“.[2]

გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ასახავდნენ რევოლუციურ მოძრაობასა და გამოხატავდნენ რევოლუციურ სულისკვეთებას.

* * *

ამხანაგი სტალინი გაზეთის მუშაობის სათანადო დაყენებისა და „რევოლუციური ბრძოლის იარაღად“ მისი გადაქცევის ერთ-ერთ ძირითად პირობად თვლიდა თვით მკითხველებისა და თანამგრძნობთა დახმარებას. „გაზეთის სათანადოდ დაყენებისათვის, — წერდა ამხანაგი სტალინი, — საჭიროა თვით მკითხველებისა და თანამგრძნობლების დახმარება. მკითხველი დაინახავს, რომ „ბრძოლის“ პირველ ნომერს ბევრი ნაკლოვანება ახლავს, მაგრამ ნაკლოვანება ისეთი, რომელიც შეიძლება გამოსწორდეს, თუ იქნება დახმარება თვით მკითხველებისაგან. კერძოდ აღვნიშნავთ ში-

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 23.
[2] გაზ. „ბრძოლა“, № 1, გვ. 10.

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 2—3, გვ. 20.
[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 7.

ნაური ქრონიკის სისუსტეს. ჩვენ მოშორებულნი სამშობლოდან, მოკლებულნი ვართ საშუალებას ვადევნოთ თვალყური საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას და თავის დროზე მივცეთ გაზეთში ცნობები და ახსნა ამ მოძრაობისა. ამიტომ საჭიროა თვით საქართველოდან დახმარება. ვისაც ექნება სურვილი ლიტერატურით დახმარებისა, ის, უეჭველია, იპოვის საშუალებასაც იქონიოს კავშირი „ბრძოლის“ რედაქციასთან პირდაპირ თუ სხვისი მეშვეობით“ [1]

ამხანაგი სტალინი წერილში „რედაქციისაგან“ მიმართავდა ქართველ მებრძოლ სოციალ-დემოკრატებს მიეღოთ მხურვალე მონაწილეობა „ბრძოლის“ საქმიანობაში, აღმოეჩინათ დახმარება მისი გამოცემა-გავრცელებისათვის.

ამხანაგ სტალინის ამ მოწოდებას უდიდესი ქმედითი ძალა ჰქონდა. „ბრძოლამ“ მხურვალე და ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს მუშათა ფართო ფენებში.

მუშებმა გაზეთ „ბრძოლის“ პირველ ნომერშივე დაინახეს ის ახალი რაც მას განასხვავებდა „მესამე დასის“ უმრავლესობის ოპორტუნისტული ორგანო— გაზეთ „კვალისა“ და ყველა სხვა ლეგალური გამოცემისაგან.

გაზეთ „ბრძოლისათვის“ მუშებთან კავშირის დამყარება უაღრესად სერიოზულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ გაზეთის რედაქციას არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეთითებინა მკითხველებისათვის ზუსტი მისამართი. ასე, მაგალითად, „ბრძოლის“ მეოთხე ნომრის უკანასკნელ გვერდზე რედაქციის განცხადებაში ვკითხულობთ: „ყოველივე საჭირო ცნობა გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი მისამართით:

L. H. W. Diefr Hachf (G. m. b. n.) in Stutgart“. ამ მისამართს „ბრძოლის“ რედაქციის ნამდვილ მისამართთან არაფერი საერთო არა ჰქონდა: როგორც ცნობილია, გაზეთი „ბრძოლა“ გამოდიოდა არა შტუტჰარტში, არამედ ბაქოში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, სტალინური „ბრძოლა“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელ მასებთან. თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან. ჩვეულებრივ „ბრძოლის“ რედაქციისათვის გადასაცემ კორესპონდენციებს მუშა ავტორები აძლევდნენ მათთან უშუალოდ დაკავშირებულ პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, შემდეგ კორესპონდენციები თავს იყრიდა „ბრძოლის“ აგენტების ხელში, მათგან კი ეგზავნებოდა „ბრძოლის“ რედაქციას.

გაზეთი „ბრძოლა“ თავისი კორესპონდენტების საშუალებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული აგრეთვე რუსეთის ყველა ძირითად რაიონთან. გაზეთი დროზე ეხმაურებოდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.

„ბრძოლის“ აგენტების თავდადებული მუშაობის მეოხებით რედაქციას არასოდეს არ განუცდია მასალების ოდნავი ნაკლებობაც კი. როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის, ისე რუსეთის ცხოვრებიდან იგი ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო საინტერესო მასალებით. „ბრძოლის“ აგენტების თავდადებული მუშაობის შედეგად რედაქცია ხშირად ახერხებდა კავშირის დამყარებას საპატიმროებში გამომწყვდეულ რევოლუციონერებთან და ბეჭდავდა მათგან მიღებულ ამაღელვებელ მასალებს.

„ბრძოლა“ წარმატებით ახერხებდა აგრეთვე მიეწოდებინა მკითხველებისათვის ცნობები უცხოეთის ცხოვრებიდან.

ამრიგად, სტალინური „ბრძოლა“ ბრწყინვალედ ახორციელებდა მის წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ დასმულ ამოცანას, რომ „გაზეთმა უნდა აცნობოს მკითხველებს ყოველი მათთვის საინტერესო მოვლენა ადგილობრივ, რუსეთის და უცხოეთის ცხვორებიდან“. [1]

საქართველოში „ბრძოლის“ გავრცელება, დანიშნულ ადგილამდე მისი მიტანა, მუშათა ყველა წრისთვის მისი მიწოდება თითქმის უფრო მეტ დაბრკოლებებს ხვდებოდა, ვიდრე თვით მისი გამოცემა. გაზეთს მკითხველებისაკენ მიმავალ გზებს უღობავდა მთელი ხრო-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 9—10.

[1] გაზეთი „ისკრა“, № 18, გვ. 19, 1902 წ. 10 მარტი.

ვა ჟანდარმების და პოლიციელებისა. ჟანდარმერიისა და პოლიციის მიერ ცალკეული მუშების შესახებ შედგენილ დასმენებში ხშირად იყო აღნიშნული „შემჩნეულია გაზეთ „ბრძოლის“ კითხვაში“, „ეჭვმიტანილია გაზეთის გავრცელებაში“, „აღმოაჩნდა რამდენიმე ცალი გაზეთი „ბრძოლა“ და სხვადასხვა“. იმ მუშებს, რომელთაც ასეთ ბრალდებას უყენებდნენ, მკაცრად სჯიდნენ.

„ბრძოლის“ გავრცელებისათვის არანაკლებ დაბრკოლებას ჰქმნიდნენ „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა და მისი მიმდევრები. ისინი ყველა საშუალებით აფერხებდნენ „ბრძოლის“ გავრცელებას და მისი აგენტების მუშაობას.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, „ბრძოლის“ გავრცელება სანიმუშოდ იყო დაყენებული ამ საქმისათვის გაპიროვნებულ პროფესიონალ-რევოლუციონერების მიერ.

„ბრძოლის“ აგენტების თავდადებული მუშაობის შედეგად „ბრძოლა“ ფართოდ გავრცელდა საქართველოში და ყოველი მისი ნომერი ხელიდან ხელში გადადიოდა. „ბრძოლის“ აგენტებს შორის იყვნენ: ვანო სტურუა, გ. თელია, ნ. ლელაშვილი, გ. ნინუა, მიხო ბოჭორიძე და სხვ.

„ბრძოლის“ აგენტები იმავე დროს იყვნენ ლენინური „ისკრის“ აგენტებიც. ისინი თავდადებით ავრცელებდნენ ლენინურ „ისკრას“ საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

„ბრძოლის სტამბა თავიდანვე განსაკუთრებული ეხერგიით მუშაობდა. ამხანაგ სტალინის დახმარებით ლადო კეცხოველმა უზრუნველყო ბაქოს არალეგალური სტამბის მაქსიმალური დატვირთვა. სტამბაში დაბეჭდილი სხვადასხვა პოლიტიკური ლიტერატურა მილიონზე მეტ ეგზემპლარად ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელი სამხრეთ რუსეთის ქალაქებშიც.

„ბრძოლის“ სტამბაში დიდი რაოდენობით იბეჭდებოდა ამხანაგ სტალინისა და მისი თანამებრძოლების მიერ დაწერილი პროკლამაციები, ფურცლები და მოწოდებები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროკლამაციის ტირაჟი აღწევდა 80—100 ათას ეგზემპლარს. პროკლამაციების ნაწილი, როგორც რეტროსპექტივი ბუხარინი თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს სახელზე ლადო კეცხოველის მუშაობის შესახებ 1903 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილ საიდუმლო მოხსენებაში წერდა, მიმართული იყო ჯარებისადმი და მოუწოდებდა მათ „აშკარა ურჩობისა და ბუნტისაკენ“. „ბრძოლის“ სტამბაში, გარდა გაზეთისა და პროკლამაციებისა, იბეჭდებოდა ბროშურები, სტამბაში იბეჭდებოდა მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაწარმოებებიც. კერძოდ, „ბრძოლის“ სტამბაში დაიბეჭდა „კომუნისტური მანიფესტი“, „რა ვაკეთოთ?“, „ღარიბ გლეხკაცებს“ და სხვ.

ვ. ი. ლენინი აღფრთოვანებული იყო ბაქოში დიდი არალეგალური სტამბის არსებობის ფაქტით. ლენინი ფართო მიწერ-მოწერას აჩაღებს ბაქოს კომიტეტთან და, კერძოდ, ლადო კეცხოველთან.

თავის მიწერ-მოწერაში ლენინი ბაქოს არალეგალურ სტამბას კონსპირატიული მოსაზრებით „ნინას“ უწოდებდა, ხოლო მის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს ლადო კეცხოველს — „ნინას მამას“. ლენინი ხშირად თვით „ისკრის“ ფურცლებზე ათავსებდა წერილებს ლადოს მისამართით. „ისკრის“ ერთ-ერთი ნომრის უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდილ წერილში, რომელიც ლადოს მისამართით იყო, ჩვენ ვკითხულობთ: „ნინას მამას: წერილი მიღებულია, გვაცნობეთ წერილისათვის მისამართი, ძველი უვარგისია“.[1]

ლენინი ბაქოს კომიტეტს და, კერძოდ, ლადო კეცხოველს ამოცანად უსახავდა: „თუ თქვენთან ტექნიკა მოგვარებულია, ეცადეთ, რაც შეიძლება ჩქარა გამოსცეთ „ისკრა“ მთლიანად ან თუნდაც ერთი ნომერი“.[2]

რასაკვირველია, ბაქოში „ისკრის“ ნომრების ხელმეორედ გამოცემის ორგანიზაცია დაკავშირებული იყო უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებებთან. საქმე ის იყო, რომ ბაქოს სტამბის ტექნიკური მოწყობილობა არ კმაროდა „ისკრის“ გამოცემისათვის, მაგრამ ეს

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 1, გვ. 7.
[2] „ლენინის კრებული“. 8, გვ. 189.

საქმე მოგვარებული იქნა. ამის შემდეგ იწყება „ისკრის“ ცალკეული ნომრების გადაბეჭდვა ბაქოში.

ბაქოს სტამბაში „ისკრის“ ცალკეული ნომრების ხელმეორედ გამოცემის ორგანიზაციას, ტექნიკურ დაბრკოლებათა გარდა, წინ ეღობებოდა არანაკლები და შეიძლება ითქვას უფრო მეტი დაბრკოლებაც. ეს იყო საზღვარგარეთიდან „ისკრისა“ და სხვა ისკრული ლიტერატურის შემოტანის საკითხი.

ბაქოს სტამბა ლადოს თავდადებული მუშაობის მეოხებით გადაიქცა არალეგალურ გამოცემების უდიდეს ბაზად. ამ ბაზიდან რუსეთისა და ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს ყოველთვის შეეძლოთ საჭირო რაოდენობით მიეღოთ ლენინურ-ისკრული გამოცემები. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ბაქოს სტამბას „სრულიად რუსეთის ღუმელს“ უწოდებდნენ

აფასებდა რა ბაქოს სტამბის დამსახურებას რუსეთში ლენინური იდეების გავრცელების საქმეში, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია წერდა:

„ბაქოს სტამბა თითქმის მთელ რუსეთს ამარაგებდა „ისკრით“.[1]

ბაქოს არალეგალური სტამბის ასეთ მრავალმხრივ საგამომცემლო მუშაობას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა რსდმპ III ყრილობამ. ბაქოს არალეგალური სტამბის მუშაობის შესახებ პარტიის III ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„მოისმინა რა ცენტრალური კომიტეტის მოხსენება რუსეთში პარტიული სტამბის დაარსების შესახებ და იღებს რა მხედველობაში კერძოდ იმ ამხანაგების მოღვაწეობას, რომლებიც მუშაობდნენ რუსეთში ცენტრალური კომიტეტის მთავარ სტამბაში 1901 წლიდან, რსდმპ მესამე ყრილობა სალამს უძღვნის ხსენებულ ამხანაგებს და იმედს გამოთქვამს, რომ ახლო მომავალში იხილავს მათ იმ ამხანაგების რიცხვში, რომლებიც შევლენ რსდმპ პირველ ღია ლეგალურ სტამბაში“.

[1] „ლენინის კრებული“. VIII, გვ. 149.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით, „ბრძოლასთან“ ერთად, 1902 წლის დეკემბრიდან სომხურ ენაზე გამოსვლას იწყებს არალეგალური გაზეთი „პროლეტარიატი“.

„ბრძოლის“ რედაქცია დიდი სიხარულით აუწყებდა თავის მკითხველებს სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის — „პროლეტარიატის“ გამოცემას.

„პროლეტარიატის“ გამოსვლას დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ აგრეთვე ლენინი და კრუპსკაია.

სტალინურმა „ბრძოლამ“, ისე როგორც ლენინურმა „ისკრამ“, განსაკუთრებული დევნა განიცადა ჟანდარმერიის მხრივ.

* * *

სტალინური „ბრძოლა“, რომელიც დაიბადა 50 წლის წინათ, იყო ლენინური „ისკრის“ რევოლუციური იდეებისათვის ყველაზე ერთგული და ყველაზე თანამიმდევარი მებრძოლი, როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ისე მთელ რუსეთში.

ლენინურ „ისკრასთან“ ერთად სტალინურმა „ბრძოლამ“ მოამზადა ახალი ტიპის პარტიის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის შექმნა, „ისკრასთან“ ერთად იგი ამუშავებდა ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს.

„ისკრასთან“ ერთად „ბრძოლა“ იყო რუსეთის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის საიმედო რევოლუციური დროშა. „ბრძოლა“ დაეხმარა პარტიას, ლენინსა და სტალინს, რომ გადაექციათ საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო და უერთგულეს რაზმად. „ბრძოლამ“ ამ დიადი ისტორიული ამოცანის წარმატებით შესრულება შესძლო ლენინის თანამებრძოლისა და მეგობრის, მისი უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობის—ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ნოდარ ჩხეიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაბლო ნერუდა

★

ჩილის დღეები

წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ, სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში 3980 კილომეტრის სიგრძეზე, გაჭიმულია პატარა ქვეყანა — ჩილი. ოკეანის ნაპირიდან მისი მაქსიმალური სიგანე 355 კილომეტრს უდრის, მინიმალური— 15 კილომეტრს. ჩილი მთლიანად მოქცეულია კორდილერების მთიანი ზონის სისტემაში, დაფარულია უამრავი უღელტეხილებით, მწვერვალებით, ათამდე ვულკანით. ეს ქვეყანა მდიდარია სამხრეთ ტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი მცენარეებით, როგორიცაა, მაგალითად, „ძგლის რძე" (მისი ნაყოფი სავსეა შხამიანი რძით), კაქტუსი, წიწვიანი ხე—არაუკარია, მაგნოლია, დაფნა და სხვა. ჩილის ერთ-ერთი კუნძული—ჩილოე კარტოფილის სამშობლოა. აქედან მისი კულტურა გავრცელდა მთელს მსოფლიოში. ამ ქვეყანაში ბინადრობენ მრავალი სახის ცხოველები: ცეროდენა ირმები, სამხრეთ ტროპიკული დათვები და სხვა. ჩილი მდიდარია მრავალი მადნეულით. მათ შორის ყველაზე ცნობილია ჩილის გვარჯილა და სპილენძი.

ჩილის პირველი დამპყრობლები ესპანელები იყვნენ. მათ მოსვლამდე ჩილი ორ ნაწილად იყოფოდა. ჩრდილო ნაწილი შედიოდა ინკების სახელმწიფოში, ხოლო სამხრეთი ნაწილი დასახლებული იყო ინდიელ არაუკანელთა ტომებით. პირველი შეჭრა ესპანელებისა ჩილიში მოხდა 1535 წელს, მეორე 1539-ს, რასაც მოჰყვა სანტიაგოს, კონსეპსიონის, ვალდივიას და სხვა ქალაქების აღმოცენება. მთელი ამ ხნის განმავლობაში ინდიელი არაუკანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს (მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლების დასაწყისში მოხერხდა მათი საბოლოო დამორჩილება). მალე ჩილი გადაიქცა ესპანეთის კოლონიად. 1811 წლის 14 აგვისტოდან კი ჩილი ფაქტიურად რესპუბლიკაა ესპანეთის მეფის ფორმალური სუვერენიტეტით. მთლიან დამოუკიდებლობას ჩილიმ მიაღწია სახელმწიფო მმართველის ო'ხიგინსის დროს 1818 წლის 1 იანვარს. 1879—1884 წლების, ე. წ. წყნარი ოკეანის ომში, ჩილი გამოდის ბოლივიისა და პერუს წინააღმდეგ და თავისი შედარებით უკეთესი ეკონომიური მდგომარეობისა და სამხედრო ორგანიზაციის მეშვეობით აღწევს გამარჯვებას, რის შემდეგ ის იძენს ტერიტორიების ნაწილს ბოლივიისა და პერუს სახელმწიფოსაგან. ამ პერიოდიდან 1921 წლამდე ჩილიში ყალიბდება რამდენიმე პოლიტიკური პარტია: რადიკალური 1883 წლიდან, სოციალისტური — 1919 წ., დემოკრატიული, ლიბერალური, კონსერვატიული, აგრარული და კომუნისტური პარტია, რომელიც ჩამოყალიბდა 1921 წელს სოციალისტური პარტიის ბაზაზე. იმპერიალიზმის ეპოქის დასაწყისში ჩილის ეკონომიკა მთლიანად საზღვარგარეთული, ძირითადად—ინგლისური, კაპიტალის ხელშია. ინგლისში მიდიოდა ჩილის ექსპორტის ⅔ ნაწილი. პრეზიდენტები მხოლოდ ფორმალურად მართავდნენ ქვეყანას, ფაქტიურად მას საზღვარგარეთელი ბატონები განაგებდნენ. ჩილის ეკონომიური ძლიერება იზრდებოდა ან ეცემოდა იმისდამიხედვით თუ როგორი გასავალი და მოთხოვნილება ჰქონდა ამ ქვეყნის საექსპორტო საქონელს საზღვარგარეთ. იყო შემთხვევები (მაგ., პირველი მსოფლიო ომის წინ და შემდეგ), როცა ჩილის ეკონომიკა კატასტროფის

წინაშე იდგა მზა პროდუქციის გაუსაღებლობის გამო.

აქ, ესპანელებითა და ინდიელი ტომებით დასახლებულ ქვეყანაში, ქალაქ ტემუკოს (600 კილომეტრზე სანტ-იაგოს სამხრეთით) 1904 წელს დაიბადა ნეფტალი რიკარდო რეიესი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილია პაბლო ნერუდას სახელით.

ნერუდა ბავშვობიდანვე იწყებს ლექსების წერას. 17 წლის ახალგაზრდა აქვეყნებს თავისი ლექსების პირველ წიგნს „საზეიმო სიმღერა". 1923 წელს გამოდის მისი მეორე წიგნი „მწუხრი", ხოლო 1924 წელს მან გამოსცა ლექსების კრებული, რომელმაც მას სამუდამოდ დაუმკვიდრა უნიჭიერესი პოეტის სახელი. ეს იყო „სიყვარულის ოცი ლექსი და ერთი უიმედობის სიმღერა". სწორედ ამ ხანებში პოეტი აქტიურ მონაწილეობას იღებს „ბარიკადების მოძრაობის" სახელით ცნობილ ჩილელ მუშათა და სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. უკვე აქ გამომჟღავნდა მისი მებრძოლი, რევოლუციური სული.

ამ პერიოდში პოეტი მოქცეულია ესპანური მოდერნიზმის მამამთავრის რუბენ დარიოს (1867 — 1916) გავლენის ქვეშ. ეს მიმართულება დამახასიათებელი იყო ბურჟუაზიული ლიტერატურის დეკადანსისათვის. ახალგაზრდა პოეტი ვერ გაექცა აგრეთვე შარლ ბოდლერისა და არტურ რემბოს პოეზიის ზემოქმედებას. ამავე დროს იგი დაეწაფა ხალხური პოეზიის გამაცოცხლებელ წყაროს ხალხური მთქმელის ხესუს ბრიტოს სახით, რომელიც ნერუდას თქვა „თავის დაძველებულ ტომარაში კრებდა ხალხის ცრემლებს".

მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნერუდას შემოქმედებაში იჭრება ორი ადამიანის პოეზიათა ნაკადები. ესენი იყვნენ უოლტ უიტმენი და ვლადიმერ მაიაკოვსკი. ვის არ წაუკითხავს უიტმენის „ბალახის ღეროები" — თეთრი ლექსით დაწერილი ლექსთა კრებული, სადაც უბრალოდ, შთაგონების ვირტუოზული უნარით გამოძერწილია ადამიანები, ხასიათები და მოვლენები. როგორც ადამიანი, უიტმენი ისეთივე საყვარელი, კეთილი და სადა იყო, როგორც მის მიერ შექმნილი პოეზია იყო სადა, მძლავრი და ჰუმანიზმით სავსე. ნერუდა მას უწოდებს თავის „ბრძენ ძმას" და გასაგებიცაა, გარკვეული გავლენა რომ ექნებოდა მასზე უიტმენს. მაგრამ სულ სხვა იყო ვ. მაიაკოვსკის ზემოქმედება ნერუდაზე. მაიაკოვსკის პოეზიაში იპოვა მან თავისი ნებისყოფისა და ერუდიციის წარმართვისათვის უტყუარი გზა. „დახავსებულ პოეტურ სისტემათა შორის, რომელთაც ჰქონდათ კლასიფიკაცია — განთიადი და მწუხრი — გაისმა ხმა მსგავსი მშენებლის ჩაქუჩის ცემისა" სწერს ნერუდა.

როგორ იჩინა ნერუდას შემოქმედებაში მაიაკოვსკის გავლენამ თავი? მან თავი იჩინა იმ თვისებებში, რომლებიც უდავოდ ზედმიწევნით მაღალხარისხოვნად ახასიათებს ნერუდას პოეზიას. მოვლენებისადმი პირდაპირი მიმართვა, პირობითობის უგულებელყოფა, მგრგვინავი პოეტური ხმა, მძლავრი პოლიტიკური გამჭრიახობა და რევოლუციური პათოსი. თუ უიტმენმა ზეგავლენა მოახდინა ნერუდაზე უფრო მეტად წერის ფორმის მხრივ, სამაგიეროდ მაიაკოვსკიმ სტიმული მისცა ნერუდას მთელს პოეზიას შემდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის.

გადიოდა დრო. ნერუდა ჩაება ქვეყნის პოლიტიკურსა და დიპლომატიურ ცხოვრებაში. მას ვხედავთ გემზე, ჩინეთში მიმავალს, ვხედავთ იაპონიის დიპლომატურ საელჩოში მომუშავეს, აზიის მუშა-ხალხთან ქუჩაში მოსაუბრეს, ის მოსჩანს იან-ძიძიანის ნაპირას ცეცხლით სავსე თვალებით, მას ვხედავთ თავის დროებით სამუშაო ოთახში საწერ მაგიდასთან. მის გონებაში ერთმანეთს ცვლიან ირგვლივ არსებული საგნები და მათი პოეტური ანარეკლები, ხალხი, რომელთანაც ცხოვრობს, ადამიანები, რომლებსაც იცნობს, საღატაკე, რომელიც ყველგან გამეფებულა, შიმშილი, რომელიც მოსდებია მშრომელთა მასებს, სიკვდილი, რომელიც ყველაზე ხშირი სტუმარია ღატაკი ხალხისა და ყველაფერ ამისაგან ის სწავლობს „სიკვდილის ლექსიკონს".

სიკვდილის თემაზე ბევრს სწერენ მისი ესპანელი მეგობრები: ფრედერიკო გარსია ლორკა და რაფაელ ალბერტი. მაგრამ 30-იან წლების ბოლოს ნერუდას პოეზიაში მაინც ძირითადი მოქალაქეობრივი მოტივები იყო. ამ პერიოდს ეკუთვნიან წიგნები: „ცდა უსაზღვრო ადამიანისა" (1926), „ადგილ-

სამყოფელი — დედამიწა“ (1933) და ნოველების წიგნი.

თითქოს ჩვეულებრივად, შეუმჩნევლად მიდიოდნენ წლები. მაგრამ აი კაცობრიობის თვალწინ გამოჩნდნენ მადრიდის ქუჩებში მხოხავი სვასტიკიანი გველები და მთელი დედამიწის დაძაბული ყურადღების ფოკუსში ესპანეთი მოექცა.

„ესპანეთით გულში“

1936 წლიდან ნერუდა არის ჩილის ელჩი ესპანეთში. აქ ის თავის სამუშაოსთან ერთად ბევრ დროს პოულობს ლიტერატურული საქმიანობისათვის. ამ ხანებში მასთან ხშირად დადიან და მეგობრობენ სახელგანთქმული ესპანელი მწერლები: ფრედერიკო გარსია ლორკა, რაფაელ ალბერტი, არგენტინელი პოეტი რაულ გონსალეს ტუნიონი და მხატვარი პაბლო პიკასო. ისინი უმეტეს დროს ანდომებენ პოეზიაზე, ლიტერატურასა და საერთოდ ხელოვნებაზე მსჯელობას. საუბრობენ თავიანთი ქვეყნის წარსულზე, სამშობლოს სილამაზეზე, სიყვარულზე, ყაყაჩოებზე, ენძელებზე, პირენეის მთებსა თუ ანდალუზიაზე, გრენადასა თუ კასტილიაზე... ასე მიდიოდნენ დღეები, სავსენი ფანტაზიით, ოცნებით, იმედებით, სიახლოვის შესანიშნავი გრძნობით, ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით. მაგრამ მოვიდა 1936 წლის 17 ივლისის ღამე და თან მოჰყვა მახვილი, ღალატი, სისხლი და ცრემლები. ჰიტლერული გერმანიისა და ფაშისტური იტალიის მხარდაჭერით, მოღალატე გენერლის ფრანკოს მეთაურობით რეაქციული აჯანყება დაიწყო რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ მაროკოსა და კანარის კუნძულებზე. 19 ივლისს შესყიდულმა გენერლებმა თავიანთ ხალხს უღალატეს და ფრანკოს მხარეზე გადავიდნენ. დაიწყო სასტიკი ბრძოლები. აჯანყებიდან მეცხრამეტე დღეს 1936 წლის 6 აგვისტოს გრენადაში ფრანკოს ჯარისკაცებმა ავაზაკურად მოჰკლეს სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, ნიჭიერი პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკა. ადამიანი, რომელმაც მთელი მიმდინარეობა შექმნა ახალ ესპანურ ლიტერატურაში, რომლის კალამს ეკუთვნის მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი სახელგანთქმული „ბოშური რომანსერო“ (1928), „დონია როსიტა — ქალიშვილი ანუ ყვავილების ენა“ (1935) „ტირილი იგნასიო სანჩეს მეხიაზე“ (1935) და „სისხლიანი ქორწილი“ (1933).

ნერუდას თვალწინ სისხლში ცურავდა ესპანეთი. ინგრეოდა სახლები, ქუჩები, ქალაქები. ტყვიების ზუზუნმა, ტყვიამფრქვევების ცეცხლმა, ყუმბარათა გრგვინვამ, თვითმფრინავთა გრუხუნმა დაჰფარა ქვეყანა. ფაშისტ ბარბაროსთა მხეცობის წინააღმდეგ შურისძიებით ანთებულმა პოეტმა დაბომბვის შემაძრწუნებელი სურათი დახატა:

ვინ მოდის გზაზე, ვინ?
ვინ მოდის
სისხლიან ღამეში, ვინ?
ფოლადი, ცეცხლი, ნაცარი,
ქვები, სიკვდილი, კვნესა.
ვინ არის გზაში ეს, დედა, ვინ?
ვინ არის? და საით?

შეშფოთდა, შეირყა პოეტის სული. მის შემოქმედებაში, მის პოეზიაში ზამბახი ტყვიამ შეცვალა, ყაყაჩო — ყუმბარამ, მტრედი — თვითმფრინავმა, სიყვარული—სიკვდილმა, განთიადი—სისხლმა. ის აქტიური მონაწილეა რესპუბლიკელთა ბრძოლისა. ის თამამად, მოურიდებლად იმაღლებს ხმას წინაპართა ქვეყნის გადასარჩენად. ღია სარკმელიდან გასცქერის ქუჩას, სადაც სისხლი მოდის მდინარეებად და მისი მეოცნებე, სევდითა და მწუხარებით, იმედითა და სიმშვიდით სავსე თვალებიდან ცრემლი იწურება.

„თქვენ მეკითხებით, რად არ ვსაუბრობ
მე ოცნებებზე,
მწვანე ფოთლებზე,
ჩემი მიწის დიდ ვულკანებზე?

შეხედეთ: ქუჩაში სისხლია.
შეხედეთ:
სისხლია
ქუჩაში“. („მოღალატე გენერლები“)

ეს ლექსები შედის ციკლში „ესპანეთით გულში“, რომელიც ნერუდამ 1938 წელს გამოაქვეყნა ჩილეში, მას შემდეგ, რაც მისმა მთავრობამ აიძულა

ის დაეტოვებია ესპანეთი. ჩილიში ამ დროს პრეზიდენტის პოსტი ეკავა ალესანდრის, რომელმაც მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა დაამყარა ფაშისტურ გერმანიასთან. 1937 წელს ჩილის სახელმწიფომ გერმანიისაგან იყიდა სარკინიგზო მოწყობილობანი, ხოლო 1938 წელს ჩილის საავიაციო კომპანიამ გერმანიისაგან შეიძინა „იუნკერსები". აქედან გასაგებია ჩილის მთავრობის დამოკიდებულება რესპუბლიკელებისადმი.

წიგნი „ესპანეთით გულში" გამოვიდა რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ დღეებში ესპანეთშიც. წიგნისთვის ქალალდი ჯარისკაცებმა იშოვნეს და ასეთი წარწერა დაურთეს ნერუდას მისამართით: „დე, ეს ამბავი ჩვენმა მეგობარმა მიიღოს როგორც საჩუქარი".

პოეტს მუდამ გულში ჰქონდა და აქვს ესპანეთი თავისი ისტორიით, აწმყოთი და მომავლით, ქალაქებით, სოფლებით, მთებით, მდინარეებით, მინდვრებით, ხალხით და ამიტომაც როცა ის წერდა ამ ციკლს, წერდა „ესპანეთით გულში" — აქედან მისი სათაურიც.

პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში ცხარე ბრძოლებში მყოფ მადრიდის ასეთ სურათს გვიხატავს:

„გმირთა ქალაქი მწუხარებად გადაქცეული,
გულში დაჭრილი, დამსხვრეული და
დანგრეული.
ქალაქი ღამეს მოკლებული—ქალაქი ღამის,
შუშის ნამტვრევით დაფარული, სისხლში
მცურავი,
სავსე დუმილით, გმირებით და
ჯანნადებით".
(„მადრიდი, 1937").

ასეთ დღეში იყო მადრიდი, ბარსელონა, ვალენსია, ალმერია, როცა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებდნენ, რითაც მათ გერმანელ, იტალიელ და ფრანკოს ფაშისტებს ხელში ჩაუგდეს სერვანტესის, ლოპე დე ვეგას, ველასკესის, მურილიოს და გოიას სამშობლო. და განა არსებობს საზღვარი მხეცობისა, რომელსაც ფრანკისტები ჩადიოდნენ? გამოჩენილი პოეტი მიგელ ერნანდესი, რომელიც თავდადებულად იბრძოდა რესპუბლიკელების საქმისათვის, 1939 წელს ტყვედ ჩაიგდეს ხელში. მას ჯერ სიკვდილი მიუსაჯეს, ხოლო შემდეგ შეუცვალეს განაჩენი და ციხეში ჩააგდეს, სადაც 1942 წელს ჭლექისაგან გარდაიცვალა.

მამაც რესპუბლიკელებს მხარს უჭერდა პროგრესული კაცობრიობა საბჭოთა კავშირის მეთაურობით. იგი ხელს უწყობდა მათ მატერიალურად და მორალურად. აი როგორი იყო დიდი ბელადის ტელეგრამის შინაარსი, რომელიც მან ხოზე დიასს გაუგზავნა: „საბჭოთა კავშირის მშრომელები, მხოლოდ თავიანთ ვალს ასრულებენ, როცა შესაძლებლობის დაგვარად დახმარებას უწევენ ესპანეთის რევოლუციურ მასებს. მათ იციან, რომ ესპანეთის განთავისუფლება ფაშისტი რეაქციონერების უღლისაგან არის არა ესპანელების კერძო საქმე, არამედ ესაა მთელი მოწინავე და პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმე".

ნერუდას ლექსების ციკლი „ესპანეთით გულში" ძხურვალე პროტესტი ფაშისტების მიერ ესპანეთში ჩადენილი ავაზაკური მოქმედებების წინააღმდეგ.

„ხარამა!
აქ სისხლია და ქვები,
აქ მწუხრისაა ზეცა,
აქ ხომ მკვდრებია შენი,
ხარამა!"

სწერს პოეტი მდინარე ხარამასთან მომხდარი ბრძოლის გამო.

ნერუდა მიესალმება რესპუბლიკელების საშველად მოსულ ინტერნაციონალურ ბრიგადებს. ის სწერს ალმერიაზე, ქალაქზე, როელიც დაბომბეს და დაანგრიეს გერმანულმა ჰომალდებმა. ის წერს, რომ კერძი მწარე, კერძი რკინის ხაძსხვრევებით სავსე, კერძი დანგრეული კედლებით, კერძი ცრემლებში გახსნილი, შავი კერძი, ალმერიის სისხლით დამზადებული კერძი მუდამ, ყოველთვის, ყოველ დილით იხრჩოლებს ფრანკოსა და მტარვალთა სუფრაზე. ის უმღერის ხელყუმბარის მტყორცნელებს, უმღერის შეურაცხყოფილ მიწას, ფრონტზე არსებულ საამქროებს.

„ერთ დილით ყველაფერმა იალა,
მიწის გულით ამოხეთქა ცეცხლმა,
ის სპობდა ცოცხლებს.
მას შემდეგ — ცეცხლი,
მას შემდეგ — კვამლი,
მას შემდეგ — სისხლი.
ყაჩაღები მაროკოელებით და ყუმბარ-
მშენებით,

უაჩაღები ბეჭდებითა და გრაფის
ცოლებით,
უაჩაღები მკვლელთა მაკურთხებელ
ბერებით
მოვიდნენ,
და ქუჩებში ბავშვთა სისხლი დიოდა,
დიოდა უბრალოდ, — როგორც ბავშვთა
სისხლი".

წერს პოეტი კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „განმარტება".

ამ კრებულში არის ნერუდას ადრინდელ პერიოდისათვის დამახასიათებელი რთული პოეტური სახეები, თავისებური პოეტური სინტაქსი და ხანდახან (თუმცა იშვიათად) სტილისტური ბუნდოვანება. დანარჩენი ლექსებიც: „მადრიდი" (1936), „ოდა სახალხო არმიაზე", „მადრიდი" (1937), გვიჩვენებენ, თუ როგორ იცლებოდნენ წვეთობით სისხლისაგან ქალაქები, სოფლები, ხალხი, არმია რათა შეენარჩუნებიათ დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამ დროს საფრანგეთის მთავრობამ კი საზღვრები დაჰკეტა, ნებას არ აძლევდა სხვა ქვეყნებიდან მოსულ მოხალისეებს გადასულიყვნენ ესპანეთში რესპუბლიკელების სამველად. ნერუდამ მთელი ძალ-ღონე არ დაიშურა, რათა დახმარებოდა საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილ, სამშობლოს დაკარგვის შემდეგ გამოქცეულ, ესპანელ თანამებრძოლებს. ის ჩამოდის პარიზში და ახერხებს რამდენიმე ათასი ესპანელის გაყვანას საფრანგეთიდან.

მშვიდობის ტრიბუნი

დიდი სამამულო ომის დროს, 1942 წელს, ნერუდა დესპანად არის მექსიკაში. ის მთელის თავისი ხმის ძლიერებით ეხმაურება მამაც საბჭოთა ადამიანებს, მათ უწმინდესს და სახელოვან საქმეს. ნერუდა გრძნობს, რომ საბჭოთა ქვეყნის ბედზე ამ ომში დამოკიდებულია კულტურული და პროგრესული კაცობრიობის ბედი.

ერთ მშვენიერ დილას მეხიკოს (მექსიკის დედაქალაქი) ქუჩები და შენობები დაიფარა ახალი, უცნაური აფიშებით. ეს იყო ნერუდას პოემა „სტალინგრადის სიყვარულის სიმღერა".

„იმ დროს, როცა შენს გულმკერდს
ყუმბარებ, სერავენ,
როცა მორიელები შხამით, გესლით სავსენი,
შენსკენ მოისწრაფიან, რომ კბილები
დაგასონ, —
ნიუ-იორკი ფოქსს ცეკვავს, ლონდონი კი
ხითხითებს,
და მე ვამბობ: გათახსირებულნი!
რადგან აღარ შემიძლია მე მეტის მოთმენა,
რადგან აღარ შეგვიძლია ჩვენ მეტის ატანა,
რადგან იღუპებიან მარტოდმარტო გმირები".

კითხულობდნენ ათასობით ადამიანები სტალინგრადისადმი მიძღვნილ ამ სტრიქონებს.

ეს სტრიქონები დაიწერა 1942 წელს, როცა გერმანელ ფაშისტების ურდოები მთელი თავიანთი ტექნიკით და ცოცხალი ძალებით აწყდებოდნენ ჩვენ საყვარელ ქალაქს. სწორედ მაშინ ნერუდა მსოფლიოს ხალხებს მიუთითებდა ინგლის-ამერიკის მთავრობების დანაშაულებრივ დაყოვნებაზე, მათ უმოქმედობაზე.

პოემის მოქმედი პირის სახელით პოეტი მიმართავს გარიჟრაჟს:

„გარიჟრაჟო, დილას მზევ, სხივო დამდგარ
დღის,
მითხარ, ნუ დამიმალავ, კვლავ იცავენ
თუ არა
უწმინდესი ხელები, უმამაცეს ქალაქს.
მითხარ, ნუთუ ისევ გიფლეთს სახეს რკინის
ნაჭრები?
მითხარ, ხალხი ისევ დგას და ისევ გრგვინავს
ვრიგალი?!
მითხარ, მიწა ისევ ისმენს გმირთა მკერდით
მონადენ
სისხლის ცემას ქვიშაზე?! ხეთა თავზე ხომ
ჩანს ისევ
ლურჯი ზეცა კრიალა?!
მითხარ, ქალაქ სტალინგრადთან ხომ
გრძელდება ბრძოლები?!"

მექსიკიდან დაბრუნებული პოეტი ახალი ენერგიით ჩაება ქვეყნის პოლიტიკურსა და ლიტერატურულ ცხოვრებაში. სწორედ ამ დროისათვის მიმდინარეობდა მზადება ჩილის ახალი პრეზიდენტის არჩევისათვის. ნერუდა დადის ქალაქებში, მთიან რაიონებში, მა-

ღაროებსა და ქარხნებში, დადის სოფლებში და ყველგან გამოდის სიტყვებით, ლექსებითა და სტატიებით.

პრეზიდენტობის კანდიდატმა გაბრიელ გონსალეს ვიდელამ ფიცი დასდო ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ერთგულად გაატარებდა დემოკრატიულ პრინციპებს ცხოვრებაში. ყრილობებზე გამოსული ის გაჭირვებულ ხალხს აღუთქვამდა, რომ უზრუნველყოფდა მათ მატერიალურად. დაიწყო არჩევნები. გაიმარჯვა დემოკრატიულმა ფრონტმა. კომუნისტურმა პარტიამ სამი ადგილი მიიღო სენატში. ერთ-ერთი სენატორი იყო ჩილის პროგრესული საზოგადოების მეთაური, კომუნისტი პაბლო ნერუდა. 1946 წლის ოქტომბერში ვიდელამ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა.

მაგრამ, ერთმა წელმა არც კი განვლო და გონსალეს ვიდელამ უღალატა თავის ხალხს, უოლსტრიტის ლაქია გახდა. მან სახელმწიფოს დამოუკიდებლობა შეერთებულ შტატებს მიჰყიდა, გაუქმა მუშათა პროფკავშირები, პროვოკაციულად გასწყვიტა დიპლომატიური კავშირი საბჭოთა ქვეყანასთან და აკრძალა კომუნისტური პარტია.

ნერუდა ილაშქრებს ვიდელას პოლიტიკის წინააღმდეგ. ის ფარდას ხდის პრეზიდენტის მოღალატურ მოქმედებას. მას მზის სინათლეზე გამოაქვს ჩილის სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ ხანებში აღებული პოლიტიკური კურსი.

მან დასწერა „ღია ბარათი", რომელიც დააგზავნა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ეს იყო მწვავე პოლიტიკური სატირა. ეს იყო მხილება შეთქმულებისა, რომელიც უკვე მზადდებოდა მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. „ქალბატონი გაბრიელ დე ტრუმენი", — ეს სათაური საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველმა გაიგოს ავტორის დამოკიდებულების შესახებ ომის გამჩაღებლებთან, ვიდელასთან და უოლსტრიტის აგენტ ტრუმენთან. ნერუდამ იცოდა, რომ ამ პამფლეტისათვის მას დაუწყებდნენ დევნას, აიძულებდნენ დაეტოვებია სამშობლო, იცოდა იძულებული იქნებოდა დაეწყო არალეგალური ცხოვრება, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა.

ვიდელას მთავრობამ ბრალად დასდო ნერუდას სამშობლოს ღალატი და სასამართლოს გადასცა, ხოლო მისი ახალი ცეცხლში გახვიეს.

1948 წლის 6 იანვარს ნერუდა წარსდგა სენატში, ხალხის მტრების წინაშე. მათ ეგონათ — ნერუდა პატიებას ითხოვდა იმისათვის, რომ სიმართლეს არ უღალატა, რომ სამშობლო არ გაჰყიდა, რომ ნიღაბი ჩამოჰგლიჯა ჯალათებს. მათ დაავიწყდათ, ალბათ, რომ საქმე ჰქონდათ გამობრძმედილ კომუნისტთან. დაავიწყდათ, რომ მათ წინაშე პოეტი-ტრიბუნი იდგა და არა სამშობლოს მოღალატე.

მოლოდინი არ გაუმართლდათ. იმის ნაცვლად, რომ ნერუდას სიტყვა თავის დაცვით დაეწყო, მან დაიწყო სიტყვებით: „მე ბრალს ვდებ ბატონ გონსალეს ვიდელას". ასე, მთელი სხდომის განმავლობაში ხშირად, ძალიან ხშირად, გაისმოდა ეს სიტყვები. ნერუდამ საბოლოოდ ცხადჰყო, რომ ვიდელას მთავრობა ჩრდილო-ამერიკის იმპერიალიზმის მსახურად იქცა. პოეტმა სიტყვა დაამთავრა კომუნისტური პარტიის, როგორც მშრომელთა მასების ერთადერთი ჭეშმარიტი პარტიის დიდებით. მან გამოაცხადა, რომ კომუნისტური პარტია არის ერთადერთი პარტია, რომელსაც შეუძლია მასები წაიყვანოს გამარჯვებისაკენ, თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისაკენ.

1948 წლის თებერვალში ნერუდამ დასწერა პოემა „ქრონიკა 1948 წლისა". პოემაში ნაჩვენებია მსოფლიოს ყველა ის ქვეყანა და ხალხი, რომლებმაც ყველაზე მეტად განიცადეს შეერთებული შტატების სისხლიანი კლანჭების მოქმედება. პოემაში ნაჩვენებია ბერძენ კომუნისტთა უმსგავსო ხოცვა-ჟლეტა უოლსტრიტის ბრძანებით. აქ ნაჩვენებია ჩილის ცხოვრება და მისი დიქტატორის — ვიდელას მოღვაწეობა. პოემა მთავრდება მძლავრი ოპტიმისტური რწმენით, რომ გაიმარჯვებს სიმართლე, რომ გათავისუფლდება მტარვალთა ბორკილებიდან ჩილელი, ბერძენი, ესპანელი და სხვა ხალხები.

თავის პოლიტიკურ სტატიებშიც ნერუდა გვიამბობს სამხრეთ ამერიკის ხალხთა გმინვაზე შეერთებული შტატების ქუსლქვეშ. გვიამბობს ლოტას მემაღაროელთა გაფიცვებზე, მათ გადასახლებაზე უდაბნოში, პისაგუას „სიკვდი-

ლის ბანაკზე", გაზეთების დახურვაზე, მწერლების დევნაზე. სიყვარულითა და აღშფოთებით გადმოგვცემს ამბებს ემიგრაციაში მყოფ ესპანელ რესპუბლიკელთა დაპატიმრებაზე, ესპანელ პოეტ რაფაელ ალბერტიზე, რომელსაც ბევინმა არ მისცა ინგლისში შესასვლელი ვიზა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე მონაწილეობის მისაღებად, დემონსტრაციაზე არგენტინის ქალაქ როსარიოში, სადაც ორმოცდაათიათასი ადამიანი ერთხმად იძახდა: „გვინდა მშვიდობა! არცერთი არგენტინელი ჯარისკაცი კორეისათვის". გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაახშეს ბოლივიელი მემაღაროელების გაფიცვები შეერთებულ შტატებიდან „საჩუქრად" გამოგზავნილმა „მფრინავმა ციხე სიმაგრეებმა".

„ოკეანის იქით იმყოფებიან ჩემი ძმები, ისინი, ვინც მამაცურად იბრძვიან მშვიდობისათვის, ისინი, ვინც ვაჟკაცურად იტანენ სასტიკ წამებას. და ყველა ამ ხალხისაგან, დიდ და ბნელ ამერიკიდან მოდის მოწოდება მოწოდებაზე: „ჩვენ გვსურს მშვიდობა მსოფლიოსათვის".

1950 წელს ნერუდას მიენიჭა მშვიდობის საერთაშორისო პრემია პოემისათვის: „დე გაილვიძოს ტყისმჭრელმა" (1948 წ.). ეს არის მებრძოლი, ანტიიმპერიალისტური ნაწარმოები, სავსე გაბედული მეტაფორებით, პოეტური მონოლოგებით, დაწერილი თეთრი ლექსით. პოემის რიტმი ხან ლაღი და თავისუფალია, ხან კი დაძაბული და მქუხარე.

პოემა იწყება ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ახალგაზრდა ამერიკელის დაბრუნებით სამშობლოში, სადაც მას მადლობისა და პატივისცემის მაგიერ ხვდება ზიზღი, სიძულვილი, უმუშევრობა, საპყრობილე. პოეტი მიმართავს ამერიკაში დაბრუნებულ ადამიანს:

„შენს ქვეყანაში ჰოუარდ ფასტი,
მასთან ერთად მსახიობები, მეცნიერნი და
პოეტები,
დამნაშავეთა უსინდისო რიცხვში მოექცნენ.
ბრალად დაედოთ „ორგულობა ამერიკისა"
და მსაჯულებად მოუვლინეს
სისხლისმსმელები,
გესლით სავსე უოლსტრიტიდან".

პოეტი ამერიკული „დემოკრატიის" შემაძრწუნებელ სურათს ხატავს. ღამით ჯვრით ერთ ხელში და მათრახით მეორეში ზანგებთან მიდიან ჯალათები „კუ-კლუკს-კლანიდან"; გაზეთები ფაშისტურ შხამს ანთხევენ; ამერიკელ „ცოფიან მგელკაცს" ქვეყნიერების გადაყლაპვა დაუსახავს მიზნად. ამ „მგელკაცებში" თავს იყრიან ტრუმენები და აჩესონები, ჩერჩილები და მარშალები, ეიზენჰაუერები და მაკარტურები.

ჩვენს თვალწინ რისხვით აღსავსე სტრიქონები ცვლიან ერთმანეთს:

„მაგრამ იცოდეთ,
ვაშინგტონო,
ნიუ-იორკო,
თუ ლეგიონებს კვლავ აასხამთ საომარ
ჯავშანს,
დიდი ქვეყანა სინათლისა რომ დაანგრიოთ;
თუ ჩიკაგოელ მსუქან ყასაბს საყმოდ
გადასცემთ,
რაც გვწამს და გვიყვარს, ჩვენს სიხარულს
და ჩვენს სიცოცხლეს...
...ხანძარს გაგიჩენთ და ხიშტზე აგაგებთ
მკერდით...
...პურს არ გაღირსებთ,
წყალს წაგართმევთ,
ჰაერს არ მოგცემთ
და ჯოჯოხეთურ ცეცხლში, ქვეყნად რომ
გააჩაღეთ,
თქვენივე დაგბუგავთ!"

(თარგმანი ი. მოსაშვილისა).

პოემა ატარებს სათაურს: „დე გაილვიძოს ტყისმჭრელმა". ტყისმჭრელში ავტორი გულისხმობს მონობის წინააღმდეგ სახელგანთქმულ მებრძოლს აბრაამ ლინკოლნს. პოეტს უნდა გაილვიძოს ლინკოლნმა, ნახოს დღევანდელი ამერიკა. გაიაროს ქუჩაში თავისი ნაჯახით და აჩეხოს მონობის, ექსპლოატაციის და სისხლისღვრის ფესვები. მას უნდა აბრაამ ლინკოლნის ხსენებით ამერიკელ ხალხს, მშრომელ ხალხს გაახსენოს მათი კეთილშობილური და სახელოვანი ტრადიციები.

პოეტი ხედავს დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე სახელოვან, ყველაზე საქმედო და ძლიერ ადამიანს. ეს ადამიანი სტალინია.

„გვიან ღამითაც მის ფანჯრებში არ ჰქრება
შუქი.
ქვეყნიერების მომავალზე ის ფიქრობს მაშინ
და თავის ქვეყნის სასიკეთოდ ათენებს ღამეს.
მან თვითონ შეჰქმნა ეს ქვეყანა, თვითონ
აღზარდა,
თვითონ დაიცვა არა ერთი განსაცდელისგან.

ის არის ამ დიდ ქვეყნისაგან განუყოფელი,
ჯანმოუღლელი,
როგორც მისი მშობელი ხალხი“.

(თარგმანი ი. მოსაშვილისა).

ასე უმღერის ნერუდა ბელადს, ადამიანს, მშვიდობისა და თავისუფლების შემოქმედს.

საბჭოთა სინამდვილით აღფრთოვანებული პოეტი მიმართავს თავის დაჩაგრულ თანამოძმეებს, რათა მიჰყვნენ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების პატიოსანი ადამიანები საბჭოთა კავშირს, მხარში ამოუდგნენ მას, ისწავლონ მისგან. რადგან საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც არის მშვიდობის, თავისუფლებისა და გამარჯვების ჭეშმარიტი მედროშე.

„მინდა მშვიდობა!
ბურის მარცვლისთვის, მომავალში რომ
დაიბადება,
სიყვარულისთვის, თავშესაფარს რომ ეძებს
გულში,
ყველა სიცოცხლით სავსე კაცისთვის მინდა,
მოვითხოვ მტკიცე მშვიდობას.
ოკეანის ცისფერ ტალღებზე
მინდა რომ ჰქროდეს მშვიდობის ქარი.
მშვიდობა ხმელეთს, წყლებს უნაპიროს,
ყველა სივრცეს და ყველა დროებას,
მტკიცე მშვიდობა!“.

1949 წელს ნერუდამ მოახერხა ამერიკის პოლიციელების სიფხიზლის მოტყუება და პარიზის მშვიდობის კონგრესის უკანასკნელ დღეს, 25 აპრილს, ვიდა ტრიბუნაზე. იმავე წლის მაისში ნერუდა ჩამოდის საბჭოთა კავშირში და დიდი რუსი პოეტის ა. პუშკინის იუბილეში მონაწილეობას იღებს: „საბჭოთა ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე მშვიდობის, პოეზიისა და კულტურის დროშები ფრიალებდნენ“, — ამბობდა პოეტი.

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე, 1950 წელს, ვარშავაში, ნერუდამ წარმოსთქვა მგზნებარე სიტყვა: „ლათინურ ამერიკაში, შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იტალიაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთის დამოკიდებულ ქვეყნებში ათასობით მშვიდობის დამცველნი საპყრობილეებში არიან ჩაყრილნი... კრებები მშვიდობის დასაცავად აკრძალულია. პოლიცია ტყვიას უშენს და ხოცავს მშვიდობის დამცველებს. დევნას განიცდიან მეცნიერებიც... კონგრესი მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ხალხებს სოლიდარობა გამოუცხადონ მშვიდობის კეთილშობილ დამცველებს, მიაღწიონ მათ განთავისუფლებას, დაიცვან ისინი და მხარი დაუჭირონ ყველას, ვინც კი მშვიდობისათვის იბრძვის“.

ნერუდამ იცის, რომ მშვიდობის დაცვა მსოფლიოში, — ეს ნიშნავს თავიდან აცილებული იქნას სისხლის მღვრელი ომები. არ დაიწყოს ომი, — ეს ნიშნავს კაპიტალისტურ ქვეყნებს წაართვა კარზე მომდგარ კრიზისებისაგან თავდახსნის საშუალება, ეს ნიშნავს მუშათა კლასისა და ბურჟუაზიული კლასის წინააღმდეგობის გადამწყვეტ წერტილამდე მიყვანას. ეს ნიშნავს რევოლუციების წინადღეს, მშრომელი ადამიანების მიერ ჩაგვრის უღლის დამსხვრევას.

და როცა მთელი კაცობრიობისათვის მოისპობა ჩაგვრა და ექსპლოატაცია, როცა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის ერთნაირად საამური იქნება ცხოვრება, ხალხთა კეთილდღეობისათვის მებრძოლთა შორის სიყვარულით მოიხსენებენ ჩილელი კომუნისტი პოეტის, პაბლო ნერუდას სახელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

სანდრო ეული-ჟურიძე. სიცოცხლე სიხარულია

„საბჭოთა მწერალი“. 1951 წ.

★

„ეუმღერით ლენინს, ეუმღერით სტალინს“, ლექსების ამ ციკლით იხსნება პოეტ სანდრო ეული-ჟურიძის ახალი ლექსების წიგნი „სიცოცხლე სიხარულია“.

პოეტს შემთხვევა ჰქონდა უშუალოდ მოესმინა სოციალისტური რევოლუციის ტიტანისათვის. ეს მოხდა 1921 წლის 17 ოქტომბერს, მოსკოვში პოლიტგანათლების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე, რომელზედაც ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა. ამ შემთხვევით აღტაცებული პოეტი ამბობს:

— „ამისრულდა, რაც ვინატრე, —
და მარადჟამს მისი სახე
წინ მიმიძღვის, გზას მინათებს“.

დიდი ბელადი, ი. ბ. სტალინი, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი წინ მიუძღვის პროგრესულ კაცობრიობას. „ბელადის წიგნი“ სიბრძნის უშრეტი წყაროა, მისი ყოველი ფურცელი, ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა მილიონობით ადამიანების გულების ამგზნებია, მათი გზის მაჩვენებელი შუქურაა.

„ყოველ სტრიქონში მარგალიტია
და სიმღერებში ციალებს იგი,
სულს ანეტარებს, გულში გვინთია,
ვით ჩირაღდანი ბელადის წიგნი“.

პოეტი უმღერის მარქსისა და ენგელსის გენიალურ შრომას „კომუნისტურ მანიფესტს“, როგორც მუშათა კლასის ბრძოლის უძლიერეს იარაღს:

„კომუნიზმის მანიფესტი“, —
„კომუნიზმის ქებათ-ქება“,
იყო ჩვენი გამარჯვება,
იყო, არის და იქნება!...“

ლექსში „წიგნებიც ჩემი მეგობრებია“ პოეტი გადმოგვცემს თავის სიყვარულს ისეთი წიგნისადმი, რომლის თითოეული სიტყვა აანთებს პოეტის გულში გამარჯვების ცეცხლს, მოუწოდებს შრომისა და ბრძოლისათვის.

მშვიდობისათვის ბრძოლა საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი თემაა, განსაკუთრებით დღეს, როცა ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმი ახალი ომის გაჩაღებით ემუქრება მთელ მსოფლიოს. პოეტი თავის ხმას უერთებს მილიონთა ხმებს, რომლებსაც ომი არ სურთ, მაგრამ მზად არიან პასუხი გასცენ იმპერიალისტებს, თუ ისინი კაცობრიობას თავს მოახვევენ ახალ ომს. პოეტმა იცის, რომ ხალხთა მშვიდობას იცავენ მილიონობით კეთილი ნების ადამიანები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით. „ბელადის ეროში, მშვიდობის დროშით“ საბჭოთა ხალხი ფართოდ აჩაღებს კომუნიზმის გიგანტების მშენებლობას და ამით მტკიცე საფუძველს უყრის მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ამავე კეთილშობილურ თემისადმია მიძღვნილი საბავშვო ლექსი „ომი და მშვიდობა“. საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობა ასრულებს დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის მითითებებს, — „სწავლით, სწავლით, კიდევ სწავლით“ ახარებს საბჭოთა ქვეყანას და ამავე დროს მზად არის პირნათლად მოიხადოს მაღალი პატრიოტული მოვალეობა სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

საბჭოთა ხალხმა იცის, რომ ბედნიერი ცხოვრება მას მიანიჭა ლენინ-სტალინის პარტიამ, დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა პოეტი მთელი გულით ხმას აძლევს დიდ ბელადს, მშობლიურ სტალინს:

„ვინც შეუშრო მილიონებს
თვალზე ცრემლი ცხარე, —
ვინც ზაფხული მოგვიტანა, —
ააყვავა მხარე,
სად ცხოვრება ტანჯვა იყო
და სიცოცხლე მწარე,
ვინც ანათებს, მარად ბრწყინავს,
ვინც მზეა და მთვარე“.

ლექსში „ვარსკვლავი გემზე“ პოეტი გვიხატავს ახალგაზრდა სტალინის გმირულ სახეს. ბათუმიდან გადასახლებული ახალგაზრდა სტალინი გემზე ვით ვარსკვლავი წყვდიადს აშუქებდა და თანამებრძოლებს გამარჯვების ურყევი რწმენით აღავსებდა.

ლექსების ციკლში — „ჩვენი ქარხნის გმირული დღეებიდან“ პოეტი უმღერის თბილისის რკინიგზის იმ ქარხანას, „სადაც პირველად აელვარდა სიტყვა მართალი“, სადაც ჭაბუკმა სტალინმა 1898 წელს პირველად ჩაიბარა რკინიგზის სახელოსნოს მუშათა წრე. ცოტა გვიან, 1900 წელს სახელოსნოში ხარატად მუშაობა დაიწყო მეფის მთავრობის მიერ თბილისში გადმოსახლებულმა ამხ. მ. ი. კალინინმა, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სახელოსნოების მუშათა ორგანიზაციაში. რკინიგზის სახელოსნოების ისტორია დაკავშირებულია აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის ალექსეი გორკის სახელთან, რომელიც 1892 წ. მუშაობდა სახელოსნოებში.

პოეტი უმღერის ინდუსტრიის ამ ერთ-ერთ სახელოვან კერას, მის ბრწყინვალე წარსულს, აწმყოსა და მომავალს. თბილისის რკინიგზის სახელოსნოების ბრწყინვალე რევოლუციურ წარსულს პოეტი გვიხატავს შემდეგ ლექსებში: „სადაც პირველად აელვარდა სიტყვა მართალი“, „დაზგა მიხეილ კალინინისა“, „ჭაბუკის (მაქსიმ გორკის) ფიქრი და ოცნება“, „ვუმღეროთ იმათ...“ (ქარხნის ძველი რევოლუციონერ მუშების ვანო სტურუას, მიხო ბოჭორიძეს, ზაქრო ჩოდრიშვილისა და სხვების ხსოვნას), „ბრძოლის დაწყება“ (ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით და ამხ. კალინინის მონაწილეობით 1900 წ. აგვისტოში მოწყობილი გაფიცვა), „ჩვენი ქარხნის სიმღერები“ (წარსულ ბრძოლებში დაღუპულ რევოლუციონერ მუშების ხსოვნისადმი) და სხვ.

მაგრამ პოეტი ქარხნის არა მარტო ისტორიულ წარსულს აცოცხლებს თავის ლექსებში. იგი უმღერის ამ ქარხნის დღევანდელ წარჩინებულ ადამიანებს, შრომის გმირებს. „პოეტი და მჭედელი“, — ასე დაასათაურა მან ჩვენი ქარხნის წარჩინებული სტახანოველის კ. ილურიძისადმი მიძღვნილი ლექსი.

„სიტყვის ოსტატი სალამს უძღვნის
ლითონის ოსტატს,
და მათ საუბარს მიღწევებზე
ესმენენ სხვებიც,
მჭედელი სხვებსაც მიაკუთვნებს
პოეტის ხოტბას,
მეტად მას, ვისიც დანთებულა
ქვეყნად სხივები...
და მათ გადააქვთ საუბარი
პოეზიაზე —
შრომა არისო პოეზია
და სილამაზე“...

ლექსში „ლითონის ქირურგი“ პოეტი ლითონის ოსტატს ზ. ნადირაძეს ადარებს ქირურგს, რომელიც ადვილად ამჩნევს ლითონის „სატკივარს“ და ჰკურნავს მას. ქარხნის ცნობილი ხარატი ვახტანგ ბაისანაშვილი განთქმულია თავისი მუშაობით ქარხანაში. პოეტი ასე მიმართავს მას:

„ჩვენც იმიტომ ვუმღერთ ვახტანგს
და ხელს გვართმევს ერთად, ძმურად,
იგი საქმეს წინ მიმართავს,
მისთვის იბრძვის მამაცურად,
„ვახტანგურად“.

პოეტი ახალ ლექსებს უძღვნის მშობლიურ მხარეს, მის მთებს, მის აბიბინებულ ველ-მინდვრებს. პოეტს უყვარს თავისი მხარე არა მარტო იმიტომ, რომ იგი იქ დაიბადა და თავისი ბავშვობა გაატარა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი დიადი სოციალისტური საშრომლოს სხვა კუთხეების მსგავსად, დღეს აქაც სჩქეფს განახლებული ცხოვრება.

პოეტმა ლექსი „ჩაის ველზე“ მიუძღვნა სოციალისტური შრომის გმირს ზინა ცხომელიძეს.

„ვარსკვლავი შუქს გფენს შენი მკერდიდან
და მზე ლენინის, — სახე ნათელი, —
დიდი ბელადი გიცქერს კრემლიდან...
რა უნდა გქონდეს სხვა სანატრელი“.

ბალადა „ნასაკირალის ჩაის მკრეფავზე“ მიძღვნილია 1905 წლის სისხლიან დღეებში ნასაკირალზე ბრძოლების მონაწილე ქალისადმი, რომელიც ახლა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ახალგაზრდული ენერგიით ჰკრეფს ჩაის მწვანე ფოთოლს თავის ქალიშვილთან ერთად. პოეტი ასე მიმართავს მას:

„შენგან ნაკრეფ ჩაის ფოთლებს
სინჯვა აღარ უნდა,
ჩაის ყლორტს რომ ნაზად ართმევ,
ის დუყია სუფთა,
რითაც ჩვენი „საქართველოს
თაიგულის“ ქება
ყველგან ისმის, რაც არასდროს,
გვჯერა, არ გაჰქრება“.

ბევრი ახალი ლექსი აქვს შეტანილი პოეტს განყოფილებაში „სიახლის გრძნობით“. წარ-

სულში მტრისაგან მრავალგზის გაპარტახებული ჭაღარა თბილისი დღეს სიამაყისა და სიყვარულის გრძნობას იწვევს ჩვენს გულში. ამ თემას მიუძღვნა პოეტმა ლექსი „ჩვენ, თბილისელი ბოლშევიკები". პოეტი ასე მიმართავს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს — ამხ. ლ. პ. ბერიას:

„ჩვენც ვფიცავთ: „მზად ვართ
ვზრდიდეთ მიღწევებს,
ჩვენო ძვირფასო, ჩვენო ბერია!"

ლექსში „შენ არმიავ, მშობლიურო" პოეტი უმღერის ჩვენი ქვეყნის იმედსა და სიამაყეს — საბჭოთა არმიას, რომელიც წარმოიშვა მტრებთან ბრძოლაში და რომელმაც მრავალჯერ გადაარჩინა საბჭოთა ქვეყანა მტრებისაგან:

„ყველა ქვეყნის მილიონთა
იმედების მნათობო,
დგახარ, როგორც გოლიათი,
მცველო ჩვენი ქვეყნისა.
დღეგრძელ იყავ, გაიხარე,
მოდგმავ მზის და მეხისა!".

უშუალობითა და სისადავით გამოირჩევიან ლექსები: „წამებული მგოსანი" (მიძღვნილი ნინოშვილისადმი), „შენი უკვდავი ნათელი სახით" (მიძღვნილი ამხ. მიხა ცხაკაიას ხსოვნისადმი), „სიმართლის სახელი", რომელიც პოეტმა დაწერა ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო, „ჯამბულის საფლავთან", „მილოცვა", რომელიც ეხება 1895 წ. ქართველი ხალხის საყვარელ პოეტის რაფიელ ერისთავის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ი. ჯუღაშვილის ლექსს, „დღეგრძელი იყავ!" მიძღვნილი აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიასადმი, „ლადო მესხიშვილი", რ. ერისთავის ცნობილი ლექსის „სამშობლო ხევსურისა"-ს მიბაძვით დაწერილი ლექსი „სადაც ვშობილვართ გავზრდილვართ...", „საოქტომბრო" და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ყვავილი ხარ „ქვატეხელა", რომელშიაც პოეტი გადმოგვცემს უკრაინელ ხალხის საყვარელი შვილის ლესია უკრაინკას უკანასკნელ დღეებს, გატარებულს საქართველოში.

ლექსი — „რა დიდი გზა... რა ბრძოლის გზა" გადმოგვცემს წარსულში ბევრ ვაი-ვაგლახის მომსწრე, ახლა კი სიხარულისა და ბედნიერებით აღვსილი პოეტის გადაწყვეტილებას კვლავ ახალგაზრდული ხმით უმღეროს იმას, რაც ერთხელ შეიყვარა, მიზნად გაიხადა:

„და ახლაც ხომ, მეგობრებო,
დრო მაქვს კიდევ,
წინ ვილტვოდე და ოცნების ფრთებს
კვლავ ვშლიდე...
ო, რამდენი შხამნარევი
მისვამს მწარე,
მაგრამ, რაც რომ ბავშვობიდან
შევიყვარე,
თვალწინ მიდგას — ბედნიერი
შრომის მხარე,
და მეც მისთვის კვლავ ვიცოცხლებ,
გავიხარებ".

პოეტი აღფრთოვანებულია რუსთავის მშენებლობით. ძველი ქალაქის ნანგრევებზე კვლავ აღიმართა ახალი, სოციალისტური რუსთავი, — ქართული ფოლადის კერა.

ლექსში „შენ, მეოცე საუკუნევ" პოეტი მიმართავს მეოცე საუკუნეს, გამარჯვებულ კომუნიზმის საუკუნეს და გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ მეორე ნახევარი ამ საუკუნისა სავსებით დააგვირგვინებს მსოფლიოში კომუნიზმის დროშის ზეიმს, ხალხთა ზეიმს.

პოეტის ახალი ლექსების წიგნი „სიცოცხლე სიხარულია" ნათლად მეტყველებს ავტორის მისწრაფებაზე — კვლავ ახალგაზრდული გატაცებით ემსახუროს თავის სამშობლოს, თავის ხალხს, იყოს მომღერალი შრომისა, სიყვარულისა, სიხარულისა, — დიდი სტალინისა და მისი ეპოქის.

ვ. გოგოლაძე

ლეო ქიაჩელის საბავშვო მოთხრობები

★

საბლიტგაზმა ამას წინათ გამოსცა ცნობილი მწერლის ლეო ქიაჩელის ორი საბავშვო წიგნი — „ნატვრის თვალი" და „ხეთიანის საიდუმლოება".

პირველ წიგნში თოთხმეტი მოთხრობაა მოთავსებული, მეორეში — ერთი. ეს მოთხრობები ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდას ემსახურება. მათი გმირები კეთილი და სათნო ბავშვები არიან.

მართალია, ზოგჯერ ისინი ცუდად იქცევიან, დანაშაულს ჩადიან (ნუცა, სანდრო და სხვა), მაგრამ მათი დანაშაული გულუბრყვილო ხასიათისაა და მათი შინაგანი ბუნებიდან არ გამომდინარეობს. ისინი თავიანთ დანაშაულს მალე ავდებიან და ცდილობენ მის გამოსწორებას. მიუხედავად ამისა, ავტორი უყურადღებოდ არ სტოვებს ბავშვების წესიერი ქცევებიდან უნიშვნელო გადახვევასაც კი. ერთხელ პატარა ნუცამ („პატარა ნუცას თვითმფრინავი") გასარჩევად მიცემული ნიგოზი შეჭამა და დედას ტყუილი უთხრა, არ შემიჭამიაო. ნუცას საქციელმა დედა ძალზე შეაწუხა, მაგრამ იგი შვილს უხეშად ვინც არ მოეპყრო. ტყუილისათვის ნუცა მეორე დღეს დაისაჯა. დაპირებული სათამაშო თვითმფრინავის ნაცვლად მან დედისაგან ნიგვზით სავსე კოლოფი მიიღო. როდესაც ნუცამ კოლოფი გახსნა და შიგ თვითმფრინავის მაგიერ ნიგოზი დაინახა, ტირილი დაიწყო. მიხვდა, თუ რისთვის მისცეს მას ნიგვზით სავსე კოლოფი. ნუცა დედას გულში ჩაეკრა და დანაშაული უსიტყვოდ მოინანია.

როდესაც პატარა მკითხველი წაიკითხავს ლ. ქიაჩელისათვის დამახასიათებელი ოსტატობით დაწერილ ამ მოთხრობას, მისთვის გასაგები გახდება, რომ ტყუილის თქმა ადამიანის დიდი ნაკლია. ამრიგად მწერალი, რომელიც კარგად იცნობს ბავშვების შინაგან სამყაროს, მხატვრული სიტყვით ხელს უწყობს ბავშვში ჯანსაღი მორალური თვისებების აღზრდას.

მოთხრობაში „პატარა ბიძინა და დიდი ქუჩა" — ავტორი გვიამბობს პატარა ბიძინას თავგადასავალს. ბიძინამ „გამბედაობა" გამოიჩინა და საბავშვო ბაღიდან მასწავლებლის დაუკითხავად მარტო წავიდა შინ. ტრამვაის ხაზთან პატარა ბიძინასა და დედის შეხვედრის სცენაში ავტორმა კარგად გვიჩვენა, თუ რა დიდი მოვალეობა აკისრიათ მშობლებსა და სკოლას ბავშვის მეთვალყურეობის საქმეში. უფროსების მიერ ბავშვებისადმი დამოკიდებულებაში ოდნავი უპასუხისმგებლობასაც კი შეუძლია გამოიწვიოს მეტად სამწუხარო შედეგი.

ნათელას სასკოლო ასაკი შეუსრულდა („ნათელა ოთხი"). დედამ ის სკოლაში წაიყვანა. აქ მას ტოლები სიხარულით მიეგებნენ. ვინაიდან კლასში რამდენიმე ნათელა აღმოჩნდა, მასწავლებელმა ახალმისულ ნათელას მათი დათვლა დაავალა. ნათელა ანგარიშში შეცდა. ამის გამო ბავშვები იძახიან: „თავისი თავი დაავიწყდა, თავისი თავი დაავიწყდა"-ო. მართალია, მოთხრობა პატარა მოცულობისაა, არც მისი ფაბულაა რთული, მაგრამ მასში ძლიერად არის გადმოცემული ის შთაბეჭდილებანი, რომლებსაც ბავშვი იღებს პირველი გაკვეთილიდან.

„იოთამის ფრთებში" ავტორი ნათელა სალეგავებით ხატავს მშობლიური სიყვარულის ძალას. იოთამის დედის მოქმედება, მისი განცდები მკითხველს ხიბლავს თავისი უშუალობითა და გულწრფელობით. საყურადღებო მოთხრობებია „დიტოს ჯარისკაცი" და „ჭინკა-ბიჭი". ამ უკანასკნელის მთავარი გმირია სანდრო, რომელსაც სოფლელებმა ზედმეტ სახელად „ჭინკა" შეარქვეს, რადგან იგი ცელქი და დაუდეგარია. მის საქციელში ბევრი რამ უარყოფითია: ხშირად უფროსებს ატყუებს, პირუტყვებს აწვალებს, მეზობლებს აწუხებს და სხვ. მწერალი არწმუნებს პატარა მკითხველს იმაში, რომ სანდროს საქციელი არ არის მოსაწონი და მისაბაძი. სანდრო, თავისი აბეზარი სიცელქის გამო ერთხელ კინაღამ დაიხრჩო მდინარეში. სიკვდილს გადარჩენილი „ჭინკა-ბიჭი" თავისთვის ამბობდა: „ოღონდ კი მოვრჩე და თავის დღეში არ შევჯდები არც კამეჩზე და არც ცხენზე, მდინარეს ახლოსაც კი არ გავეკარები!". მართალია, მწერალი არ გვიჩვენებს, გაამართლა თუ არა სანდრომ თავისი სიტყვა, მაგრამ მოთხრობის ზემოქმედების ძალა იმაშია, რომ ნორჩი მკითხველი იმთავითვე არ უთანაგრძნობს სანდროს ცუდ საქციელს.

წიგნში მოთავსებულია რევოლუციამდელი ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების ამსახველი მოთხრობებიც. მწერლის ადრინდელი მოთხრობებიდან აღსანიშნავია „არსენას სიხარული" (1915 წ.), რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამ ნაწარმოებით ჩვენი ბედნიერი თაობა ეცნობა მშრომელი კაცის დუხჭირ ცხოვრებას წარსულში, ადამიანთა ექსპლუატაციაზე აგებული წყობილების დროს.

საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ამას შეეხება მოთხრობა „ხეთიანის საიდუმლოება". მოთხრობის გმირები — ყარამანი, გივი, იოთამი და გოგი მოქმედებაში ამჟღავნებენ თავიანთ მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას. მათი მიზანი — ხეთიანის ციხის გამოკვლევა, იმ საიდუმლოების გაგება, რომელიც იმალება ამ ციხის შიგნით, — ახალგაზრდა მკითხველს ინტერესს უღვიძებს შეისწავლოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ძლიერების მაჩვენებელი ძეგლები. მწერლის მიერ დახატული სურათები ამჟღავნებენ იმ გატაცებას, რომელიც ახასიათებს ჩვენს ახალგაზრდობას ისტორიის შესწავლის საქმეში. მოთხრობა მდიდარია ნათ-

ლი საღებავებით, დაწერილია სადა, გასაგები ენით, კარგად გამოხატავს იმ ცხოვრებას, რომელშიაც ლაღად იზრდებიან ჩვენი ახალგაზრდები.

ავტორი ბავშვებს საგნებსა და მოვლენებს აცნობს მათი ასაკის შესაბამისად. ლ. ქიაჩელი სინამდვილის კონკრეტული მასალის გააზრებას საფუძვლად უდებს საბჭოთა პედაგოგიკის მოთხოვნებს. იგი თავის საბავშვო მოთხრობათა სიუჟეტებს არ ხლართავს, არ იძლევა ზედმეტ დეტალებსა და ეპიზოდებს. ამბავი ბ ნებრივად იწყება და მთავრდება დროის მცირე მონაკვეთში.

ლ. ქიაჩელის პატარა გმირები აღსავსე არიან სიცოცხლით. მწერალი მათ სახეს რაღაც განსაკუთრებული და თვალისმომჭრელი ფერებით არ ხატავს. ისინი პატარა მკითხველს თავიანთი ბუნებრივი უშუალობით ხიბლავენ. ნუცა, ბიძინა, იოთამი, გოგი, გივი და სხვები ლაღი საბჭოთა ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენლებია. მათ მოქმედებაში მოჩანს საბჭოთა მეგობრობის საუკეთესო თვისებები. მოთხრობის გმირებს ამოძრავებს საზოგადოებრივი ინტერესები, რასაც პირადზე მაღლა აყენებენ. ის სიხარული, რომელიც მათში ხეთიანის ციხის შიგნით დამარხულ საიდუმლოების აღმოჩენამ გამოიწვია შემთხვევითი როდია. იგი შედეგია არა უბრალო თავმომწონეობისა და პატივმოყვარეობის, არამედ მაღალი პატრიოტული შეგნებისა. იოთამი, გივი და გოგია აღტაცებულნი არიან, რომ თავიანთი გამოკვლევით საბჭოთა მეცნიერებს მისცემენ ახალ მასალას საქართველოს შორეული წარსულის შესახებ.

მოთხრობა „ხეთიანის საიდუმლოება" მწერლის მოთხრობებში გამოირჩევა მაღალი მხატვრული ოსტატობით.

ნაწარმოების გმირები შრომის დიდ სიყვარულს ამჟღავნებენ. ისინი უფრო მოქმედებენ, ვიდრე მსჯელობენ. ამიტომ მოთხრობა დამაჯერებელი და ემოციურია.

ლ. ქიაჩელი თავისი გმირების პატრიოტულ მისწრაფებას, საზოგადოებრივი საქმით გატაცებას, საფუძვლად უდებს შემოქმედებითს შრომას. ყარამანის, გივის, იოთამისა და გოგის გამარჯვება შრომის სიყვარულთანაა დაკავშირებული. შრომამ გახადა იოთამი და მისი მეგობრები წარჩინებულ სტუდენტებად, შრომა ასხივოსნებს მტკიცე ხასიათის ყარამანის სახესაც. მწერლის შემოქმედებაში სოციალისტური შრომა აღიარებულია ბედნიერებისა და გამარჯვების წყაროდ.

ლ. ქიაჩელის საბავშვო მოთხრობებს დიდი ინტერესით წაიკითხავს ჩვენი ახალგაზრდობა.

ვლ. ჯიბუტი

ანდრო ლომიძე. ახალი მოთხრობები

„საბჭოთა მწერალი" 1951 წ.

★

ქართულ საბჭოთა პროზის დარგში წარმატებით მუშაობს მწერალი ანდრო ლომიძე. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა და ნოველა, რომელთა თემატიკა ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხება.

ა. ლომიძე უმთავრესად ცნობილია, როგორც მცირე ფორმის ნაწარმოებთა ავტორი. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ა. ლომიძე ქართულ საბჭოთა პროზაში თითქმის ერთადერთია, რომელიც ზღვის თემატიკაზე მუშაობს. ამ თემაზე დაწერილ მოთხრობებში მწერალი საგნის საკმაო ცოდნას იჩენს, რაც უთუოდ ცხოვრებიდან მიღებულ გამოცდილებით განისაზღვრება.

ახლახან გამოცემული კრებული 15 მოთხრობას შეიცავს. მათგან 8 მოთხრობა საზღვაო თემაზეა დაწერილი, 6 — ნადირობის ამბებს ეხება, მოთხრობა „არხი" — საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავს.

ამ მოთხრობაში სწორად არის გახსნილი მთავარი პერსონაჟის ერმილეს ხასიათი. ერმილეს ახარებს სოფელში არხის გაყვანა, რაც შრომის ნაყოფიერებისა და სოფლის კეთილდღეობის ზრდის საწინდარი იქნება. ახალმა არხმა ერმილეს ეზოში უნდა გაიაროს. ეს ამბავი ერმილეში ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს. მაგრამ ეს უკმაყოფილება დიდ შინაგან კონფლიქტსა და გაორებას არ ქმნის ერმილეს ხასიათში. ერმილეს კარგად ესმის არხის მშენებლობის მნიშვნელობა. საზოგადოებრივი საქმის განხორციელების აუცილებლობამ მისი საკუთარი სახლისა და კარმიდამოს შეწირვა მოითხოვა და თუ ამ გარემოებამ მასში დროე-

ბით ერთგვარი სინანული გამოიწვია, ეს საფუძველს არ გვაძლევს მოთხრობის გმირის პიროვნებაში დიდი შინაგანი ბრძოლა დავინახოთ. ეს არის მხოლოდ სწორად ნაჩვენები ბუნებრივი გრძნობა, რაც შესაძლოა ყოველმა საბჭოთა ადამიანმა განიცადოს, როდესაც დიდი ხნით შეჩვეულ ადგილ-გარემოს მოშორდება. ან რატომ არ უნდა დაეძლია ერმილეს ეს სინანული, როცა კოლმეურნეობა ძველი სახლის ნაცვლად ახალს აძლევს? საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების საერთო კეთილდღეობით არის განპირობებული პიროვნების კეთილდღეობა. საბჭოთა ცხოვრების ეს არსებითი მხარე კარგადაა ნაჩვენები ა. ლომიძის ამ მოთხრობაში.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო გეგმის შესრულებას უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. სოციალისტური დაგეგმვა სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი კანონია, რაშიაც ნათლად ჩანს სოციალიზმის გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. „ჩვენ გეგმიანი მეურნეობა გვაქვს, გეგმაშეწონილად ვაგროვებთ რესურსებს და სწორად ვანაწილებთ მათ სახალხო მეურნეობის დარგებს შორის. ჩვენ თავისუფალი ვართ კაპიტალიზმის განუკურნავი სენისაგან. ამაშია ჩვენი განსხვავება, ამაშია ჩვენი გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე“. (ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“. მე-11 გამოცემა, გვ. 407).

ყოველი საბჭოთა ადამიანი ძალასა და ენერგიას არ იშურებს სახელმწიფო გეგმის პირნათლად შესრულებისათვის. ეს თვისება ა. ლომიძემ მხატვრულად ასახა თავის მოთხრობაში — „სირიაჩქონთან“. გემთშემკეთებელ ქარხნის სამჭედლო საამქროში ექსკავატორებისათვის დამზადებული სამანქანო ნაწილები სამ დღეში მიტანილი უნდა იქნეს სირიაჩქონში, წინააღმდეგ შემთხვევაში გეგმა არ შესრულდება. სამანქანო ნაწილები ჩააწყვეს კატარღაზე მიბმულ ნავში, მაგრამ ადიდებულმა რიონმა ღამით ნავი გადააბრუნა და ნაწილები მდინარეში ჩაცვივდა.

თუმცა ნაწარმოების შინაარსი კოლხიდის ამოშრობის ფართო ფონზე არ იშლება, ავტორმა მაინც შესძლო შეექმნა საბჭოთა მუშაკის დამაჯერებელი სახე. სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება მთავარი ინჟინერის ანდრო ჯაფარიძის მოქმედება, როდესაც იგი მაგალითს მისცემს ძველ მეზღვაურს ჯოლოხავას და თვით ჩაეშვება მდინარეში ნაწილების ამოსაღებად. ეს მოქმედება მოწმობს საბჭოთა ინჟინერის მაღალ მორალურ ბუნებას.

სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ ახალი ურთიერთობა დაამყარა ადამიანებს შორის, მთლიანად შეცვალა ადამიანის ფსიქიკა, მისი შეგნება. საბჭოთა ადამიანი ყველაზე მაღალი მორალისა და მოწინავე იდეების ადამიანია. ანდრო ლომიძის მოთხრობა „ზღვაზე“ გვიხატავს საბჭოთა ადამიანის ჰუმანიზმს. მტვირთავი მუშის გადარჩენა საბჭოთა მოქალაქის მიერ — აი ამ პატარა მოთხრობის შინაარსი. მაგრამ ეს კონკრეტული ფაქტი იდეურად ღრმა განზოგადებას პოულობს. საბჭოთა ადამიანების ერთიანობა, ურთიერთმეგობრობა და პატივისცემა წარმოიშვა და განვითარდა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ხალხთა მეგობრობა საბჭოთა წყობილების უდიდესი მონაპოვარია. კაპიტალიზმი კი, პირიქით, შუღლს და სიძულვილს თესავს ადამიანებს და ხალხებს შორის. კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არსებობს ადამიანთა შორის ნამდვილად მეგობრული დამოკიდებულება, ადამიანთა თანასწორუფლებიანობა. ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართულ დამამცირებელ ფაქტებს დღეს ყველაზე მეტად ამერიკის შეერთებული შტატებში ვხვდებით. ამერიკული ცხოვრების წესი, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის შხამით მოწამლული იდეოლოგია კარგადაა გაკრიტიკებული ამერიკელი ზანგი მეზღვაურის სიტყვებში. მეზღვაური გაკვირვებულია საბჭოთა მოქალაქის გმირული საქციელით, მაგრამ ამ გაკვირვებიდან მალე ვამოერკვევა. „... თუმცა რად მიკვირს, აქ ხომ სტალინის ქვეყანაა“, — ამბობს ზანგი და ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ მან სიმართლე იცის საბჭოთა ქვეყნის შესახებ. ზანგი მეზღვაური ამერიკელი მონოპოლისტების მიერ დაჩაგრული ხალხის წარმომადგენელია. ცხადია, საბჭოთა მკითხველის სიმპათია მის მხარეზეა. ზანგი მეზღვაურის სახე მიმზიდველია იმიტომაც, რომ მასში ვხედავთ განსახიერებას იმ მრავალათასიან პატიოსან ამერიკელ ადამიანებისა, რომლებიც შეუდრეკელ ბრძოლას ეწევიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. ასეთია მოთხრობის „ზღვაზე“ იდეური შინაარსი.

მეორე მოთხრობა „მაშველი“ თითქოს პირველი მოთხრობის დამატებაა. თუ პირველ მოთხრობაში ამერიკელი ზანგი მეზღვაური მხოლოდ მოწმე იყო იმისა, თუ როგორ გადაარჩინა მტვირთავი მუშა საბჭოთა მოქალაქემ, მეორე მოთხრობაში საბჭოთა მაშველი ამერიკული გემის ზანგ-ცეცხლფარეშს, რომელიც ზღვაში დაიხრჩო, ნაპირზე გამოიტანს. „უნდა ვაცნობოთ ამერიკელთა გემის კაპიტანს, რომ მათი მეზღვაური დაიხრჩო“, ამბობს მაშველთა სადგურის უფროსი სპირიდონოვი. მაგრამ, თუმ-

ცა მოთხრობაში ეს არ არის ნაჩვენები, მკითხველი გრძნობს, რომ ამერიკელ კაპიტანს ზანგის დახრჩობა მაინცდამაინც დიდად არ შეაწუხებს.

მოთხრობები „ზურაბის ოცნება“ და „შუქურა“ საბჭოთა ბავშვების კეთილშობილურ სურვილებსა და მოქმედებას გვიხატავს. მოთხრობაში „ზურაბის ოცნება“ კარგადაა ნაჩვენები საბჭოთა ბავშვის სულიერი სამყარო. სოციალიზმის ქვეყნის ადამიანების შრომითი და საბრძოლო გმირობა და თავდადება ყოველთვის აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს საბჭოთა ბავშვებს. ექვსი წლის შემდეგ ბალტიის ზღვის წყალქვეშა ნავის მეთაური გიორგი დაბრუნდა სოფელში, იგი უამბობს კოლმეურნეებს სამამულო ომში გადახდილ თავგადასავალს. ზურაბის ოცნებაა გახდეს მეზღვაური: „როცა მამასავით დიდი ვიქნები, წყალქვეშა ნავზე ვიმსახურებო“. ნაწარმოებში ზურაბის ხასიათი სწორად არის გახსნილი.

მეორე ნაწარმოების „შუქურას“ სიუჟეტი უფრო დინამიურია. აქ მოქმედებით ვლინდება პერსონაჟის მთელი ბუნება. პატარა თამაზის მამა ლევანი ავადაა და არ შეუძლია შუქურა აანთოს, გემს ნავსადგურში შესასვლელი გზა უჩვენოს. მაგრამ მამის მოვალეობას თამაზი კისრულობს. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, თამაზი შუქურას აანთებს და ნავსადგურის ზედამხედველის მადლობასაც დაიმსახურებს. თამაზი საბჭოთა ბავშვების ტიპიური წარმომადგენელია. მოთხრობაში გადმოცემული ამბავი მხატვრულად დამაჯერებელია. თამაზის სახე რეალისტურად არის გამოძერწილი.

შედარებით მოზრდილ ორ მოთხრობაში ავტორმა საზღვაო თემა ისტორიულ თემას დაუკავშირა, მაგრამ აქ ისტორიული თემა აქტუალურად ეხმაურება თანამედროვეობას. მოთხრობა „ნამგალა მთვარის შუქზე“ კაპიტან ნიკო დონდუას ცხოვრების ერთ მძიმე შემთხვევას გადმოგვცემს. კაპიტან დონდუას გემს, როდესაც იგი სამშობლოში ბრუნდება, თავს ესხმიან თურქი მეკობრები ქალაქ არხავას მახლობლად. მეკობრები გემს გაძარცვავენ და გემის კაპიტანს თან წაიყვანებენ. გემის კაპიტნის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. მაგრამ გემის მეზღვაურები დროზე მოუსწრებენ სიკვდილის პირას მდგომ კაპიტანს და გადაარჩენენ მას. მოთხრობის ერთგვარი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ თურქი მეკობრების ავაზაკური სახის დახატვასთან ერთად ნაჩვენებია რუსეთის ფლოტის მეზღვაურთა გმირობა და მამაცობა, შეუდრეკელი ხასიათი, მეგობრისათვის თავდადება. მოთხრობაში ასახულია რუსი მეზღვაურების, მეტადრე კაპიტანის უფროსი თანაშემწის ნიკოლოზ პისმენის, კეთილშობილური თვისებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს შეეძლო უფრო ფართო ფონზე ეჩვენებინა რუსული ფლოტის მეზღვაურთა გმირული სახე.

მეტად საყურადღებო მოთხრობაა „მშობლიური მიწა“. აქ აღწერილი ამბები ეხებიან იმ დროს, როდესაც ქართველი მენშევიკების აღსასრული დგებოდა. ნოვოროსიისკში ბოლშევიკები თეთრგვარდიელებს ებრძოდნენ. მენშევიკებმა კი დიდძალი საომარი საჭურველი ჩატვირთეს გემში, რომ თეთრგვარდიელებისათვის მიეწოდებინათ. ქართველი პატრიოტი, მორიგე ნაოსანი ლევან ჩხარტიშვილი ღამე ჩაძირავს გემს ბათუმის ნავსადგურში, თვითონ კი ერთადერთი შვილით გურამით ლაზეთს შეაფარებს თავს.

ლევანის ეს გმირული საქციელი ეხმაურება დღევანდელ ფრანგი დოკერების გმირულ მოქმედებებს, როდესაც ისინი ვიეტნამელი ხალხის საწინააღმდეგოდ გამზადებულ საომარ საჭურველს ზღვაში აგდებენ. მწერალმა ლევანის საინტერესო სახე შექმნა. მაგრამ იგი ეხატვრულ სრულყოფას მაინც მოკლებულია. მკითხველმა არ იცის, თუ რამ მიიყვანა ლევანი ამ გმირულ მოქმედებამდე. რა ამოძრავებდა მას? ლევანის რევოლუციური საქმიანობის ჩვენება ავტორის მიერ მეორე პლანზე არის გადატანილი. სამაგიეროდ ფართოდ არის გაშლილი ლევანის და მისი შვილის გურამის ლაზებთან ყოფნის ამბები. დასამახსოვრებელია ლაზი ბერიკაცის სახე. ნაწარმოებში სულ რამდენიმე შტრიხით, მაგრამ გარკვევით არის ნაჩვენები მისი ხასიათი. ბერიკაცი წარმომადგენელია ქართველი ხალხის იმ ნაწილისა, რომელიც ისტორიული უსამართლობით თურქი ბარბაროსების უღელქვეშ მოექცა, მაგრამ ეროვნული სახე არ დაუკარგავს. როდესაც ლევანი ბერიკაცს თხოვს საბჭოთა საქართველოში ერთად გაემგზავრონ, იგი ასე უპასუხებს: „არა, ლევან, ესეც ხომ ქართული მიწაა? თურქებს დავუტოვო?“ ამ სიტყვებში მკაფიოდ მოჩანს ბერიკაცის ეროვნული თვითშეგნება.

მოთხრობაში გვხვდება რამდენიმე კარგი ადგილი. ლევანისა და გურამის ზღვით გაქცევის სცენა ცხადყოფს, რომ ავტორს ეხერხება მოვლენის ყოველმხრივი აღწერა, გმირის სულიერი დრამის ყოველი ნიუანსის გადმოცემა. კარგადაა შესრულებული თხილის ბუჩქის ძირას დამსხდარ გურამისა და ისმაილის სცენა. აქ მათს დიალოგში საკმაო სიძლიერით არის გახსნილი თურქეთის მმართველი წრეების მიერ ნაცუმცირესობათა ჩაგვრა. მოვიყვანთ ერთ ადგილს ამ დიალოგიდან: — „ისმაილ, რატომ გაცვია დაგლეჯილი შარვალი? — მეტი არ

მაქვს, გურამ. — ისმაილი მიწას დააშტერდა. — თურქის შვილი ჩემზე პატარაა, მაგრამ დილას სულ სხვა აცვია, შუადღისას სხვა, საღამოს კიდევ სხვა, ისეთი ლამაზი შარვლები აქვს... — სკოლაში დადიხარ? — არა. იქ მხოლოდ მდიდრებს ღებულობენ".

იმ დროდან, რომელსაც მოთხრობა ეხება, 30 წელია გასული, მაგრამ დღევანდელი თურქეთი არაფრით არ განსხვავდება იმ თურქეთისაგან, რომელიც ავტორს აქვს დახატული. ნაციონალური და კლასობრივი ჩაგვრა ახლა უფრო საზიზღარ სახეს ღებულობს დღევანდელ თურქეთში, რომლის მთავრობა უოლსტრიტის ყურმოჭრილ მონად გადაიქცა.

საზღვაო თემასთან ერთად ანდრო ლომიძე წარმატებით მუშაობს ნადირობის თემაზე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. კრებულში ნადირობის ამბებს საკმაო ადგილი უჭირავთ. ამ თემაზე დაწერილ მოთხრობებიდან გამოირჩევა მოთხრობა „სიმღერა სიცოცხლისა". ამ მოთხრობაში აღწერილია მშვენიერი ბუნების პეიზაჟები და ხოხბებზე ნადირობა. კარგად არის დახატული ბუნებისმეტყველ ზურაბის სახე, რომელიც სამამულო ომის დროს სმოლენსკთან დაიჭრა, მაგრამ მაინც მან მტერს ბერლინამდე სდია. ახლა იგი ბოტანიკოსია და მცენარეების სამკურნალო თვისებებს არკვევს.

დანარჩენი მოთხრობები „გედი", „ღორქედანა", „1921 წელი", „მონადირის დღიურიდან" და „თბილისის ზღვასთან" უფრო მონადირის ცხოვრებიდან აღებული ესკიზური სურათებია, ვიდრე სიუჟეტიანი მოთხრობები, მაგრამ ყოველ ამ ესკიზურ მონახაზს თავისი გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ავტორი საკმაოდ აწვდის მკითხველს სხვადასხვა მცენარეებისა და ფრინველების შესახებ საინტერესო ცნობებს. მაგრამ კარგი იქნებოდა ავტორს ნადირობის თემა ღრმად გააზრებულად წარმოედგინა და უფრო ფართოდ დაეკავშირებია იგი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

ა. ლომიძის მოთხრობების კომპოზიცია რთული არ არის. მწერალი ხშირად ახერხებს ლაკონიური, სხარტი ფრაზით ან წინადადებით ადამიანის სულიერ მდგომარეობის ან განცდების გადმოცემას, ხან აბობოქრებულ, ხან დამშვიდებული ზღვის სურათების დახატვას. ნადირობის სცენებში ბუნება მხოლოდ დეკორაციული ფონი როდია, პირიქით, ზოგჯერ, თითქოს მთავარი მოქმედი პირის როლს თამაშობს, მაგალითად მოთხრობებში „გედი", „ღორქედანა" და სხვ.

მოთხრობები დაწერილია სადა ლიტერატურული ენით. წიგნში თითქმის არ ვხვდებით პროვინციალიზმებს, სწორი ქართული მეტყველების დარღვევის შემთხვევებს. ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს წინადადებებში სიტყვების სწორ დალაგებას, რათა გამოხატული აზრი უფრო ნათელი და ცხადი გახადოს.

ა. ლომიძის „ახალი მოთხრობები" თავისი თემატიკით და მხატვრულობით უთუოდ ქართველ საბჭოთა მკითხველის ყურადღებას დაიმსახურებენ.

ნოდარ კუპრავა.

მონოგრაფია გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორზე

(И. Маневич. „Михаил Чиаурели". Госкиноиздат. 1950).

★

მიხეილ ჭიაურელი სრულიად სამართლიანად აღიარებულია საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად. მისი კინო-ფილმები „უკანასკნელი მასკარადი", „არსენა", „დიადი განთიადი" და, მეტადრე, უკანასკნელ წლებში დადგმული „ფიცი" და „ბერლინის დაცემა" მსოფლიოში ცნობილი ფილმებია.

თავის შემოქმედების ადრინდელ პერიოდში მიხ. ჭიაურელი ხელოვნების სხვადასხვა დარგში მუშაობდა, ის იყო მოქანდაკე, მხატვარი, მომღერალი, მსახიობი. ბოლოს მან აირჩია კინო-რეჟისორის პროფესია. კინო ისეთი ხელოვნებაა, რომელიც შემოქმედისაგან მოითხოვს როგორც მხატვრობისა და მუსიკის, ისე სამსახიობო ხელოვნების ცოდნას. მიხ. ჭიაურელი მართლაც საუცხოოდ დაეუფლა ამ რთული ხელოვნების მრავალმხრივობას. მისი კინოფილმები გამსჭვალულია ღრმა იდეურობით. როგორც თვითონ მიხ. ჭიაურელი სწერს „მთა-

ვარი მამოძრავებელი ძალა ხელოვნებაში არის იდეა. უიდეოდ მხატვარი გამოუსადეგარია, მ-ასადამე, ზედმეტი ადამიანია".

მიხ. ჭიაურელის, როგორც კინო-რეჟისორის, შემოქმედების ანალიზი, ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენში ეს საქმე ჯერჯერობით ვერ არის სათანადოდ მოგვარებული. მიხ. ჭიაურელზე ერთი პატარა მონოგრაფიაც კი არ გამოსულა. მოსკოვის გამომცემლობებმა უკვე გადასდგეს ამ მხრივ რამდენიმე ნაბიჯი: გამოვიდა კრებული მიხ. ჭიაურელის მიერ დადგმული ფილმების სცენარებისა, სტატიების კრებულები ცალკეულ ფილმებზე და სხვა. გასულ წელს კი გამომცემლობა „გოსკინოიზდატმა" გამოუშვა ი. მანევიჩის მონოგრაფია „Михаил Чиаурели".

მონოგრაფიის პირველ თავში „Путь в кино" ავტორი ეხება მიხ. ჭიაურელის შემოქმედებას არა მარტო კინემატოგრაფიაში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიაც. მაგრამ აქ აუცილებელი იყო ავტორს უფრო დაწვრილებით განეხილა მისი ადრინდელი შემოქმედება, ვინაიდან სწორედ თეატრსა და კინოში, ქანდაკებასა და მხატვრობაში მუშაობამ განსაზღვრა მისი მომავალი, როგორც კინო-რეჟისორისა. მიხ. ჭიაურელი წლების მანძილზე მუშაობდა თეატრში და მას, როგორც მსახიობს, თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართული თეატრისა და კინემატოგრაფიის განვითარებაში. მ. ჭიაურელი დიდხანს ხელმძღვანელობდა „წითელ თეატრს" და მუსიკალური კომედიის თეატრს. ქართულ საბჭოთა კინო-ფილმებში მან შეასრულა რამდენიმე როლი: არსენა („არსენა ჯორჯიაშვილი" — 1921 წ.) ოსმან-აღა („სურამის ციხე" — 1922 წ.), ჯონდო („ნათელა" — 1926 წ.), სიკო („ხანუმა" — 1926 წ.) და სხვა. გარდა ამისა, მ. ჭიაურელი ხატავდა ილუსტრაციებსა და კარიკატურებს ქართულ საბავშვო და იუმორისტულ ჟურნალებში. მან ერთმა პირველთაგანმა შექმნა დიდი ლენინისა და ქართველი მსახიობების — კოტე მესხის, ვასო აბაშიძის, ვანო სარაჯიშვილის და სხვათა ბიუსტები. სწორედ ამ საკითხებს უნდა შეხებოდა დაწვრილებით მონოგრაფიის ავტორი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იყო მოსამზადებელი პერიოდი მიხ. ჭიაურელისათვის, როგორც საბჭოთა კინო-რეჟისორისათვის.

შემდეგ განყოფილებაში: „Ранние фильмы" ი. მანევიჩის მიერ განხილულია მიხ. ჭიაურელის ადრინდელი კინოსურათები: „უკანასკნელი საათი" (1928 წ.) და „პირველი კორნეტი სტრეშნევი" (1929 წ.). მიხ. ჭიაურელის პირველი თვალსაჩინო კინო-სურათი იყო „საბა" (1929 წ. სცენარი შ. ალხაზიშვილისა და ა. არავსკისა; ოპერატორი ა. პოლიკევიჩი). მონოგრაფიის ავტორი სამართლიანად სწერს: „Вместе с „Элисо" Н. Шенгелая, „Саба" Чиаурели положила начало новому направлению в кинематографии Грузии... „Саба" знаменовала собою переход к современной тематике. Это был один из первых фильмов Госкинпрома, героем которого был рабочий".

„საბაში" უკვე მტკიცედ გამოჩნდა ოსტატური ხელი კინო-რეჟისორისა, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი სპეციალური კინემატოგრაფიული განათლება არ მიუღია და მხოლოდ თავისი ნიჭით და შრომისმოყვარეობით იკვლევდა შემოქმედებითი გზას. ავტორი აღნიშნავს იმ ახალგაზრდა მსახიობების (სანდრო ჯალიაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვ.) ნიჭიერ თამაშს, რომლებიც შემოკრიბა მიხ. ჭიაურელმა. ი. მანევიჩი სწორად ასკვნის: „Фильм „Саба" утверждал современную тему, как главную и основную тему нашего передового советского искусства. То, что было начато в „Саба", победило в последующих фильмах Чиаурели".

შემდეგ ავტორი ქრონოლოგიურად ეხება ცალკეული ფილმის იდეურ-მხატვრულ და ტექნიკურ ღირსებებს. მიხ. ჭიაურელის მომდევნო სურათი „ხაბარდა" (1931 წ., სცენარი მისივე; ოპერატორი ა. პოლიკევიჩი) იყო მწვავე სატირა ნაციონალისტურად განწყობილ იმ ქართველ ინტელიგენტებზე, რომელთაც საბჭოთა სინამდვილემ ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალა. „ხაბარდა"-თი დამთავრდა მიხ. ჭიაურელისათვის „უხმო პერიოდი". კინემატოგრაფიაში უდიდესმა გადატრიალებამ — ხმის გამოყენებამ — კიდევ უფრო გამოააშკარავა მიხ. ჭიაურელის, როგორც კინო-რეჟისორის უტყუარი ნიჭი და შემოქმედებითი გაქანება.

მონოგრაფიის ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ თუ ამ ადრინდელ ფილმებში ჯერ კიდევ ადგილი ჰქონდა ცალკეულ შეცდომებს, მიხ. ჭიაურელის შემდგომი სურათი „უკანასკნელი მასკარადი" (1934 წ.; სცენარი მისივე; ოპერატორი ა. პოლიკევიჩი) სრული გამარჯვება იყო როგორც ავტორ-რეჟისორისა, ისე მსახიობებისა (სანდრო ჯალიაშვილი, დუდუხანა წეროძე, ნატო ვაჩნაძე, მიხეილ გელოვანი, კოტე მიქაბერიძე და სხვა.). ი. მანევიჩი დაწვრილებით და კარგად აშუქებს ამ ფილმის ყოველ შემადგენელ ნაწილს: სცენარს, დადგმას, ფოტოგრაფიას. აღნიშნავს რა იმ დადებით შეფასებას, რაც ამ ფილმს მისცა დიდმა სტალინმა, ავტორი სწერს: „Роль „Последнего маскарада" огромна не только для творчества Чиаурели, но и для всего нашего советс-

кого киноискусства, ибо оценка, данная товарищем Сталиным этому фильму указывала путь, по которому следует итти мастерам советского кино-искусства".

ქართველი ხალხის საყვარელ გმირზე არსენა ოძელაშვილზე ჯერ კიდევ 1924 წ. შეიქმნა ფილმი „არსენა ყაჩაღის" სახელწოდებით, მაგრამ იდეურად და მხატვრულად იგი ვერ აკმაყოფილებდა საბჭოთა მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამიტომ მიხ. ჭიაურელმა ხელახლა მოჰკიდა ხელი ამ თემას და 1937 წელს დადგა სურათი — „არსენა" (სცენარი მ. ჭიაურელისა და ს. შანშიაშვილის; ოპერატორი ა. დიღმელი). ი. მანევიჩი დაწვრილებით ეხება ამ საუკეთესო სურათის მრავალ დადებით თვისებებს. „Арсен" стал одной из любимых картин советского зрителя" დაასკვნის მონოგრაფიის ავტორი. და მართლაც, საუკეთესოდ შერჩეულმა მსახიობებმა (სპარტაკ ბაღაშვილი, ნატო ვაჩნაძე, ნუცა ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ალექსანდრე იმედაშვილი და სხვ.) — მიხ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით — შექმნეს ამაღელვებელი სურათი საქართველოს რევოლუციური წარსულიდან.

შემდეგ ი. მანევიჩი იხილავს მიხ. ჭიაურელის ფილმებს: „დიად განთიადს" (1938 წ., სცენარი მ. ჭიაურელისა და გ. ცაგარლისა; ოპერატორები ა. დიღმელი და ა. პოლიკევიჩი), „გიორგი სააკაძეს" (1 სერია 1942 წ.; 2 სერია 1943 წ.; სცენარი ა. ანტონოვსკაიასი და ბ. ჩორნის; ოპერატორი ა. დიღმელი), „ფიცს" (1946 წ. სცენარი მ. ჭიაურელისა და პ. პავლენკოსი; ოპერატორი ლ. კოსმატოვი) და „ბერლინის დაცემას" (1949 წ.; სცენარი მ. ჭიაურელისა და პ. პავლენკოსი; ოპერატორი ლ. კოსმატოვი). მონოგრაფიის ავტორი საფუძვლიანად ასაბუთებს ამ ფილმების, განსაკუთრებით „ფიცისა" და „ბერლინის დაცემის", დიდ იდეურ, შემეცნებითსა და მხატვრულ მნიშვნელობას.

ი. მანევიჩი თავის მონოგრაფიაში იძლევა მიხ. ჭიაურელის, როგორც შემოქმედის დახასიათებას. მის შესანიშნავ თვისებებს წარმოადგენს: ისტორიული ფაქტებისადმი სწორი და მიუკერძოებელი მიდგომა, გმირების ხასიათების პლასტიკური გამოკვეთა, ადამიანის ფსიქოლოგიის მართლად გადმოცემა, ზომიერი იუმორი, მტრების მიმართ დაუნდობელი სატირა, დიდი ფანტაზია, შემოქმედებითი სითამამე, უტყუარი ალღო მსახიობთა შერჩევისა და, რაც მთავარია, ი. მანევიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, „Воинствующая партийность, большевистская идейность".

საერთოდ აღსანიშნავია, რომ ი. მანევიჩი საქმის ცოდნით და სიყვარულით აშუქებს მიხ. ჭიაურელის შემოქმედებას მთლიანად და კერძოდ მის ცალკეულ ფილმებს.

მიხ. ჭიაურელმა მრავალი მსახიობი აღუზარდა ქართულ კინემატოგრაფიას: სანდრო ჯალიაშვილი, სტალინური პრემიის ლაურეატი სპარტაკ ბაღაშვილი, ნიჭიერი მსახიობი ქალები: ლიანა ასათიანი, დუდუხანა წეროძე და სხვ. მიხ. ჭიაურელმა ათამაშა პირველად ქართული დრამის მსახიობი მიხ. გელოვანი დიდი სტალინის ფრიად საპასუხისმგებლო როლში. ახლა ეს მსახიობი ამ როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. სწორედ ამიტომ საჭირო იყო, რომ ავტორი დაწვრილებით შეხებოდა მიხ. ჭიაურელის — როგორც საუკეთესო აღმზრდელ-რეჟისორის მუშაობას.

კარგი იქნებოდა, რომ მონოგრაფიის ავტორი შეხებოდა აგრეთვე მიხ. ჭიაურელს როგორც სცენარისტს. ცნობილია, რომ თავისი ფილმების უმეტესობის სცენარის ავტორი ან თანაავტორი თვითონ მ. ჭიაურელია. ეს მეტად საყურადღებო მხარეა მისი შემოქმედებისა.

აუცილებელი იყო ავტორს აღენიშნა მიხ. ჭიაურელის მომავალი მუშაობის პერსპექტივებიც. მით უმეტეს, რომ პრესამაც და თვით მ. ჭიაურელმაც აღნიშნა, რომ იგი მუშაობს „დაუვიწყარ 1919 წელზე", განზრახული აქვს აგრეთვე უკვდავი „ვეფხის-ტყაოსნის" გადაღება და სხვ.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ამ ტექნიკურად მშვენივრად გამოცემული წიგნის ერთი სამწუხარო და მიუტევებელი ნაკლი, სახელდობრ: ქართული სიტყვების, ქართული სახელებისა და გვარების დამახინჯება, განსაკუთრებით წიგნის ბოლოს დართულ „ფილმოგრაფიაში". შეიძლება ყველა ეს კორექტურულ შეცდომებად ჩაგვეთვალა, მაგრამ მთელ წიგნში სულ სამი შეცდომა გაუსწორებია კორექტორ ლ. ფილოსოფოვას. ეს იმას ადასტურებს, რომ დამახინჯებანი მხოლოდდამხოლოდ ავტორის — ი. მანევიჩის და რედაქტორის — ბ. კრავჩენკოს უყურადღებობისა და დაუდევრობის შედეგია. საჭირო იყო ავტორს და გამომცემლობას ამ მხრივ მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინათ.

საერთოდ ი. მანევიჩის მონოგრაფია „მიხეილ ჭიაურელი" კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც გამოჩენილი საბჭოთა კინო-რეჟისორის შემოქმედების იდეურ-მხატვრული ანალიზის პირველი ცდა.

ალეკო სანადირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. დუდუჩავა. „ახალი ქართული ხელოვნება"

გამომცემლობა „ხელოვნება". 1950 წ.

★

გასული საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მხატვრობა ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. მის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი ქართული კულტურის ისტორიისათვის.

წიგნის ავტორს მიზნად დაუსახავს ამ საინტერესო პერიოდში მოქმედ მხატვართა ბიოგრაფიული ცნობების მოწოდება და მათი შემოქმედების ანალიზი. ეს ნაშრომი წარმოადგენს ახალი ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი გზებისა და ტენდენციების ჩვენების ცდას.

ცნობილია, რომ ამ პერიოდში საქართველო საბოლოოდ ჩაება რუსეთის ცხოვრების ფერხულში. მრავალსაუკუნიანი ქართული კულტურა განვითარების ახალ გზას დაადგა. ეს ახალი გზა ვითარდებოდა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრებისა და მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრის პირობებში. ამ ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა და ახალი სოციალური ვითარების პროგრესული ტენდენციების დაცვა წარმოადგენდა იმდროინდელ მოღვაწეთა მთავარ აზრს.

ქართული დაზგური ფერწერის ჩასახვა-განვითარებაში ავტორი ერთგვარ დამწყების როლს მიაკუთვნებს იმ სამხატვრო საამქროს, რომელიც მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა სიონის ტაძართან. მიუხედავად ამისა, ქართული დაზგური ფერწერის ნამდვილ დამწყებად ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა და რუსეთის გამოჩენილი მხატვრის ბრიულოვის მოწაფე გრიგოლ მაისურაძე (1814 — 1885) უნდა ჩაითვალოს.

ავტორი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „გრ. მაისურაძე პირველი ქართველი იყო, რომელმაც... დიდი როლი ითამაშა გასული საუკუნის ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში, კერძოდ ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ფორმირებისა და აღორძინებისათვის ნიადაგის მომზადებაში".

იგივე არ შეიძლება ითქვას იმ მხატვრებზე, რომლებიც იმ დროს მოდიოდნენ საქართველოში ბედის საძიებლად ანდა ეგზოტიკური მისწრაფებებით. ავტორი ამ მხრივ გადაჭარბებულად აფასებს მათ როლს. ვფიქრობთ, ქართული მხატვრული კულტურის განვითარებისა და სახვითი ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერებას გაცილებით უფრო შეუწყო ხელი ე. წ. „პერედვიჟნიკულმა" მოძრაობამ ვიდრე ამ გასტროლიორ მხატვრებას მოღვაწეობამ.

ცხადია, რომ გასული საუკუნის რუსულმა რეალისტურმა ხელოვნებამ ოკალსაჩინო გავლენა მოახდინა ქართულ მხატვრულ კულტურის განვითარებაზე. ეს გავლენა ორგანულად იყო დაკავშირებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე. ამ მოძრაობამ საგრძნობლად გააფართოვა ქართული მხატვრული კულტურის განვითარების ასპარეზი.

სამოქმედოდ გამოდიან ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი გრიგოლ ტატიშვილი (1898 — 1911), ფერწერის საუკეთესო ოსტატი რომანოზ გველესიანი (1859 — 1884) და გრაფიკოს-დეკორატორი ალექსანდრე ბერიძე (1858 — 1914).

ავტორი სამართლიანად აფასებს მათ როლს ქართული მხატვრული ხელოვნების განვითარებაში და აღნიშნავს რომ: „გრ. ტატიშვილი იყო არა მარტო ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებელი, არამედ მისი ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. ტატიშვილის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც ორგანულად იყო დაკავშირებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ათეული წლების განმავლობაში ამდიდრებდა ქართულ მხატვრულ კულტურასა და ნერგავდა მშობლიურ ხალხში სიყვარულს გრაფიკული ხელოვნებისადმი".

როგორც წიგნის ავტორიც აღნიშნავს, იგივე არ შეიძლება ითქვას რ. გველესიანის შემოქმედებაზე, ვინაიდან „მისი შემოქმედებითი გზა მეტად ხანმოკლე იყო". მიუხედავად ამისა, თავისი ძლიერი მხატვრული ნიჭით მან საგრძნობი კვალი დასტოვა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში.

ავტორი არჩევს ამ სამი მხატვრის შემოქმედებას და აკეთებს ისეთ დასკვნას, რომელსაც მთლიანად ვერ დავეთანხმებით. თუ რ. გველესიანისა და ალ. ბერიძის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ მათ შემოქმედებას: „არ მოუხდენია არსებითი გავლენა ქართული ხელოვნების განვითარების ბედზე", ეს დასკვნა სრულიად უსამართლო იქნება გრ. ტატიშვილის მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრ. ტატიშვილის მიერ დამუშავებულ მრავალფეროვან ჩუქურთმებითა და სამხატვრო შრიფტებით დღე-

საც ვამკობთ ჩვენს საუკეთესო გამოცემებსა და მხატვრულ ნივთებს. ეს ნამუშევრები, როგორც თავისი პროპორციებით ისე შესრულებით, საუკეთესო სახელმძღვანელოს წარმოადგენენ ჩვენი ახალგაზრდა მხატვარ-გრაფიკოსებისათვის.

განსაკუთრებული სიყვარულით და გატაცებით ლაპარაკობს ავტორი გიგო გაბაშვილის შემოქმედებაზე (1862 — 1936). ეს გასაგებიცაა, რადგან გ. გაბაშვილი ავტორის სიტყვით რომ ვსთქვათ: „ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელია... მან ჩამოყალიბებული სახით გამოავლინა და დიდ შემოქმედებით ასპარეზს დაუკავშირა ქართული რეალისტური ხელოვნების გზა..... იგია ფერების ბრწყინვალე არტისტი, თავისებური პოეტი — ეპიკოსი... მხატვარი ვერ თავსდება ერთ ჩარჩოში, განუწყვეტლივ ცვლის თავის პალიტრასა, გააფთრებით ებრძვის საღებავების ერთფეროვანებას, მუდამ ეძებს ახალ ტონებს“.

ქართული ნაციონალური რეალისტური მხატვრობის განვითარებაში მან თითქმის ისეთივე როლი ითამაშა, როგორიც „პერედვიჟნიკებმა“ რუსულ მხატვრობაში. ვამბობთ „თითქმის“, რადგან გაბაშვილის შემოქმედებაში ბუნდოვნად არის გამოვლინებული ის პოლიტიკური სიმახვილე და კრიტიციზმი, რომელიც „პერედვიჟნიკებს“ მკვეთრად ახასიათებს.

ეს კარგი თვისებები „პერედვიჟნიკებისა“ შემდეგში ძლიერად გამოავლინეს გაბაშვილის მომდევნო თაობის ქართველმა მხატვრებმა: ალექსანდრე მრევლიშვილმა, ანტონ გოგიაშვილმა და მოსე თოიძემ.

ავტორი საფუძვლიანად განმარტავს თვითეული ამ მხატვრის როლს რევოლუციურ-დემოკრატიული მოტივების დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში. ამ მოტივების დამკვიდრებას ავტორი სამართლიანად უკავშირებს გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. ამ ცვლილებების ერთ-ერთი საუკეთესო ამსახავი იყო ალექსანდრე მრევლიშვილი (1866 — 1933), რომელიც, როგორც ავტორიც აღნიშნავს, ახალი ქართული მხატვრობის საუკეთესო წარმომადგენელია. იგი „ჩვენი მხატვრული კულტურის ისტორიაში დამკვიდრდა, როგორც ხალხის ცხოვრებასა და ინტერესებთან ორგანულად დაკავშირებული ხელოვანი, ღრმად ხალხური და ღრმად იდეური ნაციონალური ტილოების შემომქმედი, ფერებითა და ხაზით თხრობის შესანიშნავი ოსტატი, მგზნებარე რეალისტი და პატრიოტი“.

ანტონ გოგიაშვილის (1878 — 1907) ცხოვრება და შემოქმედება ისევე ხანმოკლე იყო როგორც რ. გველესიანისა. მიუხედავად ამისა, მან ღრმა კვალი დააჩნია ქართულ გრაფიკულ შემოქმედებას და დაგვიტოვა ეპოქის ამსახავი და ეთნოგრაფიული ხასიათის საუკეთესო ჩანახატები. „მესამე დასის“ თანამოაზრე ან. გოგიაშვილმა უშუალოდ განიცადა ცარიზმის წარმომადგენელთა მხეცობა და თავისი ნახატებით გადასცა შთამომავლობას „ნახული და განცდილი“. მის მრავალ ჩანახატებში მოსჩანს გასული საუკუნის 90-იანი წლების მოწინავე იდეების ღრმა გავლენა.

კარგ მომღერალს, დაუღალავ მოგზაურს და გრაფიკოს-მხატვარს — ანტ. გოგიაშვილს — ავტორი სამართლიან შეფასებას აძლევს და აღნიშნავს, რომ გოგიაშვილი მიუხედავად მისი მსოფლმხედველობის წვრილბურჟუაზიული ხასიათისა, მაინც ყველაზე რადიკალურ პოზიციაზე იდგა მის თანამედროვე მხატვრებს შორის.

გოგიაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით, ერთგვარ ინტერესს იწვევს ეტიუდისა და მონასმის გვერდით „მხატვრული ნარკვევის“ საკითხის დასმა სახვითი ხელოვნებაში.

წიგნში საგრძნობი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი მხცოვანი მხატვრის მოსე თოიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ავტორი კარგად გრძნობს მ. თოიძის შემოქმედების მნიშვნელობას ახალი ქართული მხატვრობის განვითარებაში და სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ: „ქართული მხატვრობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მოსე თოიძემ. გ. გაბაშვილის შემდეგ ეს შესანიშნავი ხელოვანი გვევლინება, როგორც ქართული ფერწერის ყველაზე თვალსაჩინო ოსტატი, რომელმაც არა მარტო გაამდიდრა მშობლიური ხელოვნება, არამედ ფერწერის მხრივ გარკვეული სიახლეც შეიტანა მასში, თავისი ცნობილი რეალისტური ნაწარმოებების კოლორიტის სახით“. ამას უნდა დავუმატოთ, რომ მ. თოიძემ მშობლიური მხატვრობა გაამდიდრა არა მარტო თავისი ნაწარმოებების კოლორიტით, არამედ ქართული ბუნების ფერთა გამოვლინებით, ნაციონალურ თემათა სიუხვით და იმ უამრავი გრაფიკული ნამუშევრებით, რომლითაც საზრდოობდა ქართული პრესა მრავალი წლების განმავლობაში.

ზოგჯერ ამა თუ იმ ერის ხელოვნებაში მეტეორივით გაიელვებს შემოქმედება, რომლის მნიშვნელობა და ადგილი დიდი ხნით გამოურკვეველი რჩება. ასეთ შემოქმედს ეკუთვნის მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი. მისი თემა საქართველო და თბილისია. მისი ტექნიკა — გასაოცარი მხედველობაა, მისი მასალა: საკუთარი ალღოთი შეზავებული საღებავები, სამიკიტნოს კედლები, ოუნუქის ნაჭრები, ფიცარი და ქსოვილია. ავტორის სიტყვით, ეს თვითნასწავლი მხატვარი:

„გაემიჯნა როგორც თავისი ეპოქის ქართულ მხატვრობას, ისე ქართული ხელოვნების საერთო ისტორიულ ტრადიციებს. .....იგი პრიმიტივისტია, მისი ფუნჯი ვერ ფლობს ფერწერის მაღალ ტექნიკის საიდუმლოებებს, მოვლენებისა და განწყობის განსახიერების მაღალ ხელოვნებას". მაგრამ განაგრძობს ავტორი, „მის უბრალო ხატვაში შემოქმედებით უშუალობასა და გულუბრყვილობაში ყოველთვის ეღერს დიდი შემოქმედებითი განცდა, საგნებისა და მოვლენების ღრმა მხატვრული შეგრძნობა, მიზნობრივი, მკვეთრი კომპოზიციური წყობა, ფერების თავისუფალი ლირიული ეღერა, ძირითადად ამეტყველებული შავი და ღია ყვითელ ფერთა ვარიაციული შეხამების საფუძველზე".

ავტორი ამბობს, რომ „ნ. ფიროსმანიშვილი გაემიჯნა თავისი ეპოქის მხატვრობას და ქართული ხელოვნების ისტორიულ ტრადიციებსო". უფრო მართებული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ მან ის სოციალური უკუღმართობა, რომელიც მის ეპოქას ახასიათებდა, ხალხური გულუბრყვილობით და თავისებური უბრალოებით ასახა, ხოლო მატერიალურ სამყაროს გაგებასა და გადმოცემაში ის ყველაზე ახლო იდგა ქართული ფრესკული მხატვრობის ბრწყინვალე ტრადიციებთან.

როგორც ჩანს, ავტორი ვერ ასცდენია იმ ორ უკიდურესობას, რომელიც არსებობს ამ მხატვრის შემოქმედების შეფასებაში. ერთი უკიდურესობა მდგომარეობს მხატვრის მეტისმეტ განდიდებაში, მეორე უკიდურესობა კი იმაში, რომ მხატვარი პრიმიტივისტად არის მიჩნეული. ჩვენი ავტორიც ამ მეორე უკიდურესობაში ჩავარდნილა. ჩვენ ვიცნობთ ქართულ ხალხურ პოეზიას, მუსიკას, ხუროთმოძღვრებას და რატომ არ უნდა ვცნობდეთ ნამდვილ ხალხურ ფერმწერლად ნიკო ფიროსმანაშვილს?

ვეთანხმებით რა ავტორს ტ. მომცემლიძის, ა. პიტახიას და დ. გურამიშვილის შეფასებაში, „რომელთაც არ ახასიათებს გარკვეული ინდივიდუალობა და არც რაიმე მნიშვნელოვანი როლი ხვედრიათ წილად ახალი ქართული მხატვრობის განვითარებაში", გაკვრით შევნიშნავთ, რომ სასურველი იყო გაეფართოებია ნარკვევის ფარგლები და უფრო ვრცლად შეხებოდა ისეთ ნაყოფიერ მხატვრებს, როგორიც იყვნენ და არიან ალ. ციმაკურიძე, გ. მესხი, ვ. სიდამონ-ერისთავი და შ. ძნელაძე. ასევე სასურველი იყო მეტი კრიტიკული ანალიზი იმ დეკადენტურ-ფორმალისტური მიმდინარეობისა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა ახალ ქართულ ხელოვნებას.

თუ გვერდს ავუვლით ავტორის ზოგიერთ არაბუნებრივ გამოთქმებსა და ზოგიერთ აბსტრაქტულ მსჯელობას, უნდა ვთქვათ, რომ წიგნი, რომელიც შემკულია კარგი ხარისხის რეპროდუქციებით, გაამდიდრებს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მცირერიცხოვან ლიტერატურას.

ბ. ბოჭორიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

★

სახელგამი

პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი

კ. მარქსი, ფ. ენგელსი — ტომი მე-2. გვ. 656. ფასი 18 მან.

ვ. ი. ლენინი — ტომი მე-16. გვ. 609. ფასი 8 მან.

ვ. ი. ლენინი — ტომი მე-17. გვ. 751. ფასი 8 მან.

ვ. ი. ლენინი — ტომი მე-18. გვ. 789. ფასი 8 მან.

ვ. ი. ლენინი — ტომი მე-19. გვ. 738. ფასი 8 მან.

ი. ბ. სტალინი — რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის ლონდონის ყრილობა. გვ. 36. ფასი 1 მან.

ი. ბ. სტალინი — ერთხელ კიდევ სოც.-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში. გვ. 155. ფასი 3 მან.

ი. ბ. სტალინი — საუბარი „პრავდის" კორესპონდენტთან. გვ. 12. ფასი 30 კაპ.

ი. ბ. სტალინი — მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. გვ. 53. ფასი 50 კაპ.

ი. ბ. სტალინი — ლენინის შესახებ. გვ. 91. ფასი 1 მან. 50 კაპ.

ი. ბ. სტალინი — ლენინიზმის საკითხები. გვ. 759. ფასი 15 მან.

ი. ბ. სტალინი — მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. გვ. 184 ფასი 6 მან.

ლ. პ. ბერია — ამიერკავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის (მერვე გამოცემა). გვ. 248. ფასი 8 მან.

პ. ნ. პოსპელოვი — ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 27 წლისთავის შესახებ. გვ. 20. ფასი 40 კაპ.

ვ. ლებედევი, მ. იაკოვლევი — სტალინური კონსტიტუცია გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციაა. (თარგ. ლ. ჯიბლაძისა). რედ. ვ. მგალობლიშვილი. გვ. 104. ფასი 2 მან. 60 კაპ.

კ. აბროსენკო — გლეხობის სოციალისტურად აღზრდის შესახებ (თარგ. კ. კოპაძისა). რედ. ი. ხუციშვილი. გვ. 174. ფასი 3 მან 50 კაპ.

ი. კოდუა — საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. რედ. ვ. მელქაძე. გვ. 117. ფასი 3 მან. 50 კაპ.

ზ. გეგეშიძე — გ. თელია (ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა). რედ. ლ. გორგილაძე. გვ. 84. ფასი 2 მან.

ა. ჩავლეიშვილი — კორეელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რედ. ილ. ტაბაღუა. გვ. 109. ფასი 4 მან.

რ. მელაძე — მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. რედ. ი. ბაჯაძე. გვ. 118. ფასი 3 მან. 50 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (თარგმ. გრ. ებრალიძისა). რედ. ვ. მგალობლიშვილი. გვ. 38. ფასი 1 მან. 10 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის შესახებ. რედ. გ. ციცქიშვილი. გვ. 22. ფასი 66 კაპ.

სანიმუშო გეგმა (ლენინისა და სტალინის ნაწარმოებთა მიხედვით. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი სემინარისა). რედ. ვ. ესიაშვილი. გვ. 20. ფასი 60 კაპ.

ტექნიკა და შრომა.

ტ. ვეფხვაძე — ფიზიკის კურსი (მეოთხე გამოცემა). რედ. მ. მირიანაშვილი. გვ. 506. ფასი 10 მან. 90 კაპ.

მ. შულეენკო — თვითმფრინავთა კონსტრუქციები (თარგ. დ. ჭელიძისა). რედ. ლ. ლაითაძე. გვ. 287 ფასი 11 მან. 40. კაპ.

დ. წიკლაური — წყალამწევი მანქანები. რედ. მ. მოსტკოვი, გ. მამრაძე. გვ. 144, ფასი 4 მან. 85 კაპ.

ნ. მეტონიძე — ღვინის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა. რედ. შ. იოსელიანი. გვ. 208. ფასი 6 მან. 60 კაპ.

დ. ჭელიძე — ტექნიკური მექანიკა. (მანქანათა ნაწილები). რედ ა. გულისაშვილი. გვ. 113. ფასი 2 მან. 70 კაპ.

ვლ. **გოთოშია, მ. კუჭაიძე** — გამოყენებითი მექანიკა (თეორია და ამოცანები). რედ. პ. ზერაგია და ი. ბაქრაძე. გვ. 222. ფასი 5 მან. 10 კაპ.

ვ. კოკოჩაშვილი — ფიზიკური ქიმიის პრაქტიკული. რედ. ივ. არევაძე. გვ. 368. ფასი 7 მან. 25 კაპ.

გ. კამენშჩიკოვი — სამჭედლო საქმე (თარგმანი ე. ვაშაკიძისა). რედ. ი. ტურაშვილი. გვ. 316. ფასი 10 მან. 60 კაპ.

ვ. დანილევსკი — რუსული მექანიკა (გადმოკეთებული მ. კუჭაიძის მიერ). რედ. ჩ. გურგენიძე, ი. ტურაშვილი. გვ. 20. ფასი 1 მან.

ვ. ლოდოჩნიკოვი — უმთავრესი ქანთმაშენი მინერალები (თარგ. თ. ბაგრატიშვილისა). რედ. გ. ზარიძე. გვ. 244. ფასი 9 მან 35 კაპ.

დ. ცხომარია — აკადემიკოს ვ. რ. ვილიამსის მოძღვრება ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ. რედ. ი. ჯაში. გვ. 215. ფასი 15 მან 90 კაპ.

აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია — შედგენილი ლ. კარბელაშვილის მიერ. რედ. ვ. ბერიძე. გვ. 330. ფასი 19 მან 50 კაპ.

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

	გვ.
შიხეილ ორაგველიძე — მეგობრობა	3
ნიკოლოზ ნადირაძე — კარგია! ლექსი	29
ალექსანდრე ქუთათელი — რომანი, გაგრძელება	31
ნაზიმ ჰიქმეთი — ლექსები ციკლიდან: „ზღვის სიმღერები", თარგმანი თურქულიდან ვახტანგ კეკელიძისა	46
ელიზბარ ზედგინიძე — დაუვიწყარი ზაფხული, მოთხრობა	48
ჰარინდრანათ ჩატოპადჰაია — აზიის დღესასწაული, ლექსი, თარგმანი ალ. აბაშელისა	60
სოლომონ თავაძე — ფოლადი, რომანი, გაგრძელება	63
ილია ხოშტარია — სამი ლექსი	95
აკაკი გელიაშვილი — რკოს ჩარდახი, რომანი, გაგრძელება	97
გიორგი შალვაშვილი — რუსთავი, ლექსები	115
გ. ჟვანია — სტალინური „ბრძოლა", წერილი	118
ნოდარ ჩხეიძე — პაბლო ნერუდა, წერილი	133
ვ. გოგოლაძე — სანდრო ეული. სიცოცხლე სიხარულია. ბიბლიოგრაფია	141
ვლ. ჯიბუტი — ლეო ქიაჩელი. საბავშვო მოთხრობები. ბიბლიოგრაფია	143
ნოდარ კუპრავა — ანდრო ლომიძე. ახალი მოთხრობები. ბიბლიოგრაფია	145
ალეკო სანადირაძე — მონოგრაფია გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორზე. ბიბლიოგრაფია	148
გ. გორდეზიანი — მ. დუდუჩავა. ახალი ქართული ხელოვნება. ბიბლიოგრაფია	151
ახალი წიგნები	154

Тбилисский филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 9¾. ფ. უე 03574. შეკვ. № 508. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფგამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.